# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№ 11 (423) ◆ 17 – 23 მარტი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „ჰააგის სასამართლო პროცესზე ამოტივტივებულმა ფაქტებმა შეიძლება საქართველოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვიოს“

„ასეთ საქმეს კაბინეტში, მხოლოდ ჩვენ მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ვერ გამოიძიებენ. როგორც გვითხრეს, საქმის მსვლელობის შემთხვევაში ფაქტის დამდგენი მისიები ჩამოყალიბდება. უნდა გითხრათ, რომ ამ მისიებში გაერთიანებულნი არიან მსოფლიოს წამყვან სპეცსამსახურებში ნამუშევარი, თავისი საქმის საუცხოოდ მცოდნე პროფესიონალები.“

გვ.3

*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი*

მავანნი მხოლოდ ჰააგიდან ქართული დელეგაციის დაბრუნების შემდეგ მიხვდნენ, რომ აფხაზეთის ტრაგედიის გახსნით არა მხოლოდ აფხაზ სეპარატისტთა ნამოქმედარი – საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ ქართველთა ჩადენილი დანაშაულიც გამომჟღავნდება.... მაგრამ ჰააგაში სარჩელი უკვე წარდგენილია. ეს რაიონული სასამართლო არ არის, რომ საქმე ტელეფონის ზარით ჩაიფარცხოს.

## კრიმინალიზაცია პიკს აღწევს!..

ის, რაც მოხდა, სავსებით მიესადაგება იმ საერთო ქაოსს, რომელიც უკვე ერთი წელია გრძელდება. ეს არის ბაკქანალია, რომელსაც კრიმინოგენული განუკითხაობა ჰქვია. ...უშიშროების საბჭომ კონკრეტული ფაქტი კი არა, შექმნილი სიტუაცია უნდა განიხილოს. აქამდე თავს ვიკავებდი, მაგრამ ახლა ვაცხადებ: აუცილებელია შს მინისტრის სასწრაფოდ შეცვლა. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

*ელენე თევდორაძე*




ბონდო ურიგო კაცი არ არის. ვფიქრობ, ეს ვიღაც უნამუსოების და ლაჩრების გაკეთებულია. გვ.5

დღეს ზუგდიდში ყველა გიჟს ჰგავს, ნერვიულობენ. ეს მარტო ბონდოს პრობლემა არ არის, მთელი საქართველოს პრობლემაა...

*დათო შენგელია*

**მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა(?!)**



არ ვაპირებ, ვუპასუხო გოგავასნაირ პროვოკატორებს. იგი ზნეობრივად ხეიბარია, ისევე, როგორც მისი დღევანდელი სულიერი მოძღვარი... დღეს გოგავებისა და მამალაძეების სახით ამაზრზენი ფენომენი შეიქმნა საქართველოში.

გვ.6,7 *ზურაბ ჟვანია*

**ვეჭვობ, დღევანდელ პირობებში ჟვანიას პრეზიდენტობის შანსი მიეცეს**

სიამოვნებით ვიქირავებდი რომელიმე რუსულ პიარჯგუფს, მაგრამ ფული არა გვაქვს.

*მიხეილ სააკაშვილი*

## ვის ეკუთვნის ტიტული – „საქართველოს პარლამენტის ჩხუბისთავი“?

მკითხველის [illegible] გვ.35

## «ასეთი ადვილი საცემი ვარ?»

### 1 მლნ სამუშაო ადგილი „აჭამეს“ ხალხს, ახლა „115-ლარიანი“ ხელფასი უნდათ „აჭამონ“



მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, რომ დეპუტატების უმრავლესობამ ითხოვოს პარლამენტში კენჭისყრაზე საკითხის დაყენება და თავმჯდომარემ ეს არ გააკეთოს. ეს არის არაორგანიზებული, ჩამოუყალიბებელი, მოუქნელი სახელისუფლებო გუნდი...

გვ.6

## ამერიკული ულტიმატუმი

## ომი იწყება?!

„სადამ ჰუსეინმა და მისმა გარემოცვამ სასწრაფოდ დატოვონ ერაყი, წინააღმდეგ შემთხვევაში... გვ.2

გაეროს ინსპექტორთა მისიამ 19 მარტამდე უნდა მოასწროს ბაღდადიდან ევაკუაცია.“

*კონდოლიზა რაისი*



„ჩხუბისთავი კოვბოი“, „მოღრიალე ვირთხა“, „მებაყაყეები“ და „იმპოტენტი ევროპა“...

გვ.11 *საკ. კორ. ამერიკიდან*

**დღემდე წარმოუდგენელი რამ ხდება**

**სპორტი**

## „სანდერსი მაქსიმუმ 4 რაუნდს გამიძლებს, ნოკაუტს ვერ გადაურჩება“

გვ.33

**სანდერსმა მეორე რაუნდში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე კლიჩკო ნოკაუტით დაამარცხა...**





მოლაპარაკება უკვე დაიწყო სანდერსის გარემოცვასთან, პარალელურ მოლაპარაკებას აწარმოებს ჩემი მეორე მენეჯერი ფრენკ ვორენი WBO-ს მესვეურებთან.

თუ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, ორივე მხარე ბრძოლის სავარაუდო ვადად ივლისს განიხილავს. რაც ვნახე, იმის მიხედვით ვმსჯელობ და ვიმეორებ – დავამარცხებ სანდერსს! ქადილი არ მჩვევია, მაგრამ ახლა გამონაკლისი დავუშვი.

**გიორგი კანდელაკს კრივის ელიტაში დამკვიდრების შანსი ეძლევა**




## „ილუზიონისტები“ დეზერტირების ბაზარში...

გასაოცარია ყასბების ხელის სისწრაფე და ფოკუსების ჩვენებისადმი მათი დაუოკებელი მისწრაფება. გვ.13

„თქვენ არ იცით, რა ხალხი მუშაობს აქ. ამას წინათ ყველის გამყიდველმა ქალებმა დანით ერთი სამხედრო პირიც კი დაჭრეს, მერას მოვერევი მაგათ?!..“

**ვერსია**

## მკვდრეთით აღმდგარი შვილის დაბრუნება

გვ.10

პუშკინის ქუჩაზე სამხედრო უნივერმაღში სამხედრო ფორმა შეიძინა. ასაკის შესაბამისად, ზედ მაიორის სამხრეები დააკერა, მერე კოლმეურნეობის მოედანზე კევის გამყიდველი ერთი ლამაზი ბოშა ქალი გაიცნო, უკანასკნელ მოდაზე გამოაწყო და წინა დღეს გამართულ ლატარიის ტირაჟში გათამაშებული „ვოლგის“ მოგებული ბილეთით სახინკლეში შევიდა...

**თქვენ გელოდებიან მკითხველი ბრძანდებით!**

## საპარლამენტო სპექტაკლი აბსურდის თემაზე

ქართველმა დეპუტატებმა მუშტი-კრივსა და ლანძღვა-გინებაში გამოჩენილი უმაღლესი პილოტაჟის შემდეგ, მოსახლეობას სიჯიუტისა და თანამიმდევრული დემაგოგიის საუკეთესო მაგალითები უჩვენეს. ოთხი დღის მანძილზე უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მთელი სერიოზულობით მსჯელობდნენ, რამდენი იქნება ორჯერ ორი. კულმინაციამ პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც ერთ-ერთმა გონებამახვილმა დეპუტატმა აღმოაჩინა, რომ თურმე ბურჯანაძე სპიკერად ღამით ჰყავდათ არჩეული და ამიტომ მისი უფლებამოსილება ეჭვქვეშ დააყენა. მეორე, არანაკლებ გონიერმა პარლამენტარმა უმრავლესობიდან კი მისთვის სასურველი წინადადების გასატანად ალტერნატიული პარლამენტის შექმნა მოიფიქრა...

## კვლავ ელექტროენერგიის გარეშე

ელექტროენერგიის გათიშვის გამო სამეგრელოში მასობრივი საპროტესტო აქციების ახალი ტალღა აგორდა. მოსახლეობამ დენის მიწოდების მოთხოვნით ზუგდიდი-წალენჯიხის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი გადაკეტა. მათი მტკიცებით, ზუგდიდის რაიონის არც ერთ სასიცოცხლო ობიექტს დენი სამ თვეზე მეტია არ მიეწოდება. ამ მხრივ ხალხის უმძიმეს მდგომარეობაზე ისიც მეტყველებს, რომ მასობრივი მანიფესტაციების მონაწილენი დღე-ღამეში მხოლოდ და მხოლოდ სამსაათიან გრაფიკს მოითხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ზუგდიდის მერიის ბლოკირებით და სარკინიგზო მაგისტრალის გადაკეტვით იმუქრებოდნენ. საპროტესტო აქციები სამეგრელოში ერთდროულად ხუთ ადგილას მიმდინარეობდა. საბოლოოდ, მანიფესტაციები ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეხვედრით და ტრადიციული დაპირებებით დასრულდა.

გარდა ამისა, საბითუმო ბაზარმა საქართველოს ყველა რეგიონს, კახეთის, აჭარისა და თბილისის გარდა, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა ქალაქმა ადგილობრივი ქვესადგურებიდან დენი უკანონოდ ჩართო, რამაც ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელთა აღშფოთება გამოიწვია. ალბერტო სოლისი პრობლემის მიზეზად დამოუკიდებელი ორგანიზაციის საქმიანობაში საქართველოს რეგიონების ხელმძღვანელთა უხეშ ჩარევას ასახელებს. სოლისი განსაკუთრებით იმერეთის გუბერნატორის, თემურ შაშიაშვილის კრიტიკამ და ქცევამ გააღიზიანა. ამ უკანასკნელის მტკიცებით, საქართველოში ელექტროენერგიის დეფიციტი შეგნებულად იქმნება. პრობლემის მოგვარების მიზნით, ენერგობაზართან მოლაპარაკება გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის წარმომადგენლებმა სცადეს, თუმცა ალბერტო სოლისი კატეგორიულად აცხადებს, რომ რეგიონების ჩართვისთვის სულ მცირე 500 ათასი ლარის დავალიანების დაფარვაა საჭირო.

## მაშინ — კიო, ახლა — არაო...

საქართველოს პრეზიდენტის დიპლომატიურ-პოლიტიკური მანევრები მალე მისი უახლოესი გარემოცვისთვისაც გაუგებარი გახდება. აქამდე შევარდნაძე რიხით ლაპარაკობდა გაეროს წესდების მეშვიდე პუნქტის ამოქმედებაზე. ახლა კი აღმოჩნდა, რომ თურმე ჯერ მე-6 პუნქტი გვქონია გასავლელი, რომელიც მშვიდობიანი რესურსების ბოლომდე ამოწურვას გულისხმობს. ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტი აფხაზეთის თემას და ვლადიმირ პუტინთან მიღწეულ შეთანხმებას კიდევ ერთხელ მიუბრუნდა. მისი განცხადებით, ეროვნული უშიშროების საბჭო გაეროს რეზოლუციის მეშვიდე პუნქტის ამოქმედების თემას აღარ განიხილავს. სულ რამდენიმე თვის წინ ეს საკითხი საბჭოზე აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელმა თამაზ ნადარეიშვილმა შეიტანა. მაშინ საბჭომ დოკუმენტის განხილვის გადაწყვეტილება მიიღო.

აღსანიშნავია, რომ მე-7 პუნქტის, ანუ მშვიდობის ძალით დამყარების იდეას განხორციელება თავიდანვე არ ეწერა, რადგან შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში საქართველოში ჯარების გადმოსხმას რომელიმე ქვეყანა ძნელად თუ დათანხმდება...

## პრეზიდენტს პირადი ცენზორი ეყოლება

ამიერიდან, პრეზიდენტის ყოველკვირეულ რადიოინტერვიუსა და ჟურნალისტებისთვის გამართულ ტრადიციულ ბრიფინგს ყოველკვირეული გარჩევა და კრიტიკა მოჰყვება. ამის შესახებ გადაწყვეტილება ეროვნულ ძალთა გაერთიანებამ მიიღო. ზვიად ძიძიგური საკუთარ თავზე იღებს, პრეზიდენტის რადიოინტერვიუს ბოლომდე ყურადღებით მოუსმინოს და მოსახლეობას მასში გაჟღერებული სიცრუე გაუშიფროს.

პრეზიდენტის რადიოინტერვიუს პირველი განხილვა პუნქტების მიხედვით ძიძიგურმა კობა დავითაშვილთან ერთად მოაწყო. მათ სოჭში რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრა ორ ხმაში გააკრიტიკეს. მოხალისე ცენზორთა აზრით, გალში დევნილების დაბრუნება უფრო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, ვიდრე რეალობას.

## ტოლერანტობა?!

ედუარდ შევარდნაძე საკუთარი რელიგიური ტოლერანტობის დასამტკიცებლად ეკუმენისტურ წირვას დაესწრო. წირვა ბაპტისტურ ეკლესიაში გაიმართა. როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ ბასილ მკალავიშვილმა და მისმა მომხრეებმა ბაპტისტების, კათოლიკეების, პროტესტანტებისა და გრიგორიანელების ერთობლივი, ეკუმენისტური წირვა-ლოცვა მუშტი-კრივით ჩაშალეს, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა.

## „აღორძინებას" გული სწყდება...

სოჭში გამართულ შეხვედრაზე რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების მიერ მიღწეულ შეთანხმებას ქართველმა პარლამენტარებმა დაგვიანებული და არაერთგვაროვანი რეაქციით უპასუხეს.

ფრაქცია „აღორძინების" განცხადებით, აფხაზეთის საკითხების მოგვარებას ასლან აბაშიძე სწორედ რკინიგზის გახსნით და ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებით ცდილობდა. აჭარის ხელმძღვანელი ამ ღონისძიებათა პარალელურად, გალში ლტოლვილთა დაბრუნებასაც გეგმავდა. აჭარის დეპუტაცია აცხადებს, რომ მაშინ ეს ნაბიჯები უარყოფითად შეფასდა, დღეს კი პრეზიდენტს ამისთვის არავინ აკრიტიკებს. სოჭის შეთანხმებით უკმაყოფილონი არიან ფრაქციები: „21-ე საუკუნე" და „გაერთიანებული დემოკრატები". მათი განცხადებით, ანალოგიურ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შეთანხმებებს პრეზიდენტი პარლამენტსა და მოსახლეობასთან კონსულტაციების გარეშე არ უნდა დებდეს.

## მაშინ აფხაზეთში დაგვაბრუნონ...

გეოლოგიის ინსტიტუტის შენობაში დროებით შესახლებული 70 ოჯახი, მათი დაუყოვნებლივ გამოსახლების თაობაზე, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს. მეათე თვეა დევნილებს შენობის უფუნქციო ნაწილში ხელისუფლების ნებართვით 1500 კვადრატული მეტრი აქვთ დაკავებული. სასამართლო განჩინების მიუხედავად, ისინი შენობის დატოვებას არ აპირებენ. თუ გადაწყვეტილება მათ სასარგებლოდ არ იქნა მიღებული, შიმშილობას 70-ივე ოჯახი დაიწყებს. დევნილთა აქციას ხელისუფლებიდან არავინ გამოხმაურებია.

## ჩეჩნებს რუსეთს გადასცემენ?

ამ შეკითხვაზე პასუხის მიღებას უშედეგოდ ცდილობს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო, რომელიც გირევის საგუშაგოზე შარშან, 4 აგვისტოს დაკავებული ალხანოვის, გელოგაევისა და ალხაჯიევის საქმეს განიხილავს. მიუხედავად ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლის ჩვენებისა, სასამართლომ ალხანოვისა და გელოგაევისთვის ლტოლვილის სტატუსის ჩამორთმევის კანონიერების საკითხის გარკვევა ვერ შეძლო. პროკურატურის წარმომადგენლებმა პროცესი ხელოვნურად გაჭიანურებულად მიიჩნიეს და სხდომის დასრულებისას მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართეს დროულად გამოეტანა გადაწყვეტილება ჩეჩნების ექსტრადირების შესახებ. ადვოკატები კი ევროპისა და მინსკის კონვენციების დარღვევებზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

საბოლოოდ, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ გირევის საგუშაგოზე დაკავებული ორი ჩეჩენის რუსეთისთვის გადაცემის შესახებ გენერალური პროკურატურის დადგენილება არ გააუქმა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასჯელს საქართველოში მოიხდის ალხანოვი. დაკავებული ჩეჩნების ადვოკატებს უფლება აქვთ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს განაჩენი უზენაესში გაასაჩივრონ. პროცესის შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილება ჩეჩნების მხარდამჭერებმა გააპროტესტეს.

## ვითომ გენერლები გვაკლდეს...

თავდაცვის სამინისტროში კიდევ ერთი — ბრიგადის გენერლის წოდება დაწესდა. ნატოს სტანდარტებით ბრიგადის გენერალი ერთვარსკვლავიანი გენერლის ჩინს შეესაბამება. ახალი წოდება თავდაცვის სამინისტროს მთავარმა სამხედრო საბჭომ დაამტკიცა. სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა დავით თევზაძემ ბრიგადის გენერლობა 5 ოფიცერს მიანიჭა. ბრიგადის გენერლები კონტრაქტის საფუძველზე იმსახურებენ.

ახალი წოდების შემოღება მთლიანად თავდაცვის სამინისტროს რეფორმირებისა და ნატოს სტანდარტებზე გადასვლის პროექტის ნაწილია. თუმცა სასურველი იქნებოდა, ქართველ სამხედროებს ნატოს სტანდარტებთან მიღწევა ჯერ სხვა პარამეტრებით ეცადათ და პირდაპირ გენერლობით არ დაეწყოთ...

## კიდევ ერთი გატაცება

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის, ზაზა ჯიქია თბილისში, ელბაქიძის ქუჩიდან გაიტაცეს. რამდენიმე საათის შემდეგ უცნობი პირი გუბერნატორს დაუკავშირდა და გამოსასყიდის სახით სამი მილიონი დოლარი მოსთხოვა. სამართალდამცავი უწყებები მომხდარს არ ახმაურებენ და აცხადებენ, რომ მათთვის არაფერია ცნობილი, რადგან ოფიციალური განცხადებით ძალოვნებისთვის არავის მიუმართავს. გავრცელებული ინფორმაციით, გატაცების ფაქტი ბონდო ჯიქიას საქმიანობას უკავშირდება. მომხდარს დედაქალაქში ტრადიციული რეიდების ტალღა მოჰყვა (ვრცლად იხ. გვ. 5).

## დატუქსული გუბერნატორები და მკაცრი პრეზიდენტი

საქართველოს ენერგეტიკაში შექმნილ ვითარებას უმკაცრესი შეფასება მისცა მთავრობის სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტმა. მისი კრიტიკის ქარცეცხლი ამჯერად გუბერნატორებს დაატყდა. ედუარდ შევარდნაძის პოზიცია უკომპრომისო იყო — მან გუბერნატორებს დაავალა, მოსახლეობის გაცნობიერების მიზნით, აქტიური პროპაგანდისტული სამუშაო ჩაატარონ, რის შემდეგაც გონებაში ჩავარდნილი მოსახლეობა თურმე დენის ფულს გადაიხდის და ყველაფერი კარგად იქნება... შევარდნაძე უფრო შორს წავიდა და რწმუნებულებს ჯანდაბისკენ გაგზავნით დაემუქრა. რასაკვირველია, გუბერნატორებს ეყოთ ჭკუა და პრეზიდენტს არ შეეკამათნენ, რომ გადაუხდელობა არა შეუგნებლობის, არამედ ეკონომიკური სიდუხჭირის ბრალია.

## საერთოდ, ცეკვა თუ იცის?

სოხუმის სასამართლომ სცადა გაერკვია, ცეკვავდა თუ არა ჯემალ გამახარია სოხუმის დაცემის დღეს ზუგდიდში გამართულ მიტინგზე. სწორედ ამ ბრალდების გამო გამახარიამ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს სასამართლოში უჩივლა. გამახარია თამაზ ნადარეიშვილს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 50 ათას ლარს სთხოვს. ნადარეიშვილის ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ მათ აქვთ კასეტა, სადაც აღბეჭდილია გამახარიას ცეკვის კადრები, თუმცა კასეტა სასამართლოში არავის მიუტანია. ნადარეიშვილის მხარის მტკიცებით, მოსარჩელეს შესაბამისი შუამდგომლობა არ დაუყენებია. სასამართლომ ლამის პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული ჟიურიც მოიწვია, რომელიც დაადგენდა, იცის თუ არა საერთოდ ცეკვა გამახარიამ. საბოლოოდ, თემიდამ დეპუტატ ჯემალ გამახარიას სარჩელი არ დააკმაყოფილა.

მოსამართლე ჯემალ გვაგვალიამ ჩათვალა, რომ ნადარეიშვილის განცხადებებს სოხუმის დაცემის დღეს გამახარიას ცეკვის შესახებ, დეპუტატისთვის მორალური ზიანი არ მიუყენებია. გაღიზიანებული გამახარია მოსამართლეს იუსტიციის საბჭოში ჩივილით ემუქრება და განაჩენის ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას აპირებს.

## „ცენტრ-პოინტს" ამოწმებენ

თბილისის საკრებულომ უკანონო მშენებლობების შემდეგ უხარისხო მშენებლობებისთვის მოიცალა. „ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა ფირმა „ცენტრ-პოინტის" მიერ თბილისში აგებული შენობების შესწავლა დაიწყეს. საკრებულოს წევრები 6 ობიექტის დაუყოვნებლივ შეჩერებას მოითხოვენ. ქალაქის ვიცე-პრემიერმა გია კარბელაშვილმა და ადმინისტრაციული ინსპექციის ხელმძღვანელმა ამ საკითხს საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნეს. ისინი სოციალისტური პარტიის ლიდერის ოჯახის მფლობელობაში არსებული ფირმის უკანონობაზე ლაპარაკობდნენ. „ნაციონალური მოძრაობის" წევრების მტკიცებით, „ცენტრ-პოინტის" მშენებლობები სახელმწიფო ექსპერტიზას არ გადიან და ადგილობრივ ბიუჯეტს ამით სოლიდურ თანხებს აკლებენ. შესაბამისი მასალები მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე გადასცეს.

## გაქცევის მცდელობა მეხუთე საპყრობილიდან

ციხის ოპერატიულმა სამსახურმა პატიმრის განზრახვა ჩაშალა. მალხაზ ქებაძემ, რომელსაც სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი, საკანში ერთი მეტრის სიღრმეზე ერთი მეტრი სიგრძის გვირაბის გათხრა მოახერხა.

მე-15 სპეციალურ საკანში ის მარტო იჯდა და 3 მარტის შემდეგ სასეირნო მოედანზე გამოსვლაზე უარს ამბობდა. ციხის ადმინისტრაცია კი საკანს მხოლოდ პატიმრის სასეირნოდ გამოსვლისას ამოწმებს. 21 წლის მალხაზ ქებაძე სასჯელს 1998 წლიდან, ორი ბიძაშვილის განზრახ მკვლელობისთვის იხდის. მიმდინარე წლის ექვს იანვარს პირველი საპყრობილის ოპერმუშაკის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის მას ახალი ბრალდება წაუყენეს და მეხუთე საპყრობილეში სამ მარტს გადაიყვანეს. ქებაძის გაქცევის მცდელობასთან დაკავშირებით კომენტარი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის სამსახურის უფროსმა გააკეთა.

## ნათესავმა შეიტანა თუ...

„საქგაზის" ყოფილ დირექტორს, გურამ ჩიჩუას თბილისის საოლქო სასამართლომ 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მას ბრალად გადასახადების დიდი ოდენობით დამალვა ედება. ჩიჩუა 4 მარტს დააკავეს, მაგრამ რაიონულმა სასამართლომ გირაოს გადახდის შემდეგ იგი წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა. ჩიჩუას ნათესავმა 165 ათასი ლარის ოდენობის გადასახადი შეიტანა, მაგრამ საოლქო სასამართლომ ბრალდების პოზიცია გაითვალისწინა და „საქგაზის" ყოფილ დირექტორს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა შეუფარდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით თვითონ ჩიჩუა პროცესს არ დასწრებია.

## შეთქმულება არ დასტურდება

ხელისუფლების ძალადობით შეცვლის მიზნით მთავრობის ზოგიერთი წევრის მხრიდან შეკრების ფაქტი არ დადასტურდა. არ დაისჯებიან აღნიშნული ინფორმაციის გამავრცელებლებიც. ამის შესახებ სახელმწიფო კანცელარიაში ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ განაცხადა. გაბრიჩიძემ საბჭოს შეთქმულებასთან დაკავშირებით პროკურატურის საბოლოო დასკვნა წარუდგინა. გენერალური პროკურორის თქმით, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით დასჯადი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუ ადგილი ექნება პირდაპირ განზრახვას დანაშაულის დაბრალების შესახებ. ჩატარებული მოკვლევით ასეთი განზრახვა ვერ დადგინდა.

## კობა დავითაშვილს ხულიგნობისთვის დაიჭერენ?

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, კობა დავითაშვილი მასობრივი არეულობის მოწყობასა და ხულიგნობაში დაადანაშაულა. დეპუტატის მიმართ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 626-ე მუხლით აღიძრა. გენერალური პროკურორის განკარგულებაში აღნიშნულია, რომ კობა დავითაშვილმა 2002 წლის 5 ნოემბერს და იმავე წლის 22 ოქტომბერს პროვოცირება გაუწია ხულიგნურად განწყობილ ადამიანთა ჯგუფს, რუსთაველის გამზირი გადაკეტა და სცადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაში შეჭრილიყო. ხულიგნობასა და დებოშიორობაში ბრალდებული დეპუტატი აცხადებს, რომ ქუჩაში მანიფესტაციის მოწყობა საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა და ამგვარ ქმედებებს მანამ გააგრძელებს, სანამ ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტი იქნება.




## ომი იწყება?

კვირას თეთრ სახლში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პრეზიდენტ ბუშის მრჩეველმა უშიშროების საკითხებში კონდოლისა რაისმა ავისმომასწავებელი განცხადება გააკეთა. ვაშინგტონი ერაყის მმართველს კატეგორიულ ულტიმატუმს წაუყენებს. „ნიუ-იორკ თაიმსის" ინფორმაციით, ულტიმატუმი შემდეგს გულისხმობს — სადამ ჰუსეინმა უახლოეს გარემოცვასთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს ერაყი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ამერიკის შეიარაღებული ძალები დააპატიმრებენ. სახელმწიფო დეპარტამენტმა კაცობრიობის წინაშე მთავარ დამნაშავეებად სადამ ჰუსეინი და მისი ორი ვაჟიშვილი დაასახელა. რაისის განცხადების პარალელურად, ამერიკის ადმინისტრაციამ გაეროს 19 მარტამდე ერაყში მყოფ ინსპექტორთა მისიის ევაკუაცია ურჩია — საგანგებოდ ამისთვის დამატებითი რეისებიც დაინიშნა. ომის მოწინააღმდეგე ევროპის ქვეყნებმა (გერმანია, საფრანგეთი) თეთრი სახლის განცხადების პასუხად საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გაეროს უშიშროების საბჭოს სასწრაფო შეკრება მოითხოვეს. თავის მხრივ, უკან დახევას არც ჰუსეინი აპირებს — მან ერაყი ოთხ სამხედრო ოლქად დაჰყო და თითოეულს სათავეში გამოცდილი გენერლები ჩაუყენა. ერაყის ცენტრალური რაიონი კი თავის უფროს შვილს ჩააბარა.

## თავდასხმა „როიტერზე"

ჩინეთში საინფორმაციო სააგენტო „როიტერის" ოფისს ბომბით შეიარაღებული მამაკაცი დაესხა თავს. „როიტერის" პეკინის ბიურო დედაქალაქის აღმოსავლეთ ნაწილშია განლაგებული. თავდამსხმელი რედაქციაში დიდი ჩანთით მივიდა და ჟურნალისტებს თავი ფან ცინჰუის სახელით გააცნო. შემდეგ ჩანთაში ჩადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედების მუქარით მსოფლიოსთან დაკავშირება მოითხოვა. მისი განცხადებით, ამ უკიდურეს ზომებს ის მხოლოდ სამართლიანობის აღსადგენად მიმართავს. „ყველამ უნდა გაიგოს, როგორია შავი ჩინეთი, როგორ ცხოვრობს უბრალო ხალხი", — ამბობდა თავდამსხმელი. როგორც გაირკვა, ცინჰუი ერთ-ერთ პროვინციაში ქარხნის მუშა იყო. მოგვიანებით, იგი ნებაყოფლობით ჩაჰბარდა პოლიციას.

გასულ კვირაში მიმდინარე საპარლამენტო „გაუგებრობამ“ ისეთ პიკს მიაღწია, რომ უმნიშვნელოვანესი აფხაზეთის საკითხი საზოგადოებისა და პოლიტიკური ისტებლიშმენტის ყურადღების მიღმა დარჩა. საქართველოს პრეზიდენტმა პუტინთან შეხვედრის შემდეგ პოზიციები შეცვალა. დღეს უკვე ირკვევა, რომ თურმე პრეზიდენტს გაეროს წესდების მე-7 თავის ამოქმედება გუნებაშიც არ გაუვლია და ეს საკითხი გაურკვეველ ვითარებაში, უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაურკვეველმა პიროვნებებმა(!) დააყენეს. ქართველმა პარლამენტარებმა პრეზიდენტის მიერ მათ დაუკითხავად სახელმწიფო საკითხების გადაჭრა გააპროტესტეს, — უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შევარდნაძის მისვლა და ახსნა-განმარტებები მოითხოვეს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს მხოლოდ „ორთქლის გამოშვება“ იყო. დეპუტატები საკითხის საკომიტეტო მოსმენით დაკმაყოფილდნენ და სახელფასო მინიმუმის თემაზე დადგმულ აბსურდის სპექტაკლში გულმოდგინედ განაგრძეს თამაში. უშიშროების საბჭოში ზემოთ ნახსენები მე-7 თავის განხილვის ინიციატორი, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება, იდეის ჩავარდნის შემდეგ ახლა უკვე მთელ იმედებს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალზე ამყარებს. საინტერესოა, რომ ამ წამოწყებას მხარი ირიბად პრეზიდენტმაც დაუჭირა, როდესაც სამთავრობო სხდომაზე ამჟამად ისრაელის საელჩოში მომუშავე ანზორ ბალუაშვილის თბილისში დაბრუნების საკითხი დასვა. როგორც ცნობილია, საქართველოს გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე პირადად ხელმძღვანელობდა აფხაზეთში სეპარატისტებისა და მათი დაქირავებული მებრძოლების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებათა გამოძიებას. ისიც ცნობილია, რომ ბალუაშვილმა ამ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურაში სამასტომიანი საქმე დატოვა. სოჭის შეხვედრის შემდეგ, შევარდნაძე ამაზეც დუმილს ამჯობინებს, მაგრამ „არის ჟამი ქვების გროვებისა და არის ჟამი სროლისა“. გამორიცხული არ არის, ამერიკელების რჩევით (რომელთა გათვალისწინება და ციტირება სახელმწიფო მეთაურს ძალიან მოსწონს...) პრეზიდენტი მართლაც „მოგროვების“ სტადიაში იყოს და „სროლისთვის“ შესაფერის მომენტს ელოდეს... და აქ კიდევ ერთი ფაქტორი იჩენს თავს: როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და ქართულმა დელეგაციამ სარჩელი ჰააგის ტრიბუნალში წარადგინა, რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს, საქმის შემდგომ მსვლელობას საფრთხე არა რუსეთიდან ან აფხაზეთიდან, არამედ თბილისიდან(!) დაემუქრა. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჰააგის ვიზიტის შედეგების კომენტირებისგან თავი შეიკავეს. ტელეფონზე არ გვიპასუხა ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმაც. როგორც ჩანს, იგი პრეზიდენტის კომენტარს ელოდება. აფხაზეთის ომში დამარცხება რომ ქართველ მაღალჩინოსანთა სიხარბემ, დაუდევრობამ და მოღალატურმა საქციელმაც გამოიწვია, ამის შესახებ ბევრი თქმულა. არასოდეს დაუსახელებიათ კონკრეტული პიროვნებები — იმ მიზეზის გამო, რომ ბევრი მათგანი დღესაც საკმაოდ გავლენიან თანამდებობაზეა მოკალათებული. კულუარული ინფორმაციით, მავანნი ჰააგის ტრიბუნალის მიერ საკითხისადმი სერიოზულმა მიდგომამ და მოსალოდნელი გამოძიების დეტალურობამ შეაშფოთა. სავარაუდოდ, ისინი ნებისმიერ დონეზე ეცდებიან საკითხის დაბლოკვას. ეს რომ შეუძლიათ, იქიდანაც ჩანს, რომ აფხაზეთის ომის ვერაგობის მოწმეთაგან ზოგი — მკვდარია, ზოგი — სამუდამო ინვალიდი, დანარჩენები კი, მათი გამოცდილების გათვალისწინებით, დუმილს ამჯობინებენ. მაგრამ, როგორც ჩანს, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება ვა-ბანკზე მიდის — საქმეს საერთაშორისო მსვლელობა ეძლევა. მავანნი მხოლოდ ჰააგიდან დელეგაციის დაბრუნების შემდეგ მიხვდნენ, რომ აფხაზეთის ტრაგედიის გახსნით არა მხოლოდ აფხაზ სეპარატისტთა ნამოქმედარი, საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ ქართველთა ჩადენილი დანაშაულიც გამომჟღავნდება.... მაგრამ ჰააგაში სარჩელი უკვე წარდგენილია. ეს რაიონული სასამართლო არ არის, რომ საქმე ტელეფონის ზარით ჩაიფარცხოს. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მათ შეუძლიათ, რატიფიკაციაზე უარის თქმაა. ასეთ შემთხვევაში კი რამდენიმე კაცის სახელსა და კეთილდღეობას სახელმწიფოს პრესტიჟი შეეწირება, რადგან საკუთარი სარჩელის განხილვაზე უარს როდის ამბობენ, კარგად ვიცით...

მოსახლეობის მიმართ ჩადენილ დანაშაულობათა გამომკვლევი სასამართლო ჰოლანდიაში იუგოსლავიის კონფლიქტის დროს მომხდარი პრეცედენტების გამოსაძიებლად შეიქმნა. 1998 წელს კი გადაწყდა, სასამართლოს საერთაშორისო იურისდიქცია მინიჭებოდა და აქ ზოგადად, მსოფლიოში მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირების დროს ჩადენილი სამხედრო დანაშაულობები გარჩეულიყო. „რომის სტატუტის“ სახელით ცნობილ ხელშეკრულებას მას შემდეგ 60-ზე მეტი სახელმწიფო შეუერთდა. ხელმოწერის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტს ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მოუხდენია. როგორც ცნობილია, საგანგებო დელეგაციამ საქართველოდან ჰააგაში აფხაზი სეპარატისტების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მიზანმიმართული განადგურებისა და წამების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჩაიტანა. ქართველი დესპანები ჰააგაში სასამართლოს ოფიციალურად გახსნის დღეს ჩავიდნენ.

რას ნიშნავს ჰააგის სასამართლო, როგორც საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის პრეცედენტი; მიიღებენ თუ არა განსახილველად საქართველოს სარჩელს და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჰააგის ტრიბუნალის დასკვნას? როგორ იმოქმედებს იგი ისედაც დაძაბულ ურთიერთობაზე აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკასთან და მოისმენს თუ არა მათ საპასუხო არგუმენტაციას საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი? — ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით ჰააგაში საგანგებო დელეგაციის წევრს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსს **ლევან ბოძაშვილს**:

— ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო თავისი შინაარსით ჩვეულებრივი, პერმანენტული ტიპის თემიდას წარმოადგენს, ანუ ეს არის სასამართლო მთელი თავისი ატრიბუტიკით — მოსამართლით, გენერალური პროკურორით და ა. შ. სასამართლოს განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი მოქმედების არეალს და გადაწყვეტილებას საერთაშორისო იურისდიქცია აქვს. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ჰააგის ტრიბუნალის გენერალურ პროკურორს თავისი ინიციატივით არ შეუძლია საქმე აღძრას, რაც უნდა გახმაურებული და შემზარავი იყოს ჩადენილი დანაშაული. სასამართლო წინასწარ და განხილვის შემდგომ მოკვლევას რამდენიმე შემთხვევაში ახორციელებს — პირველ რიგში, ეს შეიძლება იყოს გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართვა გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. ანალოგიური მოთხოვნის უფლება აქვთ „რომის სტატუტის“ მონაწილე ქვეყნებსაც, ანუ მათ, ვინც ამ ხელშეკრულებას რატიფიკაცია გაუკეთა და ბოლოს, სარჩელის შეტანის უფლება აქვთ ასევე იმ ქვეყნებს, რომელთაც თავის ტერიტორიაზე სრულფასოვანი იურისდიქციის, ანუ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება არ შეუძლიათ, მაგრამ ფლობენ ინფორმაციას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ იქ ჩადენილ დანაშაულზე. სწორედ ამ უკანასკნელს განეკუთვნება საქართველოს შემთხვევაც. არის კიდევ ერთი სათადარიგო ვარიანტი, რომელსაც იურისპრუდენციაში „პროპრიუ მოტუ“ ეწოდება — როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს მის მიერ მოპოვებული სამხილებით საერთაშორისო სასამართლოს მიმართოს, თუ საქმის მასშტაბები ერთი ქვეყნის სასამართლოს კომპეტენციას სცილდება. როგორც ცნობილია, ხელმოწერის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტს „რომის სტატუტის“ რატიფიკაცია არ მოუხდენია. ჩვენი დელეგაციის ჰააგაში ყოფნისას თბილისში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, რომ თითქოს ამის გამო შესაძლებელია, ჰააგის ტრიბუნალს სარჩელი არ მიეღო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენმა დელეგაციამ განაცხადი ბოლო პუნქტის შესაბამისად წარადგინა. ერთადერთი, რაც საქმის მსვლელობაში მიცემისთვის ქართულმა მხარემ უნდა გააკეთოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ სპეციალური ნოტით ჰააგის ტრიბუნალის სავალდებულო იურისდიქციის ცნობა გახლავთ. რასაკვირველია, კარგი იქნება, თუ საქართველოს პარლამენტი „სტატუტის“ რატიფიკაციას მოახდენს და ქვეყანა ტრიბუნალის სრულფასოვანი, დელეგირებული წევრი გახდება. მაგრამ ამ საკითხში აჩქარება არ გვმართებს, რადგან ასეთ დროს უამრავი ვალდებულების აღება მოგვიწევს. გარდა ამისა, საჭირო გახდება საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია „სტატუტის“ პირობებთან. ასე რომ, ჩვეული აჩქარების გამოჩენა საერთაშორისო ვალდებულებებთან, ვფიქრობ, არ ღირს — ამ მხრივ შეცდომები ისედაც საკმარისად გვაქვს დაშვებული.

**— როგორც ცნობილია, ჰააგის ტრიბუნალის შექმნას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს მსოფლიოს ზესახელმწიფოებმა — ამერიკამ, ჩინეთმა და რუსეთმა. ეს ფაქტორი ალბათ საქართველოს სარჩელის მსვლელობასა და გამოძიების სრულფასოვან ჩატარებაზეც იმოქმედებს, რადგან რუსეთისა და ამერიკის გავლენა ქართულ პოლიტიკაზე ცნობილია.**

— სხვათა შორის, ჰააგის ტრიბუნალი ამერიკას, რუსეთს და ჩინეთს რომ დღემდე არ უღიარებიათ, ამას თავისი მიზეზები აქვს — ყველა მათგანს მსოფლიოში მომხდარ და მიმდინარე გლობალურ კონფლიქტებში თავისი წვლილი მიუძღვის — ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, ბევრ ქვეყანას მათთან პრეტენზიებიც ექნება... მეორე მხრივ, ჰააგის ტრიბუნალის ამოქმედებაში ევროპული ქვეყნები და განსაკუთრებით, გერმანია არის დაინტერესებული, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს ნიურნბერგის პროცესი. რაც შეეხება ჩვენ მიერ წარდგენილ სარჩელს — ჰააგის ტრიბუნალი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და ამდენად, არც მის მიერ ჩატარებული გამოძიების პრეცედენტი არსებობს, რომლის მიხედვითაც შეგვეძლო მის ხარისხზე თუ ხასიათზე გვემსჯელა. თუმცა, ჩვენი ვიზიტისას ტრიბუნალის აპარატის თითქმის ყველა პასუხისმგებელ პირს შევხვდით. ჩვენ მიერ წარდგენილმა დოკუმენტაციამ მათზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. დავრწმუნდი, რომ მსვლელობის შემთხვევაში, უაღრესად დეტალური გამოძიება ჩატარდება. სასამართლო პროცედურით იგი ორ ეტაპად არის დაყოფილი — წინასწარი და პროცესუალური გამოძიება, რომელსაც უშუალოდ ჰააგის პროკურორი უხელმძღვანელებს (მას აპრილში დანიშნავენ) და ამ საქმეში მრავალი სტრუქტურა იქნება ჩართული. მოგეხსენებათ, ასეთ საქმეს კაბინეტში, მხოლოდ ჩვენ მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ვერ გამოიძიებენ. როგორც გვითხრეს, საქმის მსვლელობის შემთხვევაში, ფაქტის დამდგენი მისიები ჩამოყალიბდება, რომლებიც კონფლიქტის ადგილზე ჩავლენ და მოწმეებს უშუალოდ გაესაუბრებიან. უნდა გითხრათ, რომ ამ მისიებში გაერთიანებულნი არიან მსოფლიოს წამყვან სპეცსამსახურებში ნამუშევარი, თავისი საქმის საუცხოოდ მცოდნე პროფესიონალები. მაგრამ აქვე კიდევ ერთი სირთულე იჩენს თავს, რამაც შესაძლოა პროცესი გაახანგრძლივოს — გასაგები მიზეზების გამო, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთში ფაქტების დამდგენი მისიის მუშაობაზე პასუხისმგებელი ვერ იქნება. ამის ორგანიზება ან რუსეთის სამშვიდობო ძალებმა უნდა იკისრონ, ან აფხაზმა სეპარატისტებმა. ასეთ შემთხვევაში კი მისიის მუშაობა რომ ობიექტური იყოს და მათ ყველაფრის ნახვა შეძლონ, გამოცდილი და მძლავრი სპეცსამსახურების მხარდაჭერა იქნება საჭირო, თუნდაც ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, რათა სასამართლოზე კონკრეტული ფაქტის დამალვა ბრალდებული მხარის მიერ ძნელი აღმოჩნდეს. სწორედ ასე იქცეოდა ამერიკის შეერთებული შტატები ჰუსეინთან მიმართებაში, როდესაც პაუელი გაეროს უშიშროების საბჭოზე მისი ბრალეულობის დამტკიცებას ცდილობდა. ცხადია, საქართველოს ამის საშუალება არა აქვს. რუსეთი რომ თან არ გამოგვყვება, საკამათო არ უნდა იყოს, ამერიკას კი ჯერჯერობით, საამისოდ არ სცალია. ყოველი შემთხვევისთვის, ჰააგის ტრიბუნალში უკვე საქმის ზერელედ გადახედვის შემდეგ დარწმუნებით გვითხრეს, რომ საქმის დეტალური გამოძიება იქნება საჭირო, რისთვისაც თბილისშიც და სოხუმშიც ფაქტების დამდგენ არაერთ მისიას მოუწევს მუშაობა.

**— ფაქტების დამდგენი მისია ალბათ აფხაზი სეპარატისტების დანაშაულის გამოძიებისას ქართველი მაღალჩინოსნების დანაშაულსაც გამოააშკარავებს, რისი მიზეზითაც აფხაზეთში ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები თუ მეომარი ტყუილუბრალოდ დაიღუპა. ეს პირები დღესაც საკმაო გავლენას ინარჩუნებენ და ალბათ ჰააგაში საქმის მსვლელობასაც ყველანაირად შეუშლიან ხელს. არის მეორე მოსაზრებაც — ქართველთა სარჩელმა შესაძლოა, კიდევ უფრო გაამწვავოს აფხაზებთან ისედაც არსებული კონფრონტაცია. ბოლოს კი, შეუძლებელია, გამოძიებამ აფხაზეთის ტრაგედიაში რუსული კვალი არ აღმოაჩინოს და ცხადია, მის წასაშლელად უკვე რუსული სპეცსამსახურები იზრუნებენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ გარემოებათა გამო გამოძიება უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, რა პერსპექტივები ან რა აზრი აქვს ჰააგაში სარჩელის შეტანას?**

— რაც შეეხება ქართველ მაღალჩინოსანთა შესაძლო დანაშაულის გამოაშკარავებას, შეგახსენებთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ჰააგის ტრიბუნალს სამართლებრივი შეფასების მიცემა მხოლოდ 2002 წლის შემდეგ მომხდარი ფაქტებისთვის შეუძლია, ანუ მას შემდეგ, რაც „სტატუტი“ ძალაში შევიდა. თუმცა, აქ მეორე ფაქტორიც არის — თუ ასეთი დანაშაული არსებობს, რასაკვირველია, ძიებისა და სასამართლო პროცესის მსვლელობაში აუცილებლად ამოტივტივდება, რადგან ასეთი ფაქტები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, საერთაშორისო ასპარეზზეც გახმიანდება და მსოფლიოში ალბათ არა, მაგრამ საქართველოში დიდ ვნებათაღელვას ნამდვილად გამოიწვევს. აფხაზებთან კონფრონტაცია ახსენეთ. ჰააგის სისხლის□სამართლის საერთაშორისო სასამართლო 70-მა ქვეყანამ აღიარა და, ფაქტობრივად, მათ პრესტიჟსაც წარმოადგენს. საქართველომ უბრალოდ, მტყუანმართლის გასარჩევად მიმართა საერთაშორისო სასამართლოს და ჭეშმარიტი თემიდის თვალსაზრისით, დასაწყისშივე აუცილებელი გამართლების გარანტია ნამდვილად არ არსებობს. აქედან გამომდინარე, აფხაზების მხრიდან კონფრონტაციის საფუძველს ნამდვილად ვერ ვხედავ. რაც შეეხება რუსეთის ფაქტორს: როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჰააგის ტრიბუნალის მთავარი ლობისტი და მის შეუფერხებელ მუშაობაში ყველაზე დაინტერესებული ძალა ევროპაა. თუ როგორ „უყვართ“ ევროპელ პოლიტიკოსებს რუსეთი, ესეც ცნობილი ფაქტია, ამიტომ ამ მიმართულებით თუკი რაიმე ხელმოსაჭიდი გამოჩნდება, მერწმუნეთ, ტრიბუნალს ვერაფერი შეაჩერებს.

აქვს თუ არა აზრი ამ განაცხადის საბოლოო სახით წარდგენას ჰააგის სასამართლოში? მე საკითხს შემდეგნაირად დავსვამდი, ახლა რამდენად აქვს აზრი ამის გაკეთებას? ვფიქრობ, ამ სახით ჰააგის სასამართლოსთვის მიმართვას იმ შემთხვევაში უფრო ექნებოდა აზრი, თუ ვთქვათ, გაეროს მე-7 თავის ამოქმედება რეალური გახდებოდა, თუმცა, ვიცით, რომ ეს თითქმის შეუძლებელია. ამასთან, გაუმართლებელია პოლიტიკური დარეგულირების შემთხვევაში მოლაპარაკების მაგიდასთან დასვა მხარე, რომლის გასამართლებასაც აპირებ.

თავისთავად ის ფაქტი, რომ საქართველო გამოთქვამს მზადყოფნას, აფხაზეთის საკითხი საერთაშორისო ტრიბუნალზე გაირჩიეს, ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს, რადგან ამ განაცხადით ჩვენს სიმართლეს გაცილებით მეტი წონა ეძლევა, თუნდაც გამოძიება მართლა უსასრულოდ გაჭიანურდეს. გარდა ამისა, ჰააგაში კიდევ ერთი საინტერესო საკითხი გახმოვანდა — ტრიბუნალის აპარატის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გაოცდა — წამებისა და ხოცვა-ჟლეტის ასეთ საშინელ ფაქტებს ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები რატომ არ აპროტესტებენ, „ჰიუმან რაითს ვოთჩი“, „ფრიდომ ჰოუსი“ და „ემნისტი ინტერნეიშენელი“ საქართველოში მხოლოდ რელიგიური უფლებების დარღვევაზე წერენო...

***დაჩი გრძელიშვილი***


ლევან ბოძაშვილს

# „ჰააგის სასამართლო პროცესზე ამოტივტივებულმა ფაქტებმა შეიძლება საქართველოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვიოს...“



**ტრიბუნალის აპარატის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გაოცდა — წამებისა და ხოცვა-ჟლეტის ასეთი საშინელ ფაქტებს ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები რატომ არ აპროტესტებენ, „ჰიუმან რაითს ვოთჩი“, „ფრიდომ ჰოუსი“ და „ემნისტი ინტერნეიშენელი“ საქართველოში მხოლოდ რელიგიური უფლებების დარღვევაზე წერენო...**

**სარჩელის შეტანის უფლება აქვთ ასევე, იმ ქვეყნებს, რომელთაც თავის ტერიტორიაზე სრულფასოვანი იურისდიქციის, ანუ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება არ შეუძლიათ, მაგრამ ფლობენ ინფორმაციას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ იქ ჩადენილ დანაშაულზე. სწორედ ამ უკანასკნელს განეკუთვნება საქართველოს შემთხვევაც.**

**თემიდას ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენ.** *ბერნე*

CMYK

# მის კეთილშობილებას ბეღურებიც კი გრძნობდნენ..



ვინ იცის, რამდენჯერ ამოუვლია ეს მოკლე ქუჩა შინიდან რუსთაველის გამზირამდე. მერე თეატრისკენ წასულა. წყნარი სიარული იცოდა, მშვიდი; გულითადად ესალმებოდა ნაცნობებს. იცოდა ყველაფრის ყადრი, იცოდა, რომ მშვენიერია თბილისის დილა, მშვენიერია საღამოც. ვერაფერი შეცვლის ქუჩაში შემხვედრი კაცის ღიმილს, შეუცვლელია თეატრისკენ მიმავალი კაცის განცდაც... თორემ თითო-ოროლა მანქანა რომ დადიოდა თბილისში, ჯერ კიდევ მაშინ ატარებდა მანქანას... უთუოდ გეხსომებათ „აბეზარაშიც“ საჭესთან მჯდარი გოგი გეგეჭკორი.

...პარასკევს ქაშუეთის ეკლესიაში გადაასვენეს.

მოკრძალებულმა და დიდი სულის მქონე არტისტმა თითქოს უკანასკნელი გზის მოკრძალებული გავლა სცადა. რუსთაველის გამზირზე გზაც კი არ გადაუჭრიათ ისე, რომ საყოველთაოდ მიღებული მოძრაობის წესები დარღვეულიყო. ქაშუეთის ეკლესიასთან კი კოლეგები, თაყვანისმცემლები ელოდებოდნენ.

შაბათს უკანასკნელად გაატარეს თავის თბილისში ყვავილებში ჩაფლული დიდი მსახიობი და დიდი ადამიანი. ეს სიტყვები სულაც არ არის გაზვიადებული, პირიქით, გოგი გეგეჭკორის სულიერების დანაკლისს მერე და მერე უფრო იგრძნობს ქართველი ხალხი. ის იყო კაცი, რომლის კეთილშობილებას ბეღურებიც კი გრძნობდნენ. ამას პირდაპირი მნიშვნელობით გეუბნებით. მე მინახავს სარკმელთან მისული ბატონი გოგის დანახვაზე როგორ მოფრინავდნენ ბეღურები, აწყდებოდნენ მინას...

რამდენი წელი ემსახურა ხელოვნებას! ხელოვნების ქურუმი — ასეთი წოდება მიანიჭეს 80 წლის მსახიობს. ორჯერ ზედიზედ ღირსების ორდენითაც დააჯილდოეს. ისიც, ავადმყოფობით გატანჯული, თავს აიძულებდა, ამდგარიყო და მოკრძალებული მადლობა მოეხსენებინა თაყვანისმცემლებისათვის. ერთი წუთითაც არ უშვებდა, თავისი ტკივილი სხვისთვის დაენახვებინა, თავისი სევდით სხვა დაედარდიანებია. მახსოვს, ჩვენს გაზეთში დასაბეჭდად გამზადებულ თავის ინტერვიუს რომ გადახედა და ეს სიტყვები წაიკითხა: *„სიბერე ნელ-ნელა მოდის. განა ახალგაზრდა ბებრები არ გინახავთ? სულით არ უნდა დაბერდე, სულით... ამაშია საქმე... მაგრამ გული საოცრად მტკივა. ჩემი სკოლის ამხანაგები, უმრავლესობა გარდაიცვალა. ისინი ჩემი პირველი მაყურებლები იყვნენ. თანდათან მათთვის გადასადები ბილეთების რაოდენობამ იკლო... ხელში შემომელია...“* და თავისებური მორიდებით მკითხა: ზედმეტად სევდიანი ხომ არ არისო...

ვუყურებდი ზღვა ხალხით გარშემორტყმულ დიდ არტისტს, უკანასკნელ გზაზე მიმავალს და ვგრძნობდი, სადღაც ზემოთ, ხეებზე გარინდული ბეღურები ისხდნენ. ისინი ადამიანებზე ნაკლებად როდი გრძნობენ დანაკარგის სიდიდეს...

***ლელა ჯიყაშვილი***

# წადი, თბილისში...



იმ რთულ წლებში, როცა ბევრს წერა-კითხვა დაავიწყდა, ირმა წერეთელმა დისერტაცია დაიცვა და გერმანიაში, ბოხუმის უნივერსიტეტს მიაშურა. მალე სამუდამოდ დარჩენის შანსიც გაუჩნდა, მაგრამ ერთ დღეს აიღო ბილეთი, ჩაჯდა თვითმფრინავში და თბილისში, ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლის 44 ლარს დაუბრუნდა — კაცია და გუნება...

— იმდენი ვილაპარაკე საქართველოზე, მგონი, გავაკვირვე გერმანია. ერთხელ ვთქვი, ჩვენთან ღამის 11 საათზეც შეიძლება ყველგან დარეკვა და თუ საჭირო გახდა — მთელი ღამეც-მეთქი. გაოცდნენ. ისინი ღამის 9 საათის შემდეგ ყურმილს აღარ იღებენ... მეკითხებოდნენ, რომ ჩამოვიდეთ, რას გვაჩვენებო... ჯერ ადამიანურ ურთიერთობებს, მერე უძველეს ტაძრებს-მეთქი...

სტუდენტურ აპარტამენტებში ვცხოვრობდი. იქ წესია, საღამოს 9 საათის შემდეგ თუ იხმაურებ, პოლიციას გამოიძახებენ. ამიტომ ქართველი სტუდენტების დაბადების დღეები ყოველთვის მთავრდება პოლიციასთან შეხვედრით და მერე მათი დაძმობილებით.

— *გაგიჭირდებოდა ასეთი სიჩუმე...*

— ჰო. ბოხუმი ომის დროს ისე დაინგრა, თავიდან ააშენეს. რუხ ქალაქს ეძახიან და ცნობილია დამთრგუნველი არქიტექტურით... უნივერსიტეტში არაჩვეულებრივად მიმიღეს, როგორც მეცნიერს, ყველა სამუშაო პირობა შემიქმნეს. იზრუნეს, რომ ნორმალურ ბინაში მეცხოვრა, მაგრამ წარმოიდგინე, რა დამემართებოდა, როცა მეზობლების გაცნობა მოვინდომე და ასეთი პასუხი მივიღე: „გამარჯობა... სასიამოვნოა... ნახვამდის...“ ამით დამთავრდა ჩვენი ლაპარაკი. სასწავლო წელი რომ დაიწყო, ამოვისუნთქე — უცხოელებსაც დავუმეგობრდი და ქართველებიც ჩამოვიდნენ.

— *ქართველები ბევრნი არიან?*

— დიახ. მაგრამ თითზე ჩამოსათვლელია მეცნიერი, მხოლოდ ისინი არიან უზრუნველყოფილნი. ცუდ დღეში არიან ისინი, ვისაც მუშაობის უფლება არ აქვთ. ამას ემატება უნდობლობა ან შური მეორე ქართველის მიმართ, რომელმაც სამუშაო იშოვა. უბედურება ის არის, რომ ჩვენს სამშობლოში იმ კაპიკებსაც არავინ გვიხდის, რასაც იქ უხდიან, თორემ რაც უცხოეთში ბედის ძიებამ დაგვმართა, ყველამ ვიცით. ქართველები იქ ვილაცის მიერ შეთხზული მითით მიდიან. როცა აღმოჩნდება, რომ მითი და რეალობა დაშორებულია ერთმანეთს, იძულებულნი ხდებიან, სადარბაზოები დაგავონ ან მათი ჭირვეულობა აიტანონ, ვის ოჯახშიც მსახურად მუშაობენ. ფსიქიკა კი ირყევა. რა თქმა უნდა, არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებიც მართლა თავზე შემოგევლებიან. ალბათ არც ჭირვეულები არიან ცუდები, უბრალოდ, იქ ცხოვრების სხვა წესია...

ზოგი ქართველი ძალიან ცდილობს, დაემსგავსოს გერმანელს, ეს სიმახინჯეში გადასდით. შეხვდებით ბევრ გერმანელზე უფრო გაგერმანელებულ ქართველს ჩაცმით, მანერით და, რაც მთავარია, ურთიერთობაში ოფიციალური ტონით, რაც უკვე გულცივობაა. არავის ვსაყვედურობ, უბრალოდ, ფაქტს აღვნიშნავ — რამდენიმე დღით საავადმყოფოში მოვხვდი, თავთან ტელეფონი მეკიდა და ერთი ქართველის გარდა, არავის მოვუკითხივარ. ამ დროს უცხოელები მირეკავდნენ...

თბილისიდან წასვლისას თვითმფრინავში კბილი ამტკივდა და იქ ისეთი ანტიბიოტიკი მომცეს, რასაც აქაურ წამლებს შეჩვეულმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო. საქვეყნოდ აღიარებული გერმანული მედიცინა არცთუ საოცნებო მეჩვენა. პროფესიონალები არიან, მაგრამ მგონი, ადამიანური სითბო აკლიათ. შეიძლება ამიტომაც იქაურთა 80%-ს ნევროზი ტანჯავს. იქ მივხვდი, რომ ფული ვერ გიშველის, თუ სულის უკმარისობა გჭირს... ხნიერი აფთიაქარი გავიცანი, წარმოშობით ძველი ლენინგრადელი. სულ მეუბნებოდა, — შვილო, წადი თბილისში, ჭამე მაწონი და კარგად იქნებიო. კათოლიკე გერმანელი ქალი შემხვდა — უპატრონო მოხუცებს უვლიდა. ვისაუბრეთ მართლმადიდებლობაზე, აღსარების მნიშვნელობაზე. მითხრა, კათოლიკეთა შორის თითო-ოროლას თუ შემორჩა უფალთან განდობის სურვილი, რაც უფრო იკლებს ხალხი აღსარების სკამზე, მით უფრო იზრდება რიგები ფსიქოთერაპევტის მისაღებშიო.

— *ვიცი, რომ ერთ სიმპათიურ უცხოელს შეუყვარდი. პირად ბედნიერებაზე ძვირფასი იყო ის, რაც აქ დაგრჩა?*

— საქმე საქმეზე რომ მიდგა, დავფიქრდი იმაზე, რომ სამუდამოდ უცხოეთში უნდა მეცხოვრა და კინაღამ გავგიჟდი. ასე მეგონა, აქაურობას ვერასოდეს ვნახავდი. მენატრებოდა ყველაფერი ქართული... იმდენი ვირბინე მაღაზიებში და იმდენნაირი ყველი გავსინჯე, ვიდრე თურქული და ბერძნული ყველის ნაზავში რაღაც ქართულის მაგვარი არ აღმოვაჩინე. ჩემს სიცოცხლეში არ გამიკეთებია ხაჭაპური, მაგრამ იქ ცომიც მოვზილე და ხაჭაპურის მსგავსი რაღაც გამოვაცხვე... მე მაინცდამაინც არა, მაგრამ სხვებს ძალიან მოეწონათ...

ასე იყო ჩემი საქმე...

ხანდახან გულში გამკრავს, ღირდა კი ამ მძიმე პირობებში დაბრუნება, მით უმეტეს, რომ აქ ფილოსოფია აღარავის აინტერესებს-მეთქი, მაგრამ ზუსტად ვიცი, როგორც კი უცხოეთში ფეხს დავდგამ, აქაურობა ისევ სამოთხედ მომეჩვენება...

***ეთერ ერაძე***

# სევდისბაღელები

მხოლოდ ყველაზე რომანტიკულ ქალაქში შეიძლება არსებობდეს სევდის ბაღი და იმ ბაღში იკრიბებოდნენ სევდიანი ბიჭები. მერე რა, თუ დრო გადის და ბევრი რამ იცვლება, ბევრი სევდისბაღელი ცოცხალი აღარც არის. თბილისელების ცნობიერებაში კი მაინც დაილექა ბევრი რამ. თბილისური სევდა და ფიქრები თბილისელ ბიჭებზე, ბატონი **დიმიტრი ბათიაშვილისათვის** ყველაზე ბუნებრივი რამ არის ამქვეყნად. ახლა, როცა სამწუხაროდ, კინორეჟისორებს ბევრი დრო აქვთ, რადგან ფილმებს ველარ იღებენ, საუბრისათვის დროის გამონახვა ძნელი არ ყოფილა.

— ამას წინათ ქუჩაში გამოვედი. თეატრალურ ინსტიტუტში მივდიოდი. ტროლეიბუსი გაჩერდა და ფეხით მომიხდა გავლა. ადრე კისერი მტკიოდა, იმდენი ნაცნობი მხვდებოდა და იმდენს ვესალმებოდი, ახლა გაუცხოებულია ყველაფერი. ერთი ახალგაზრდა ქალი დავინახე და ვკითხე: უკაცრავად, გავლით ვარ და არ ვიცი, სად ვარ, ეს რა ქალაქია-მეთქი? გაოცებულმა შემომხედა: თბილისიო...

**— გაოცდებოდა, იმიტომ, რომ წარმოდგენა არა აქვთ ახალგაზრდებს, თქვენ რომელ თბილისს დაეძებთ... რამდენი კარგი მეგობარი გყავდათ, თბილისს რომ დააკლდნენ...**

— მეტირება, ისეთი ხალხი იყო ჩემ ირგვლივ და აღარ არიან. ახლა იძახიან — მე, მეო, — ყველაფერი თავისთვის უნდათ, ისინი სულ სხვებზე ფიქრობდნენ. როგორც ვან გოგი სთხოვდა გოგენს: მოდი, ერთად დავხატოთ, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ავტორი, მთავარია, კარგი რამე დავხატოთო, ასე იყვნენ... უნდა გენახათ, როგორი მოკრძალებული იყო ავთო ვარაზი, როგორი სევდიანი და მგრძნობიარე. ერთხელ კაფეში ვისხედით ზოოპარკის პირდაპირ. პლეხანოველი მარინა შემოვიდა. ვიღაც ბიჭებმა ქილიკი დაუწყეს. გაგიჟდა ავთო. სახე შეეცვალა, წამოდგა: რას შვრებით, ვის აქილიკებთო... შეეშინდათ იმ ბიჭებს და წავიდნენ... ისე, ავთო რომელი მოჩხუბარი იყო, მაგრამ ვერ იტანდა, ვინმეს რომ ჩაგრავდნენ მის თვალწინ. ავთოსთან ვიყავი ერთხელ სახლში. ნაბახუსევი იყო, ფული არ ჰქონდა. ამ დროს კარზე ზარი გაისმა. ვიღაც რუსი ებრაელი მოვიდა. კედელზე ერთი სურათი ამოირჩია — ჯინსით გაკეთებული ცხენის თავი, ისეთი მეტყველი, იფიქრებდი, დაგელაპარაკებაო. მომყიდეო. 10 მანეთად იყიდა, ამერიკაში წაიღო. ეს სურათი ახლა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში კიდია და დიდ თანხად არის შეფასებული.

**— ბევრი გაყიდული, გასხვისებული სურათის ამბავი უკვე დაიკარგა კიდეც. ბევრი კარგი ადამიანის სახელიც მივიწყებულივით არის, თუმცა, ბედნიერებაა, რომ მათი გამხსენებლები დღესაც არიან...**

— შოთა დედაბრიშვილი — ობლების პრეზიდენტი, მიშკა-იეზიდი, ნიაზ დიასამიძე... აი, ვინ იყო ლამაზი კაცი — ნიაზი.

**— ნიაზის სახელი სულაც არ არის დავიწყებული. მის ათას ხუმრობას იხსენებენ.**

— არადა, იცით, როგორი სევდიანი კაცი იყო? მე ერთი წერილი მაქვს შენახული, იმან მომწერა: „ჩემო ძმაო! მივიღე შენი უსტარი, რომელმაც ძლიერ გამახარა. შენ რომ სევდა გაწვება, წარმოიდგინე, მე რარიგ ვიქნები. ძმა, აქ არაფერია ისეთი, რომლითაც შეიძლება შენისთანა კაცი დაინტერესდეს. მე ვცხოვრობ, ვარსებობ, იმიტომ, რომ ადამიანი შექმნილია საარსებოდ. შენ გენაცვალე, რომ გამიხსენე, მაგრამ რატომღაც სულ ველოდი თითქოს შენს უსტარს. გეამბორები ისე, როგორც ძალიან მონატრებულს. შენი ნიაზი.

P.S. დეკემბერში ვნახავთ ერთმანეთს, მანამდე ვერა. მომიკითხე ადამიანები. აქ ცენზორი კარგი გოგონაა. ამიტომ ერიდე ემოციურ ძვრებს. 14/X-1968“. ეს წერილი ცხინვალის სამკურნალო დაწესებულებიდან მომწერა... 1969 წელს გარდაიცვალა. ნიაზს დიდი იუმორი ჰქონდა, მაგრამ ზედაპირული კაცი არ ყოფილა.

**— მე არ ვიცი, დღეს როგორი დამოკიდებულება აქვთ თბილისელ ბიჭებს ერთმანეთთან, იქნებ ისინიც წერენ წერილებს, იქნებ მათაც აქვთ ერთმანეთთან სულიერი და ინტელექტუალური ურთიერთობა.**

— უნდა მოგესმინათ, მაგალითად, როგორ საუბრობდნენ გურამ ასათიანი და მისი მეგობრები... გოეთე, შექსპირი, ვაჟა-ფშაველა... სუფრასთან ისხდნენ თუ ისე იკრიბებოდნენ, მათ მოსმენას არაფერი სჯობდა. სხვანაირად იცოდნენ თბილისელებმა ერთმანეთი. ერთხელ, მშობლები ახალი გარდაცვლილი მყავდა, გაოგნებული მივდიოდი ქუჩაზე. არც ფული მქონდა, არც ვიცოდი, რა უნდა მექნა. ბიჭებთან მივდიოდი. ან კიროვის ბაღში ვიკრიბებოდით, ან სევდის ბაღში. გავიფიქრე, ნეტა, ერთი ათი მანეთი რომ მქონდეს-მეთქი... უცებ ვხედავ, ოცდახუთმანეთიანი მოფრინავს. გაოცებულმა ავიხედე. ფანჯრიდან ლორთქია იყურებოდა და იცინოდა: ეს გინდოდა, არაო?



**სევდისბაღელები: მარცხნიდან — ლევან თურმანიძე, ბესო გაბისონია, გერა თოთლაძე და დიმიტრი ბათიაშვილი**

**— ძველი დროის ისეთ ამბებს მიყვებით, წარმოსახვაში კინოფილმივით შეიძლება „უყურო“.**

— მე არ ვიცი, რას ნიშნავს ძველი დრო, ახალი დრო. ზოგჯერ ხდება უკეთური ხალხის მომრავლება, მაგრამ ეს დროებითია. მარადიული სხვა რამეა. პეროვსკაიას ქუჩის ბოლოში ბაღი იყო — სევდის ბაღი. იქ მუშაობდა ფოტოგრაფი უსტა-ართავაზა. გვიღებდა ხოლმე ფოტოებს თავისი ინიციატივით, მერე გვიბეჭდავდა, გვჩუქნიდა. ვეუბნებოდით, რად გინდა, რატომ იხარჯები, ქაღალდს აფუჭებ. ჩვენ ხომ ცოცხლები ვართ, დადექი და გვიყურე, სურათს რას უყურებო. ის კი ჯიუტად გვიღებდა. ეჰ, ახლა დარჩა ის ფოტოები, როგორც სევდის ბაღის მოგონება...

**— და კიდევ, ძველი თბილისის მოგონებად დარჩა თქვენი ფილმი „ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან“...**

— მაგ ფილმში „ტუფტა“ არაფერი ყოფილა, ყველაფერი ნაღდი თბილისური იყო... ამ ფოტოზეც, ფილმის გადაღების დროს რომ გადავიღეთ, თბილისელი ბიჭები — ლევიკო თურმანიძე, ბესო გაბისონია, გერა თოთლაძე არიან ჩემთან ერთად. შეუძლებელია მათი არმონატრება...

***ლელა ჯიყაშვილი***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** ***რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.***

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **თემურ ჭკუასელი** — „გამარჯობა, მამა!“ — 171 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „სხვის მაგივრად დამარხული“ — 132
3. **იზო რიკაძე** — „ძვლებიც კი ჰფიქრობს საქართველოზე...“ — 43
4. **მარინა მამისაშვილი** — „საზიზღარ კრიმინოგენულ ქაობში ვართ“ — 30

5-6. **დაჩი გრძელიშვილი** — „საქართველოს „ფასი“ კიდევ უფრო იზრდება“ — 28

5-6. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „შავი ორშაბათი?“ — 28

7. **ნოდარ შოშიტაშვილი** — „გმირი მეფე ვახტანგ გორგასალი“ — 27
8. **მარინა ბაბუნაშვილი** — „იყო და არა იყო რა...“ — 24
9. **ინგა ჯაყელი** — „გემუდარებით, უთხარით, რომ მიყვარს!.. — 18
10. **თუთი რატიანი** — „გოლგოთის“ გველი“ — 7

სწორედ „დიდი გაქართველებისთვის“ მიანიჭა მადლიერმა მკითხველმა პრემია **თემურ ჭკუასელს**.

***„მკითხველის პრემიის“ ლაურეატი 537-მა რესპონდენტმა გამოავლინა.***



# ბონდო ჯიქიას ვაჟი გაიტაცეს

## მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა(?!)

გასული კვირის ბოლოს, პარასკევს, დაახლოებით 10.30 სთ-ზე, თბილისში, ელბაქიძის დაღმართზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულის, ბონდო ჯიქიას ვაჟი, „მარტინ ბაუერის“ გენერალური მენეჯერი ზაზა ჯიქია, სავარაუდოა, ძალის გამოყენებით, თავისი წითელი ფერის 07 მარკის მანქანიდან გადმოსვეს და გაიტაცეს.

ზაზა ჯიქია სანაპიროზე, უზნაძის ქუჩაზე ცხოვრობს. იგი ამ გზით სამსახურში მიდიოდა. ოჯახის წევრების ცნობით, იმ საღამოს სამსახურიდან ზუგდიდში უნდა წასულიყო. ამიტომ გვიან საღამომდე არავის მოუკითხავს. ახლობლებმა მხოლოდ მას შემდეგ ატეხეს განგაში, როდესაც ზაზა ჯიქია ზუგდიდში არ ჩავიდა. უკვე გამთენიისას გაისმა ანონიმური ზარი. ოჯახის წევრებს შეატყობინეს, რომ ზაზა გატაცებული იყო და მის დასახსნელად 3 მლნ დოლარი მოითხოვეს. მოგვიანებით, ოჯახმა თანხის მოთხოვნის ფაქტი უარყო.

„ძალიან გთხოვთ, გაგვიგეთ, არანაირი ინფორმაცია არა გვაქვს. უბრალოდ, ვაკუუმში ვართ“, — ამ სიტყვებით მოიცილა თავიდან ჟურნალისტები ბონდო ჯიქიას ქალიშვილმა. თუმცა მისი განცხადება საფუძველს მოკლებული სულაც არ არის. არაფერი იციან არათუ ოჯახის წევრებმა, თვით სამართალდამცველებმაც კი.

გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლით აღიძრა. პროკურატურა ამჟამად მოწმეთა დაკითხვით არის დაკავებული. არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ არიან თვითმხილველებიც, თუმცა ეს ცნობა უფრო მეტად არ კონკრეტდება.



ზაზა ჯიქიას მანქანა

### ვერსიები

პრეზიდენტის რწმუნებულის ვაჟს ზაზა ჯიქიას ჰყავს ფეხმძიმე მეუღლე და 3 წლის შვილი. ზაზა ჯიქიას, როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, „მარტინ ბაუერში“ ერთ-ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია. არაოფიციალური ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ მას, ერთი შეხედვით, სოლიდური სამსახური ჰქონდა, დიდი ფულის პატრონი არ იყო. იმასაც ამბობენ, რომ იგი მეგობრებისგან დროდადრო 500, ხან 300 ლარსაც სესხულობდა, წვრილ-წვრილი ვალებიც ჰქონდა. ასეთ სიტუაციაში კი ალბათ, გამოსარიცხია, რომ 300-500 ლარის „დაწერებით“ გამწარებულ რომელიმე მოვალეს ზაზა ჯიქიას გატაცება მოენდომებინა.

არსებობს ვარაუდი, რომ ბონდო ჯიქიამ ვინმეს „აწყენინა“ ან „ვერ გაუგო“ და როგორც მაფიოზების წესია, ამ სახით გადაუხადეს სამაგიეროო (ლაპარაკია კონტრაბანდასა და სხვა უკანონო ბიზნესზე. მ.მ.)

თავად ბონდო ჯიქია სტატიის დაბეჭდვამდე მობილურ ტელეფონს არ პასუხობდა. ზარს მისი ახლობელი პასუხობდა და შესაბამისად, პასუხიც მხოლოდ ერთი იყო: „არაფერი ვიცით“. „კვირის პალიტრა“ ამ ვერსიასთან დაკავშირებით **დათო შენგელიას** ესაუბრა:

**— როგორ ფიქრობთ, ეს გატაცება თვითონ ბონდო ჯიქიას ხომ არ უკავშირდება?**

— არა მგონია, რადგან ბონდო ურიგო კაცი არ არის. ჩემი ინფორმაციით, მტრები არ ჰყავს სამეგრელოში. პირიქით, ცდილობდა ყველასთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონოდა და საერთო ენა გამოენახა. ვფიქრობ, ვილაც უნამუსოების და ლაჩრების გაკეთებულია, რომ რაღაც ფული იშოვონ.

**— ხომ არ უკავშირდება ეს იარაღის უკანონო ბიზნესს, ნარკოტიკებს ან კონტრაბანდას, რომელსაც ბონდო ჯიქია დაუპირისპირდა?**

— მე ამაზე ინფორმირებული არა ვარ, მაგრამ, როგორც გითხარით, ის ისეთი პიროვნებაა, ყოველთვის ცდილობს, სიტუაცია არ დაიძაბოს. დღეს ზუგდიდში ყველა გიჟს ჰგავს, ნერვიულობენ. ეს მარტო ბონდოს პრობლემა არ არის, მთელი საქართველოს პრობლემაა...

შეიძლება თუ არა, რომ ზაზა ჯიქიას გატაცება მის პირად ცხოვრებას უკავშირდებოდეს? ამის შესახებ არავინ არაფერი იცის. შს სამინისტროში ზაზა ჯიქიას გატაცებას დესტრუქციული მოტივითაც კი ხსნიან.

ამ მოტივში კი იგულისხმება შსს-ს მიერ რამდენიმე დღის წინ კრიმინალური ავტორიტეტების წინააღმდეგ მიმართული „შეტევა“, რაც რამდენიმე „ავტორიტეტის“ დაპატიმრებით დამთავრდა. თავისთავად, ცოტა არადამაჯერებლი ჩანს ვერსია, თითქოს ეს „ხმაური“ ნარჩემაშვილს მოუწყვეს. დღეს თვით ნარჩემაშვილიც კი აღიარებს, რომ ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობა საგრძნობლად გამწვავებულია. ამ ყველაფრით გაღიზიანებული ელენე თევდორაძე, რომელიც თავის დროზე კახა თარგამაძის მუდმივ ოპონენტად გვევლინებოდა, დღეს უკვე კობა ნარჩემაშვილის გადაყენებას ითხოვს.

**ელენე თევდორაძე:** ის, რაც მოხდა, სავსებით მიესადაგება იმ საერთო ქაოსს, რომელიც უკვე ერთი წელია გრძელდება. ეს არის ბაქანალია, რომელსაც კრიმინოგენული განუკითხაობა ჰქვია. ყური მოვკარი, ჯიქიას შვილის გატაცების ფაქტი უშიშროების საბჭოზე უნდა განიხილონო. ამ ინფორმაციამ ღიმილი მომგვარა. აუცილებლად ვილაცის შვილი უნდა იყო, რომ უშიშროების საბჭო მოიწვიონ?! ყველამ ვიცით, წელიწადზე მეტია, რაც ბერი მაჩიტიძე გაიტაცეს. უბედურ მშობლებს პასუხს ვერ ვაძლევთ, მათი შვილი ცოცხალია თუ მკვდარი. ეს არის საერთო სენი. ამიტომ უშიშროების საბჭომ კონკრეტული ფაქტი კი არა, შექმნილი სიტუაცია უნდა განიხილოს. ვფიქრობ, დადგა დრო, პასუხი მოეთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს. რაც არ უნდა სიმპათიურად გამოიყურებოდეს ნარჩემაშვილი, როგორც ირკვევა, ის ვერ ფლობს სიტუაციას, ვერ ხელმძღვანელობს სამინისტროს, ვერ ხელმძღვანელობს იმ „თავისი ხალხით“, რომელიც ვალდებულია დაიცვას თითოეული ადამიანი, ვისი შვილიც არ უნდა იყოს ის.

აქამდე თავს ვიკავებდი, მაგრამ ახლა ვაცხადებ: აუცილებელია შს მინისტრის სასწრაფოდ შეცვლა. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ იმიტომ, რომ იგი სწორად ვერ არჩევს კადრებს, ან ნაკლებად ითხოვს, ან არ ემორჩილებიან... ჩვენ ვაცხადებთ, ადამიანები უნდა იყვნენ დაცულნი დღისა და ღამის ნებისმიერ დროს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს უკავშირდება ბონდო ჯიქიას საქმიანობას?**

— გამოვრიცხავ. გასაგებია, რომ ბონდო ჯიქია დღეს მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ მის კუთხეში, სადაც ის არის პრეზიდენტის რწმუნებული, განსაკუთრებული არეულობაა. ის თვითონ ვერ უმკლავდება კრიმინოგენულ სიტუაციას, საერთოდ, ვერ უმკლავდება ვერანაირ სიტუაციას, რაც სამეგრელოში ხდება. სვანეთში არ ვარ ნამყოფი, ამიტომ ნაკლებად ვილაპარაკებ ამ კუთხეზე. სამეგრელოდან უამრავი მირეკავს, მოდის ათობით შეწუხებული ხალხი... ეს უნდა იყოს დაკავშირებული ისევ და ისევ თანხის გამოძალვასთან. უბრალოდ, იციან, სად მუშაობდა და ვისი შვილიც არის.



„აუცილებელია შს მინისტრის სასწრაფოდ შეცვლა...“

### რა იქნება ხვალ?

უცნაურია, მაგრამ გულდასაწყვეტი: ყოველი ასეთი ხმაურიანი ფაქტის დროს ჩვენი სამართალდამცველები საკმაოდ უმწეო მდგომარეობაში ხვდებიან და ისე იბნევიან, რომ მათი კომენტარები იფარგლება მხოლოდ ამგვარი პასუხით — „არ ვიცით“. და, რაც მთავარია, ასე ვთქვათ, უკვე ტრაფარეტული ფრაზა — „გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ინფორმაციის გაცემა არ შეგვიძლია“, უცოდინარობიდან თავის დაძვრენის საუკეთესო საშუალებად ექცათ. ამჯერადაც ასეა. მოკლედ, სამართალდამცველების ოფიციალური ინფორმაციით, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა და ზაზა ჯიქიას ამ დღეებში გაათავისუფლებენ(?!).

***მარინა მამისაშვილი***

# „10. 000 დოლარი სიზმარშიც არ მინახავს“

## „მე ვენდე, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთ ბოროტებას ჩაიდენდა...“

ამ კვირას ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლო განიხილავს საქმეს, სადაც მტყუან-მართლის გარკვევა მოსამართლეს ალბათ მეტად გაუჭირდება. ბრალდებულის სკამზე ზის არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდის“ ყოფილი თანამშრომელი ზვიად კვირიკაძე, რომელსაც სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის აღმოსავლეთ საქართველოს განყოფილების უფროსი ინსპექტორი მიხეილ ბერიძე ფულის გამოძალვაში ადანაშაულებს. თუმცა თავად ბრალდებული ამ ბრალდებას უარყოფს და ამბავს სულ სხვაგვარად ჰყვება. თუ მის ნაამბობს ვირწმუნებთ, დაგვრჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიციისთვის დაგებულ ხაფანგში თავად გაება. საქმე ეხება 10 ათასი დოლარის გამოძალვის ფაქტს, სადაც ერთი მხრივ პოლიციელი იმართლებს თავს და მეორე მხრივ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, რომელმაც „რესბალნიცაზე“ უკიდურესი პროტესტის ფორმას მიმართა და თებერვლის თვეში პირი ამოიკერა. იგი საქმის დეტალურ გამოძიებას ითხოვს. ზვიად კვირიკაძე გასულ კვირას „კვირის პალიტრას“ დაუკავშირდა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება გვთხოვა.

**ზვიად კვირიკაძე:** (სამწუხაროდ, ფოტო ვერ მოგვაწოდა) „2002 წელს მივიღე ინფორმაცია, რომ კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის აღმოსავლეთ საქართველოს განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა მიხეილ ბერიძემ მოქალაქე ზურა აბულიძეს გამოსძალა 10 ათასი დოლარი. 2002 წლის 29 მაისს, როცა პირადად შევხვდი მიხეილ ბერიძეს, მან ჩემთან საუბარში აღიარა ეს ფაქტი და მთხოვა გამეჩერებინა ზურა აბულიძე, სანაცვლოდ კი აღებული ქრთამიდან მეც შემომთავაზა წილი.

**— რამდენი შემოგთავაზათ?**

— ათასი დოლარი. სხვათა შორის, არ დავთანხმდი და ვუთხარი, რომ არ მინდოდა თანხასთან რაიმე კავშირი მქონოდა, ისიც მოვთხოვე, რომ აბულიძისთვის დაებრუნებინა თანხა, თუნდაც ნაწილ-ნაწილ. სამწუხაროდ, არ არსებობდა არავითარი იურიდიული დოკუმენტი იმის დამადასტურებლად, რომ ახმეტელმა გლეხმა აბულიძემ ბერიძეს ნამდვილად გადასცა 10 ათასი დოლარი. ამიტომ, რადგან ბერიძემ ჩვენთან საუბრისას არ უარყო ეს ფაქტი, საბოლოოდ შევთანხმდით, რომ თანხის ნაწილი დაებრუნებინა. 2002 წლის 6 ივნისს 4 საათზე მ. „პოლიტექნიკურთან“ შევხვდით. ეს მისი კატეგორიული მოთხოვნა იყო. მე არ მინდოდა შეხვედრა და მიხეილ ბერიძეს ისიც ვთხოვე, დაზარალებულისთვის თავად გადაეცა მისი კუთვნილი თანხა, მე არაფერ შუაში ვარ-მეთქი. სხვათა შორის, კიდეც ემუქრებოდა დაზარალებულს, 2002 წლის 9 მაისს კი თავის განყოფილებაში დაიბარა და ფიზიკურადაც გაუსწორდნენ.



მიხეილ ბერიძე

„აღიაროს დანაშაული და ვაპატიებ...“

**— თანხის გადმოცემა რა ვითარებაში მოხდა?**

— აბულიძეს ვუთხარი, რომ „პოლიტექნიკურთან“ უნდა შევხვედროდით მიხეილ ბერიძეს, რომელიც კუთვნილი თანხის ნაწილს დაუბრუნებდა. ჩემი მიზანი დაზარალებულის უსაფრთხოების დაცვაც იყო, მაგრამ ზურა აბულიძე არ მოვიდა შეხვედრაზე და პოლიციელთან მარტო მომიხდა შეხვედრა. დღესდღეობით როგორც ირკვევა, აბულიძე თურმე იმ დროს მოსულა, როდესაც უკვე ალყაში ვყავდი პოლიციას და ხელბორკილებს მადებდნენ.

**— ე.ი. მიხეილ ბერიძეს თანხა თქვენ გამოართვით?**

— კი. ბერიძის კუთვნილ „ოპელვექტრაში“ აბულიძეს დაახლოებით ერთი საათი ველოდეთ. მერე ბერიძემ ამოიღო ფული, მითხრა რვაასი დოლარიაო და მომაწოდა. უარი ვუთხარი: მე თანხასთან შეხება არ მაქვს, დაზარალებულს დაველოდოთ-მეთქი. ფულთან შეხება არა გაქვთ, მაგრამ მას ხომ იცავთ და ფულიც რომ თქვენ გადასცეთ, რა დაშავდებაო. იცით, მე ვენდე. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთ ბოროტებას ჩაიდენდა. ჯერ ფული არ გამოვართვი. დაახლოებით ათი წუთის შემდეგ ვუთხარი, მანქანიდან გადავალ, მოვძებნი — იქნებ მოვიდა აბულიძე-მეთქი. გადავედი, ვეძებე, ვერ ვიპოვე. დავბრუნდი. უკვე 6 საათი დაიწყო და ის იყო წამოსვლა დავაპირე, თვითონ ჩამიდო ფული ჯიბეში. ვიფიქრე, ყალბი ვალუტა ხომ არ არის-მეთქი. ამოვიღე, გავხედე შუქზე. თურმე ამ მომენტში დამაფიქსირეს ფარული კამერით... მაშინვე დამაპატიმრეს. ბრალი წამიყენეს ფულის გამოძალვაში.

**— თქვენ 1-ლი თებერვლიდან შიმშილობა გამოაცხადეთ. რას ითხოვდით?**

— მე ვითხოვდი და ვითხოვ, რომ რეალურად გამოიძიონ გარემოებები, რომლის გამოც დავუკავშირდი მიხეილ ბერიძეს. თუკი ობიექტურად გამოიძიებენ საქმეს და აღმოაჩენენ რაიმე სისხლის სამართლებრივ დანაშაულს ჩემს ქმედებაში, მზად ვარ პასუხი ვაგო. 6 თებერვალს უსამართლობით სასოწარკვეთილმა პირიც ამოვიკერე, 27 თებერვალს მოვიხსენი ნაკერები, უკიდურესი ზომები შევწყვიტე. თუმცა, ამ კვირიდან ისევ ვაპირებ მივმართო პროტესტის ამ ფორმას... რა ვქნა, მეტი გზა არ მაქვს.



**— როგორც თქვით, ბერიძემ 10 ათასი დოლარი გამოსძალა აბულიძეს. რატომ მისცა აბულიძემ ეს თანხა?**

— ბერიძემ მოატყუა აბულიძე, რომ თითქოს საბაჟოზე დააწყებინებდა მუშაობას, ამისთვის გამოართვა ეს თანხა. ზურა აბულიძე მანამდე თავისთვის, პატიოსნად მუშაობდა ვაგზლის მოედანზე მდებარე ბაზარში. იმის დამადასტურებელი დოკუმენტებიც მაქვს, რომ ბერიძემ აბულიძეს ინდმეწარმის საბუთი გაუკეთა და ნდობაში შევიდა. ჰპირდებოდა, საწარმოსაც გაგიხსნი და შენი „კრიშა“ ვიქნებიო. 3 ათასი დოლარი აბულიძეს თავისი დანაზოგი ჰქონდა და 7 ათასი დოლარი ასესხებინა. ეს მოხდა 2000 წლის მარტის თვეში.

**— რატომ არ ეცადეთ, რომ ოფიციალური სტრუქტურისთვის მიგემართათ?**

— სხვათა შორის, აბულიძემ მთხოვა პროკურატურისთვის მიგვემართა, მაგრამ ჯერ ბერიძის პოზიცია უნდა დაგვეზუსტებინა, გაგვეგო, რას აპირებდა.

**— ბერიძეს არ უთხარით, რომ ჩივილს აპირებდით?**

— ბერიძემ დიდი მადლობა გადამიხადა, საქმე რომ არ გამიხმაურეო და, როგორც გითხარით, დაგვპირდა, რომ ფულს ნაწილ-ნაწილ დააბრუნებდა. ჩემთვისაც მისაღები პასუხი იყო.

**— როგორც ამბობთ, მუშაობდით არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელსაც გიორგი თევზაძე ხელმძღვანელობს. გვერდში რატომ არ დაგიდგათ?**

— მან 2002 წლის თებერვლიდან ოფიციალურად გამათავისუფლა. ასე გამოვიდა, რომ უარი თქვა მხარდაჭერაზე. გარდა ამისა, არც მე მსურდა არასამთავრობო სექტორის ჩარევა, რადგან შსს ყველანაირად იყო დაინტერესებული არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციით.

**— მაინც ხომ გახმაურდა?**

— კი. ასე გამოვიდა და ამიტომაც ვითხოვ, რომ შეფასდეს და ობიექტურად წარიმართოს გამოძიება. სხვათა შორის, ვაპირებდი ჩამეტარებინა პრესკონფერენცია სახელწოდებით — „როგორ აყაჩაღებს გლეხებს პოლიცია“, მაგრამ აქეთ დამაკავეს. შსს-ს იზოლატორში მიყვიროდნენ — ადამიანის უფლებების დამცველები ყაჩაღები, გამომძალველები ხართ, დაგვიწერე, რომ ელენე თევდორაძის კომიტეტის წევრი ხარო.

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა ასევე **მიხეილ ბერიძეს**, რომელიც მოვლენებს სხვაგვარად ჰყვება. იგი კვირიკაძეს და აბულიძეს თაღლითობაში ადანაშაულებს.

*(დასასრული იხ. გვ. ?)*

# «ასეთი ადვილი საცემი ვარ?»

## 1 მლნ სამუშაო ადგილი „აჭამეს“ ხალხს, ახლა „115-ლარიანი“ ხელფასი უნდათ „აჭამონ“

ჩემი ცემა? ძალიან ძნელი ამოცანა დაუსახავთ. ასეთი ადვილი საცემი ვარ? ზოგს ალბათ მარტო ცემა კი არა, მოკვლაც სურს. არ გამოუვათ, თუმცა, თუ ძალიან მოისურვებენ, მე კი არა... მე კაი პოლიტიკოსად მიმაჩნია თავი და თუ ვინმეს ვაღიზიანებ, რა ვქნა, სხვანაირად არ იქნება, ხომ იცით, „კარგია მუდამ მტრიანი“.



*ოთხდღიანი დაპირისპირების შემდეგ სახელისუფლებო ფრაქციებმა ბრძოლაში მარცხი განიცადეს და მიუხედავად იმისა, რომ 13-14 მარტს პარლამენტში გამართული აყალმაყალი ფაქტობრივად უშედეგოდ დასრულდა, კონსესუსი მაინც მიღწეულია. ოპოზიციამ თავისი საქმე გააკეთა, შეეცადა და შესაძლოა მოახერხა კიდეც ჯერაც „ჩვილის“ სინდრომით შეპყრობილი ელექტორატის გულის მოგება — ოპოზიცია ხალხის ლუკმაპურზე ზრუნავს. არც ხელისუფლებამ დაიხია ვითომ უკან, — რახან გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, უნიათოდ შეეცადნენ შელახული იმიჯის აღდგენას. თუმცა, კვლავ პრეზიდენტ შევარდნაძის შესაძლებლობების ხარჯზე. ოპოზიციის „ახირებაზე“ ვეტოს დადების სანაცვლოდ, პრეზიდენტი ცხადია, კვლავ კარგი „მანერებით“ თუ მანევრებით გამოიჩენს თავს, რის შედეგადაც სახელისუფლებო ფრაქციებმა ოპოზიციას კომპრომისული ალტერნატივა შესთავაზეს — მინიმალური ხელფასის ეტაპობრივად გაზრდა, რაც მოსკოვიდან მოულოდნელად ჩამოფრენილი ვახტანგ რჩეულიშვილის პარლამენტში გამოჩენის შემდეგ გახდა ცნობილი და გაძლიერდა ეჭვი, რომ სახელისუფლებო ფრაქციები კვლავ „მამა-მარჩენალის“ ტვინით მუშაობენ.* ***ვახტანგ რჩეულიშვილთან*** *ინტერვიუც ამ შეკითხვით დავიწყეთ.*

— საპარლამენტო კრიზისის გამო, რომელიც შეიძლება სახელმწიფო კრიზისში გადაიზარდოს, იძულებული გავხდი დამეტოვებინა რუსეთში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფორუმი, ხომ ყველამ იცის, რომ ხელფასის სასწრაფოდ 115 ლარამდე გაზრდის მოთხოვნა ოპოზიციის მხრიდან აბსურდია...

ქართველებს პოლიტიკაში პრიორიტეტების განსაზღვრა არ შეგვიძლია და პოლიტიკურ ინტრიგანობას ხშირად ვწირავთ საქართველოს ბედს. კარგა ხანია თვალითაც არ მინახავს პრეზიდენტი, საკუთარი ინიციატივით ვიმოქმედე. დავალება ამჯერად პრეზიდენტისგან არ მოდიოდა არ იფიქროთ, რომ რამეს ვმალავ. პირიქით, მასთან მინდოდა კიდეც დალაპარაკება, მოსკოვიდანაც დავურეკე, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩემი ფრაქციის მოწვევით ჩამოვედი. ირაკლი მინდელმა დამირეკა. ძალიან მძიმე სიტუაციაა და საჭიროა თქვენი ჩვენ გვერდით ყოფნაო.

საკუთარი ინიციატივით ვიმოქმედე. დავალება ამჯერად პრეზიდენტისგან არ მოდიოდა, არ იფიქროთ, რომ რამეს ვმალავ. პირიქით, მასთან მინდოდა კიდეც დალაპარაკება, მოსკოვიდანაც დავურეკე, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩემი ფრაქციის მოწვევით ჩამოვედი. ირაკლი მინდელმა დამირეკა. ძალიან მძიმე სიტუაციაა და საჭიროა თქვენი ჩვენ გვერდით ყოფნაო.

**— თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამაოდ გაისარჯეთ, რაც ცხადი გახდა კომპრომისული დოკუმენტის პარლამენტში წარდგენისთანავე, მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე ერთბაშად გაზრდის ნაცვლად, მისი ეტაპობრივი ზრდა მაინც ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს.**

— სახელისუფლებო ფრაქციებმა და იმ ნაწილმა, რომელიც არ ეთანხმება ჟვანიას გეგმას, ვერ მოახერხეს პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგობის დაძლევა. მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, რომ დეპუტატების უმრავლესობამ ითხოვოს პარლამენტში კენჭისყრაზე საკითხის დაყენება და თავმჯდომარემ ეს არ გააკეთოს. ერთადერთი ასეთი ქვეყანა საქართველოა. სახელფასო მინიმუმის ზრდა ყველა სახელმწიფოში ქვეყნის კეთილდღეობის ძირითადი მაჩვენებელია, მაგრამ ეს სახელფასო მინიმუმი მზარდი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესთან ერთად,

**— თქვენი მსჯელობა იქნებ ლოგიკურიც იყოს, მაგრამ თუ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, დღეს პოლიტიკურ ძალებს არც ეკონომიკური განვითარებისთვის გცალიათ და არც მინიმალური ხელფასის ზრდისთვის.**

— ნამდვილად ასეა. იცით რას ნიშნავს მინიმალური ხელფასის ახლა 115 ლარამდე გაზრდა? ცოლმა ქმარს რომ უჩიჩინოს, სამსახურიდან წამოდიო და მერე უმუშევარს ფული მოთხოვოს. ოპოზიციის მოთხოვნა აბსოლუტურად სამართლიანია, მაგრამ ეს ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, რაც პრეზიდენტის განკარგულებით კანონშიც დევს. ამათ კი პოპულისტურად სამ თვეში უნდათ მინიმალური ხელფასის 6-ჯერ გაზრდა, რაც წარმოუდგენელია. მოსახლეობამ წინა არჩევნების დროს „ჭამა“ მილიონი სამუშაო ადგილი, ახლა ჟვანიას უნდა „115-ლარიანი“ ხელფასი „აჭამოს“. მე კომპრომისის მომხრე ვარ ოპოზიციასთან, მზად ვარ, ვუთხრათ ჟვანიას და ჟვანიისტებს: თქვე გენიოსებო, თქვენზე ჭკვიანი არავინ არის მსოფლიოში? დაინიშნოს 115 ლარი მინიმალურ ხელფასად ერთ წელში, ორ წელში... დღეს კი გავზარდოთ 35 ლარამდე, ხვალ 60-მდე და ა.შ. მაგათთან კამათს აზრი არ აქვს. მათ უნდათ ქულები ჩაიწერონ. დათმობების და საერთო ენის გამონახვის გარეშე ვგრძნობ, რომ რევოლუციას მოვაწყობთ საქართველოში.

სამწუხაროდ, დღეს ორივე პოლიტიკურ ძალას მომავალი არჩევნები უფრო აინტერესებს, ვიდრე ქვეყნის პრობლემების გადაწყვეტა. ეს კი ქმნის საშიშროებას, რომ გაყალბდება მომავალი არჩევნებიც. თუმც, მაინც მგონია, რომ მომავალი არჩევნები უფრო პატიოსანი იქნება, ვიდრე აქამდე ჩატარებული.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც ის ძალები მიიღებენ მონაწილეობას, ვინც წინა არჩევნებზე აოცებდა ამომრჩეველს არცთუ ზნეობრივი მოქმედებით.**

— ზნეობრივად მართლა არავინ შეცვლილა, მაგრამ არჩევნების მთავარი გამყალბებელი ზურაბ ჟვანიას გუნდი, უკვე სახელისუფლებო პოზიციაში არ დგას. თუმც, ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ იქნება გაყალბების ფაქტები, როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური ძალების მხრიდან. გაყალბების მექანიზმები დღეს უფრო ფულზეა დამოკიდებული, ვიდრე სახელმწიფო რესურსებზე. ფული კი ოპოზიციას უფრო მეტი აქვს, ვიდრე ხელისუფლებას. მათთან ფინანსურად ყველაზე ძლიერი ძალა „ახლებია“. ბოლოს და ბოლოს, პატარკაციშვილის და ჰყავთ თავიანთ რიგებში და ესეც რომ არ იყოს, ქართულ ეკონომიკაში წამყვან პოზიციას ფლობენ.

კარგად მახსოვს წინა არჩევნები, გადამწყვეტი დღის წინ ხალხს შაქარი და სურსათ-სანოვაგე დაურიგეს ზოგიერთებმა. მოსახლეობის მოსყიდვის ეს ხერხი ისევ იმოქმედებს. ჟვანიას და სააკაშვილის გუნდში დიდძალი თანხები აკუმულირდება. მაქვს სურვილი მოხდეს სახელისუფლებო გუნდში ფინანსების მოპოვებაც, მაგრამ ვერ გავიგე, არსებობს თუ არა სახელისუფლებო გუნდი ან ფული საიდან მოვიზიდო?

**— აბა, თქვენ რომელი ფრაქციის წარმომადგენელი ხართ პარლამენტში, რა, არ იცით, სად დგახართ?**

— იცით, პრეტენზია მაქვს იმათ მიმართ, ვის მხარესაც ამ ბოლო დროს აღმოვჩნდი. ეს არის არაორგანიზებული, ჩამოუყალიბებელი, მოუქნელი სახელისუფლებო გუნდი, რომელსაც საინფორმაციო საუკუნეში პიარტექნოლოგიების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. მასის აზროვნება ბავშვის აზროვნების ტოლფასია, რაზე ღიზიანდება, რა მოსწონს მასას, ამის განსაზღვრა ლოგიკურად შეიძლება და ეს შესანიშნავად იცის ნატურალური ნიჭით დაჯილდოებულმა შალვა ნათელაშვილმა. მშვენივრად იცის ყოველგვარი პიარტექნოლოგიების გარეშე, როგორ მოფხანოს მასას გული; შალვასგან განსხვავებით, პიარტექნოლოგიებით იმავეს აკეთებს სააკაშვილი. არჩევნები მარტო ფიზიკურად კი არა, შეიძლება ფსიქოლოგიურადაც გაყალბდეს, პოლიტიკური რეკლამით — პიარით შავს თეთრად აჩვენებ. თუ მოსახლეობა ვერ მიხვდა, რომ ოპოზიციის ამჟამინდელი ქმედება პოპულიზმია, დამთავრდა ყველაფერი. მიმაჩნია, რომ დღეს, შევარდნაძე-პუტინის შეხვედრის შემდეგ, მოგვეცა ისტორიული შანსი ურთულესი, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისა და ამის ნაცვლად, რაღაც დეგენერატულ დაპირისპირებებს ვაწყობთ პარლამენტში. ამ დროს აფხაზი გაგულია იქ, მოსკოვში ზის და ცდილობს სიტუაციები თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

**— ბატონო ვახტანგ, თქვენს წელანდელ ნათქვამს დავუბრუნდები, არ ვიცი, საიდან მოვიზიდო სახელისუფლებო ძალების წინასაარჩევნო კამპანიისთვის ფულიო, ამ დროს კი კულუარებში თქვენი ოპონენტებისგან გაისმის, რომ ვახტანგ რჩეულიშვილი სწორედ (მაწყვეტინებს)...**

— ე.წ. სამხრეთ ოსეთში აპირებს ფულის გაკეთებას და ხმების მოძიებასო? სამწუხაროდ, იქ ძალიან ცოტა ხმებია. რაც შეეხება ოსეთში ფულის კეთებას, იცით, რას გეტყვით? მე განვსხვავდები ჟვანიასგან, გნებავთ, სახელისუფლებო ძალებისაგანაც. ანგელოზი არა ვარ, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ ცხოვრებაში კაპიკი არ გამიკეთებია და არც გავაკეთებ, მე სხვა საგვარეულოს წარმომადგენელი ვარ. ჩემი მიზანი საქართველოს კეთილდღეობაა და რას ილაპარაკებენ ჩემზე, არ მაინტერესებს. ფულის გაკეთება თუ მინდა, თბილისში ვერ გავაკეთებ? მაინცდამაინც ოსეთში უნდა წავიდე? ფული იმისთვის მჭირდება, რომ ფულზე არ ვიფიქრო და ამდენი მაქვს კიდეც. ფულის პრობლემა არ მიდგას.

**— მაგრამ ეს პრობლემა უდგას იმ პოლიტიკურ ძალებს, სადაც ახლა თქვენც ხართ.**

— უდგას და მოაგვაროს კიდეც. შეიძლება მეც მივიღო მონაწილეობა ამაში, თუმცა ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

**— ბატონო ვახტანგ, „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული მკითხველის გამოკითხვა-რეიტინგის შედეგებით აღმოჩნდა, რომ მათ უმრავლესობას თქვენი ცემა სურს.**

— ჩემი ცემა? ძალიან ძნელი ამოცანა დაუსახავთ. ასეთი ადვილი საცემი ვარ? ზოგს ალბათ მარტო ცემა კი არა, მოკვლაც სურს. არ გამოუვათ, თუმცა, თუ ძალიან მოისურვებენ, მე კი არა... მე კაი პოლიტიკოსად მიმაჩნია თავი და თუ ვინმეს ვაღიზიანებ, რა ვქნა, სხვანაირად არ იქნება, ხომ იცით, „კარგია მუდამ მტრიანი“.

*ეკა ლომიძე*

# ვეჭვობ, დღევანდელ პირობებში ჟვანიას პრეზიდენტობის შანსი მიეცეს

## სიამოვნებით ვიქირავებდი რომელიმე რუსულ პიარჯგუფს, მაგრამ ფული არა გვაქვს



*საპარლამენტო ბატალიების ფონზე დედაქალაქის საკრებულოში ბიუჯეტი, შეიძლება ითქვას, რომ უმტკივნეულოდ მიიღეს და, შესაბამისად, თბილისელ პენსიონერებს პენსია 3 ლარით გაუზარდეს, რასაც ცოტა არ იყოს, რეგიონებში მცხოვრებთა უკმაყოფილო ბუზღუნი მოჰყვა, — ჩვენ რაღა დავაშავეთო. რას უპირებენ „ნაციონალები“ დანარჩენი საქართველოს პენსიონერებს და რას მოელიან საპარლამენტო არჩევნებისგან, ამის გარკვევა მათ ლიდერთან,* ***მიხეილ სააკაშვილთან*** *ვცადეთ, რომელიც ბოლო დროს საკუთარი პარტიის წმენდითაც არის დაკავებული.*

— პენსიის 3 ლარით გაზრდა დიდი არაფერია — პენსიონერს რამდენიმე პურით მეტის ყიდვის საშუალებას აძლევს. თუ ოპოზიცია მოვა ხელისუფლებაში ან პარლამენტში (თუმცა პარლამენტში შესვლა არ ნიშნავს ძალაუფლების შეცვლას, მაგრამ ბიუჯეტის გაკონტროლების საშუალება მოგვეცემა), ეს იმას ნიშნავს, რომ სულ ცოტა 25-30 ლარით მაინც გაიზრდება პენსია მთელ საქართველოში; ხოლო ის, რაც თბილისში მოხდა, პატარა, მაგრამ სიმბოლური ნაბიჯია.

**— უკანონო მშენებლობებთან ბრძოლის გამო „მიშა მნგრეველი“ შეგარქვეს, როგორ მიიღეთ ეს ტიტული?**

— ეს ხალხის კი არა, რამდენიმე ჟურნალისტის მოგონილია. ჩვენ იმ ხალხს გამოვუცხადეთ ბრძოლა, რომლებიც მართლაც დამანგრევლები არიან — თბილისი ტრაპიზონის გარეუბანს დაამსგავსეს. ისინი, რომლებსაც ბევრი ფული და ძალაუფლებაც აქვთ, ასეთი ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ, — ხელისუფლების შიგნით გაჩნდა კუნძული, რომელიც მათ არ ემორჩილება. გიორგი კარბელაშვილმა ძალიან ნათლად გამოხატა ჩვენი პოზიცია, — უკანონოდ შევარდნაძემ რომ ააშენოს რამე, იმასაც დავანგრევთო. ჩვენ ვიწყებთ სერიოზული სამშენებლო პროექტების განხორციელებას. დავიწყებთ პარკებით, გაშენდება ვერის ბაღი. ამას მოჰყვება მუნიციპალური მშენებლობის პროექტები — გავყიდით დედაქალაქში მიწებს რეალურ ფასად და მიღებული ფულით ავაშენებთ სახლებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის.

**— გასულ კვირას თქვენი ფრაქციის წევრი ნანული ქაჩიბაია პარტიიდან და ფრაქციიდან გარიცხეთ. ამის მიზეზად არაერთი ვერსია დასახელდა, რატომ გაწირეთ ქაჩიბაია?**

— ინტრიგა მისთვის არავის მოუწყვია. მასზე ამბობენ, თითქოს მიწისძვრის ფონდში მუშაობით ფულს აკეთებდა... ერთი რამ ცხადია, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრობა მაღალ სტანდარტებს ითვალისწინებს. ქაჩიბაია არ არის ჩვენი მოძრაობის წევრი, იგი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია და ამ კვოტით შემოვიდა საკრებულოში. ზოგიერთი სტანდარტის გათვალისწინებით, საბჭომ მიიჩნია, რომ ქალბატონი ნანული არ უნდა ყოფილიყო „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციაში. ყველაფერს არ დავაკონკრეტებ. „ნაციონალურ მოძრაობაში“ თვითწმენდა გაგრძელდება — ჩვენ ვართ ისეთი პარტია, რომელიც მუდმივად არკვევს ურთიერთობას თავის წევრებთან. თუ ხელისუფლებაში მოსვლამდე ვერ მოვახერხეთ სრულყოფა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდება. პეტრე ცისკარიშვილი ჩემი უახლოესი მეგობარია, მაგრამ ის „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გარიცხა. „ნაციონალები“ ვუფრთხილდებით სახელს და რაკი ხელისუფლებაში ვაპირებთ მოსვლას, თვითკრიტიკაც უნდა შეგვეძლოს. ქალბატონი ნანული ისევ ჩემს მეგობრად რჩება, მაგრამ ფრაქციის გადაწყვეტილებას მეც ვემორჩილები.

**— მაგრამ თქვენ არ აკონკრეტებთ მისი გარიცხვის რეალურ მიზეზს.**

— არ მინდა 68 წლის ქალბატონზე რამე ვთქვა. ფრაქციას ჰქონდა გარკვეული მოსაზრებები... ჩვენთვის მნიშვნელოვანია „ნაციონალური მოძრაობის“ რეპუტაციის დაცვა, რომელიც უფრო მიღირს, ვიდრე საკუთარი რეპუტაცია.

**— ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ, ამა თუ იმ „ნაციონალს“ ვიღაც ქველმოქმედმა ამდენი და ამდენი თანხა აჩუქაო. ითქვა ისიც, თითქოს ირაკლი როსტომაშვილისთვის ორი რუსული მსუბუქი ავტომანქანა უჩუქებიათ.**

— აბსურდია... ხომ ფაქტია, რომ აქამდე თბილისში არავის შეუჩერებია უკანონო მშენებლობები... როგორც კი ეს პროცესი დავიწყეთ, ჯერ დავით მუმლაძეს შეუტიეს, მერე ჯუღელს... ირაკლი როსტომაშვილმა ათეულობით ძველი ნებართვა გააუქმა. ერთი-ორი კანონიერი გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, არ გაცემულა ახალი ნებართვები... როცა ამ ხალხმა ბრძოლა დაიწყო, მათკენ ტალახი წამოვიდა, მაგრამ ყველაფერი ეს დროებითია. ჩვენ ქალაქის გადარჩენისთვის დავიწყეთ ბრძოლა, მართალია, დაგვიანებულიცაა, მაგრამ არც ერთ უკანონო მშენებლობას არ დავუშვებთ ბაღებში, სკვერებსა და პარკებში.

**— მაგრამ რამდენადაც ვიცი, თქვენს დანგრეულს ისევ აშენებენ.**

— ეს ზღაპარია.

**— „ლეიბორისტებმა“ ამას წინათ „ნაციონალებისა“ და თქვენი მისამართით საკმაოდ სერიოზული ბრალდება წამოაყენეს, — სააკაშვილი ვაკის პარკში ცხრასართულიანი კორპუსის მშენებლობას ეწინააღმდეგებოდა, დღეს ის კორპუსი 16-სართულიანად იქცა, შესაბამისად, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა ინტერესებიც დაკმაყოფილდა და მათი ლიდერიც იმიტომ გაჩუმდაო.**

— ის საცხოვრებელი სახლი კი არა, ვაკის სასტუმროა. ამ სასტუმროს მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენ სასამართლოში წავაგეთ იმის გამო, რომ საკრებულოს თავმჯდომარე არ ვიყავი (ამ შემთხვევაში სამშენებლო ნებართვას გავაუქმებდით) და რიგით დეპუტატს არ შეეძლო სასტუმროს მშენებლობის შეჩერება. ამიტომ მივმართეთ სასამართლოს, რომელმაც სამწუხაროდ, რამდენჯერმე გაგვამტყუნა. თუ ასე აწუხებს ეს პრობლემა ნათელაშვილს, რატომ არასოდეს იღებს ხმას უკანონო მშენებლობებზე? წინა საკრებულოში ვიცე-პრემიერი და ადმინისტრაციული ინსპექცია „ლეიბორისტების“ იყო, მაგრამ ლოზუნგების წამოყენებისა და ყვირილის გარდა, არაფერი გაუკეთებიათ. მე რომ მედავება, თვითონ რა გააკეთა ნათელაშვილმა. ჩვენ მიერ დღეს ქალაქში 50-მდე მშენებლობაა შეჩერებული და ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება.

*(გაგრძელება იხ. გვ. 7)*

CMYK

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

**— ითქვა, რომ არჩევნებზე რუსი პიარტექნოლოგების იმედად მიდიხართ და მათ სოლიდურ თანხებსაც უხდით...**

— სიამოვნებით ვიქირავებდი რომელიმე რუსულ პიარჯგუფს, მაგრამ სამწუხაროდ, ამის ფული არა გვაქვს. ჩვენს ოპონენტებს ჰგონიათ,

***„გაერთიანებულ დემოკრატებს“ რეიტინგით 5-ჯერ ვუსწრებთ, მაგრამ ვერც ერთი პარტიის რეიტინგი ვერ გადაწონის საქართველოს მოსახლეობის ნებას. გასაგები მიზეზის გამო საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურესი უნდობლობით ეკიდება პოლიტიკოსებს... დღეს ვერც ერთი რეიტინგული პარტია ვერ შეძლებს ვითარების შეცვლას ცალკე...***

რომ ხალხის მხარდაჭერა კარგი პიარის შედეგია. თუ მართლაც ასეა, რატომ არ შველის პიარტექნოლოგების რჩევები ასლან აბაშიძეს?! როგორც მკვდარი არ გაცოცხლდება, ისე ვერ გაცოცხლდება ასლან აბაშიძე პოლიტიკურად. მას მილიარდები აქვს, მაგრამ რატომ არის, რომ საქართველოს მოსახლეობა ჯიუტად არ აძლევს მას ხმას? აბაშიძეს თავისი გარემოცვიდან არწმუნებენ, თითქოს იმიტომ ვერ გვიგებენ, რომ უკეთესი იმიჯმეიკერები გვყავს... სინამდვილეში კი საწყალ აბაშიძეს წინასაარჩევნოდ ფულს სძალავენ. პიარი რომ შველოდეთ, დიდი ხანია, მილიარდერები გახდებოდნენ მსოფლიოს მმართველები. არც ერთი ამერიკელი პრეზიდენტი არ არის ბიზნესწრეების წარმომადგენელი, დღევანდელი პრეზიდენტი კი ყოფილი უიღბლო ბიზნესმენია. როკფელერი ყოველ წელს იყრიდა კენჭს, მაგრამ პრეზიდენტი ვერ გახდა... საზოგადოებას ფულით ვერ იყიდი... ასე რომ იყოს, დიდი ხანია საქართველოს პრეზიდენტი ასლან აბაშიძე იქნებოდა ან კიდევ 4-5 კანონიერი ქურდი, რომელთაც დიდი ფული აქვთ.

**— რას მოელით საპარლამენტო არჩევნებისგან. რაკი საკრებულოში უკვე გაიარეთ რეპეტიცია, პარლამენტის თავმჯდომარეობას ხომ არ აპირებთ?**

— პარლამენტის თავმჯდომარე მოწყენილია ალმასრულებელ ბერკეტებს, მე კი კონკრეტული საქმის კეთება მიყვარს. როცა მინისტრი ვიყავი, ბევრად უკეთ ვგრძნობდი თავს, ვიდრე ზურაბ ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარეობისას. ჩვენი ამოცანაა ხელისუფლების — აღმასრულებელი ხელისუფლების აღება. ჩვენ უნდა შევქმნათ ოპოზიციის გაერთიანება. უპირველესად ვგულისხმობთ ნინო ბურჯანაძეს, ჯუმბერ პატიაშვილს, ზურაბ ჟვანიას, ტრადიციონალისტებს, ეროვნულ ძალთა გაერთიანებას, რესპუბლიკელებს... თანამშრომლობას ვთავაზობთ „ლეიბორისტებს“ და „ახლებს“. ამ გზით მივიღებთ ძლიერ საპარლამენტო უმრავლესობას, რომელიც შეძლებს მკაცრი კონტროლის მარწუხებში მოაქციოს აღმასრულებელი ხელისუფლება. საპარლამენტო არჩევნები იქნება ერთი ეტაპი, მეორე ეტაპი კი, აღმასრულებელი ხელისუფლების შეცვლა.

**— რომელი სახელმწიფო მოდელია თქვენთვის მისაღები — საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა?**

— კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკა საქართველოსთვის ცუდი იქნება იმიტომ, რომ ხალხის ხარჯზე დაიწყება გარიგებები სხვადასხვა ფრაქციას შორის. ერთპიროვნული პრეზიდენტი ასე თუ ისე პრობლემატურია, მაგრამ სჯობს გვყავდეს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი და ძლიერი მთავრობა (პრემიერ-მინისტრის გუნდი), რომელიც ქვეყანაში რეფორმებზე იქნება პასუხისმგებელი. მთავარია, გაერთიანდეს ოპოზიცია, საზოგადოებრივი ინტერესების (და არა ვაჭრობის და გარიგებების) საფუძველზე გადანაწილდეს ხელისუფლება სხვადასხვა ჯგუფს შორის. თუ ამის ნება იქნება, ყველას ერგება ხელისუფლების პატარა ნაწილი. თუ გვინდა, რომ გარდამავალი პერიოდი მშვიდი და წყნარი იყოს, ყველა უნდა შეეგუოს იმას, რომ ერთპიროვნულად ხელისუფლებას ვერავინ აიღებს. ეს ჩემი კონცეფციაა და დარწმუნებული ვარ, ამას ცხოვრებაშიც განვახორციელებ.

**— საპრეზიდენტო პრეტენზია აქვს ზურაბ ჟვანიასაც. ეს ფაქტორი ხომ არ წარმოქმნის თქვენ შორის დაპირისპირებას?**

— ჟვანიას არასოდეს უთქვამს, რომ ის საპრეზიდენტო კანდიდატია. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი პოლიტიკური ლიდერია, ვეჭვობ, დღევანდელ პირობებში შანსი მიეცეს... ჩემზე კი იმას მოგახსენებთ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი ის იქნება, ვისაც მეტი შანსი ექნება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. ამავდროულად, უნდა გვყავდეს ძლიერი პრემიერ-მინისტრი (ამ პოსტისთვის რამდენიმე პოლიტიკურ ლიდერს შორის შეიძლება გაკეთდეს არჩევანი). „გაერთიანებულ დემოკრატებს“ რეიტინგით 5-ჯერ ვუსწრებთ, მაგრამ ვერც ერთი პარტიის რეიტინგი ვერ გადაწონის საქართველოს მოსახლეობის ნებას. გასაგები მიზეზის გამო საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურესი უნდობლობით ეკიდება პოლიტიკოსებს... დღეს ვერც ერთი რეიტინგული პარტია ვერ შეძლებს ვითარების შეცვლას ცალკე... ჩემთვის მიუღებელია ამბიციები და ბოღმა. თუ ჩვენ ერთმანეთს დავჭამთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ოპონენტებს ექნებათ უმრავლესობა.

**— ამ მიზნით სთავაზობთ გაერთიანებას პატიაშვილის პრორუსულ ელექტორატსაც?**

— არა მგონია, პატიაშვილი პრორუსული ძალა იყოს. თუმცა ჰყავს ხალხი, რომლებიც ზედმეტად ნოსტალგიურად არიან განწყობილნი რუსეთის მიმართ. თავად ბატონი ჯუმბერი რუსეთის როლს ძალზე რეალურად აფასებს. პრორუსის ეტალონებად კი რჩეულიშვილი და იგორ გიორგაძე მიმაჩნია. პატიაშვილი კი სერიოზული პიროვნებაა, რომელიც აქეთ-იქით ფლუგერივით არ იხრება.

**— რაკი ახსენეთ, ითქვა, — იგორ გიორგაძე პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტის გამო უნდა დაჰკითხონო. ის თურმე უახლოეს თვეებში აპირებს საქართველოში ჩამოსვლას და შესაძლოა, საპარლამენტო არჩევნებშიც ჩაერთოსო.**

— გიორგაძის თემა თითიდან არის გამოწოვილი იმისთვის, რომ პრეზიდენტი მუდმივად აშინებდეს ხალხს — მე თუ არ ვიქნები, გიორგაძე მოვა ხელისუფლებაშიო... ეს იაფფასიანი თემაა, რომელიც ხუთი წლის წინ იყო ეფექტიანი. მთავრობა შეგუებულია იმას, რომ არჩევნებს წააგებს. ამიტომ ცდილობს, პოლიტიკური ჯგუფები ერთმანეთს წაჰკიდოს. ის ოპოზიციონერი, რომელიც სხვა ოპოზიციონერს ლანძღავს, ამ საქმეს ემსახურება.

**— დასასრულ, მინდა გკითხოთ, თქვენი თავი პრემიერის პოსტზე უფრო წარმოგიდგენიათ თუ პრეზიდენტად?**

— იმ პოსტზე, რომელზეც მაქსიმალურად ეფექტური ვიქნები, სადაც ყველაზე მეტი საქმის გაკეთებას შევძლებ... მართლა ასეა... ადამიანმა იქ უნდა ივარგოს, სადაც არის.



# შევარდნაძის შემდგომი საქართველოსთვის ახალი შევარდნაძე არ უნდა ვეძებოთ

*გასულ კვირას საპარლამენტო შეხლა-შემოხლა და სიტყვიერი პაექრობის ის ფორმები, რომლებიც დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთის შესამკობად გამოიყენეს, ნამდვილად ვერ წაადგება ჩვენი პოლიტიკოსების (წინასაარჩევნო) იმიჯს. ამ მხრივ თავი განსაკუთრებით სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლებმა ისახელეს, რომლებიც ხან სპიკერ ქალბატონს ელაპარაკებოდნენ თითების ქნევით და თანამდებობიდან გადაყენებით ემუქრებოდნენ, ხანაც ალტერნატიული პარლამენტით „აშინებდნენ“...*

*სახელფასო მინიმუმის თემა პარლამენტში განხეთქილების ვაშლად იქცა და ბევრი რამ გაცხადდა კიდეც. გაცხადდა, რომ სახელისუფლებო უმრავლესობა სულაც არ ყოფილა უძლეველი, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს ურთიერთჯიბრი და ქიშპი უფრო სძალავთ, ვიდრე ხალხის ბედზე ზრუნვა, რომ ბევრისთვის მიზანი საშუალებას ყველა ვითარებაში ამართლებს და ა. შ. ვინ დარჩა მოგებული?*

*ვესაუბრებით „გაერთიანებული დემოკრატების“ ლიდერს,* **ზურაბ ჟვანიას.**

— პარლამენტში განვითარებულ პროცესებს მთავრობა, სახელმწიფო კანცელარია, პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი და მთავრობის სხვა წევრები მართავდნენ და ამის შენიღბვა არც უცდიათ. მინიმალური ხელფასის განხილვამ მართლაც მახინჯი სახე მიიღო, მაგრამ არა ოპოზიციის მხრიდან. ოპოზიცია აიძულეს, იმ მანიპულაციის საპასუხოდ, რომელსაც მთავრობა მიმართავდა (და მიღებული კანონის გაუქმებას ცდილობდა), იურიდიული მეთოდები გამოეყენებინა და საქმის არსებითი განხილვიდან კინკლაობაზე გადასულიყო. ჩვენ ათასობით კაცის ინტერესს ვიცავდით, უმრავლესობა კი იცავდა მთავრობის უფლებას, რათა უკონტროლოდ განეკარგათ ის ათეულობით მილიონი ლარი, რომელიც სულ სხვა მიზნებისთვის ჩაიდო წლევანდელ ბიუჯეტში (ვგულისხმობ, შესაჭმელ-მოსაპარ თანხებს). ვერ დავდებ თავს, რომ ჩემი პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს არ ნიავდებოდა საბიუჯეტო თანხები, მაგრამ ახლა ამან არნახულ მასშტაბს მიაღწია. 1999 წელს აკრეფილი თითოეული 100 ლარიდან 28 იხარჯებოდა ხელფასზე, ახლა კი 18 იხარჯება. ხელისუფლებას იმას ვეხვეწებით, რომ ეს თანაფარდობა აღვადგინოთ.

**— მაგრამ დისკუსიამ ისეთი სახე მიიღო, რომ ლამის ფიზიკური ანგარიშსწორება მოუწყვეს დეპუტატებმა ერთმანეთს. როცა პარლამენტში ასეთი არეულობაა და მის გარეთ ქაოსის პროვოცირებაც იოლია, პოზიციის ასე ჯიუტად დაცვა ყოველთვის გამართლებულია? ერთი იგავი მაგონდება — როცა ჯიუტი თხები ერთმანეთს გზას არ უთმობენ და ორივენი წყალში ცვივდებიან.**

— სანამ ხალხი ხედავს, რომ პარლამენტში ვილაც მათ ინტერესს იცავს, ქუჩაში არ გამოვა. ხალხი მაშინ ბუნტდება, როცა ხელისუფლების არც ერთ შტოში აღარ არის არავინ, ვისაც მათი დაცვის უნარი ექნება. ქაოსის საწინდარი ის იქნება, როცა ოპოზიციის ხმა მთლიანად ჩაიკარგება პარლამენტში. ორი თხის იგავი მაინცდამაინც არ მომწონს. მე ბრძოლის ყველა მომენტში ათასობით კაცის ინტერესს ვიცავდი მაშინ, როცა პრეზიდენტი და მთავრობის წევრები უცნაური სიჯიუტით გვეწინააღმდეგებოდნენ. ჩვენი პრინციპულობის შემდეგ გამოჩნდა, რომ შესაძლებელი ყოფილა კომპრომისი, ამის მისაღწევად ჩვენ 4-დღიანი ბრძოლა დაგვჭირდა.

**— პარლამენტის დარბაზში ალტერნატიული პარლამენტის შექმნასა და საკანონმდებლო ორგანოს არაკომპეტენტურობაზეც ილაპარაკეს, — ამას გარკვეულწილად პროვოკაციის ელფერი დაჰკრავს, რაზე იყო ეს გათვლილი?**

— ძალზე მაშინებს ის განწყობილება, რაც არის საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მთელ მსოფლიოში ვერ ნახავთ ისეთ პარლამენტს, რომლის სახელისუფლებო ფრაქციების ლიდერი გამოვა და მოუწოდებს, ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა დამყარდესო.

**— საპარლამენტო უმრავლესობამ პირიქით დაადანაშაულა ოპოზიცია — ხელფასის გაზრდა ნაკლებად აღელვებდათ სინამდვილეში, ამერიკასთან სამხედრო ხელშეკრულების რატიფიცირების ჩაგდება ჰქონდათ განზრახული და ეს პროცესები რუსეთიდან იმართებოდაო.**

**არ ვაპირებ, ვუპასუხო გოგავასნაირ პროვოკატორებს. იგი ზნეობრივად ხეიბარია, ისევე, როგორც მისი დღევანდელი სულიერი მოძღვარი... დღეს გოგავებისა და მამალაძეების სახით ამაზრზენი ფენომენი შეიქმნა საქართველოში**

— არ ვაპირებ, ვუპასუხო გოგავასნაირ პროვოკატორებს. იგი ზნეობრივად ხეიბარია, ისევე, როგორც მისი დღევანდელი სულიერი მოძღვარი... დღეს გოგავებისა და მამალაძეების სახით ამაზრზენი ფენომენი შეიქმნა საქართველოში. ამერიკასთან შეთანხმების საკითხზე მსჯელობა ოთხჯერ შევთავაზე პარლამენტს, მაგრამ ვერ დავითანხმე ე. წ. თემატური უმრავლესობა და თვითონ გოგავაც. ასე რომ, კარგად გამოჩნდა, ვინ იმართება რუსეთიდან და ვის არ სურდა ამ საკითხის გასვლა. ეს არის იმ ადამიანების კასტა, რომელთაც ჯიბეში ჩაიდეს უმსხვილესი ქარხნები და შემდეგ იქიდან ამოღებული ფულით სტატიებს უკვეთენ პრესაში (ვინც იყიდება), ეს ქარხნები ჟვანიასაკაშვილისააო.

**— არ გგონიათ, რომ ნინო ბურჯანაძე შექმნილ სიტუაციაში „გაიჭყლიტა“. მასზე ორმხრივი ზეწოლა განხორციელდა და ბევრი შეურაცხყოფაც აიტანა.**

— არ გეთანხმებით... ნინო ბურჯანაძემ მოახერხა თავის ღირსეულად დაჭერა, გაუმკლავდა ზეწოლას და არ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოში პარლამენტარიზმს საბოლოოდ დაუსვამდა წერტილს.

**— საბოლოო გადაწყვეტილება სახელფასო მინიმუმის შესახებ პრეზიდენტმა უნდა მიიღოს. რას ელით მისგან და რა იქნება თქვენთვის მიუღებელი?**

— მიუღებელი იქნება პრეზიდენტის უცნაური სიჯიუტე, რომელსაც აქამდე ავლენდა. მიუღებელი იქნება, თუ არ შემოგვთავაზებს თავის ვარიანტებს... დღეს ნათელია — 1-ელი ივლისიდან ხელფასი ვერ გაიზრდება 115 ლარამდე, რადგან უკვე გარღვეულია ამ კვარტალის ბიუჯეტი. ჩვენთვის კომპრომისი ის იქნება, თუ წელსვე დაიწყება პენსიებისა და ხელფასების ზრდის პროცესი. იგი უნდა დაიწყოს ახლავე და ეტაპობრივად განხორციელდეს. არ დავუშვებთ, ეს თემა მიივიწყონ და კანცელარიაში სადღაც, მტვრიან თაროზე შემოდონ.

**— რა ძალებით აპირებთ მოსვლას მომავალ პარლამენტში?**

— ყველა ძალა, რომელიც თავს დემოკრატიულ ოპოზიციას მიაკუთვნებს, ვალდებულია, თანამშრომლობის გზები ეძებოს. ჩვენ ვერ მოვახერხებთ დღევანდელ უპასუხისმგებლო, ძალზე სახიფათო ხელისუფლებასთან დაპირისპირებას კონსოლიდაციისა და თანამშრომლობის გარეშე. უამისოდ დაქსაქსულ პარლამენტს მივიღებთ, რომელში „თევზაობაც“ ძალზე იოლი იქნება აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. უნდა დავივიწყოთ პიროვნული ამბიციები, პოზიციები შევაჯეროთ და ისეთი კანდიდატურები შევარჩიოთ, რომლებიც მისაღები იქნება მოსახლეობისთვის. გვინდა შეიქმნას ისეთი გაერთიანება, რომელიც პარლამენტში აიღებს უმრავლესობას და სწორედ იგი გახდება უდიდესი ცვლილებების საწინდარი ქვეყანაში.

**— პარლამენტში წელსვე გეგმავენ საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელებასა და პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებას — თქვენთვის სახელმწიფოს როგორი მოდელია მისაღები და რომელ პოსტზე გექნებათ პრეტენზია?**

— დღეს რთულია თანამდებობების კონკრეტულ გადანაწილებაზე ლაპარაკი. ამ პროცესში სხვადასხვა პარტიის ლიდერები უნდა მონაწილეობდნენ და არა მხოლოდ მე და მიშა სააკაშვილი. გაერთიანებული ოპოზიციის ამოცანა არ უნდა გახდეს ერთი რომელიმე ლიდერის წამოწევა. შევარდნაძის შემდგომი საქართველოსთვის ახალი შევარდნაძე არ უნდა ვეძებოთ. ეს უნდა იყოს ისეთი საქართველო, რომელიც ერთ კაცზე, მის გამოცდილებასა თუ გამოუცდელობაზე კი არ იქნება დამოკიდებული, არამედ კოლექტიურ პასუხისმგებლობას დაეფუძნება. ქვეყანას უნდა ჰყავდეს პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის ერთიანობის გარანტი იქნება და ყოველ პოლიტიკურ დაპირისპირებაზე მაღლა დადგება.

**— თქვენმა პარტიამ წამოიწყო აქცია „დავალაგოთ ქალაქი“, ეს ძველი შაბათობების გამოძახილია თუ რამე სხვა?**

— ამით ჩემი „მწვანე ახალგაზრდობა“ გავიხსენე. ეს ჩემთვის აქცია კი არა, ცხოვრებისეული ფილოსოფიაა. როდესაც ქვეყნის სიყვარულზე ლაპარაკობ და გინდა პასუხისმგებლობა აიღო მის მომავალზე, სიტყვას საქმე უნდა მოაყოლო. უნდა გიხაროდეს, როცა შენი ხელით ერთ ნაქცეულ ღობეს აღადგენ, როცა რამდენიმე ხეს დარგავ... ცხადია, არავის სურს ბინძურ სახლში ცხოვრება. საქართველო ჩვენი სახლია და ის ჩვენი ხელით არის დასალაგებელი.

*გვერდი მოამზადა იზო რუკაძემ*



# „ვფიქრობ, ჩემს ობიექტურ კრიტიკას ბატონი ასლანი საწყენად არ მიიღებს...“

ასლან აბაშიძის ფავორიტმა აჭარის ბანაკთან ერთად საკანონმდებლო ორგანოც დატოვა. **გიორგი თარგამაძე** ჟურნალისტიკას უბრუნდება, რომელიც მისი თქმით, უფრო ჯანსაღია, ვიდრე ქართული პოლიტიკა. კანონმდებლის სავარძელსა და მანდატზე უარნათქვამი ჩვენი კოლეგა ტელევიზიის ეკრანიდან შეეცდება იმის რეალიზებას, რაც პარლამენტში მოღვაწეობისას ვერ შეძლო... თუმცა მავანნი გიორგი თარგამაძის გადაწყვეტილების მიღმა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი პროფესიის სიყვარულს არ ხედავენ. ამბობენ, ამ ნაბიჯისკენ მას „აღორძინებაში“ თანაგუნდელებთან ბოლოდროინდელმა დაპირისპირებამ უბიძგაო.

— მომავალ საპარლამენტო არჩევნებში აღარ ვიყრი კენჭს. ჩემი გადაწყვეტილება პოლიტიკურია, პარლამენტის წევრი გარკვეულწილად თავისი ქვეყნის, ხალხის ბედის განმკარგავიცაა. რაკი დავრწმუნდი, რომ არსებულ ვითარებაში უახლოესი თვეების მანძილზე პარლამენტში ყოფნით ქმედითს ვერაფერს გავაკეთებდი, იძულებული გავხდი, პარლამენტარის პასუხისმგებლობა მომეხსნა და ის საქმე მეკეთებინა, რომელიც უკეთ გამომდის. ჩემი ნაბიჯი წმინდა ადამიანურმა და მორალურმა ფაქტორებმაც განაპირობა. ქართული პოლიტიკის პრობლემების საფუძველი საზოგადოებაში არსებული ზნეობისა და ღირსების დეფიციტია. ამის გამოსწორება პარლამენტში მოღვაწეობითაც შეიძლება (პირადი მაგალითის მიცემით), მაგრამ გაცილებით უკეთესი საშუალებაა ტელევიზია და მასმედია. მართალია, პარლამენტი დავტოვე, მაგრამ პოლიტიკიდან არ წავსულვარ. იმას, რისი გაკეთებაც პოლიტიკაში მინდოდა, სხვა ხერხით, ფორმითა და საშუალებით გავაკეთებ. მინდა ისიც გითხრათ, რომ ჩემი გადაწყვეტილება უკავშირდება იმ სიტუაციასაც, რომელიც „აღორძინებაში“ ბოლო ერთი წლის მანძილზე შეიქმნა... მიუხედავად ამისა, არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა ბატონ ასლან აბაშიძეს. დარწმუნებული ვარ, იგი გაგებით მოეკიდება ჩემს გადაწყვეტილებას. უმადურ ადამიანებს თვითონაც ვერ ვიტან. უმადურობა ის იქნებოდა, სხვა ფრაქციაში ან პარტიაში რომ გადავსულიყავი და პარლამენტარის ის მანდატი შემენარჩუნებინა, რომლის მოპოვებაში ლომის წილი ბატონ ასლანს ეკუთვნის. ჩემი და ბატონი ასლანის ურთიერთობები არც პოლიტიკით დაწყებულა და არც პარტიით. როცა გავიცანი, ორივეს ისეთივე სტატუსი გვქონდა, როგორიც დღეს გვაქვს. იგი აჭარის ლიდერი იყო, მე კი ერთ-ერთი ტელევიზიის წამყვანი ჟურნალისტი. ჩვენთვის მთავარია ადამიანური ურთიერთობები და შემდეგ პოლიტიკა და პარტია. ზოგიერთი მისი ქვეშევრდომისაგან განსხვავებით, რომლებიც საარჩევნო სიაში მხოლოდ ადგილს ეკავებენ.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

# არ გინდა ჯარში წასვლა? მოიტა 100 დოლარი!.. გინდა ჯარში წასვლა?.. მაინც 100 დოლარი!



კონტრაქტით მომსახურე სამხედროები მომავალი ქართული არმიის საფუძველი უნდა გახდნენ, თუმცა დღეს მათ ხშირად პრობლემებს უქმნიან...

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არ არის გაშლილი საჭირო სარეკლამო საქმიანობა, არ განემარტება მოსახლეობას, თუ რას წარმოადგენს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა და როგორ უნდა მოხვდეს მასში მსურველი. ყოფილ კომისარიატებში მოკალათებული ზოგიერთი ჩინოსანი კი სარგებლობს ამ სიტუაციით და ცდილობს, რეზერვისტებს ფული წაგლიჯოს.**

ჯარში გაწვევისთვის ქრთამის გაღება ნამდვილად ახალი ამბავია.

მას შემდეგ, რაც შარშან ოფიციალურად დაკანონდა მოსაკრებელი — 200 ლარი, რომელიც წვევამდელს ერთი წლით გადაუვადებდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას, თითქოს უნდა შეწყვეტილიყო კომისარიატების მიერ ფულის გამოძალვის ფაქტები.

თანაც ა.წ. 1-ელი იანვრიდან კომისარიატები პირვანდელი სახით აღარც არსებობენ — წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება სამოქალაქო, ადგილობრივი მართვის ორგანოებს გადაეცა, ხოლო რეზერვისტთა სამობილიზაციო განყოფილებები კი, ეროვნული გვარდიის დეპარტამენტს დაექვემდებარა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ქრთამის გამოძალვის მცდელობის ფაქტები მაინც დარჩა. ამჯერად ქრთამს, არანაკლებ 100 დოლარს, ზოგიერთი რაიონის სამობილიზაციო განყოფილებებში იმ რეზერვისტებს სთხოვენ, ვინც ქართულ-ამერიკულ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაში ჩართვის სურვილს გამოთქვამენ.

ყოველივე ამას კი, არა მარტო ქრთამის გამოძალვის, არამედ სახელმწიფოს მიმართ საბოტაჟის სუნიც ასდის. რა დასამალია და, ამ პროგრამაში ჩართული ქართული ბატალიონების პირადი შემადგენლობით შევსება ყოველთვის ჭირს და ეს მხოლოდ ბოლო წუთს ხერხდება. ამის გამო მოსამზადებელ ბატალიონში ხშირად იმ დონის (ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით!) რეზერვისტი ხვდება, რომლისგანაც პროფესიონალი მებრძოლი ნაკლებად დადგება. ამიტომაცაა, რომ უშუალოდ ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ დაწყებული 100-დღიანი მოსამზადებელი კურსის პერიოდში, ზოგიერთი კონტრაქტდადებული რეზერვისტი ტოვებს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამას, არადა მასზე უკვე რამდენიმე ათასი დოლარია დახარჯული.

ამჟამად მიმდინარეობს მესამე ქართული ბატალიონის პირადი შემადგენლობის შევსება. უფრო სწორად კი, ეს 10-დან 15 მარტამდე უნდა მომხდარიყო და ბატალიონისთვის 600 კაცი მოეკრიბათ, მაგრამ გასული კვირის ბოლოს, 200-მდე მოგროვდა.

ეროვნული გვარდიის სამობილიზაციო რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, პოლკოვნიკ **ზაზა რუსაძის** თქმით, რეზერვისტების მოზიდვა სათადარიგო დღეებში, 25 მარტამდე გაგრძელდება და საჭირო რაოდენობის კონტინგენტი აუცილებლად შეგროვდება.

კარგი იქნება, თუ პრობლემები ამით დამთავრდება, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ერთ კვირაში 600 კაცის თავმოყრა ძალზე ძნელია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არ არის გაშლილი საჭირო სარეკლამო საქმიანობა, არ განემარტება მოსახლეობას, თუ რას წარმოადგენს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა და როგორ უნდა მოხვდეს მასში მსურველი. ყოფილ კომისარიატებში მოკალათებული ზოგიერთი ჩინოსანი კი სარგებლობს ამ სიტუაციით და ცდილობს, რეზერვისტებს ფული წაგლიჯოს.

„კვირის პალიტრის“ ეს ნომერი 17 მარტს გამოვა, მაგრამ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაში მოხვედრის მსურველებს თითქმის მთელი კვირა რჩებათ სურვილის ასასრულებლად, თანაც ქრთამის გაუცემლად. ამისთვის საჭიროა: რეზერვისტი (რომელსაც მოხდილი აქვს სავალდებულო სამხედრო სამსახური) გამოცხადდეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ადგილობრივ სამობილიზაციო განყოფილებაში და წერილობით განაცხადოს სურვილი „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე. მასზე შეიქმნება პირადი საქმე. რეზერვისტი გაიგზავნება თბილისში, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, სადაც მას სპეციალური კომისია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტესტების მეშვეობით შეამოწმებს. ამ წესით არჩეული 600-მდე რეზერვისტი გაიგზავნება ორხევში, სადაც ერთთვიან წვრთნას გაივლის. რის შემდეგ მწყობრში მხოლოდ 400 უფრო მომზადებული დარჩება. მათ დაემატებათ 158 ოფიცერი და ზემდეგი. ასე შეიქმნება მე-11 მექანიზებული ბრიგადის 113-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი, რომელიც 15 მაისიდან ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, იაღლუჯზე, კრწანისის სამხედრო პოლიგონზე შეუდგება 3-თვიან ინტენსიურ წვრთნას.

დაახლოებით ასეთია „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაში მოხვედრის მექანიზმი და არავინ დაუჯეროს მას, ვინც 100 დოლარად შეჰპირდება ამ პროგრამაში ჩართვას. თუკი რეზერვისტი ვერ დააკმაყოფილებს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ მოთხოვნებს, მათ ამერიკელი სამხედროები არც ას და არც ათას დოლარად ნაწილში არ დატოვებენ.

P.S. თუკი რომელიმე თქვენგანს მოსთხოვეს გარკვეული თანხა საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მოსახვედრად, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ „კვირის პალიტრის“ რედაქციაში.

# ამერიკულმა ქათმებმა სადამ ჰუსეინის შიშით სული განუტევეს




ამერიკული ქათმების „დესანტი“ უდაბნოს მკაცრმა ჰავამ და ჰუსეინის შიშმა გაანადგურა

პენტაგონს ძალიან ეშინია, რომ ჰუსეინმა პრევენტიული თავდასხმა არ განახორციელოს ერაყის საზღვრებთან თავმოყრილ ამერიკულ დანაყოფებზე. ამერიკელი გენერლები განსაკუთრებით შიშობენ, ვაითუ, ერაყელებმა მომწამვლელი გაზები გამოიყენონო.

სწორედ ამიტომ, ქუვეითში დისლოცირებული ამერიკელ საზღვაო ქვეითთა მე-7 პოლკის პირადი შემადგენლობის დასაცავად პენტაგონმა ამ ქვეყანაში სპეციალური თვითმფრინავით სასწრაფოდ გადაისროლა... ქათმები!

როგორც პენტაგონი ვარაუდობდა, ამერიკული ქათმების დესანტს მანამდე უნდა დაეფიქსირებინა ჰაერში მომწამვლელი გაზები, სანამ ის მებრძოლებზე იმოქმედებდა. თუმცა ქათმები ჰაერში მომწამვლელი გაზების არსებობას კრიახით ნამდვილად ვერ აცნობებდნენ პოლკის მეთაურობას, ისინი... უბრალოდ დაიხოცებოდნენ, რაც იმის ნიშანი იქნებოდა, რომ „საზიზღრმა დიქტატორმა“ ჰუსეინმა ჰაერი მოწამლა.

საზღვაო ქვეითთა პოლკში, ჯავშანტრანსპორტიორების ფარეხის გვერდით, სპეციალური საქათმეც მოეწყო, რომელსაც ისევე მიუჩინეს M16-ით შეიარაღებული გუშაგი, როგორც მრისხანე საბრძოლო მანქანებს.

მაგრამ არ გასულა ერთი თვეც და 43 „მედესანტე“ ამერიკული ქათმიდან ცოცხალი მხოლოდ ერთიღა გადარჩა, თუმცა ამაში დამნაშავე სადამ ჰუსეინი ნამდვილად არ არის — მას არანაირი მომწამვლელი გაზი არ გაუშვია.

საქათმეში ყოველ დილით ამერიკელი საზღვაო ქვეითები მკვდარ ქათმებს პოულობდნენ. ბოლო ცოცხლად დარჩენილი ქათამი კი მათ სასწრაფოდ საქათმიდან ყაზარმაში გადაასახლეს და დღემდე ზედ დაჰფოფინებენ, რომ არაფერი მოუვიდეს.

სავარაუდოა, რომ სამშობლოს კომფორტულ სიტუაციას შეგუებულმა ქათმებმა ვერ გაუძლეს უდაბნოს მძიმე პირობებს, ადგილობრივმა წყალმაც მათზე დამღუპველად იმოქმედა.

მიუხედავად ასეთი ფიასკოსი, პენტაგონელმა „მეფრინველეებმა“ უკან როდი დაიხიეს — გასულ კვირას საზღვაო ქვეითებს ახალი „საჩუქარი“ გაუგზავნეს — ამჯერად მტრედები. თანაც მათ სპეციალისტებიც მიაყოლეს, რომ ქათმების ტრაგედია არ განმეორებულიყო. მტრედებს მხოლოდ იმ წყალს დაალევინებენ, რომლებსაც თავად მებრძოლები სვამენ. ამერიკელი საზღვაო ქვეითები აპირებენ, მტრედები, გამარჯვების შემდეგ, მოწინააღმდეგის დედაქალაქში, ბაღდადში გაუშვან.

# პუტინი КГБ-ს აღორძინებას შეუდგა

## რუსეთის პრეზიდენტს „კაგებეშნიკურმა“ სისხლმა უყივლა – რით ემუქრება ეს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს?!



რუსი მესაზღვრეები პრეზიდენტმა პუტინმა კალმის ერთი მოსმით კონტრმზვერავებად აქცია

პრეზიდენტმა ელცინმა КГБ-ც დამოუკიდებელ სტრუქტურებად დაშალა.

— კონტრდაზვერვა ФСБ-დ იქცა, პირველი მთავარი სამმართველო (იგივე დაზვერვა) — საგარეო დაზვერვის სამსახურად (СВР), ყოფილი მე-9 სამმართველო — დაცვის ფედერალურ სამსახურად — ФСО-დ და ა.შ.

საბჭოთა პერიოდში მესაზღვრეებიც КГБ-ში შედიოდნენ და 11 წლის შემდეგ რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის კვლავ „ძველ სახლში“ დაბრუნება ბევრ საგულისხმო რამეს მოასწავებს. გასაგებია, რომ პუტინი КГБ-ს ძველი ძლიერების აღორძინებას ცდილობს, რადგან ჩეჩნეთის ომმა ნათლად აჩვენა, რომ რუსეთის სპეცსამსახურები დაქსაქსულნი არიან.

მაგრამ ФПС-ის კონტრმზვერავებთან „შერწყმა“ ავის ნიშანია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც თვე, თვე-ნახევარში მთლიანად გაიხსნება საქართველოსკენ ჩეჩნეთიდან, ინგუშეთიდან და დაღესტნიდან გადმოსასვლელი ბილიკები. ერთია, როდესაც ქართველ მესაზღვრეებს კონტაქტი ჰქონდათ რუს კოლეგებთან და სულ სხვა, როდესაც საზღვრის მეორე მხარეს კონტრმზვერავები დაიცავენ.

ქართველი მესაზღვრეები ჯერ კიდევ ჭოჭმანობენ — გადავიდეთ თუ არა პოლიციურ სტრუქტურაზე, მოსკოვმა ქვეყანაში კი გასულ კვირას ერთი დაკვრით განახორციელა კარდინალური სტრუქტურული ცვლილებები. ამან შეიძლება გარკვეულწილად იმოქმედოს საქართველოს ცხოვრებაზეც.

სამშაბათს, 11 მარტს, თვით რუსი გენერლებისთვისაც კი მოულოდნელად, პრეზიდენტმა პუტინმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც გაუქმდა რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახური — ФПС, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურა და შევიდა უშიშროების ფედერალურ სამსახურში — ФСБ-ში. ასევე დაიშალა სამთავრობო კავშირგაბმულობის ფედერალური სააგენტო — ФАПСИ, რომელიც ორად გაიყო და შეერწყა, როგორც ФСБ-ს, ისე თავდაცვის სამინისტროს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

პრეზიდენტ პუტინის ეს მოულოდნელი ნაბიჯი, საბოლოო ჯამში, შეიძლება თავად რუსეთისთვის გამოდგეს საბედისწერო, რადგან ერთ დიდ „იმპერიად“ გადაკეთებული სპეცსამსახურის გაკონტროლება ძალზე გაუჭირდება არათუ რუსეთის საზოგადოებას, არამედ თავად ხელისუფლებასაც.

„პლასტრონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ევროპაში წამყვანი მწარმოებლის UAB „Bilijardai“ ექსკლუზიური წარმომადგენელი
ბილიარდის მაგიდები აქსესუარები
1000 მეტი დასახელების
კონსულტაციები, გარანტია, ფასდაკლება, მონტაჟი, რესტავრაცია
საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ყოფ. კამო)

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 15 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1600 |
| ევრო | 2,3337 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4493 |
| რუსული რუბლი | 0,0688 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3123 |

# ვისი ჯარისკაცი რას ჭამს...

## იმედია, შიმშილის გამო ჯარისკაცები აღარ გაგვექცევიან

პენტაგონი მხოლოდ ერაყის საზღვართან მდგარი თავისი ტანკებისა და ბომბდამშენების საომრად მზადყოფნაზე როდი ფიქრობს, მისი საზრუნავია ყოველდღიურად ორასი ათასამდე ადამიანის კვება, თანაც დღეში სამჯერ. ეს კი არა მარტო სოლიდურ ხარჯებს, არამედ ზურგის (დასავლურად — ლოგისტიკის) სისტემის შეუფერხებელ და ეფექტიანად მუშაობას მოითხოვს.

საველე ბანაკებში განთავსებული ამერიკელი სამხედროები უმეტესწილად ასევე საველე კვების ერთჯერადი ინდივიდუალური პაკეტებით საზრდოობენ. ეს პაკეტები პირველად მასობრივად 1991 წელს, „უდაბნოს ქარიშხლის" ოპერაციის დროს გამოიყენეს. მაშინ ჩვენთან, საქართველოში, რომელიც ის-ის იყო ქმნიდა ეროვნულ ჯარს, ამერიკული კვების პაკეტებზე ლეგენდები დადიოდა. ამბობდნენ, ასეთი საჭმელი ჯერ არავის უგემიაო.

1997 წელს შესაძლებლობა მოგვეცა, ამ ამერიკული „საოცრებისთვის" გემო გაგვესინჯა, მაგრამ მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ დავრჩენილვართ. ეტყობა, პენტაგონიც მიხვდა, რომ დიდად ყუათიანი ვერ იყო ჯარისკაცის ულუფა და ამიტომაც ერთ-ერთ კერძო კომპანიას სასწრაფოდ დაუკვეთა კვების ახალი, ინდივიდუალური პაკეტები. წლევანდელი იანვრიდან სამი ამერიკული ფაბრიკა ყოველთვიურად 4 მლნ ამგვარ პაკეტს ამზადებს. მუშაობა სამ ცვლად მიმდინარეობს, ჯარისკაცული ულუფა პირდაპირ დაზგიდან იგზავნება სპარსეთის ყურეში.

ეს პაკეტი ნახევარ კგ-ს იწონის და 1.200 კალორიას შეიცავს. თუ ადრე მენიუში 12 დასახელების კერძი იყო, ახლა ეს რიცხვი ორჯერ გაიზარდა. ჯარისკაცებს სთავაზობენ სოკოს ბიფშტექსს, რავიოლის, ტაილანდურ საწებელში ჩაწყობილ შემწვარ წიწილებს, შავ ლობიოს, ხორცს, ყველს, თევზს...

მაგნეზიისგან დამზადებული პაკეტის გარსში წყალი და ბაქტერიები ვერ აღწევს, რადგან დამზადების პროცესში პაკეტი გადის ორმაგ სტერილიზაციას, როგორც მაღალ, ისე დაბალ ტემპერატურაზე.

სანგარში მჯდარი ჯარისკაცი იღებს კვების ინდივიდუალურ პაკეტს და მის ერთ-ერთ ნაწილში ცოტა წყალს ასხამს. წყალი ააქტიურებს მაგნეზიის პაკეტს და გამოყოფილი ტემპერატურა საჭმელს აცხელებს. ცალ-ცალკე, პატარა პაკეტებში, მოთავსებულია ჩაი, შაქარი, მარილი, პილპილი, ჩილი, პლასტმასის კოვზი — დანა-ჩანგალი არ არის საჭირო.

ასე რომ, დაახლოებით უკვე ვიცით, რითი დანაყრდებიან ამერიკელი ჯარისკაცები ერაყის ომში, მაგრამ საინტერესოა, რას სთავაზობს სამშობლო ქართველ ჯარისკაცს.

თავიდანვე გეტყვით, რომ თავდაცვის სამინისტრომ ერთი ჯარისკაცის გამოსაკვებად ყოველთვიურად 63,2 ლარი, ანუ დღეში ორ ლარამდე გამოყო. გამონაკლისია „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილე 1.200 სამხედრო. თითოეული მათგანისთვის თვეში 95,5 ლარი იხარჯება.

„კვირის პალიტრა" ესაუბრა თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველოს კვების ორგანიზაციის სამმართველოს მთავარ ტექნოლოგს, მაიორ **რამაზ აბუაშვილს**:

— ჯარისკაცის ყოველდღიურ ულუფაში არის 200 გ ხორცი, 130 გ თევზი, 40 გ კარაქი, 70 გ შაქარი, ბურღულეული, ბოსტნეული და ა.შ.; „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილეთათვის ულუფა გავზარდეთ და მზა კერძების საშუალო დღიურმა ენერგეტიკულმა მახასიათებელმა 4.500 კალორიას მიაღწია. ეს არც ისე მცირეა. ამ პროგრამის მონაწილეებს ყოველდღიურად ეძლევათ 325 გ ხორცი, 150 გ თევზი, 60-60 გ კარაქი და შაქარი, ორ დღეში ერთხელ ჩაროზად ხილს ვთავაზობთ. სადილად პირველი კერძი არის ბორში, ხარჩო ან ჩიხირთმა, მეორე — წიწიბურა, მაკარონი ან ლობიო. სულზე დღეში განსაზღვრულია 800 გ პური, აქედან 0,5 კგ თეთრი და 300 გ რუხი. კვირაში ერთხელ 280 გ არაყანიც ეკუთვნით. სადილზე ბოსტნეულის სალათა, ხილის წვენი ან კისელიც გვაქვს.

ჯარისკაცულ მენიუში ჩიხირთმისა და ლობიოს ჩართვა ძალიან კარგია, რადგან მანამდე კალორიების „აწევა" ძირითადად ფაფეულისა და პურის ხარჯზე ხდებოდა. თავად ის ფაქტი, რომ დღიური ულუფის ენერგეტიკული მახასიათებელი 4.500 კკალორიამდე აიწია, ნიშნავს, რომ ქართველი „კომანდოსელები" არანაკლებ ყუათიანი კერძებით იკვებებიან, ვიდრე სხვა ქვეყნების სპეცდანიშნულების დანაყოფის მებრძოლები, რომლებიც, როგორც წესი, უფრო მეტ ენერგიას ხარჯავენ, ვიდრე ჩვეულებრივი დანიშნულების სამხედრო ნაწილის ჯარისკაცები.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასამშვიდებელი ბევრი არაფერია — გაძლიერებულ კვებაზე ჯერ მხოლოდ 1.200 მებრძოლია. სამხედრო ძალებში კი 15 ათასზე მეტი ჯარისკაცი და სერჟანტია (მათ შორის კონტრაქტით მომსახურე), რომლებიც ყაზარმებში ცხოვრობენ. თუკი გენერლები იმას შეძლებენ, რომ შიმშილის მომიზეზებით ჯარისკაცები აღარ გაექცევათ, ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.



— ამ პაკეტის ბიფშტექსს ერთი კარგი ქართული ჩიხირთმა თუ არ მერჩივნოს! — ნერწყვს ყლაპავს ერაყის საზღვართან მდგარი ამერიკელი სერჟანტი

# მკითხველის სვეტი

„ძალიან მაინტერესებს პისტოლეტი „დეზერტ იგლი". სამწუხაროდ, ამ იარაღთან დაკავშირებით არავითარი ინფორმაცია არ მომეპოვება. გთხოვთ თქვენი რუბრიკის მეშვეობით გაგვაცნოთ ეს პისტოლეტი.

თენგო ლატარია, ქ. ხობი"

## „უდაბნოს არწივი" ებრაულად

Desert eagle (ქართულად „უდაბნოს არწივად" ითარგმნება) სერიულ წარმოებას ისრაელის ფირმა JMJ 1983 წელს შეუდგა. ეს პისტოლეტი ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ინდივიდუალურ იარაღად ითვლება და რკინის ჩარჩოიანად 1,7 კგ-ს იწონის (ალუმინის ჩარჩოთი მისი წონა 1,5 კგ-მდეა). ეს არც არის გასაკვირი, რადგან იგი თავდაპირველად შეიქმნა მძლავრი .357 „მაგნუმის" ვაზნების სასროლად. ამასთან, „დეზერტ იგლი" თავიდან გამოიყენებოდა, როგორც სპორტული იარაღის სახეობა და ამიტომაც უზუსტესად ისროდა.

მოგვიანებით კონსტრუქტორებმა გამოუშვეს მისი სხვადასხვა ვარიანტიც, რომლებშიც განსხვავებული კალიბრის ვაზნები თავსდებოდა და შესაბამისად ლულაც ეცვლებოდა.



მძლავრი და მასიური პისტოლეტი, სპორტსმენების გარდა, სხვადასხვა ქვეყნის სპეცრაზმების მებრძოლებსაც მოეწონათ და ის თავის შეიარაღებაში მიიღეს (თუ არ ვცდებით, მცირე რაოდენობით „დეზერტ იგლი" თავის დროზე ერთ-ერთ ქართული სპეცსამსახურის არსენალშიც გამოჩნდა).

თვითდამტენი პისტოლეტის ავტომატიკა შემდეგნაირად მოქმედებს: გასროლისას წარმოქმნილი დენთის აირი აწვება სპეციალურ დგუშს, რომელიც მძიმე ჩარჩოს უკან გადაადგილებს და ხდება პისტოლეტის გადატენა. ლულა ამ დროს უძრავია. პისტოლეტი არც ისე პატარაა — ლულა 15.2 სმ სიგრძისაა, მთლიანად პისტოლეტი — 26 სმ-ია. შედარებისთვის: სტეჩკინის ავტომატური პისტოლეტის АПС-ის საერთო სიგრძე 22.5 სმ-ს არ აღემატება, თუმცა მის მჭიდეში 20 ვაზნა ეტევა, ხოლო „დეზერტ იგლში" — მხოლოდ 9 ცალი.

მიუხედავად დიდი გაბარიტებისა და მასისა, „დეზერტ იგლი" მაინც გამოირჩევა დამიზნებითი სროლის დიდი მანძილით (200 მ-მდე) და, რაც მთავარია, საუკეთესო სიზუსტით.

„აქვს თუ არა ზებგერითი სიჩქარე Су-25KM „სკორპიონს" და თუ არა, მაშინ რა სიჩქარეს ავითარებს?

ლევან გეჯაძე, კასპი"

## „სკორპიონს" ბგერის გასწრება არ სჭირდება

ქართველი და ებრაელი ინჟინრების მიერ მოდერნიზებული მოიერიშე თვითმფრინავის, Су-25KM „სკორპიონის" მაქსიმალური სიჩქარეა 950 კმ/სთ, ჰაერში ბგერის გავრცელების სიჩქარემდე დაახლოებით 150 კმ/სთ აკლდება (ბგერის გავრცელების სიჩქარე სხვადასხვა სიმაღლეზე, ტემპერატურაზე, ატმოსფერულ წნევაზე სხვადასხვაა და 1080-1100კმ/სთ-ს უტოლდება).





„სკორპიონის", ისევე როგორც მისი წინამორბედის მაქსიმალური სიჩქარე მართალია, პასპორტის თანხმად 1.000 კმ/სთ-ს უახლოვდება, მაგრამ ბომბებითა და რაკეტებით დატვირთული 600-750 კმ/სთ სიჩქარით დაფრინავს. მას, როგორც მოიერიშე თვითმფრინავს, მეტი არც სჭირდება. მაქსიმალური სიჩქარის 1.000 კმ/სთ-მდე აყვანა იმ საბჭოთა გენერლების დაჟინებული მოთხოვნა გახლდათ, რომლებიც გასული საუკუნის 80-იან წლებში ამ მოიერიშეს იღებდნენ შეირაღებაში, თორემ კონსტრუქტორები თავიდანვე ხვდებოდნენ სიტუაციის უაზრობას და საპასპორტო მონაცემებში თვითმფრინავს სიჩქარე ცოტა „წაუმატეს". ისე, სიმართლე რომ ითქვას, პიკირებისას „სკორპიონმა" კი შეიძლება განავითაროს ზებგერითი სიჩქარე, მაგრამ მისი კონსტრუქცია ალბათ ვერ გაუძლებს ასეთ დატვირთვას და თვითმფრინავი ჰაერში დაიშლება.

უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ბედნიერია, რომ მის საჰაერო სივრცეში ზებგერითი სიჩქარით არც ერთი ქვეყნის თვითმფრინავი არ დაფრინავს (ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებში), რადგან ბგერის ბარიერის გადალახვისას წარმოქმნილი ბგერითი დარტყმის ტალღა უარყოფითად მოქმედებს ყველა ცოცხალ არსებაზე, განსაკუთრებით კი მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

არსენალი

# „ტომაჰავკი" ჰუსეინს სასახლის სარკმელში შეუფრინდება

## რა შეუძლიათ თანამედროვე ფრთოსან რაკეტებს

ასეთი გაჯანჯლებული საომარი სამზადისის შემდეგ ამერიკამ თუკი შეუტია ერაყს, პენტაგონი ჰუსეინს პირველ რიგში ფრთოსან რაკეტებს ესვრის.

ამერიკული ფრთოსანი რაკეტა BGM-109 Tomahawk-ი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური იარაღის ტიპს წარმოადგენს, რადგან მას შეუძლია 1000 კმ-იდან ნებისმიერი შენობის ფანჯარაში „შეფრინდეს".

ეს, შესაძლოა, დღესაც ფანტასტიკურად ჩანდეს, მაგრამ სინამდვილეა. პირველი ფრთოსანი რაკეტები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა გამოიყენეს. საფრანგეთის სანაპიროდან გაშვებული გერმანული „ფაუ-1" ლა-მანშის სრუტეს გადაიფრენდა და ლონდონს სწვდებოდა. მართალია, „ფაუ" მიზანს 2-3 კმ-ითაც კი სცილდებოდა, მაგრამ მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს საკმაოდ აზარალებდა.





თანამედროვე ამერიკული „ტომაჰავკი" მიზანს მაქსიმუმ 10 მ-ით სცილდება, მაგრამ რაკეტის ქობინის სიმძლავრე მაინც თავისუფლად ანადგურებს მას. ხოლო თუ ბირთვული ქობინი უყენია, მაშინ რაიმეს გადარჩენაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

„ტომაჰავკი" ჰერმეტულ კონტეინერშია მოთავსებული. ხმელეთიდან, წყალქვეშეთიდან ან წყლის ზემოდან სტარტის შემდეგ მას სცილდება სასტარტო ძრავა და ეხსნება ფრთები. ფრენის პირველ ეტაპზე ფრენის კურსის განსაზღვრა ხდება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან გლობალური სანავიგაციო სისტემის — GPS-ის საშუალებით.

„ტომაჰავკის" ფრენის მარშრუტი სწორხაზოვანი არ არის. მიზნის მიღწევამდე იგი, მოწინაალმდეგის რადიოლოკატორების დასაბნევად, უცნაურ ზიგზაგებს აკეთებს და დედამიწის რელიეფს მიჰყვება არა უმეტეს 60 მ-ის სიმაღლეზე. ფრენის ასეთი სიმაღლისა და ტრაექტორიის დროს „ტომაჰავკის" აღმოჩენა სახმელეთო რადიოლოკატორებს ძალზე უჭირთ.



**ჩვენი დოსიე:** ამერიკული ფრთოსანი რაკეტა BGM-109 Tomahawk-ის გაშვება შეიძლება როგორც ხმელეთიდან, ისე ბომბდამშენიდან, კრეისერიდან და თვით წყალქვეშა ნავიდანაც კი. ფრთოსანი რაკეტის სიგრძეა 5,6 მ, ფრთების გაშლილობა — 2.67 მ. იგი 1,3 ტ-ს იწონის და 880 კმ/სთ სიჩქარით 1600 კმ-ის მანძილზე შეუძლია გაფრენა. მისი ქობინი 450 კგ-ს იწონის.

„ტომაჰავკის" საბორტე კომპიუტერში ჩადებულია ადგილმდებარეობის ეტალონური კარტოგრაფიული რუკა, რომელსაც მისი „ტვინი" ფრენის მარშრუტის რადიოლოკაციურ გამოსახულებას ადარებს. თუკი ისინი ერთმანეთს ემთხვევა, ე.ი. ინდიელთა „ნაჯახი" სწორი მარშრუტით მიფრინავს.

მიზანთან მიახლოებისას ფრთოსანი რაკეტის მართვას თავის თავზე იღებს „გამოსახულებების დამთხვევის ციფრული მაკორექტირებელი სისტემა", რომელიც უზუსტესად აზიანებს სამიზნეს.

ამ შთამბეჭდავი ტექნიკური მახასიათებლების ჩამოთვლის შემდეგ შეიძლება მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ „ტომაჰავკისგან" გაქცევა შეუძლებელია.

თუმცა ნაქები ამერიკული ტექნოლოგიების მოტყუებაც ყოფილა შესაძლებელი და თანაც ძალიან მარტივი და იაფი ხერხებით (თავად „ტომაჰავკი" მილიონი დოლარი ღირს), რაც ერაყელებმა ჯერ კიდევ 1991 წელს, „უდაბნოს ქარიშხლის" დროს, დაამტკიცეს — „ტომაჰავკების" მეოთხედმა ცრუ ობიექტები ააფეთქა.

თუმცა რაღა შორს, ერაყში, წავიდეთ, როცა ამერიკული „ტომაჰავკების" და „პერშინგების" მოსატყუებლად სწორედ ჩვენთან, საქართველოშიც მუშაობდნენ!

როგორც სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი, გენერალ-მაიორი **ელგუჯა მეძმარიაშვილი** იხსენებს, გასული საუკუნის 80-იან წლებში (მაშინ იგი საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შეკვეთილ სამუშაოებში ჩართული იყო, როგორც კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი) საქართველოში ამუშავებდნენ სწრაფად ასაგებ კონსტრუქციებს ადგილმდებარეობის კონტურების შესანიღბად ან დეფორმირებისათვის.

ეს ნიშნავს: „ცივი ომის" დროს ამერიკულმა დაზვერვამ მოიპოვა დეტალური ფოტოსურათები (მათ შორის კოსმოსური სადაზვერვო თანამგზავრებიდან) იმ მარშრუტისა, რომელიც, მაგალითად, ამიერკავკასიაში საბჭოთა ჯარების შტაბამდე მოდიოდა. ფრთოსანი „ტომაჰავკი" სწორედ ამ მარშრუტს წამოჰყოლოდა და გზადაგზა, წინასწარ გადაღებული და მის „ტვინში" ჩადებული ეტალონური სურათები ფრენის დროს გადაღებული რადიოლოკაციური სურათებისთვის უნდა შეედარებინა. არადა „ტომაჰავკის" სტარტისთანავე (დაახლოებით 1.500 კმ-ის დაშორებით) სპეციალური ბრიგადები საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე წუთში შეცვლიდნენ ყველაზე გამორჩეული (რადიოლოკაციური თვალსაზრისით) ორიენტირების (მაგალითად, ტბის, ხიდის თუ სხვ.) „სახეს" — გვერდზე წამოუჭიმავდნენ ვითომდა ქარხნის მილებს, ანდა სტრატეგიული მნიშვნელობის გზის გაყოლებაზე ელექტროგაყვანილობის ბოძებს ჩამოაცმევდნენ რკინის ან ალუმინის სამკუთხედებს, რომლებიც მშვენივრად ირეკლავს რადიოლოკაციურ სხივებს. ყოველივე ამის შემდეგ „ტომაჰავკის" „ტვინი" ირეოდა და იგი უმართავი ხდებოდა.

მაგრამ, ასეა თუ ისე, მდიდარი ამერიკელები თავის მილიონდოლარიან „ტომაჰავკებს" სადამ ჰუსეინისთვის ნამდვილად არ დაინანებენ.



# მკვდრეთით აღმდგარი შვილის დაბრუნება

ჯერ ვაჟიშვილის, ანდრეის გარდაცვალების ცნობა მიიღეს, მერე მისთვის სიკვდილის შემდეგ მინიჭებული ორდენი. მშობლების სახელზე გაგზავნილი დივიზიის მეთაურის ხელმოწერილი თანაგრძნობის ბარათით შეიტყვეს, რომ რიგითი საბრძოლო დავალების შესრულების დროს დაიღუპა. ახლა კი ანდრეი დაბრუნდა და ტირილს მიჩვეული მისი მშობლები გაღიმებასაც ველარ ახერხებენ. ის კი არა, შვილს გაბედულად ვერც კი მოფერებიან.

— რა დაგემართათ, მართლა საფლავიდან კი არ ავმდგარვარ, დაჭრილი ვიყავი. სხვა ნაწილის მეომრებმა გამომიყვანეს ფრონტის ხაზიდან. მერე რამდენიმე თვე ვიმკურნალე. ამასობაში ომიც დამთავრდა და მეც აქ ვარ. ისე ვატყობ, მაინცდამაინც არ გიხარიათ ჩემი დაბრუნება. თუ ასეა, შემიძლია დღესვე გავბრუნდე უკან.

— არა, არა, რას ამბობ, შვილო. უბრალოდ, ძალიან შეცვლილი გვეჩვენები და ამის შეგუება გვიჭირს. მიხრა-მოხრა, სიარული, ლაპარაკი, ხმაც კი აღარ შეგრჩენია შენი.

— გაიგე, მამა, ოთხი წელი ჯოჯოხეთში ვიყავი, ზურგით ასკილოგრამიან ტყვიამფრქვევს დავათრევდი სანგრიდან სანგარში. ჩემ გვერდით ჩაწოლილი თანამებრძოლებისათვის რომ ხმა მიმეწვდინა, უნდა მეღრიალა, სხვაგვარად როგორ გავაგონებდი ქვემეხების გრიალში. ხმა და მიხრა-მოხრა კი არა, სული რომ ჩამომყვა, ის უნდა გიკვირდეთ.

— შვილო, გავიგე, მეც მიბრძოლია და ვიცი, რაც ხდება იქ, მაგრამ დედაშენს რომ ვერაფერი შევასმინე? წუხელ მთელი ღამე მოთქვამდა — რა ვქნა, ყველაფერი ანდრეის უგავს: შუბლი, თვალები, წარბები, ცხვირი, თითებიც კი, მაგრამ მაინც სხვა მგონიაო. შენი დაღუპვის შეტყობინება რომ მივიღეთ, იმდენი იტირა, ეტყობა, სიხარულის განცდა გაუქრა, მაგრამ არაფერია, რამდენიმე დღეში შეგეჩვევა და ისევ ის დედა იქნება, სისხამ დილით რძითა და ბლინებით რომ დაგადგებოდა ხოლმე ლოგინში. ახლა კი გაიპარსე და შენი შავი კოსტიუმი ჩაიცვი. ნაშუადღევს ლიდია ჩამოდის. იმასაც გამოგლოვილი ჰყავხარ. წარმოგიდგენია, რა დაემართებოდა შენს მკვდრეთით აღდგომას რომ შეიტყობდა.

— აი, მამა, ლიდიას ბოლო წერილი. მჯეროდა, რომ დამელოდებოდა, ერთი სული მაქვს როდის ვნახავ.

ნაშუადღევს, როცა ბალტიის მხრიდან წამოსულმა ნიავმა ერთიანად გაფანტა დილიდანვე ჩამოწოლილი ბურუსი და შინ დაბრუნებულმა ჯარისკაცმა, როგორც იქნა, აივნიდან ლენინგრადის კრიალა ცას ახედა, წინკარში ახალგაზრდა ქალის შეძახილი გაისმა:

— სად არის? — წამიც და შეყვარებული წყვილი ერთმანეთს გადაეხვია. როცა ხვევნაკოცნით გული იჯერეს, როცა ბოლოს და ბოლოს, სული მოითქვეს და ცრემლები შეიშრეს, წყვილის მალულად მოთვალთვალე პრასკოვია არტიომოვნამ ოთახში შესვლა გაბედა და შვილს გადაეხვია.

— რა ვიცი, დავბერდი, ვფიქრობდი, მართლა ანდრეია თუ ვინმემ შემიცვალა-მეთქი, მაგრამ რაკი ლიდიას არ ეეჭვება, ესე იგი, ჩემი შვილი ხარ, ჩემი ანდრეი...

იმ ღამით ლიდია კოვალიოვებთან დარჩა და მეორე დღეს მთელმა სამეზობლომ იცოდა, საიქიოდან დაბრუნებულმა ანდრეიმ წუხელ იქორწინაო. მართალია, თავდაპირველად ლიდიასაც ჰქონდა უცხოობის შეგრძნება, მით უმეტეს, რომ ანდრეი ხშირად იბნეოდა წარსული სასიყვარულო ისტორიების გახსენებისას, მაგრამ ქალი ამას გადატანილი კონტუზიით ხსნიდა და აღარ ჩასძიებია. ეგეც არ იყოს, ომის შემდგომ ლენინგრადში ისე ჭირდა ცხოვრება, ადამიანებს სიყვარულისთვის აღარ ეცალათ. საჭირო იყო ბრძოლა არსებობისათვის. ყველაფერი ჰქონდათ კოვალიოვებს: ვეებერთელა ბინა ნევის პროსპექტზე, ეკატერინეს დროინდელი ანტიკვარული ავეჯი, იტალიური რენესანსის ეპოქის ნახატები, უძველესი, წითელი ხის, გერმანული როიალი და ვენეციური ბროლის ჭაღები, მაგრამ არ ჰქონდათ ფული და, შესაბამისად, არ ჰქონდათ პური. ანდრეიმ ოჯახის მარჩენლის ფუნქცია იკისრა და თითქოს რაღაცას ახერხებდა კიდეც, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სიცრუე გამოდგა მისი განაცხადი — საკონსტრუქტორო ბიუროში ვმუშაობ დამპროექტებელ ინჟინრადო და ერთი თვის შემდეგ ქურდობისთვის დაიჭირეს.

## „აბატი ფარია“

რა ჯურის დამნაშავეს არ ნახავდით კოლონიაში, მაგრამ სხვაზე მეტად ანდრეის ყურადღება ერთმა არცთუ ისე ახალგაზრდა პატიმარმა მიიქცია, რომელიც სასჯელს სიმთვრალეში ატეხილი დებოშისათვის იხდიდა. დროდადრო მასთან მეუღლე მოდიოდა... როგორც წესი, გაზეთით ხელში. ანდრეიმ შეამჩნია, რომ ქალს მხოლოდ გაზეთის ის ნომრები მოჰქონდა, რომლებშიც ორპროცენტიანი ობლიგაციების გათამაშების ცხრილი იყო გამოქვეყნებული. მერე რამდენჯერმე ცოლ-ქმრის საუბარსაც მიაყურადა და დარწმუნდა — წყვილი რაღაც მართლსაწინააღმდეგო საქმით იყო დაკავებული.

— ნიკოლაი პეტროვიჩ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ კოლონიის ადმინისტრაციამ თქვენი თვალთვალი დამავალა და მას შემდეგ, რაც აქ გადმოგვიყვანეს, საფუძვლიანად შეგისწავლეთ. ვგულისხმობ, ობლიგაციების გათამაშებისცხრილიან გაზეთებთან დაკავშირებულ თქვენს ინტერესს. თუ ეს ადმინისტრაციას მოვახსენე, უეჭველად პატარა შეღავათს გამიწევენ. ეს კი ჩემთვის ცოტაა. ხომ არ მოვრიგდეთ? — ეს ისე, ანკესი გადააგდო, ეგებ რაიმე წამოეგოსო, თორემ არაფერიც არ იცოდა, თუმცა აკი ვთქვით, ანდრეი გუმანით გრძნობდა, რაღაც რომ ხდებოდა. ნიკოლაი პეტროვიჩს მიწის ფერი დაედო. სიგარეტს ხელის კანკალით მოუკიდა, სული მოითქვა და ანდრეის შეხედა.

— შენ გარდა, კიდევ ვინ იცის ამის შესახებ?

— საქმეც ის არის, რომ ჯერჯერობით მხოლოდ მე ვიცი ყველაფერი და ალბათ ჩემთან უფრო იოლად გამონახავთ საერთო ენას, ვიდრე იმ სვავებთან, რომლებმაც თქვენი თვალთვალი დამავალეს, — ანდრეი ერთიანად დაიძაბა, იცოდა, ახლა სიხარული არ უნდა დასტყობოდა. უკვე აღარ ეეჭვებოდა, რომ საბედნიერო საკბილოს გამოჰკრა ხელი.

— კარგი, საღამოს ვილაპარაკოთ... — ნიკოლაი პეტროვიჩმა თვალი თვალში გაუყარა ანდრეის და დერეფანში წაფარფატდა.

საღამოს გაირკვა, რომ ნიკოლაი პეტროვიჩი ფასიანი ქაღალდების ფალსიფიკაციის დიდოსტატი ყოფილა. გაზეთში გამოქვეყნებული ორპროცენტიანი ობლიგაციების მოგებული ნომრების მიხედვით ობლიგაციის ერთი ბლანკიდან მეორეზე გადაჰქონდა ზოგიერთი ციფრი და ამას ისეთი იუველირული სიზუსტით აკეთებდა, საბჭოთა კავშირის არც ერთ ბანკს



არ გასჩენია ეჭვი. ასე რომ, ნიკოლაი პეტროვიჩი და მისი მეუღლე საკმაოდ დიდ ფულს შოულობდნენ და საიდუმლოს შენახვის საფასურად ანდრეიც შეიამხანაგეს. მას შემდეგ ნევის პროსპექტზე მდებარე კოვალიოვების ბინას რეგულარულად, თვეში ერთხელ აკითხავდა ვიღაც უცნობი ქალი და გარკვეულ თანხას უტოვებდა. ვერაფრით დააცდენინეს, ვინ აგზავნიდა ამ ფულს, თუმცა ოჯახის არც ერთ წევრს არ ეეჭვებოდა, რომ ამ საქმეში ანდრეის ხელი ერია. მერე და მერე ანდრეი იმდენად გაიტაცა ფასიანი ქაღალდების ფალსიფიკაციამ, იმდენად კარგად აითვისა ეს საქმე, რომ ნიკოლაი პეტროვიჩმა გულწრფელად აღიარა, ამ საქმისთვის გაუჩენიხარ ღმერთსო.

არავინ იცის, მას შემდეგ რამდენჯერ გააცურა ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის ფინანსური დაწესებულებები, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ კოვალიოვების ერთადერთ ვაჟი, ანდრეი მთე-

**პუშკინის ქუჩაზე სამხედრო უნივერმაღში სამხედრო ფორმა შეიძინა. ასაკის შესაბამისად, ზედ მაიორის სამხრეები დააკერა, მერე კოლმეურნეობის მოედანზე კვევის გამყიდველი ერთი ლამაზი ბოშა ქალი გაიცნო, უკანასკნელ მოდაზე გამოაწყო და წინა დღეს გამართულ ლატარიის ტირაჟში გათამაშებული „ვოლგის“ მოგებული ბილეთით სახინკლეში შევიდა.**

ლი ოცი წლის მანძილზე ლენინგრადის რომელიღაც დახურული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი იყო და, როგორც ჩანს, ერთობ წარმატებულიც, რაზეც მისი უზადო კოსტიუმები და საფირმო ყელსახვევები მიანიშნებდა. თუმცა ესეც სატყუარა ყოფილა და ერთ მშვენიერ დღეს მის „სამეცნიერო მოღვაწეობას“ თბილისში აეხადა ფარდა.

## „ვოლგა“... ლატარიით

სამოციანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში პირველად გამოუშვეს ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები. ყველა რესპუბლიკა, თუ არ ვცდები, თვეში ერთხელ მართავდა ლატარიის ტირაჟის გათამაშებას. სულ მალე გაირკვა, რომ შუა აზიის რესპუბლიკებში გათამაშებული ოთხი ავტომანქანა „ვოლგის“ ნაცვლად, ბანკებში როგორც წესი, ხუთი მოგებული ბილეთი შედიოდა, ანუ ოთხის ნაცვლად, ხუთი მანქანა გაიცემოდა. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ლატარიის იმ ფალსიფიცირებული ბილეთის ძებნა, რომელსაც შეცდომაში შეჰყავდა ბანკის მოხელეები. რის ვაი-ვაგლახით ადასტურებდნენ, რომ პეტრეს ან პავლეს ყალბი ბილეთით ჰქონდა მოგებული მანქანა და ასეთებს მანქანებს კი ართმევდნენ, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მხოლოდ შუა აზიის რესპუბლიკებში ორასამდე ასეთი გაუხსნელი საქმე დაგროვდა და როგორც ალბათ ჩვენი მკითხველი მიხვდება, ყველა მათგანში ანდრეი კოვალიოვის ხელი ერია. როცა იქ მეტისმეტი მოუვიდა, ანდრეიმ თბილისში გადმოინაცვლა.

პუშკინის ქუჩაზე სამხედრო უნივერმაღში სამხედრო ფორმა შეიძინა. ასაკის შესაბამისად, ზედ მაიორის სამხრეები დააკერა, მერე კოლმეურნეობის მოედანზე კვევის გამყიდველი ერთი ლამაზი ბოშა ქალი გაიცნო, უკანასკნელ მოდაზე გამოაწყო და წინა დღეს გამართულ ლატარიის ტირაჟში გათამაშებული „ვოლგის“ მოგებული ბილეთით სახინკლეში შევიდა. სამხედრო ფორმაში გამოწკეპილი მამაკაცი და მისი მომხიბვლელი „მეუღლე“ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სახინკლის პატრონებს. დანახარჯი რომ გადაიხადა, კოვალიოვმა ისე, სხვათა შორის, ჩაუარაკა სახინკლის მებუფეტეს, რომ გუშინ ლატარიით „ვოლგა“ მოიგო, მაგრამ გაყიდვას აპირებს, რადგან ამ დღეებში სამუშაოდ შორეულ აღმოსავლეთში გადაჰყავთ და აზრი არა აქვს ამსიშორეზე მანქანის თრევას, ტრანსპორტირება დიდ ხარჯებს მოითხოვსო.



— ვალიკუნა, ბოშო, იღბალი გქონია, მანქანის ყიდვას რომ აპირებდი და გეშინოდა, ჩხიკინს დამიწყებენ, ფული საიდან გქონდაო, აგერ, ა, თავისით მოგორდა ახალთახალი „ვოლგა“, თანაც ლატარიის ბილეთით. აიღე, შე კაცო, და იგრიალე რამდენიც გინდა, კაცი არ გკითხავს, საიდანო.

— ხო, მარა ნამამძაღლარი რო იყოს, მერე ქვე რაღა ვქნა?

— რა ქნა და წეიღე ახლა ბილეთი და მთავარ ბანკში მიიტანე, თუ გეტყვიან კარგია და ნამდვილიაო, ქე დეიტოვე. ეს კაცი ამ პირობით იძლევა ბილეთს. წესიერი კაცია, ვალიკუნა, ვიღაც პაცანა კი არაა? არ ღირს ახლა ტკეპნა და მიდებ-მოდება, თვარა წავა ი კაცი და უყარე მერე კაკალი.

— რაო, გეეჭვებათ რამე, არ მენდობით?! თუ ასეა, მე გენდობით, ბატონო. აი, ლატარიის ბილეთი, შეგიძლიათ ბანკში შეამოწმოთ, მანამდე მე აქ დავრჩები და კიდევ ერთ კათხა ლუდს დავლევ, მოსულა?

— ა, ბიჭო, ვალიკუნა, ნუ მაგიჟებ, შე კაცო, რად უნდა ახლა მაგას ლაპარაკი, მორჩი და გაათავე! — თავს ველარ იმაგრებდა მებუფეტე გოგია.

წინდახედული კაცი იყო ვალიკო სხირტლაძე და ბილეთი მაინც წაიღო ცენტრალურ ბანკში.

— კი, ბატონო, საეჭვო არაფერია. ერთი თვეში მოგებულ მანქანას მიიღებთ. შეგიძლიათ ახლავე გააფორმოთ მოგებაო, — უთხრეს ბანკში და ვალიკოც გახარებული მიიჭრა სახინკლეში.

— ჩემი ბილეთი? — შეაგება სამხედრომ.

— სადღაა შენი ბილეთი, შე კაცო, ფული მოგიტანე აგერ და სადილზეც ქე გპატიჟებ მაგ შენს ქალბატონთან ერთად, — და ვალიკომ თექვსმეტი ათას მანეთად ღირებულ მანქანაში ოცი ათასი ისე გადაუთვალა, წამით არ უნანია. ხუმრობა ხომ არ იყო, ბაზარზე „ვოლგა“ ოცდაათი ათასი მანეთი ღირდა და გარდა ამისა, ათას კომისიას მიუსევდნენ, ფული საიდან გქონდაო. ერთი სიტყვით, მაიორი დიდი პატივით გაისტუმრეს და ზუსტად ერთი თვის თავზე ვალიკომ ახალთახალი „ვოლგაც“ მიიღო... თუმცა დროებით, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

მეორე დღეს ანდრეი კოვალიოვმა მაშინ გაიღვიძა, როცა მატარებელი ის იყო, სოხუმში უნდა შესულიყო. „მეუღლე“ მოიკითხა, მაგრამ ბოშა ქალი ზუგდიდსა თუ ოჩამჩირეში ჩასულიყო და გუშინდელი ნაშოვნი ფულიც თან გაეყოლებინა. მაინცდამაინც არ უნაღვლია. უხასიათოდ მხოლოდ იმიტომ იყო, რომ წუხელ ბევრი დალია ვაგონრესტორანში, მერე კი ისე გაითიშა, აღარაფერი ახსოვს — ეტყობა, საძილე საშუალება შემომატყუა ბოშამო, — დაასკვნა და ისიც გაახსენდა, რომ ლატარიის ტირაჟი გუშინწინ გათამაშდა, ამან სულ დაამშვიდა და იქვე, ზღვისპირა პარკში სულ რაღაც ნახევარ საათში დაამზადა ლატარიის ყალბი ბილეთი. უკვე გამზადებულ ბილეთს რომ დახედა, არ მოეწონა — უხარისხო ეჩვენა, მაგრამ მეორის დამზადება დაეზარა და იქვე, პლაჟზე, ბანქოს მოთამაშეები მოძებნა. მათში გაერია და შეგნებულად წააგო ოთხი ათასი მანეთი. მოგებული პლასტუნკელი ზაურ მეტრეველი გახლდათ.

— რომც გამატყავოთ, შაურიც აღარ მაბადია. მოთამაშე კაცი ვარ, რაც მქონდა, ამ დღეებში წავაგე. სამაგიეროდ, გუშინ ამ ლატარიის ბილეთით ავტომანქანა მოვიგე. აბა, მე „ვოლგა“ რაში მჭირდება, მაინც უნდა გავყიდო, ოთხი ათასი ხომ მომიგე, მოდი, თორმეტი ათასიც მომეცი და ბილეთს თავის ფასად, თექვსმეტი ათასად მოგცემ, მოვრიგდით?

სიხარულით ცას ეწია ზაურ მეტრეველი, დაფაცურდა, აქეთ მოდგა, იქით მიდგა, მაგრამ ფული ვერ იშოვა და მერე ალალ ბიძას მიადგა:

— შენ რომ „ვოლგა“ გინდოდა, აგერაა ლატარიის ბილეთი და ჩვიდმეტი ათას მანეთს ითხოვსო მისი პატრონი.

ანდრეის დაწუნებულმა ბილეთმა საბანკო გამოცდას მაინც გაუძლო და გარიგებაც შედგა. კოვალიოვმა თორმეტი ათასი ჩაიჯიბა, ზაურმა ხუთი ათასი (აქედან ათასი მანეთი საკუთარ ბიძას „მოუტეხა“), ბიძამ კი ახალთახალი „ვოლგით“ გაიხარა.

## ისევ თბილისში

ლატარიის ტირაჟი დღის თორმეტ საათზე გათამაშდა, პირველ საათზე კი ანდრეის უკვე ხელთ ჰქონდა ყალბი მომგებიანი ბილეთი. ამჯერად იგი, როგორც იტყვიან, მთლიანად შეესაბამებოდა „სახელმწიფო სტანდარტებს“. ახლა გასაღება იყო მთავარი. ყოველთვის ეს პრობლემა აწუხებდა, თორემ ბილეთის დამზადება სულაც არ უჭირდა. ერთბაშად „ცოლყოფილი“ ბოშა ქალი და მისიანები გაახსენდა. ლოტკინზე მოძებნა ისინი და ბილეთი სამ ბოშას გადასცა. ერთ საათში დაბრუნდნენ ფულით — თექვსმეტ ათასად გავყიდეთო და ფული თანაბრად გაიყვეს. ამდენი ფული ბოშებს თავის დღეში არ ენახათ ერთად. თავისიანები მიიპატიჟეს და რესტორანი მთლიანად „აითვისეს“. ისეთი ლხინი გაჩაღდა, ისეთი ცეკვა-თამაში, რომ ნახევარმა თბილისმა გაიგო. ფულის გადახდის დროს სამივე ბოშა დააკავეს და იმდროინდელ „ობეხეესში“ მიაბრძანეს. ნასვამმა ბოშებმა ყველაფერი დაამღერეს ერთის გარდა — ვინც ლატარიის ბილეთო მოგვცა, ის კაცი არ ვიცით, ვინააო...

ასე რომ, ანდრეიმ შვებით ამოისუნთქა და თბილისიდან წასვლაზეც დაიწყო ფიქრი, მაგრამ სასამართლოს ბოლო დღეს ლატარიის მორიგი ტირაჟი გათამაშდა თბილისში. ცდუნებას ვერ გაუძლო და კიდევ დაამზადა ერთი ბილეთი. ამჯერად რუსთაველზე, ოპერის პირდაპირ მდებარე ფეხსაცმლის მაღაზიას კოვალიოვის თბილისელი თანამოსაქმე ლომაია მიადგა. მაღაზიის გამგემ და სექციონერმა ერთმანეთზე გაიწიეს — არა, მე უნდა ვიყიდო და არა — მე ეს მომგებიანი ბილეთიო. ანდრეის საბედნიეროდ, მალე მორიგდნენ. ლატარიის ბილეთი მაღაზიის გამგეს დარჩა. ბილეთის ხარისხი არც ამჯერად იწვევდა ეჭვს, რაც დაუდასტურეს კიდეც იქვე მდებარე შემნახველ სალაროში. ამ დროისათვის კოვალიოვს უკვე დაეტოვებინა თბილისი.

## კოკა უნდა გამტყდარიყო

დედაქალაქის მილიციის სამმართველოს „ობეხეესის“ უფროსმა გიორგი გამყრელიძემ შეიტყო, რომ ლომაიასთან სტუმრად მყოფმა რუსმა მოქალაქემ დაამზადა ლატარიის მომგებიანი ბილეთი, რომელიც ლომაიას უნდა გაესაღებინა. ასე რომ, იმ დღეს ლომაიას „კუდზე“ ასხდნენ „ობეხეესის“ ოპერმუშაკები: მიხეილ კორინთელი, ალბერტ პეტროსიანი, ვასილ კანანოვი, რამაზ მაჭავარიანი და ავთანდილ ქიზიყურაშვილი.

ლომაია იქვე, მაღაზიიდან გამოსვლისას დააკავეს... ფულით ხელში. მერე გაირკვა, რომ ანდრეი, რომელსაც ლომაია სულ სხვა გვარითა და სახელით იცნობდა, ბაქოში ელოდა მის შეტყობინებას ფულის აღების შესახებ. ბაქოში გაგზავნილ დეპეშაში, რომელიც მომკითხავის სახელზე გაიგზავნა, სულ რამდენიმე სიტყვა იკითხებოდა: „რაისამ იმშობიარა, გილოცავ ვაჟიშვილის შეძენას“. დეპეშა პირადად ანდრეიმ მიიღო. ის იყო, ამის დასტურად ბარათზე ხელიც მოაწერა და ფოსტიდან გამოსვლას აპირებდა, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა დააკავეს და ფორმალობის შესრულების მიზნით იქვე გადასცეს ბაქოელ კოლეგებს. ოპერმუშაკები ზეიმობდნენ — ხუმრობა ხომ არ იყო, საბჭოთა კავშირის მასშტაბით ანალოგიური აფერით კოვალიოვის ჩადენილი ორასოცდაექვსი დანაშაული იხსნებოდა. თუმცა ის იმედი ლამის იქვე, თვალწინ გამოეცალათ ხელიდან.

ის იყო, ბაქოელებმა ანდრეი ქუჩაში გამოიყვანეს, რომ ერთბაშად დაუსხლტა ხელიდან წესრიგის დამცველებს და ქუჩას მისცა თავი. წამიც და თვალსაც მიეფარებოდა, მაგრამ მოულოდნელად მოსახვევიდან გამოვარდნილი მანქანა დაეჯახა და ანდრეი უგონოდ დაასკდა ასფალტს.

— ვერ ვიხსენებ სხვა შემთხვევას, ფეხით მოსიარულისთვის მანქანის დაჯახების გამო, მძღოლისათვის რომ მადლობა ეთქვათ. იმ დღეს კი ყველანი მძღოლს ვეფერებოდით და იქით ვამშვიდებდით, — მიამბობს ავთანდილ ქიზიყურაშვილი, — ანდრეის ყალბი ბილეთის შემძენებს „ვოლგები“ ჩამოართვეს. სასამართლოზე ისიც გამჟღავნდა, როგორ „უტეხავდნენ“ ერთმანეთს სისხლით ნათესავები ყალბ ბილეთებში აღებულ ფულს. ბარე ორი თუ სამი ძმისშვილი და ბიძაშვილი გაილახა იმ დღეს სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე. ასე რომ, ყველაფერი გაირკვა, გარდა ერთისა. ვერავინ გაიგო, სინამდვილეში ვინ იყო ანდრეი კოვალიოვი. სასამართლოზე მისი ოცზე მეტი გვარ-სახელი ფიგურირებდა. თუმცა ერთი დეტალი მაინც გაცხადდა:

— ანდრეი კოვალიოვი არ იყო ლენინგრადელი კოვალიოვების შთამომავალი: მათი შვილი ნამდვილად დაიღუპა სამამულო ომში. არავინ იცის, ერია თუ არა ამ საქმეში ანდრეის ხელი, მაგრამ ფაქტია, რომ მან ამ ახალგაზრდასთან გარეგნული მსგავსებით ისარგებლა, ზედმიწევნით შეისწავლა მისი განვლილი ცხოვრება, ახლობლების წრე და მერე მის მშობლებს წარუდგა.

*P.S. ალბათ, დაბეჯითებით ვერავინ განსჯის, რა უფრო ჭარბობდა ამ საქციელში — ცოდვა თუ მადლი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ როცა ანდრეის სასამართლომ საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მისცა, მას შეწყალება არ უთხოვია — დარბაზს მუდარით სავსე მზერა მოავლო და მარტო ესღა ამოთქვა — ნუ შეატყობინებთ კოვალიოვებს, რომ მე მათი შვილი არა ვარ. მათ ერთხელ უკვე გამოიგლოვეს, ცოდონი არიანო.*

***ვაჟა გავაშელი***

ზურაბ მჭედლიშვილი
საკ. კორ. ამერიკიდან

ერაყის პრობლემის ირგვლივ მძვინვარე ბაქქანალიის ფონზე (სხვას ვერაფერს დავარქმევ იმას, რაც ადგილობრივ მასმედიაში, გაეროსა და აშშ-ევროპის ბევრ ქვეყანას შორის ურთიერთობაში ხდება), მცირე ხნით კვლავ გაიჟღერა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის პრობლემატიკის თემამ: აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ში, თეთრ სახლში გამორჩეულად გულთბილი მიღება მოუწყვეს. როგორც წინა პუბლიკაციაში აღვნიშნე, ნატოელ მოკავშირეებთან უთანხმოების პარალელურად, ვაშინგტონი ყველა დონეზე ავლენს განსაკუთრებულ კეთილგანწყობას აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი, რომლებიც ცალსახად უჭერენ მხარს ბუშის ადმინისტრაციას ერაყთან მოსალოდნელ ომში. ამ მხრივ გამონაკლისი არც აზერბაიჯანია, თუმცა, რა თქმა უნდა, ამერიკისთვის ამ ქვეყნების თანადგომა ვერ ავსებს ერაყის საკითხში აშშ-ის პოლიტიკისგან საფრანგეთისა და გერმანიის გამიჯვნით გაჩენილ ვაკუუმს... ბუში-ალიევის მოლაპარაკების შემდეგ თეთრი სახლის პრესმდივანმა არი ფლაიშერმა ფრიად საინტერესო განცხადება გააკეთა: „აზერბაიჯანი აშშ-ისთვის საკვანძო ქვეყანას წარმოადგენს ტერორიზმთან ბრძოლაში, გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებისა და ყარაბაღის კონფლიქტის სამართლიანი და მტკიცე დარეგულირების მიღწევის საქმეში... ანალიტიკოსთა ვარაუდით, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემთხვევაში, „ბოროტების ღერძის“ კიდევ ერთ სახელმწიფოში, ირანში, ალბათ დადგება ხელისუფლების შეცვლის საკითხიც და კასპიის ნავთობის დასავლეთში ტრანსპორტირების საკვანძო ქვეყნის სახელთან ერთად, აზერბაიჯანმა შესაძლოა ვაშინგტონისთვის მართლაც შეიძინოს „ტერორიზმთან ბრძოლის საკვანძო სახელმწიფოს“ სტატუსიც!

ამჯერად კი, ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ ბუშის ადმინისტრაცია თითქოს „თითებზე ითვლის“ ერაყის საკითხში თავისი მოკავშირე ქვეყნების რაოდენობას და არცთუ უსაფუძვლოდ. ამის შესახებ ქვემოთ.

ფაქტია, რომ ამერიკის პოლიტიკურ სცენაზე თავისი ინტერესების დაცვა-გატარების მცდელობისას, აზერბაიჯანი, უწინარესად, ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით, ყოველთვის წაგებული რჩებოდა ამერიკული მძლავრი სომხური ლობის „წყალობით“. დღეს სხვა ვითარებაა და ოფიციალური ბაქოს მიერ დაქირავებული პროფესიონალი ლობისტების გარდა, აზერბაიჯანის ინტერესების გამტარებლებად გვევლინებიან კასპიის ენერგოპროექტებით დაინტერესებული უმსხვილესი ამერიკული ნავთობკომპანიები და კანონმდებლები... საგულისხმოა, რომ მათ შორისაა სენატორი ბრაუნბეკიც (ბრაუნბეკმა შარშან პანკისის ხეობა მოინახულა და მისმა ნათქვამმა ორიოდ სიტყვამ — რა პატარა და რა ლამაზი ხეობა ყოფილაო — დასავლეთში უმალ მოსპო რუსეთის ხელისუფალთა და მასმედიის მიერ პანკისის ხეობაზე შექმნილი მითი). როგორც ერთმა პოლიტოლოგმა შენიშნა, „მართალია, პრეზიდენტი ალიევი ერაყის საკითხში ემხრობა ბუშს, მაგრამ თავის განცხადებებში გაცილებით ფრთხილია, ვიდრე მისი მეგობარ-მეზობელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც არა მხოლოდ მტკიცედ უჭერს მხარს ვაშინგტონს, არამედ სთავაზობს ყველაფერს, რაც ამ ქვეყანას შეუძლია შესთავაზოს და ამერიკელი სამხედროებიც მიიწვია საქართველოში... მაგრამ, აზერბაიჯანის, როგორც მუსლიმანური ქვეყნის პოზიცია ერაყის მიმართ, უდავოდ მნიშვნელოვანი და დასაფასებელია“. ბუშის ადმინისტრაციამ კვლავაც დაადასტურა თავისი მხარდაჭერა ბაქო-ჯეიჰანის პროექტისადმი, რომლის მშენებლობისთვისაც უახლოეს მომავალში ნახევარ მილიარდ დოლარს გამოყოფს. ამის გამო ამერიკის მემარცხენე პრესამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტიც და თეთრი სახლის ეს გადაწყვეტილებაც. ისიც კი თქვეს, „რეგიონის არასტაბილურობის გამო ეს ფული შეიძლება წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს, მაგრამ პრეზიდენტი ბუში ბოლომდე ემსახურება და ეხმარება უმსხვილეს ნავთობკორპორაციებს“. მაგრამ, რატომღაც, სიტყვაც არ დასცდენიათ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციის დროს ჩაეყარა საფუძველი და ოფიციალურადაც მის პერიოდში მოეწერა ხელი ხელშეკრულებას...

ამასობაში კი, ერაყის გამო ვაშინგტონთან პარიზისა და ბერლინის დაპირისპირებამ მოთმინების ფიალა აუვსო ამერიკულ ისტებლიშმენტსა და მასმედიას; ისინი აღარ მალავენ რისხვას და პირად გრძნობებსაც კი, ევროპელი მოკავშირეებისადმი; უკვე პირდაპირ უწოდებენ „ეგრეთ წოდებულ მოკავშირეებს“ და მეტიც — ხიჭვს... აშშ-ის უკანალში(!). სიმშვიდეს მხოლოდ ბუშის ადმინისტრაცია ინარჩუნებს, რომელმაც ბოლო დროს უპრეცედენტოდ გააააქტიურა დიპლომატიური ძალისხმევა და ცდილობს, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნები, ბოლოს და ბოლოს, დაიყოლიოს აშშ-დიდი ბრიტანეთის მიერ შემუშავებული რეზოლუციის მიღებაზე, რომელმაც ცალსახად უნდა მისცეს ვაშინგტონს სანქცია, განახორციელოს ერაყის ოკუპაცია და დაამხოს სადამ ჰუსეინის რეჟიმი. მაგრამ აქვე აღნიშნავენ იმასაც, რომ ომი გარდაუვალია (ამერიკულ პრესაში ომის დაწყების თარიღად, 17-24 მარტს ასახელებენ). ერთი კი ნამდვილად შეიძლება ითქვას, ამერიკა-ევროპის დამოკიდებულებაში დღემდე წარმოუდგენელი რამ ხდება: მიუხედავად აშშ-ის, საფრანგეთისა და გერმანიის ხელმძღვანელთა განცხადებებისა, რომ არანაირ დიდ განხეთქილებას მათ შორის ადგილი არა აქვს და მხოლოდ ერაყის საკითხში არის პოზიციათა პრინციპული სხვადასხვაობა, ევროპა და ამერიკა კვლავაც დემოკრატიის, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და ერთმანეთისადმი პატივისცემის ერთგულნი რჩებიანო, სამწუხაროდ, მასმედია წალეკა ანტიამერიკანიზმისა და ანტიევროპიზმის თემაზე დისკუსიამ; ეს ხშირად შეურაცხყოფასა და ლანძღვა-გინებაში გადადის: ამერიკელები თათხავენ ევროპელებს, განსაკუთრებით ფრანგებს, ევროპელები კი, ამერიკელებს. მეტიც, თუ სოციოლოგიურ გამოკითხვათა შედეგებს ვენდობით, საფრანგეთის, გერმანიისა და თვით დიდი ბრიტანეთის საზოგადოებები, რომლებიც უკანასკნელი 50 წლის მანძილზე უახლოესი მოკავშირე-თანამოაზრენი იყვნენ ამერიკისა და მისი საზოგადოებისა, თანდათან ემიჯნებიან მას. ამჯერად ევროპელთა ყურადღება კონცენტრირებულია აშშ-ის პოლიტიკაზე ერაყთან მიმართებაში, რასაც სასტიკად გმობენ და არც ამერიკელები რჩებიან ვალში; მაგრამ ანალიტიკოსთა მტკიცებით, ევროპელთა ანტიამერიკულ და ამერიკელთა ანტიევროპულ განწყობილებებში ახალი არაფერია.

ჯერ კიდევ 1953 წელს ფრანგი მწერალი ჟან-პოლ სარტრი სერიოზულად ამტკიცებდა, აშშ დაავადებულია... ცოფითო! ხოლო, როცა 60-იან წლებში პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა საფრანგეთიდან გააძევა ნატო და თავისი ქვეყანა მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოლიტიკურ წევრად დატოვა, ამის გამო, მართლაც გაცოფებული ამერიკელები აღარ ყიდულობდნენ ფრანგულ ღვინოს და კოსმეტიკას. მაგალითად, ნიუ-იორკში დღემდე ახსოვთ რესტორნებისა და მაღაზიების მფლობელნი, რომლებმაც, დე გოლზე განრისხებულებმა, კანალიზაციაში მიუშვეს ფრანგული ღვინო და შამპანური! საინტერესოა, რომ იგივე მეორდება დღესაც. ამერიკული საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლებიც და რიგითი მოქალაქეებიც მოუწოდებენ მოსახლეობას, არ იყიდონ ფრანგული ღვინო და სუნამოები, გერმანული „მერსედესები“ და „ბმვ“-ები(!). საქმე იქამდეც მივიდა, რომ თითქოსდა ამ დაპირისპირების გამომწვევ „სექსოლოგიურ სარჩულსაც“ მიადგნენ და ამ „თემის კვლევაც“ დაიწყეს(!). მაგალითად, აი, რას წერს ცნობილი ბრიტანელი მწერალი და პუბლიცისტი ტიმოთი გარტონ ეში: „თუ ანტიამერიკულად განწყობილ ევროპელებს ამერიკელები წარმოუდგენიათ ხარბ, თავზეხელაღებულ და ჩხუბისთავ კოვბოებად, ანტიევროპელ ამერიკელთა თვალში ევროპელები არიან... „განაზებული გეები“(!). ამერიკელი გახლავთ ძლიერი ჰეტეროსექსუალი მამაკაცი; ევროპელი კი — ქალი, იმპოტენტი, ან საჭურისი(!). მათივე აზრით, სამხედრო თვალსაზრისითაც, ევროპელები უვარგისნი არიან, რომლებმაც თავიანთ კონტინენტზე ვერ აღკვეთეს ხალხთა გენოციდი, ვერ მოაგვარეს ვერც ერთი ბოლოდროინდელი კონფლიქტი, უწინარესად — ბალკანეთზე; ადრე კი ორი მსოფლიო ომის გაჩაღების მიზეზნი გახდნენ. დღესაც ვერაფერს უპირისპირებენ რეგიონალურ თუ გლობალურ გამოწვევებს“. მსგავსი გამოთქმებით, „მოსაზრებებითა და არგუმენტებით“ სავსეა ამერიკული პრესა. რა თქმა უნდა, არც ევროპელები აკლებენ ხელს! დარტყმა და შეურაცხყოფა უკვე იგემეს სახელმწიფოთა ლიდერებმაც. ვაშინგტონის უერთგულეს მოკავშირეს, ტონი ბლერს, თავის სამშობლოში უწოდებენ „ბრიტანეთის პარლამენტის წევრს... ტეხასის შტატიდან“. პრეზიდენტი ბუში „რანგით“ სადამ ჰუსეინს, მისი პოლიტიკური მეთოდები კი ადოლფ ჰიტლერისას გაუტოლეს! მაგრამ ატლანტის ოკეანის ორივე სანაპიროზე გაჩაღებულ ამ გაუგონარ აურზაურში მთავარ დუელანტებად მაინც აშშ და საფრანგეთი ჩანან. ამერიკულ პრესაში ძალიან მოდაშია ფრანგების მოხსენიება მებაყაყეებად (იგულისხმება გურმანი ფრანგების განსაკუთრებული სიყვარული ბაყაყის ბარკლებისადმი), რომლებიც, ამერიკელთა ირონიული შეფასებით, 1870 წლიდან დახელოვნებულ-დაოსტატებულნი არიან მხოლოდ და მხოლოდ „ხელოვნების“ ერთ დარგში — ომისას ყოველთვის უკან იხევენ, შემდეგ კი გარბიან, ან ბაყაყურს უსვამენ! ჟაკ შირაკს „მოღრიალე ვირთხას“(!) ეძახიან.

## დღემდე წარმოუდგენელი რამ ხდება

### „ჩხუბისთავი კოვბოი“, „მოღრიალე ვირთხა“, „მებაყაყეები“ და „იმპოტენტი ევროპა“...








მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ექსპერტთა უმრავლესობას, საბედნიეროდ, მიაჩნია, რომ ეს მოვლენა დროებითია, რომ ორ კონტინენტს გაცილებით მეტი მტკიცე ძაფი და ფაქტორი აკავშირებს, ვიდრე კონფლიქტის გამომწვევი ძალები და მიზეზები, რომ ადამიანებმა შეიძლება აკრიტიკონ, ბევრი საწყენიც უთხრან ერთმანეთს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ამერიკელებს არ სურდეთ ევროპელებთან მეგობრობა, ან პირიქით! ნიშანდობლივია, რომ ამ დღეებში აქ ძალზე პოპულარულია თომას ჯეფერსონის სიტყვებიც: „ყოველ ადამიანს ორი სამშობლო აქვს, საკუთარი და — საფრანგეთი“.

# „10.000 დოლარი სიზმარშიც არ მინახავს“

## „მე ვენდე, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთ ბოროტებას ჩაიდენდა...“

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

— **ბატონო მიხეილ, ზვიად კვირიკაძე გადანაშაულებთ ფულის გამოძალვის პროვოცირებაში. საიდან იცნობთ ზურა აბულიძეს და რა კავშირი გქონდათ მასთან...**

— აბულიძე ბაზარში გავიცანი. მისგან ყველს ვყიდულობდი ხოლმე. ერთხელაც აღარ დამხვდა. 56 წლის კაცია. ვიკითხე იქვე, მის თანასოფლელებში, სად არის-მეთქი. ვალები დაედო და აღარ მოდისო. დაახლოებით 5 თვე გავიდა და შემთხვევით შემხვდა ბორჯომის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე. გამომეცნაურა და მითხრა: ბატონო მიშა, იქნებ დამეხმაროთ, მინდა თბილისის ვაგზალზე ვივაჭრო, იქნებ სავაჭრო მაგიდა ჩამადგმევინოთო. შემეცოდა და განყოფილებაში დავიბარე, დავპირდი სადგურის უფროსს ვეტყვი და ინდმეწარმის საბუთს გაგიკეთებთ-მეთქი. მართლაც მოვიდა, მაგრამ მაშინ არ გამოვიდა და ვუთხარი, ცოტა ხანი მოიცადე-მეთქი. მაინც მოდიოდა, მიდიოდა. ერთხელაც მოვიდა და თქვა: ძმისშვილი დამეღუპა და იქნებ დამეხმაროთ ფულის ამბავშიო. რაღაცა გამოვუნახეთ, 150 ლარი მოვუგროვეთ. ეს იყო დაახლოებით 2 წლის წინ, გაზაფხული იქნებოდა. წავიდა და წავიდა, აღარ გამოჩენილა.

— **საბაჟოს სამსახურის ამბავი?**

— არა, არა. ეს ტყუილია, როგორ აგიხსნათ? საბაჟოსთან არანაირი შეხება არა მაქვს. პოლიციაშიც რომ ეთხოვა სამსახური, 56 წლის კაცს პოლიციაში ვინ მიიღებს?! 10 ათასი დოლარი რომ ჰქონოდა, მითხარით, აქ მოვიდოდა?! თქვენ გჯერათ, რომ მას 10 ათასი დოლარის მოცემა შეეძლო?!

— **მე თქვენგან მაინტერესებს პასუხი... ფაქტია, რომ ის დაუკავშირდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელს და სთხოვა დახმარება, რათა როგორმე დაებრუნებინა თქვენთვის მოცემული 10 ათასი დოლარი...**

— მოიცადეთ, მოიცადეთ, ყველაფერს მოგიყვებით. გასული წლის 24 მაისია, დილით ვიღაცას დაურეკავს ჩემთან, მეუღლისთვის უთქვამს, ზვიად კვირიკაძე ვაროო. თქვენს მეუღლეს გადაეცით, ამ ნომერზე გადმომირეკოსო. დავრეკე. იღებს ტელეფონს და მეუბნება, რომ „ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდიდან“ ვარო. დახმარება სჭირდება ჩვენს საერთო მეგობარს ზურაბ აბულიძესო. თავიდან ვერც მივხვდი, ვისზე იყო ლაპარაკი. მერე გამახსენდა და ვკითხე, ცუდი ხომ არაფერი შეემთხვა-მეთქი. მეუბნება, პარლამენტში ვმუშაობო, მერე ამბობს, თევდორაძის კომიტეტიდან ვარ, გიორგი თევზაძეა მოადგილე და მასთან ვმუშაობო. კი, ბატონო, სად მოვიდე-მეთქი. ღამის 10 საათზე დაინიშნა შეხვედრა -ელ საშუალო სკოლასთან. ვუთხარი ხელმძღვანელობას, საქმის კურსში ჩავაყენე. მე რა ვიცი, ვინ არის, იქნებ მკლავს. დაიგვიანა. წასვლას ვაპირებდი, რომ მოვიდა. პატარაა, ლაწირაკი, 23 წლის ბიჭი, ჰალსტუკისხელა არ იყო. მეკითხება: თქვენ ბრძანდებით მიხეილ ბერიძე? მე ბატონი ზვიად კვირიკაძე ვაროო. ჩავსხედით მანქანაში. იწყებს ასე: ჰოდა, ასეა საქმე. ჩვენთან განცხადებაა შემოსულიო. სად თქვენთან, შენი საბუთი მაჩვენე-მეთქი. რა არის, არ მენდობით, გინდათ, ნარჩემაშვილს დავურეკავ, ბლოკნოტი პარლამენტში დამრჩა, საბუთიც იქ მედოო... მერე მეუბნება, აბულიძეს საბაჟოზე მოწყობას შეჰპირებიხარ, 10 ათასი დოლარი გამოგირთმევია, დანაპირები ვერ შეასრულე და ის ფული უნდა დაუბრუნოო. შენ სულელი ხომ არ ხარ, ვინ ხარ, საიდან მოხვედი, რა ათი ათასი დოლარზე მელაპარაკები-მეთქი! არანაირი კაპიკი არ ამიღია! წადით შენ და ზურაბ აბულიძე და სადაც გინდათ იქ მიჩივლეთ-მეთქი. მპასუხობს: არ მინდა, რომ სამსახური დაკარგოო, სამსახურს აღარ ვჩივი, 10 ათასი დოლარი სიზმარშიც არ მინახავს-მეთქი. მე-13 სართულზე ვარ გამოკიდებული გუგულივით, შემოდი ჩემს სახლში და ნახე, რა ათი ათასი დოლარის პატრონი ვარ-მეთქი... იმ მომენტში და მყავდა გაჭირვებული. 15 წლის გოგოს ხერხემლის ოპერაცია გავუკეთეთ. ფული არ გვქონდა და გადარიცხვებზე დავრბოდით ხან ჯანდაცვის სამინისტროში და ხან ნინო ბურჯანაძესთან. 10 ათასი დოლარი რომ მქონოდა, იქ გავიქცეოდი?! ჩამოვიდა 5 ათას დოლარზე. სულელია რა. აგრძელებს: ხომ იცით, პოლიციას როგორ აქვს სახელი გატეხილი, შენ არავინ დაგიჯერებს და მოდი 5 ათასი დოლარი მოიტანეო. არ მეშვება! იმ ზომამდე მიმიყვანა, კინაღამ თავზე ხელი ამაღებინა, შეიძლებოდა დღეს ის ცოცხალი აღარ ყოფილიყო და მე ვმჯდარიყავი ციხეში. გავგიჟდი. პრაქტიკულად მღუპავდა შანტაჟით.

— **საუბარი რით დამთავრდა?**

— ოთხშაბათს დაგიკავშირდები და 5 ათას დოლარს მოიტანთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი საქმე ცუდად იქნებაო. კიდევ ვეუბნები, ამ საქმეში გასვრილი არ ვარ, ახალგაზრდა ბიჭი ხარ და დამანებე თავი-მეთქი... გადის რამდენიმე დღე და ეს ბატონი ზვიად კვირიკაძე მირეკავს, მინიშნავს შეხვედრას კაფე „21 საუკუნეში“. ხელმძღვანელობა ჩავაყენე საქმის კურსში და მივედი. დამხვდა იქ ზურა აბულიძე. ზურა აბულიძეს ვეკითხები: რა 10 ათასი დოლარი ავიღე შენგან-მეთქი! პირზე დამადგა, როგორ არ აიღე, საბაჟოზე მოწყობას არ შემპირდიო?! აბულიძე მიყვიროდა და მაგინებდა. კვირიკაძე აჩუმებდა: გაჩერდი, ჩემი თანდასწრებით ამას როგორ ბედავო. მერე მე მეუბნება: კაროჩე, რამდენს მოიტანო! ხუთი ათასიდან ცოტა ხნის შემდეგ 2 ათასზე ჩამოვიდნენ. რაში, — ვკითხულობ. მერე ათას დოლარზე ჩამოვიდა. გამიკვირდა: რა არის, 9 ათას დოლარს მჩუქნით, რა გულკეთილები ყოფილხართ-მეთქი... არ მინდოდა მე მაგის ციხეში გაშვება. გამამწარეს. 12 დღე არ მომეშვნენ. წავედი, პატაკი დავწერე სამმართველოს უფროსის და შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის სახელზე. არ მიმემართა?! ასე ჩატარდა ეს ოპერაცია.

— **მოჰყევით ოპერაცია...**

— 2 ივნისის არჩევნები რომ იყო, „ნაგლად“ მოვიდა სამსახურში და უფროსის, მერაბ ლიპარტელიანის თანდასწრებით მეუბნება: რა არის, ფული არ უნდა მოიტანოო. მოკლედ, მერე დარეკა. უკვე ფარული ჩაწერა მიდიოდა, დავთანხმდი 1.000 დოლარზე, იცით, რა მითხრა? დიდუბეში, ერთ კუთხეში ჯიხურია და რომ მიხვალ, ფული იქ შეაგდეო. მე ვუთხარი, 1.000 დოლარი 10 ლარი ხომ არ არის, რას ჰქვია შევაგდო-მეთქი. ამის ჩანაწერი არსებობს. ვუპასუხე: ამ ფულს მე ვერსად ვერ შევაგდებ. მოდი ზურა აბულიძესთან ერთად და წაიღეთ ეს ფული-მეთქი! პეკინის ქუჩაზე „ელექტრონიკასთან“ შევხვდი. მანქანაში ვეკითხები: იცი, რაში გიხდი ბიჭო ფულს, იმაში, რომ გაზეთებში არ გამომაქვეყნო-მეთქი?! რვაასი დოლარია, მეტი არ მაქვს-მეთქი. კაი, ხარაშოო, მომეცი ეგ ფულიო. მივეცი და ეს ფული მარაოსავით გაშალა და გახედა შუქზე, ყალბი ხომ არ არისო. ზურა აბულიძე არ მოვიდა. გადმოვიდა თუ არა კვირიკაძე მანქანიდან, დააკავეს. ეს ოპერაცია დაგეგმილი იყო. არ უნდა დაეკავებინათ?! დაკავების შემდეგ გიორგი თევზაძეს დავურეკეთ. კვირიკაძე სამსახურიდან 9 თვის გამოგდებული აღმოჩნდა. თურმე ძველი პირადობის მოწმობით სარგებლობდა, ყველაფერი აღიარა. პატიებაც კი მთხოვა, ჩემი ცოლი რომ გაიგებს, მტკვარში გადახტებაო. გიორგი თევზაძესაც ველაპარაკე, ძალიან კარგი პიროვნებაა. რაიმე წინააღმდეგობა მათი მხრიდან არ ყოფილა. უბრალოდ მითხრეს, იქნებ აპატიოო. აბულიძე რომ მოსულიყო იმ მომენტში, მასაც დააკავებდნენ. ახლა მასზე ძებნაა გამოცხადებული... მე თვითონაც არ მინდოდა ასე მომხდარიყო.

— **კვირიკაძემ პირი ამოიკერა პროტესტის ნიშნად...**

— მოდაში შემოვიდა. რა ვქნა, ამოიკეროს. ადვოკატიც მოვიდა, იქნებ აპატიოო. აღიაროს დანაშაული და ვაპატიებ.

P.S. „კვირის პალიტრამ“ ასევე სცადა დაკავშირებოდა გიორგი თევზაძეს, სამწუხაროდ, მას მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა.

*მარინა მამისაშვილი*

# გმირთა სიხარული



ლევან გოთუა

ადამიანმა რაიმე ღირებული რომ შექმნას, სულაც არ არის დამოკიდებული იმაზე, რა დროში და რა პირობებში ცხოვრობს. კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს: „ყველა დრო კარგია, თუ კაცს კარგი თავი აბია“-ო. ჭეშმარიტად.

თურმე ვაჟა-ფშაველა შუაცეცხლის სინათლეზე ქმნიდა თავის შედევრებსო, ფშაურ ხინკალსაც მიირთმევდა და ზედ ჟიპიტაურს, ხან კი ლუდს აყოლებდაო. იმასაც ამბობენ, ლევან გოთუამ „გმირთა ვარამი“ ვორკუტის საპატიმროში, 50⁰-იან ყინვაში დაწერა. თუ რას ჭამდა და სვამდა, იმაზე თავს იკავებენ. ერთი სიტყვით, დრო, ცხოვრების პირობები თუ წარმომავლობა არ ყოფილა მთავარი. მთავარი ნიჭია, ნიჭი, რაზედაც გრიგოლ ორბელიანმა ბრძანა: „ნიჭს აძლევს მხოლოდ ზენა კაცს და არა გვარიშვილობას“. ეს ისე, სხვათა შორის ვთქვი, თორემ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, როგორ ოჯახში აღიზარდა ლევან გოთუა...

მინდა გიამბოთ ჩემს სკოლის მეგობარზე, სოსო ჯანიკაშვილზე. უთავბოლო წუთისოფელმა სხვადასხვა გზა გვარგუნა... ის დარჩა ცხოვრების უკულმართობასთან მებრძოლი, გაიზიარა ლევან გოთუას სვებედი, წაიკითხა „გმირთა ვარამის“ ხელნაწერი, ხუთი ათასი გვერდი და წილად ხვდა ამ ისტორიული რომანის მესამე წიგნის აწყობა ლიტოპონზე. ესეც ხომ გმირობაა.

## ქათმის კუჭი

საშუალო სკოლა რომ დავამთავრეთ, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა. გადავწყვიტეთ, გამოსაშვები საღამო მოგვეწყო. მართალია, ფარდებჩამოფარებულ ბინაში ვილხენდით, მაგრამ საღამო ყველას დაამახსოვრდა ერთი უწყინარი კურიოზის გამო. თანაც ეს ჩვენი ბოლო ერთად ყოფნა იყო, ბევრი ჩვენი კლასელი ისე წავიდა ამ წუთისოფლიდან, რომ ერთურთს მეტად აღარ შევხვედრივართ.

დირექტორმა მოგვილოცა სკოლის დამთავრება და დაგვარიგა, — ახლა ხელთა გაქვთ ცხოვრების საგზური და თქვენს გონივრულ ნაბიჯზე იქნება დამოკიდებული თქვენი მომავალიო. მცირე პაუზის შემდეგ თამადად ჩვენივე კლასელი „ჯაყო“, ილია დაასახელა.

თამადამ ღირსეულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ჩვენებური ადათ-წესით, თამადას ოხშივარავარდნილი ცხელ-ცხელი დედალი გადააწოდეს, რათა დაეჭრა და სუფრა დაემშვენებინა. არ ვიცი, ყველამ იცის თუ არა, რომ ქათამი და კუჭი 21 ნაწილად იჭრება (თავ-ფეხის გარდა). ილიამ ეს რიტუალი საოცრად ლამაზად შეასრულა. ჯერი კუჭის დაჭრაზე მიდგა, მაგრამ კუჭი თვალსა და ხელს შუა გამქრალიყო! ქათამი კი, გინდ დაჭრილი და გინდ დაუჭრელი, უკუჭოდ ქათმად არ ითვლებოდა. ადათ-წესის თანახმად, დამჭრელს ცოცხალი ქათმის მოყვანა ევალებოდა. თამადამ იხტიბარი არ გაიტეხა. ვილაცამ გაამხნევა — იქნებ ქათამი უკუჭო იყოო. ილიამ აქეთ-იქით მიმოიხედა. მარჯვნივ მასწავლებელი ეჯდა, მარცხნივ — სოსო და კუჭის მოპარვა მას დაბრალდა. რა იცოდნენ, რომ ქალამანში ჩამალული ცხელი კუჭით კინაღამ ფეხი დავიფუფქე...

გასაკვირი კი ის გახლავთ, რომ ქათამ-კუჭის ამბავი ათი წლის შემდეგ ერთმა „მკითხავმა“ ისე ზუსტად ჩაგვიკაკლა მე და სოსოს, თითქოს იმ გამოსაშვებ საღამოზე ჩვენ გვერდით მჯდარიყო.

...მე უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე შევედი, სოსო ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ეს არავის გაჰკვირვებია, მასწავლებლები კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა აკაკისა არ იყოს, „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა“... სოსოს ცხოვრების ჩარხი უკულმა დატრიალდა, ერთი სემესტრის შემდეგ დააპატიმრეს... ისე ჩაიქროლა ჩემი სტუდენტობის „ოქროს ხანამ“, რომ მიხედ-მოხედვაც ვერ მოვასწარი. სამუშაოდ რუსეთში გამამწესეს. წასვლამდე კახეთში გავემგზავრე თელავის მატარებლით და სრულიად შემთხვევით, ათი წლის შემდეგ, მე და სოსო ერთ ვაგონში აღმოვჩნდით. ის ცხოვრების ბორბალს თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში მიეყვანა...

## „მკითხავი?“

მარტო ვიჯექი კუპეში. ნავთლუღში „ვილაცამ“ შემოიხედა, მომესალმა და შემცბარი უკან გაბრუნებას აპირებდა — ალბათ ჩემი გეოლოგიური კოსტიუმი ვაგონის გამყოლის ფორმად მიიჩნია, მას კი ბილეთი არ ჰქონდა ისევე, როგორც მე. სალამზე ვუპასუხე და მივაძახე, — მისამართი არ შეგშლია-მეთქი. ხმა ეცნაურა, გაოცებულს თვალებში სიხარულის ცრემლები აუკიაფდა, გადამეხვია.

მატარებელმა ივრის ხიდი გადაიარა, სადგურს მიაკივლა და გაჩერდა... როცა დაიძრა, მოვბრუნდით. კარში თეთრებში გამოწყობილი ქალი

> **...საქართველოში ყოველი საქმე — ბრძოლაა, შრომაცაა და ქეიფიც კი, ცუდი ისაა, საერთო სიკეთეს ყველაზე მეტი ბრძოლა სჭირდება ჩვენში.**
> **...სამშობლოში დაბრუნების გზა უფრო გრძელია, ვიდრე სამშობლოდან უცხოეთში მიმავალი.**
> **...უპატიოსნო დროში უპატიოსნო მედროვენი ყველაზე უფრო დიდენ თავს პატიოსნებაზე და ამ საფარავის დასაცავად მზად არიან, ახალი ბოროტებაც ჩაიდინონ.**
> *ლევან გოთუა*

იდგა. მარჯვენა ხელი ასწია და რიხიანად მოგვესალმა, — ათი წლის უნახავ ძმაკაცებს გაუმარჯოსო. სახელებითაც მოგვმართა. უბოდიშოდ დაჯდა და დაგვემგზავრა. სიტყვის თქმა არ გვაცალა, დაზეპირებულივით ჩამოარაკრაკა, — ერთი ღვთისმოსავი, დამიზეზებული ქალი ვარ, ღმერთმა მკითხაობა დამანათლა, ამით ვირჩენ თავს, მანავში ჩავდივარ, მარიამ-ჯვარში ვარ მისასვლელი. ჩასვლამდე გიმკითხავებთ, თქვენი ფული არ მინდა. ფული რომ გქონოდათ, ბილეთს აიღებდითო.

ჩვენი დუმილი თანხმობის ნიშნად მიიღო. ჯერ ქათამ-კუჭის ამბავი ჩაგვიჭიკჭიკა, ისიც ზუსტად გვითხრა, რა წიგნები აღარ დავუბრუნეთ სკოლის ბიბლიოთეკას. ერთი სიტყვით, სიმართლეს ლაპარაკობდა. სკოლის შემდგომ პერიოდზე სიტყვა არ დასცდენია.

გუმანით ვგრძნობდი, თავს მოხვეული მკითხაობის უკან დიდი „ძაღლის თავი იყო დამარხული“.

...მანავის ბაქანს ვუახლოვდებოდით. „მკითხავი“ თავაზიანად დაგვემშვიდობა და გვითხრა, — ბაქანზე გადმოიხედეთ, თქვენს მომავალზე იქიდან გეტყვითო. გადავიხედეთ. ამოგვძახა, — ორივე მალე რუსეთში აღმოჩნდებით. გეოლოგი სამუშაოდ, შენ კი, სოსო, ცივ გალიაშიო, თან თითები გისოსებივით გადააჯვარედინა, მერე ათივე თითი გაფარჩხა, ე.ი. ათი წელიო.

ნუ გაოცდები, მკითხველო, ჩვენს დროში ასეთი მკითხავები ყველგან იყო, ზოგი განათლებული, უმაღლესდამთავრებული. ისინი ერთ საქმეს ემსახურებოდნენ — უშიშროებას! ჩვენი მკითხავთან შეხვედრაც უშიშროების დაგეგმილი გახლდათ.

> **...ქართველობა — საქმით ქართველობაა... და არა მარტო დაბადებითა და სიტყვით. ერის უკვდავებას ბუნებითა და მონოდებით ქალი უფრო ემსახურება. ერის დიდება კი მამაკაცის ასპარეზობაა.**
> **...ღალატი მარტო ის კი არ არის, მტრის მხარეზე რომ გადახვალ და სამშობლოს ებრძვი, არამედ ისიც, მტრის საქმეს რომ შეაღევ შენს ძალასა და სიცოცხლეს, სამშობლოს კი მოაკლებ ან სულ დაუკარგავ.**
> *ლევან გოთუა*

## სადაურსა სად წაიყვან...

სულ მალე, 1952 წლის თებერვალში, ცენტრალურ რუსეთში, ე.წ. კურსკის მაგნიტურ ანომალიაზე ვმუშაობდი.

გეოლოგიის ცოდნაში არავის დავაჩაგვრინებდი თავს, მაგრამ რუსულ ენაში მოვიკოჭლებდი, რაც, ჩემდა გასაკვირად, მოკლე ხანში დავძლიე. ეგ არის, რომ ქართული მავიწყდებოდა. მართალია, რადიოთი რამდენჯერმე მოვისმინე საქართველოში იმ დროისათვის პოპულარული მომღერლის ტატიანა მახარაძის სიმღერა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა და სასწრაფოდ თელავში წერილი ვაფრინე სოსოსთან — ქართული წიგნები გამომიგზავნე-მეთქი. პასუხი არ ჩანდა. ზამთარიც გავიდა, გაზაფხულიც მიიწურა და ველიდან დაბრუნებულს ფოსტალიონმა მომაკითხა, დავთარზე ხელი მომაწერინა და წერილი გადმომცა, რომელსაც შავი შტამპი ეკრა — Воркута. სოსოსი აღმოჩნდა...

მოგვიანებით, დედამისისაგან გავიგე, — სოსოს სამშობლოს „ღალატისთვის“ ათი წელი მიუსაჯესო. თურმე მოსამართლემ ჩემი წერილი გადასცა და ნიშნისმოგებით უთხრა, — მისწერე შენს მეგობარს, როგორ აგიცხადდათ ნამკითხავებიო. სოსო ვორკუტაში გადაასახლეს. 1700 წლიდან ეს მხარე პოლიტიკურ დამნაშავეთა საპყრობილე იყო. ეს ტრადიცია არც საბჭოთა რუსეთს დაურღვევია. სოსო მწერდა: „ჯოჯოხეთში ვიმყოფები და წარმოიდგინე, თავს „ბრწყინვალედ“ ვგრძნობ, რადგან აქ უფრო ბევრი მამულიშვილი, პატრიოტი და ნიჭიერი ქართველია, ვიდრე იქ, საიდანაც მე და შენ გამოგვისტუმრეს. აქ ხომ ლევან გოთუაა, რომლის „გმირთა ვარამი“ ხუთი ათასი გვერდი იქნება, თუ დამცალდა, მას ხელნაწერში წავიკითხავ...“

ბოლო წერილი დათარიღებული იყო 1955 წლის 10 მარტით: **„იქნებ მანდ, საქართველოში, არც კი იციან, რომ 10 მარტი ლევან გოთუას დაბადების დღეა. ჩვენ კი აქ, სამშობლოს „მოღალატეებმა“, მას 50 წლის იუბილე გადავუხადეთ. ძალიან ბევრი თბილი სიტყვა ვუთხარით, ბევრი და ამაღელვებელი. მეც ჩემი გულის ნადები პატარა ლექსით გამოვხატე:**

*„ჩვენი დიდო მწერალო,*
*ჩვენო ლევან გოთუა,*
*კატორღაში ცხოვრება გვითხრან,*
*ურიგო თუა,*
*გჯერათ, რომ დაამთავრებთ,*
*ჩვენს ვარამზე წერას,*
*ღმერთმა ნუ მოგიშალოს იმედი*
*და რწმენა.“*

ამის შემდეგ ჩვენი მიმოწერა შეწყდა... 1957 წელს ბევრი ქართველი დაბრუნდა „ჯოჯოხეთიდან“, ბევრმაც სამუდამო განსასვენებელი ვორკუტაში პოვა...

## ჩანაწერი ვარძიის შთაბეჭდილებათა წიგნში

გადასახლებიდან დაბრუნებული სოსო უკულმართმა ბედმა ისევ „სასაკლაოზე“ მიიყვანა — №1 სტამბაში, ლინოტიპზე სამუშაოდ, სხვა არჩევანი არ გააჩნდა. მეც იქ მივაკითხე იმ დროს, როცა ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ მესამე წიგნის აწყობას ამთავრებდა ლინოტიპზე. ვუყურებდი, ცხელ სტრიქონებად როგორ იკინძებოდა წიგნის ბოლო სიტყვები... სოსომ მანქანა გააჩერა და სწორედ ამ დროს მოგვიახლოვდა სიმპათიური მამაკაცი, ხელი ჩამომართვა და გამეცნო — ლერი გამგებელი გახლავართო და სოსოს მიუბრუნდა, — საცაა, ლევან გოთუაც გამოჩნდება, ვიდრე ტანსაცმელს გამოიცვლი, შენს მეგობარს თელავის ამბავს მოვუყვებიო და დაიწყო:

— სოსოს თაოსნობით თელავში წავედით ექსკურსიაზე. ერეკლე მეორის სასახლესთან მისულებს გვითხრეს, — დღეს ლევან გოთუას ვხვდებით თეატრში და მუზეუმი მოგვიანებით გაიღებაო.

ჩვენც თეატრისაკენ გავწიეთ.

მეტად საინტერესო შეხვედრამ კურიოზის გარეშე მაინც არ ჩაიარა. უკანა რიგიდან წამოდგა მამაკაცი და ხმამაღლა დაიწყო:

— ხალხო, ერთი მაგ პატიოსან ადამიანს შევეკითხოთ, განა არ მოიძებნება კაცი, რომ ჩვენი ვარამი და ისტორია დაწეროს?

არ ვიცი, ლევან გოთუა რას უპასუხებდა, მაგრამ სოსო წამოდგა და ხალხს მიმართა:

— რა გამოლევს საქართველოში მამულიშვილს და ნიჭიერ ადამიანს, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას თქმისა არ იყოს, მას დავკორტნით, სასიკვდილოდ გავწირავთ. ასე გავწირეთ თუნდაც სოლომონ დოდაშვილი, ისე ვესროლეთ ჩვენ, ყველამ, ილიას შუბლში ტყვია ხელის აუკანკალებლად. ვინ იცის, კიდევ რამდენია ამოღებული მიზანში და ჩასაფრებული ვართ გატენილი თოფით. თქვენს წინაშე რომ დგას ადამიანი, განა ჩვენ არ დავწამეთ სამშობლოს ღალატი? ესროლეთ... რას უცდით... ესროლეთ! — სოსოს სიტყვები ანაზდად ფეხზე წამომდგარი ხალხის ტაშმა დაფარა.

ამ ლაპარაკში ძვალმსხვილი, არც ზედმეტად გამხდარი და არც ზედმეტად ხორცსავსე, მხრებში ოდნავ მოხრილი ვაჟკაცი მოგვიახლოვდა — ლევან გოთუა გახლდათ. ხელი ჩამოგვართვა, მადლობა გადაუხადა სოსოს წიგნის დამთავრებისათვის და ის და ლერი წავიდნენ დაბეჭდვის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

მაშინ ახალციხეში ვმუშაობდი და სოსო მესხეთში მივიპატიჟე.

...ახალციხის უშიშროებამ იმავე დღეს იცოდა სოსოს ჩამოსვლა და არ გვაკლდა აგენტურის თვალი. „კაგებეს“ ამალა ვარძიაშიც გამოგვყვა.... ექსკურსიამძღოლმა იკითხა, — ვინ ისურვებს შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერასო. სოსომ კალამი მოიმარჯვა. ჩვენ გარშემო წრე შეკრეს, ელოდებოდნენ, რას ჩაწერდა სამშობლოს „მოღალატე“. მან კი შეხედა თამარ მეფის ფრესკას და წერა დაიწყო: *„ათას ჭირ-ვარამგამოვლილო ჩემო პატარა სამშობლო საქართველო! ნეტავი როდის დადგება დრო, რომ ქართველებმა ვისწავლოთ ბოროტის და კეთილის, ბნელის და ნათელის, სიყვარულის და სიძულვილის, მტრისა და მოყვარის გარჩევა, მაშინ ჩვენში „გმირთა ვარამი“ კი არა, დაიწერებოდა „გმირთა სიხარული“. ს.ჯ.“*

***დავით ყანდაშვილი***


ღია კარის დღე ამერიკულ აკადემიაში

19 მარტს, 17 საათზე ამერიკულ აკადემიაში ჩატარდება ღია კარის დღე 2003-2004 სასწავლო წელს მე-9 კლასში სწავლის გაგრძელების მსურველებისა და მათი მშობლებისათვის.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 37ა (ახალი ეკლესიის უკან). დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ: 22 74 41; 22 78 89




## რას გვეტყვი, მამაო?

**— რას ფიქრობთ ინდური ფილოსოფიური მოძღვრების, იოგას მიმდევრების მიერ ჩადენილი სასწაულების შესახებ, როგორიცაა ნაკვერჩხლებზე გავლა, 40 დღის განმავლობაში დამარხულ მდგომარეობაში ყოფნა და ა.შ. რა ძალა ეხმარება მათ ამ სასწაულების ჩადენაში?**

— ისეთ „სასწაულებს“, რომლებსაც იოგას მიმდევრები სჩადიან, სხვა რელიგიების წარმომადგენლებიც აღასრულებდნენ — კარგად ნავარჯიშებ, დახელოვნებულ ადამიანს მართლაც შეუძლია ისეთი რამ გააკეთოს, რაც ხალხს აოცებს. მაგრამ სასწაული მაშინ არის ჭეშმარიტი, როცა გაოცებისთვის, გარეგნული ეფექტისთვის კი არ ხდება, არამედ ადამიანის სარგებლიანობისთვის. ამ თვალსაზრისით, ყველაზე დიდ სასწაულებს თვით უფალი და ეკლესიის მამები აღასრულებდნენ. როცა საჭირო იყო, მიცვალებული გაუცოცხლებიათ. იოანე ზედაზნელმა ჭიქა გააჩერა ჰაერში, შიო მღვიმელმა ხელისგულზე დაიწყო ნაკვერჩხლები, ხოლო ისე წილკნელმა წყალს კვერთხი დაჰკრა და მდინარე აღმართს შეუყვა. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ სულიწმინდა სამყაროს ოთხივე სტიქიას იმორჩილებს: წყალს, ცეცხლს, მიწას და ჰაერს, მაგრამ ეს თვითმიზანი არ გახლავთ და ეს ხდება ადამიანის რწმენის განმტკიცებისა და სულის და ხორცის გადარჩენისათვის. გირჩევთ, ნებისმიერი „სასწაული“ ამ თვალსაზრისით შეაფასოთ.

**— ოფიციალურია თუ არა გადასახადი ჯვრისწერისთვის, ნათლობისთვის, პანაშვიდის ჩატარებისთვის?...**

— სასულიერო წესის შესრულებისთვის არანაირი ოფიციალური გადასახადი არ არსებობს. შემოწირულობა მხოლოდ სურვილისამებრ შეგიძლიათ გაიღოთ და ის ეკლესიას, ეკლესიის მსახურებს, გაჭირვებულ მრევლს მოხმარდება. გვინდა იცოდეთ, რომ ღვთის მსახურთ სახელმწიფო ხელფასი არა აქვთ და შემოწირულობით ცხოვრობენ. თუკი შესაწირის გაღება არ შეგიძლიათ, ვერავინ დაგაძალებთ. პირიქით, ეკლესია თავად ეხმარება უამრავ უნუგეშოს. თუმცა, გვესმის ეს შეკითხვა რამაც გიკარნახათ — შესაძლოა გინახავთ როგორ მოითხოვა ღვთის მსახურმა ამა თუ იმ საეკლესიო წესის აღსრულებაში განსაზღვრული თანხა. გთხოვთ, ამ სიმახინჯეს ნორმად ნუ მიიღებთ, ეს ეკლესიის წესი არ არის. ქართულ ეკლესიაში უამრავი ადამიანია, რომელიც უანგაროდ მსახურობს.

**— აუცილებელია თუ არა ნათლულმა ნათლიის დასაფლავების დღეს დაანთოს კელაპტარი გარდაცვლილისთვის და თუ იმ დღეს ვერ მოახერხა, როდის შეუძლია ეს გააკეთოს.**

— ნათლულის მიერ ნათლიის დაკრძალვაზე სანთლის მიტანა ძალიან ლამაზი ქრისტიანული ტრადიციაა: როგორც ნათლიას ეჭირა სანთელი და ნათებით შეუძლვა ნათლულს ეკლესიის წიაღში, სულიერად დაბადებისას, ასევე ნათლულიც სანთლის ნათებით მიაცილებს მას სამუდამო განსასვენებელში. სასურველია, რომ სანთელი სწორედ დაკრძალვის დღეს დაინთოს, მაგრამ თუკი გარკვეული მიზეზების გამო ეს არ მოხერხდა, ნათლულს ყოველთვის შეუძლია ნათლიას სანთელი დაუნთოს და ლოცვებში მოიხსენიოს.

**— როდის არის ქართველი წმინდანის, ნანას მოხსენიების დღე?**

— ქართველი წმინდანის, დედოფალ ნანას მოხსენიების დღე მის მეუღლესთან, მეფე მირიანთან ერთად არის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# „ვფიქრობ, ჩემს ობიექტურ კრიტიკას ბატონი ასლანი საწყენად არ მიიღებს...“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

**— ზოგიერთმა უმადურობად მიიჩნია თქვენი საქციელი, — ასლან აბაშიძეს არც კი შეატყობინა, მის ბანაკს რომ ტოვებდაო. რატომ არ ჩააყენე იგი საქმის კურსში?**

— იმიტომ, რომ გადაწყვეტილებას ყოველთვის დამოუკიდებლად ვიღებ, რჩევებს კი მხოლოდ იმ ადამიანებისგან ვისმენ, რომლებიც ჩემი ბედით არიან დაინტერესებულნი...

**— ვინ გირჩიათ პარლამენტის დატოვება?**

— მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა, თუმცა ერთსულოვნად არ დაუჭერიათ მხარი. თვითონ ასე გადავწყვიტე და მიმაჩნია, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი.

**— პარლამენტში ყოფნამ ხომ არ დაგანახვა, რომ პოლიტიკა მართლაც ბინძური საქმეა...**

— ისევე, როგორც სხვაგან, პოლიტიკაშიც არიან ბინძური და სუფთა ადამიანები. თუმცა პოლიტიკაში თავის გაფუჭების მეტი შანსია, ვიდრე სხვაგან.

**— და ამ საფრთხეს გაექეცით?**

— დღეს ისეთი ვითარებაა, რომ გაწონასწორებული, საღად და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსების ადგილი ნაკლებად დარჩა. საარჩევნო ბატალიების დროს ყველაფერს პოპულიზმი და ვიწროპოლიტიკური ინტერესი წალეკავს. ჩემთვის კი მთავარი არ არის ნებისმიერი საშუალებით პოლიტიკასა და პარლამენტში ყოფნა. ვეცდები, სხვა ადგილზე მოღვაწეობით დავაჩქარო იმ დროის მოსვლა, რომელსაც მოველი. ეს დრო მაშინ მოვა, როცა ხელისუფლებაში პროფესიონალი, ქვეყნის მოყვარული და ღირსეული ადამიანები იქნებიან.

**— ცნობილია, რომ რამდენიმე ტელეკომპანიამ უკვე შემოგთავაზათ თანამშრომლობა. თუ გააკეთეთ არჩევანი...**

— ამჟამად კი ვარ დროებით უმუშევარი (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ლექციებს ვკითხულობ თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის საავტორო ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე), მაგრამ უმუშევრად დარჩენას არ ვაპირებ. ბუნებრივია, ორიენტაციას ტელეჟურნალისტიკაზე ავიღებ. შემომთავაზეს ძალზე სერიოზული წინადადებები, რაც ასევე სერიოზული განსჯის საფუძველს მაძლევს. ზოგი წინადადება საჯაროდ გაცხადდა და თქვენც მოისმენდით, ზოგი მოლაპარაკება კონფიდენციალურია და ამაზე ჯერჯერობით ვერ ვილაპარაკებ. ერთი კვირის მანძილზე ყველაფერი გაირკვევა და გადავწყვეტ, სად დავიწყებ მოღვაწეობას.

**— როგორც ვიცით, თქვენი მეუღლე „ტელე-იმედში“ მუშაობს, მასთან ერთად ხომ არ დაიწყებთ მუშაობას?**

— შეიძლება... არ მგონია, ჩვენმა ერთად მუშაობამ მისი პროფესიული კარიერა შეაფერხოს (თუმცა არც ხელშემწყობი ფაქტორი იქნება). მან თვითონ უნდა აიმაღლოს საკუთარი პროფესიონალიზმი, რათა საზოგადოებისთვის საჭირო ადამიანი იყოს. რაკი ისიც ჩემსავით ჟურნალისტია, რჩევებით დავეხმარები...

**— როგორ გესახებათ საქმიანობა ტელევიზიაში, როგორ გადაცემას გაუძღვებოდით?**

— არის რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ ვერ დავაკონკრეტებ... ის პროექტი, რომელსაც ჩემს თავზე ავიღებ, დაახლოებით თვე-ნახევარში გავა ეთერში. ჩემი გადაცემა აუცილებლად პოლიტიკასთან დაკავშირებული და ასევე აუცილებლად საავტორო იქნება. მუშაობის დაწყებამდე მაქვს რამდენიმე მოთხოვნა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს... არხის კონცეფცია ჩემს შეხედულებას უნდა შეესაბამებოდეს, მნიშვნელოვანია თავისუფლებისა და შემოქმედებითი მუშაობის ხარისხი არხზე, პროფესიონალური გარემო და ბოლოს — ანაზღაურება. რომელი არხიც გაიზიარებს ჩემს მოსაზრებებს, იქ შევუდგები მუშაობას.

**— სხვათა შორის, ამბობენ, რომ „ტელე-იმედი“ არ იქნება მწვავედ ოპოზიციური (მისი დამფუძნებლის, ბადრი პატარკაციშვილის პოზიციიდან გამომდინარე)...**

— მე ასე არ ვფიქრობ. ჟურნალისტიკაში ჩახედულმა ადამიანმა კარგად იცის, რომ საინფორმაციო გადაცემას მაშინ აქვს აზრი, თუ ის ობიექტურია. თუ ხელისუფლება არა, მაშინ ვინ უნდა გაკრიტიკდეს საქართველოში? დაწვრილებით ამ საკითხზე მაშინ ვისაუბროთ, როცა მეცოდინება, სად ვიწყებ მუშაობას.

**— თუკი საჭირო გახდება ბატონი ასლან აბაშიძის კრიტიკა, როგორ მოიქცევით, გააკრიტიკებთ?**

— ქვეყნის ინტერესი და ობიექტურობა თუ მოითხოვს, საკუთარ შვილებსაც გავაკრიტიკებ. ჩემთვის მთავარი პრინციპი ობიექტურობაა. ტენდენციურობას პოლიტიკიდან გავექეცი და პოლიტიკიდან ჟურნალისტიკაში დროებით იმიტომ არ მივდივარ, რომ ტენდენციური ვიყო. ობიექტურ კრიტიკასა და სამართლიანობას, ვფიქრობ, ბატონი ასლანი საწყენად არ მიიღებს.

*მარი ზანდუკელი*

# „ილუზიონისტები“ დეზერტირების ბაზარში...

## ჯარიმის ფულს ისევ ჩვენი ჯიბეებიდან ამოიღებენ!

წინა კვირას, თბილისის ანტიმონოპოლიური ბიუროს წარმოების სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილების თანამშრომლებმა, ე. წ. „დეზერტირის“ ბაზრის ორსაათიანი შემოწმების შედეგად უამრავი დარღვევა აღმოაჩინეს, — არც ერთი სასწორი, რომელზეც შესაძლებელია აიწონოს ნაყიდი პროდუქტი, ზუსტი არ ყოფილა, ფალსიფიცირებული იყო საწონები (გირები), სასწორები და საწონები კი — დაუდამღავი; ბაზარსა და მის ტერიტორიაზე რომ არადამაკმაყოფილებელი ანტისანიტარიული მდგომარეობაა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამ და სხვა უამრავი დარღვევებისთვის ბაზრის დირექცია 1.000 ლარით „დააჯილდოეს“, უფრო სწორად, დააჯარიმეს; მაგრამ რას უშველის თუნდაც ათასლარიანი ჯარიმა საგანგებოდ მოშლილი სასწორებით წონა-ზომაში მოტყუებულ ათიათასობით თბილისელს, ვინ დაუბრუნებს მათ მოტყუებით წაგლეჯილ ფულს? ბაზრის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას ისიც გაირკვა, რომ უსახსრობის გამო(?!) მდგომარეობის გამოსწორება არც მომავალშია მოსალოდნელი.




მიუხედავად გულმოდგინე მცდელობისა, ბიუროს თანამშრომლებმა და ჟურნალისტებმა „დეზერტირის“ ბაზარში ერთი დამღიანი სასწორიც კი ვერსად იპოვეს, არც ე.წ. საკონტროლო სასწორებს ჰქონდა შესაბამისი დამღა.

უდამღო სასწორი იმას ნიშნავს, რომ იგი გაუმართავია და მისი გამოყენება სავაჭრო ობიექტში დაუშვებელია. ჩვენი ყურადღება ფალსიფიცირებულმა საწონებმა მიიპყრო. ალბათ გაუთვითცნობიერებელი მკითხველი იკითხავს, „ფალსიფიცირებული საწონი“ რაღააო. მოგახსენებთ: ზოგიერთი გამყიდველი რკინის საწონს ქვემოდან გაბურღავს და ამით მასზე მითითებულ წონას ხელოვნურად ამცირებს, ხოლო გაბურღულ ადგილს რაიმე მსუბუქი ნივთიერებით ავსებს, მაგალითად, რეზინით. ერთკილოგრამიანი საწონი ისე იყო „დამუშავებული“, მხოლოდ 750 გრამს აჩვენებდა. ასე ატყუებენ მომხმარებელს.

ზოგიერთი გამყიდველი ე. წ. ზამბარიან სასწორს ხმარობს. მისი გამოყენება კი აკრძალულია სავაჭრო ობიექტებში, არასაიმედოობის გამო. არც მათი ხელოვნურად დაზიანება გახლავთ ძნელი. გამყიდველები ზამბარას საგანგებოდ ასუსტებენ, რის შედეგადაც სასწორი „იტყუება“.

გასაოცარია ყასბების ხელის სისწრაფე და ფოკუსების ჩვენებისადმი მათი დაუოკებელი მისწრაფება. მაგალითად, ორკილოგრამიან წონას ხელის მარჯვე მოძრაობით 200-300 გრამით ამცირებენ ისე, რომ მომხმარებელი ვერაფერს ამჩნევს და ვერც შეამჩნევს, — გამყიდველს ასაწონი ქაღალდის ქვეშ შეცურებული აქვს რკინის ნაჭერი, რომლის წონაც პროდუქტთან ერთად ფიქსირდება, დანარჩენი კი ტექნიკის საქმეა.

თბილისის ანტიმონოპოლიური ბიუროს შემმოწმებელი ბრიგადა, რომელსაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი გივი ტყეშელაშვილი ხელმძღვანელობდა, აღმოჩენილ დარღვევებზე აქტის დასაწერად ჟურნალისტებთან ერთად ბაზრის დირექტორის, ლაერტ ზუბადალაშვილის კაბინეტში ავიდა. როდესაც აქტი დაიწერა, მისი შინაარსით აღშფოთებულმა დირექტორმა კინაღამ ბაზარი დაკეტა. განაცხადა: — თქვენ წერთ აქტში, წინა შემოწმების შემდეგ სრულებით არაფერი შეცვლილაო, როგორ გეკადრებათ, ხალათები ხომ ეცვათ გამყიდველებს?

**— მარტო ხალათები რა ბედენაა, ისიც ყველას არ ეცვა და თანაც ჭუჭყიანი იყო.**

— გაიგეთ, ხალხო, ხალათის გასარეცხი ფულიც არა გვაქვს, გამყიდველი ბაზარში არ შემოდის. რაღაც მაინც ხომ გავაკეთეთ, მეტი რა გინდათ? თქვენ არ იცით, რა ხალხი მუშაობს აქ. ამას წინათ ყველის გამყიდველმა ქალებმა დანით ერთი სამხედრო პირიც კი დაჭრეს, მე რას მოვერევი მაგათ?!..

დიდხანს კამათის მიუხედავად,

**ლაერტ ზუბადალაშვილი: — ხალათის გასარეცხი ფულიც არ გვაქვს.**



ანტიმონოპოლიური ბიუროს თანამშრომლებმა აქტი მაინც არ გადააკეთეს და ჯარიმის აქტში პირდაპირ მიუთითეს: „თბილისის ანტიმონოპოლიური ბიუროს 04.02.03 წლის №9-4/114-1.50 მიწერილობით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის... დაეკისროს ჯარიმა 1.000 (ათასი) ლარის ოდენობით“.

ამით ყველაფერი დასრულდა. მაგრამ დასრულდა კი?! ათასი ლარი „დეზერტირის“ ბაზრის „ილუზიონისტებისთვის“ 15 წუთის სამუშაოა, — იმ ფულს ისევ ჩვენი ჯიბეებიდან ამოიღებენ!

*ზვიად ჩაკვეტაძე*


# უნიკალური ქართული გემო

## კომპანია „გრების“ კონსერვების ფართო ასორტიმენტი და მისი უნიკალური გემო, ჩვენი სამომხმარებლო ბაზრისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება

„გრები“ — სავაჭრო-სამრეწველო კორპორაცია, საქართველოს მოსახლეობისთვის ნაკლებად ცნობილი სახელია, რასაც ვერ ვიტყვით სხვა ქვეყნებზე.

მრავალფეროვანი ასორტიმენტი სავაჭრო ნიშნით „გრები“, რომელიც ქართული, ეკოლოგიურად სუფთა ხილისა და ბოსტნეულის ბაზაზე მზადდება, დაგემოვნებული აქვთ თითქმის ყველა კონტინენტზე. უმაღლესი სტანდარტებისა და სპეციფიკური გემოვნებითი თვისებების მქონე პროდუქციას ნდობა გამოუცხადა ამერიკის, ევროპის, რუსეთის, უკრაინის, აზიისა და სხვა ქვეყნების ფართო საზოგადოებამ.

ვინც კარგად ფლობს საკვები პროდუქტების საბაზრო ტენდენციებს, ასევე ინტერესით ადევნებს თვალს სატელევიზიო გადაცემებს, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა პროდუქცია სახელწოდებით „გრები“, რომელიც ნელ-ნელა და მტკიცე ნაბიჯებით იპყრობს ქართულ სამზარეულოს.



ხარისხი კომპანია „გრების“, საქმიანობის ძირითადი ბაზისია, რომელიც მიღებულია ახალი ტექნოლოგიური პროცესებითა და წარმოების დახვეწილი ციკლით. გარდა აღნიშნულისა, თითოეული საწარმოო ხაზისა და ასორტიმენტის გემოვნებითი თვისებების უნიკალურობა, განპირობებულია საქართველოს მდიდარი ბუნებრივი რესურსებით.

„გრების“ კონსერვების ასორტიმენტი დამზადებულია საკუთარი და იჯარით აღებულ სავარგულებზე მოყვანილი ხილბოსტნეულით. ამიტომ გამოყენებული ნედლეულის ვარგისიანობა — ნახშირწყლები, ცილები, ცხიმები, ვიტამინების შემცველობა და სხვა მინერალური ნივთიერებები, მკაცრ ლაბორატორიულ შემოწმებასა და კონტროლს ექვემდებარება. ცხადია, მიღებული მზა პროდუქტებიც ჯანმრთელობისთვის და ჯანსაღი ცხოვრებისთვის სასარგებლოა.

თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, საქართველოს საკონსერვო მრეწველობა საბჭოთა პერიოდის ბოლოს უშვებდა 400-450 მლნ პირობით ქილა სხვადასხვა ასორტიმენტის კონსერვს. საკონსერვო ქარხნები აღჭურვილი იყო მაღალმწარმოებლური სამამულო და უცხოური ტექნოლოგიური ხაზებით. მზადდებოდა ფართო ასორტიმენტის საკონსერვო პროდუქცია: ტომატ-პასტები, ხილის კომპოტები, მურაბები, ჯემები, ხილფაფები, წვენები, ბოსტნეულის სასაუზმე კონსერვები და სხვა.

ბოლო პერიოდში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა თავისი დაღი დააჩნია საკონსერვო მრეწველობასაც. ქარხნები მთლიანად გაიძარცვა ან ჯართად გაიყიდა უცხოეთში. ძვირად ღირებული მანქანა-დანადგარები თითქმის მთლიანად გაჩანაგდა. რა თქმა უნდა, ამის გამო ქართული საკონსერვო მრეწველობა გაჩერდა. დღეისათვის საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია უცხოეთიდან შემოტანილი ვადაგასული და არასტანდარტული საკონსერვო პროდუქციით

ქართული საკონსერვო წარმოების აღორძინება, ისეთ პირობებში, როცა უცხოურ უხარისხო პროდუქციას წალეკილი აქვს ბაზარი და ადგილობრივ მეწარმეს ხელოვნური ბარიერები აქვს შექმნილი, დაგვეთანხმებით თითქმის შეუძლებელია. თუმცა ქართულ მრეწველობაში მაინც გამოჩნდნენ ის ენთუზიასტები, რომლებმაც გადაწყვიტეს გამოიყენონ ეკოლოგიურად სუფთა, გენეტიკურად სახეშეუცვლელი უნიკალური ქართული ხილ-ბოსტნეული და საქართველოში შექმნან მისი გადამამუშავებელი საკონსერვო წარმოება. დღეს ვერც უცხოურ და ვერც ადგილობრივ ბაზარზე წარმოება ფეხს ვერ მოიკიდებს თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე. სწორედ ეს წინაპირობა დაედო საფუძვლად სასურსათო კომბინატის „გრების“ შექმნას.

„გრების“ კომბინატი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, დამონტაჟებულია ტომატის წვენის აგრეგატი, ტომატპასტის უწყვეტი ქმედების პასტერიზატორი, სასტერილიზაციო და ვაკუუმაპარატები, ორდანიანი სახარში ორთქლის ქვაბები, ავტომატური ჩამომსხმელი და დამხუფი მანქანები, თერმოშემფუთავი და მარკირების მანქანები, აგრეთვე ხილბოსტნეულის პირველადი დამუშავების ტექნოლოგიური ხაზები.

„გრები“ უკვე უშვებს სხვადასხვა დასახელების ქართულ ნატურალურ კონსერვებს, რომლებიც დიდი მოწონებით სარგებლობს. პროდუქცია გამოდის გემოვნებით გაფორმებულ სხვადასხვა ტევადობისა და ფორმების თუნუქის და მინის ქილებში.

გამოშვებული კონსერვებიდან აღსანიშნავია ბოსტნეულის სასაუზმე კონსერვები: „ქართული გემო“, ქათმის ჩახოხბილი „ოჯახური“, ტომატ-პასტა, ვაშლის პიურე, ტომატის საწებელა და სხვა. წარმოებისას დაცულია ტექნოლოგიური რეჟიმი და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები, და რაც მთავარია, მომხმარებელი ღებულობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს.

„გრები“ ემზადება ქართული კონსერვის რაოდენობისა და ასორტიმენტის გაზრდისათვის. გათვალისწინებულია მარცვლებად დაკონსერვებული ლობიოს, შაქრის სიმინდის, მთლიანად დაკონსერვებული პამიდვრის, დაკონსერვებული კიტრისა და მარინადის, აგრეთვე სხვადასხვა სახის მურაბების, ჯემებისა და ხილფაფების გამოშვება.

*მალხაზ კეთილაძე*

R



# იძულებითი მშვიდობა

სახელმწიფოთა მეთაურების პირადი შეხვედრები მართლაც სასწაულებს ახდენს; ამის ნათელი მაგალითია პუტინისა და შევარდნაძის სოჭში შეხვედრა. ბოლო ორი წლის მანძილზე ამ ქვეყნების ურთიერთობა „ცივ ომს“ ჰგავდა. სოჭში კი გაირკვა, რომ თურმე... „ჩვენ ურიგოდ არ ვცხოვრობთ, კარგად გვესმის ერთმანეთის, ვაშენებთ მეგობრულ ურთიერთობას“... ერთ დღეში იქნა მიღწეული რეალური შედეგები. პრეზიდენტებმა მოილაპარაკეს, რომ დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალები აფხაზეთში მანამდე იქნებიან, სანამ კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარე ოპერაციის შეწყვეტის სურვილს არ გამოთქვამს. ახლა მანდატის გასაგრძელებლად აღარ იქნება საჭირო დსთ-ის ქვეყნების სამიტის დასტური.

ეკონომიკაშიც მოხერხდა ისეთ საკითხებზე მოლაპარაკება, რაზეც მოსკოვი და თბილისი გაუთავებლად დაობდნენ. პრეზიდენტები დევნილთა დაბრუნების საკითხშიც შეთანხმდნენ, რკინიგზის გახსნაზეც და ენგურჰესის აღდგენაზეც. რასაკვირველია, გადაუწყვეტელი პრობლემებიც დარჩა, რომლებმაც განსაკუთრებით პრეზიდენტების სოჭიდან გამგზავრების შემდეგ იჩინა თავი. თბილისში დაბრუნებულმა შევარდნაძემ დაადასტურა თავისი ნათქვამი, გალის რაიონში სამმხრივი კოალიციური ადმინისტრაციის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შევლენ საქართველოს, აფხაზეთის და რუსეთის წარმომადგენლები. მისი აზრით, საქართველო შეიძლება გახდეს ფედერაციული სახელმწიფო, სადაც აფხაზეთს განსაკუთრებული უფლებები ექნება მინიჭებული. მაგრამ ამასთან დაკავშირებით, ქართველ პოლიტიკოსთა აზრი განსხვავებულია: — იდეა ძალიან მიმზიდველია, — ამბობს თამაზ ნადარეიშვილი, — მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ აქ ახალი არაფერია. ეს საკითხი 1994 და 1998 წლებშიც იდგა, რაც კონფლიქტიდან გამოსვლის საშუალება არ არის. მაგ. დევნილთა დაბრუნება. სად უნდა დაბრუნდნენ, ვისი იურისდიქციის ქვეშ, უშიშროების გარანტიებს ვინ მისცემს? ხალხი მანამ არ დაბრუნდება, სანამ იურისდიქცია არ აღდგება. ამასთან ერთად, მივესალმები შევარდნაძის წინადადებას, საქართველოს ფედერაციული მოწყობის შესახებ. აფხაზეთი ქვეყნის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს...

მიუხედავად ამისა, ნადარეიშვილის აზრით, აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ერთი გზით შეიძლება — გაეროს წესდების მეშვიდე მუხლის გამოყენებით — „იძულებითი მშვიდობა“.

პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის“ ხელმძღვანელი ჯუმბერ პატიაშვილი შევარდნაძის გეგმას დაწვრილებით არ იცნობს, მაგრამ თავად ფაქტს, რომ მოლაპარაკებები შედგა, იმედიანად უყურებს. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, რომ ამ სიტუაციაში აფხაზეთის საკითხში გადამწყვეტი სიტყვა რუსეთს ეკუთვნის. რაც შეეხება აფხაზური მხარის უარს თბილისთან მოლაპარაკებაზე, ეს აფხაზი ხალხის აზრი არ არის, სეპარატისტული ხელისუფლების აზრია, — აცხადებს ბათიაშვილი.

***იზვესტია №42***

# საქართველო უცხოელი ინვესტორების მიზიდვას ლამობს

საქართველო უმთავრესად ცნობილია, როგორც კასპიის ნავთობსადენის სატრანზიტო ტერიტორია. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენი და სამხრეთკავკასიური გაზსადენი, რითაც ბუნებრივი გაზი ბაქოდან საქართველოს გავლით ერზრუმში ჩავა, 3,9 მლრდ დოლარის ინვესტიციებს მოითხოვს. საქართველოს ამ თანხიდან უმცირესი ნაწილი შეხვდება; მიუხედავად ამისა, ეს პროექტები ქვეყნის უდიდეს საინვესტიციო პროგრამას წარმოადგენს.




საქართველოში აქტიურად მოქმედებენ ამერიკული, კანადური, დიდი ბრიტანეთის, შვეიცარიული და გერმანული ფირმები. ამბობენ, რომ დიდი ბრიტანეთის ფირმამ საქართველოს შავი ზღვის შელფის გამოსაკვლევად კომპანია „ანადარკო“ მიიზიდა. ამ შელფის ნავთობის მარაგი ფართო დიაპაზონისაა — 70 მლნ-დან 1,3 მლრდ ბარელამდე. მაგრამ შავი ზღვის სავარაუდო ენერგორესურსების დამუშავება პოლიტიკურ რისკთანაა დაკავშირებული. მაგალითად, აფხაზეთის შელფი დღესდღეობით გამოკვლევებისთვის მიუწვდომელია. ხოლო ყოველი კომპანია, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე მოინდომებს გაბურღვას, კონტრაქტის დადებისას წააწყდება პრობლემას — ვინ უნდა მოაწეროს ხელი მას — აჭარამ, საქართველომ თუ ორივემ ერთად. საქართველოს საინვესტიციო პერსპექტივას ზიანს აყენებს აქ ფართოდ გავრცელებული კორუფცია, ბანდიტთა თარეში და დესტაბილიზაციის მუდმივი საშიშროება. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანსა და ყაზახეთშიც კორუფცია მეფობს, ამ ქვეყნებმა მაინც მოახერხეს დიდი კორპორაციების სახსრების მოზიდვა.

***ეურაზიანეტი***

# შევარდნაძემ 12 წლით დაიგვიანა...

ინტერფაქსის ცენტრალურ ოფისში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე აუღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **გენადი გაგულიამ** შევარდნაძე საზოგადოების შეცდომაში შეყვანაში დაადანაშაულა. მან განაცხადა, რომ სოჭში, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრაზე, განიხილეს რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები და არა — აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი.



„ედუარდ შევარდნაძის განცხადებები, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ, რომელზეც ვითომდა მოვილაპარაკეთ, მისი წინასაარჩევნო თამაშებია. ამ წინადადებით თბილისმა 10 წლით დაიგვიანა. 1991 წელს ჩვენ თვითონ შევთავაზეთ აფხაზეთის ფართო ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ პასუხს მხოლოდ ახლა ვისმენთ. მე მეუხერხულება, ვუთხრა ედუარდ შევარდნაძეს, რომ მან ძალიან დაიგვიანა, ეს თემა უკვე დახურულია“.

აუღიარებული რესპუბლიკის პრემიერი ამბობს, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე აფხაზეთს საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ვერა და ვერ მიანიჭა ოფიციალური სტატუსი, მაგრამ იმედს იტოვებს, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდება: „ათი წელია ჩვენი ხალხი იტანჯება და პრობლემის გადაწყვეტას მხოლოდ რუსეთის ასოცირებულ წევრობაში ხედავს.“ თუმცა, გაგულია იძულებულია, აღიაროს, რომ ოფიციალური მოსკოვი აფხაზეთის მისწრაფებას ჯერჯერობით არ პასუხობს, — დღეს რუსეთის პრეზიდენტი თვლის, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში უნდა იყოს, მაგრამ ვნახოთ, რა იქნება ხვალო, — აცხადებს ის ჟურნალისტებთან.

გაგულია ამტკიცებს, რომ სოჭში საუბარი მხოლოდ ენგურჰესის და თბილისიდან საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზურ მონაკვეთამდე რკინიგზის მშენებლობას ეხებოდა. რაც შეეხება დევნილთა დაბრუნებას, რომელზეც თითქოს პრეზიდენტებმა მოითათბირეს, ეს მხოლოდ გალის რაიონში ლტოლვილთა ეტაპობრივი დაბრუნება იქნება. მაგრამ აფხაზები ითხოვენ მათ ტერიტორიაზე ქართული იატაკქვეშა შეიარაღებული ფორმირებების მოქმედებების შეწყვეტას, თბილისის გარანტიებს, რომ ბრძოლებს არ განაახლებენ, სამშვიდობოთა იქ ყოფნას და ლტოლვილთა მიერ აფხაზეთის იურისდიქციის აღიარებას.

ამგვარად, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი ამტკიცებს, შევარდნაძეს თავისი განცხადებით უნდა ყველას თვალი აუხვიოს, მაგრამ ამის თქმას რუსეთის პრეზიდენტზე ვერ ბედავს.

***ბი-ბი-სი***

# პრეზიდენტმა პოზიციები დათმო...

## ინტერვიუ აფხაზეთის აუღიარებელი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი შამბასთან:

**— როგორ აღიქვამთ შევარდნაძის მიერ შეთავაზებულ ვარიანტს აფხაზეთის სტატუსის შესახებ?**

— ჩვენი პოზიცია ამ საკითხში კარგა ხანია ცნობილია. ფედერაციული ურთიერთობა ომის დაწყებამდე შეიძლებოდა. მერე უკვე კონფედერაციის საკითხი დავაყენეთ. საქართველომ მაშინ უარი თქვა ამ დოკუმენტზე მოეწერა ხელი. 1999 წელს რეფერენდუმი ჩავატარეთ. მოსახლეობამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს მისცა ხმა და ცხადია, ამის შემდეგ სხვა სტატუსზე ლაპარაკს აღარ ვაპირებთ.

**— ამბობენ, შევარდნაძემ პუტინისაგან მიიღო თანხმობა ამ საკითხშიო.**

— ჩვენ არ ვიცით, რაზე ილაპარაკეს პრეზიდენტებმა პირისპირ. მაგრამ ჩვენი პრემიერის იქ ყოფნაში ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა. საეჭვოა, მათ ასეთი სეპარატისტული მოლაპარაკება გაემართათ.

**— ქართული მხარე გალის რაიონში ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნას მოითხოვს. ამაზეც მოილაპარაკეს სოჭში?**

— არა. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ასეთი ადმინისტრაციისა. ქართულმა მხარემ სამშვიდობოთა მანდატის გაგრძელების დოკუმენტის პრეამბულაში ჩაწერა, აუცილებელია ერთობლივი ადმინისტრაციების შექმნაო; მაგრამ რუსეთმა ხელშეკრულებაში მიანიშნა, რომ პრეამბულა, რომელსაც საქართველო აყენებს, მიუღებელია, რადგან სამშვიდობოთა მანდატს არ შეესაბამება.

**— ე. ი. ეს გადაწყვეტილებები შევარდნაძის დიპლომატიურ მარცხს ნიშნავს?**

— თუ საქართველო რკინიგზის გახსნის წინააღმდეგი იყო და ახლა დათანხმდა, სამშვიდობოების მანდატის გაგრძელება არ უნდოდა და ამაზეც ყაბულსაა, თანაც ისე, რომ ეს მანდატი მის სასიკეთოდ არ შეცვლილა, ე.ი. პოზიციები დათმო!..

რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტთა შეხვედრით კმაყოფილია აფხაზთა პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა და თანამებრძოლთა აზრს სავსებით ეთანხმება.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №52***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***




# სულ მალე გამოიცემა!

საბავშვო მოთხრობათა შემეცნებით-გასართობი სერიალი

„ბუთქუნა და მეგობრები“



ბავშვებო!

I-ელ სერიაში გაეცნობით ბუთქუნს და შეიტყობთ, როგორ იმოგზაურა მან სოფელში, რა გადახდა თავს და როგორ გადაარჩინა ჩიტუნა.



საუკეთესო საჩუქარი თქვენი ბავშვისთვის!

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიამბობენ

**2 წლის ანა წიტაიშვილმა** დილით ფანჯარაში პირველად ნახა თოვლი და დაიყვირა:

— ვაიმე, დედა! ყველაფერი გაუპარსიათ, მანქანაც (თოვლი საპარსი ქაფი ეგონა).

***

**4 წლის მარი ლომიაშვილის** ოჯახს სტუმარი ეწვია. პატარა მარიამმაც, თავისი სათამაშოებით, ვითომ სუფრა გაუშალა — ესა ერბოკვერცხი, ესა ნამცხვარი, ესა გოგლიმოგლიო... სტუმარმა მადლობა რუსულად უთხრა:

— „სპასიბო".

მარიმ არ დააყოვნა და მიუგო:

— სპასიბოსაც ახლავე მოგიხარშავ.

***

**პატარა თამარ ქირიას** ძალიან უყვარს ჩაი ლიმონით. ერთხელ, საუზმეზე მან ძმას სთხოვა:

— იკა, ჩაიში ცოტა ლიმონი ჩამიწურე ლა!

***

პატარა **თამარ ლომიძეს** უფროსი ძმა ეკითხება:

— თუ ბუშტში ცხელ ჰაერს შევუშვებთ, ბუშტი ზევით ავა თუ, ქვევით დაეშვება?

თამარი პასუხობს:

— გასკდება.

***

**პატარა თამთას** ყური ასტკივდა. დედამ წამლის ჩასხმა რომ დაუპირა, ხელები გაასავსავა:

— მეორე ყურიდან ხო გადმოვა, მომე, რამე მივიფაროო.

## იპოვე 10 განსხვავება






## I ანა, გამოიცანი

**1. რომელი გამოთქმა ნიშნავს „მოატყუა?"**

ა) პირში წყალი ჩაიგუბა; ბ) პირზე დაადგა; გ) პირში ჩალა გამოავლო; დ) პირზე აკერია.

**2. რისი სახელებია: ხანძთა, შატბერდი, პარხალი, ბანა, ოშკი, ხახული?**

ა) სახელმწიფოების; ბ) ტაძრების; გ) მთების; დ) მდინარეების.

**3. რომელი ქვეყანაა ფეხბურთის სამშობლო?**

ა) ინგლისი; ბ) საფრანგეთი; გ) ჩინეთი; დ) ეგვიპტე.

**4. ვინ არის ავტორი სიმღერის ტექსტისა „სულიკო"?**

ა) ილია ჭავჭავაძე; ბ) აკაკი წერეთელი; გ) იოსებ გრიშაშვილი; დ) იეთიმ გურჯი.

## II რებუსი



| ჩიტების სახლი | იგივეა, რაც დაღი | „... თავის კუდი მოწმედ მოიყვანაო" | ბურთის გადაწოდება ფეხბურთში | მიმართვა ქალისადმი იტალიაში | ადამიანის ორგანო |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |

| ღამის ფრინვ. | „მუნჯის ენა, ... იცისო" | დღის შემცვლელი | გასანათებელი ხელსაწყო | გველის და ბატის ხმიანობა | თევზის სახეობა |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „შინაური ცხოველია, ფაფრიანი, კუდაგრძელი, თვალფხიზელი, ყურმახვილი, ფეხმარდი და საყვარელი".

## III







ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში





## IV



იპოვე ორი ერთნაირი ბაყაყი

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო"

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# დარეჯანა

## (ფიქრები ასკანა – ოზურგეთის გზაზე)

სოფლის ძველი, კვერცხისგულისფერი ან მოცისფრო-მოთეთრო ცხვირიანი ავტობუსით თუ გიმგზავრიათ როდესმე?

თუმცა როგორ არ იმგზავრებდით, არ გახსოვთ, სულ ცოტა ხნის წინ რამდენი ასეთი ავტობუსი დახრიგინებდა სოფლებში. მე, პირადად, ჩავიდოდი თუ არა გურიაში, მეორე თუ არა, მესამე დღეს მაინც „მახარაძე-ასკანის" „პაზიკში" აღმოვჩნდებოდი და ასკანის მეზობელ მთისპირში მამიდაჩემთან ამოვყოფდი თავს. კოკარდიანქუდიანი შოფერი ადუღებული წყლის გამოცვლით იქცევდა თავს, მე — წვიმით გადარეული ყანების თვალიერებით და აქაქანებული დარეჯანას მოსმენით... დარეჯანა ყოველთვის იყო „მახარაძე-ასკანის" რეისის უცვლელი პერსონაჟი...

დრო რომ გავიდა, ეს მოგზაურობაც დამიძვირდა და ცხვირიანი ავტობუსებიც სადღაც გაქრა, აღარც დარეჯანა გამხსენებია, მამიდას კი, აბა, რა დამავიწყებს. ამას წინათ ისევ ავედი მასთან და მთელი სოფლის ამბავი გამოვკითხე. დარეჯანამ შენი ჭირი წაიღოო, — მითხრა. აღარაფერი მითქვამს. მხოლოდ ყველამ რომ დაიძინა, ბუხართან დავრჩი, ნაკვერჩხალი გადავჩხრიკე. გამახსენდა დარეჯანა — მარტოსული, მარტოდ მავალი და უცებ მივხვდი, რომ თავის საკერებლიანი, ძონძებით სავსე ტომრით სოფლიდან ძალიან დიდი ხიბლი გაიყოლა. დადიან ახლა ასკანელები და მთისპირელები და აღარ ჰყავთ დარეჯანა, მოაკლდათ განუმეორებელი, გულჩვილი და საპატრონო...



აღარ არის დარეჯანა... რეისი „ასკანა-ოზურგეთი" კი ისევ დაჯაყჯაყებს. არადა, ქვეყნიერების ზურგზე ყველაზე მეტად ავტობუსი უყვარდა დარეჯანას, — ამოვიდოდა, დაჯდებოდა, ამოიდებდა თავის ტომარას გვერდით და ლაპარაკობდა გაუჩერებლად... ერთი, ამოჩემებული ადგილი ჰქონდა — მძღოლი რომ ზის, იქიდან აუცილებლად რიგით მეორე სკამზე, მარჯვენა მხარეს უნდა დამჯდარიყო. დედამისის შვილი იყო და იქიდან ვინმე არ ამდგარიყო — ძალით წამოაგდებდა. ისე კი, ამ იძულებითი ღონისძიების მიღება დიდად არ სჭირდებოდა — ხალხი თვითონვე უთმობდა ამ სკამს — ზოგი ლაზღანდარობით, ზოგი სიბრალულით... ერთი სიტყვით, ჩაკალათდებოდა იქ და მოჰყვებოდა, მარა რას მოჰყვებოდა...

დარეჯანა ხმამაღლა ლაპარაკობდა, ათჯერ უფრო ხმამაღლა, ვიდრე ჭრელი სოფლით გატენილი ავტობუსი. მისი ხმა ჰფარავდა ჯაყჯაყითა და გაუკუღმართებული საწვავით საცოდავად ახრიალებული ძრავისა და გურიის სოფლების გადაძახილში გავარჯიშებული ქალების გუნდურსაც.

დააწყობდა ჩაშავებულ, დამსკდარ ხელებს წინა სკამის საზურგეს, მოატარებდა უსაშველოდ სწრაფ ჭროღა თვალებს ირგვლივ და დაიწყებდა...

— დარეჯანა, გაჩერდი აწი, — შეეხვეწებოდა ვიღაცა.

— რეიზა გავჩერდე, ენა გადავყლაპე თუ?! — აღშფოთდებოდა დარეჯანა და ცეცხლისფრად შეღებილ, დატკეპნილ თმას თავსაფარში შეიტენიდა.

როდის-როდის დაწყნარდებოდა, დახედავდა თავის უსაშველოდ დიდ, ტალახიან რეზინის ჩექმებს, მერე ამოიხედავდა და თვალი გაუშტერდებოდა... ამასობაში, რომელიღაც ორმოს გადაუვლიდა ავტობუსი, გამოფხიზლდებოდა სივრცეზე გაცეცებული დარეჯანა და სრულიად, სრულიად მოულოდნელ რამეს იზამდა — ასწევდა ხელებს, მიიფარებდა აქა-იქ თეთრად დალაქულ და ალაგ-ალაგ თმიან სახეზე და საცოდავად ამოიოხრებდა.

ამ დროს, მგონი, ავტობუსის ძრავაც ჩუმდებოდა, ქალები სიბრალულით მიაჩერდებოდნენ, კაცები თვალს არიდებდნენ დარეჯანას...

ცოტა ხანში ისევ იწყებოდა ყაყანი, გაითქვიფებოდა ამ ყაყანში დარეჯანა და თან ხმას უწევდა და უწევდა...

აი, სულ ეს ამბავი ტრიალებდა „მახარაძე-ასკანის" რეისით ჩემი მგზავრობისას... ალბათ მაშინაც ასე იყო, როცა დარეჯანა უჩემოდ დადიოდა ამ უსაშველოდ გადათხრილ და თანაც უსაშველოდ ლამაზ გზაზე...

ერთ ზაფხულს ისევ შემეყარა დარეჯანა. მოულოდნელად, რომელიღაც ჩიხიდან გამოვიდა გზა-შარაზე თავისი ძველი ტომრით. ამოვიდა და დააგდო თავისი ტომარა. ვიღაც წამოაგდეს დარეჯანას ამოჩემებული სკამიდან — დაბრძანდითო, მიიპატიჟეს... ადგილდაკარგული კაცი გატენილ ავტობუსში ცალ ფეხზე შედგა, რკინის სახელურს ჩამოეკიდა და თვინიერი სახით გახედა დარეჯანას... მაგრამ დარეჯანამ ამჯერად თავის სკამს ყურადღება არ მიაქცია, სადღაც იქით, ავტობუსის მიღმა იყურებოდა...

— დაჯექი, ახლა, ცავ, რას გაჩერებულხარ აქანე, შუა გზაში? — შეუწყრა ჩასასვლელად გამზადებული მგზავრი. დარეჯანას გაწყრომა არ გაუგია. წამოვიდა აცაბაცა, მოულოდნელად, სულ ბოლოსკენ, გადმოატარა ტალახიანი ტომარა ფეხჩაუდგმელად ერთმანეთზე მიჭყლეტილ მგზავრებს და რომელიღაცა სკამს დაადგა თავზე...

— ადე, ზედ, დამაჯინე, — უბრძანა ნაპირზე მჯდომარეს.

— ქვეყანა ეირია და დარეჯანამაც ქე შეიცვალა ადგილი, — გამოვიდა ვიღაცა სიტყვით.

— არაა მაი თქვენი საქმე, — გაწიწმატდა დარეჯანა და შავ, გალეულ შავოსან დედაბერს მიუჯდა.

— რაფერ ხარ, ცავ? — მოიკითხა უჩვეულოდ წყნარად...

ქალმა არაფერი უპასუხა...

— ხომ ხარ კარგად?

— არ მოეშვა არაფრით. ისევ არ უპასუხეს...

უეცრად დარეჯანამ პირი მიაბრუნა მგზავრებისგან, ამოისვა ხელი თვალებში და ჩუმად, ჩუმად, ერთი-ორი კაცი რომ გაიგონებდა ისე თქვა:

— საწყალი, რაფერი ბაღანა დაკარგა, რაია ამის სიცოცხლე აწი...

მერე რაღაც გაახსენდა, სწრაფად დაიხარა, ასწია წაქცეული, გაზუნტლული ტომარა, მიიჩოჩა სკამთან და ათასნაირად შებორკილს ცოდვილი დაუწყო... როგორც იქნა, გახსნა. ჩაყო ხელი და კარგა ხანს ფათურობდა შიგ. ისე ეძებდა, საგულდაგულოდ გადანახულ, დამალულ ნივთებს რომ ეძებენ ხოლმე.

ჩემდა უნებურად მივშტერებოდი...

ორი კიტრი ამოიღო, დაიწყო კალთაზე. უყურა, უყურა... დაადო ერთმანეთს, დააზომა, გადაალაგა, იყოყმანა, მერე მოულოდნელად სტაცა ხელი უფრო დიდს და დედაბერს ჩაუდო კალთაში. ის ისევ ისე ჩუმად იყო. შემოხედა ამღვრეულად დარეჯანას, უპასუხოდ, უსიტყვოდ ისევ ფანჯარაში გაიხედა...

დარეჯანამ ისევ ჩაიხედა ტომარაში. ისევ ეძება... ეძება რაღაც. ამოიღო პური, თეთრი, ქათქათა, ქალაქის თონეში გამომცხვარი, ატრიალა ხელში, გახედა სინათლეზე, გატეხა ორად, გადახედა დედაბერს, მოქაჩა სახელოზე და ნახევარი კალთაში ჩაუდო. მოულოდნელად დახუჭა ორივე თვალი და დარჩენილი პურიც ორივე ხელით გაუწოდა თანამგზავრს...

— აჰა, ჭამე, ცავ, მე კიდევ მომცემენ, — თქვა სხაპასხუპით და მაშინვე ამოისუნთქა.

მეც იმწუთშივე მოვარიდე მზერა... იმწუთშივე დავინახე ასე, 20-25 წყვილი ცრემლიანი თვალი. არ ვიცი რამ დააწყნარა ასე უცებ მარადიულად მოყაყანე რეისი „მახარაძე-ასკანა", არც ის ვიცი, როგორ იცნო დარეჯანამ მასზე უპატრონო, ბედკრული და მიუსაფარი... მაგრამ ნამდვილად ასე იყო... და ისიც იყო, რომ სწორედ ის წელიწადი იდგა, როცა პური ოზურგეთში კი არა, თბილისშიც არ ჰყოფნიდა ხალხს...

***ეთერ ერაძე***

# ზღაპრის გმირივით დიდხანს ეძებდა ჭაბუკი აურაცხელი განძის პატრონს...



ახსოვთ ეს ღვარცოფიანი დღეები 50-იანი წლების მიწურულის თბილისელებს. თავიდან მოზარდებს ახარებდათ კიდეც გაზაფხულის შხაპუნა.

ერთხანს გამოიდარა. აურიამულდა ქუჩები. პირდაბანილმა ქალაქმა თითქოს ერთიანად ჩამოირეცხა საუკუნის მტვერი და აბლაბუდა. დამშვიდდა ზეცა. არ ეძინა მხოლოდ ეშმაკს. ისევ მოიქუფრა. წარღვნამ გადაუარა ქალაქს. ნაპირები გადმოლახა ვერემ. წალეკა ზოოპარკის არემარე. დამხრჩვალი ნადირ-ფრინველი გალიებიანად ტივტივებდა მორევში. გაცოფდა მტკვარი, ჯებირს გადაევლო, შეასკდა სახლებს, სახელოსნოებს, აბანოებს. არ დაცხრა, სანამ არ შეიწირა მსხვერპლი. შუაღამისას ერთმანეთში ირეოდა განწირული ადამიანების გოდება, მაშველთა ძახილი, ზვირთების ტყლაშუნი, ჭექაქუხილი, გრგვინვა და ქარიშხალი.

ალიონზე აუარებელი ხალხი მოაწყდა აბანოთუბანს. იმ ღამით იქიდან შინ თითქმის არავინ დაბრუნებულა... გამორბოდნენ გულოვანი ავლაბრელები, სოლოლაკელები, ჩუღურეთელები, ვერელები — ტანსაცმლიანი, ჩექმებიანი, ფეხშიშველნი, საცურაო კოსტიუმებით, უმისოდ — გადაეშვებოდნენ მორევში, მოათრევდნენ წალეკილ მანქანებს, ავეჯს, ნიაღვრისაგან დალეწილ კარ-ფანჯრებს. გამოჰქონდათ ნაპირზე და მეიდანზე, ერთ ადგილას აგროვებდნენ. დაზაფრული ხალხი იმდენ ხარახურაში თავის ნივთს „ეძიებდა და პოვებდა", რადგან სხვა არ ეხებოდა სხვისას...

მეტეხის მხრიდან ჭაბუკი გამოჩნდა. ცოტა ხანს უყურა უკუღმართ ბორიალს...

ჭრელი აბანოდან დედიშობილა დედა-შვილი გამოესვენებინათ და ჩახუტებულებს ერთმანეთს ვეღარ აშორებდნენ.

სიმწრით ტუჩები მოიკვნიტა, სვიტერი გაიძრო, ვიღაცას შეაჩეჩა და მორევში გადაეშვა. ჭაბუკმა მხარულით გაარღვია ტალღები, ვიღაცას ხელი გაუწოდა, რაღაც დაითრია, თავთხელზე გამოიტანა — აკვანი იყო! წამით თვალთ დაუბნელდა. მალე ისევ გულდაგულ შეერია მორევს. რაღაც დაეძგერა მკერდზე. დაიჭირა. ნაპირზე გამოიტანა პატარა ჩემოდანი. საღამო ხანს მონახა ფონი. გამოვიდა მთლად გალურჯებული. უცნობმა ქალმა თავისი შალი მოახვია. თანდათან გაიკრიფა ხალხი. ვისაც მიეგნო, თან წაეღო თავისი ნივთი. პატარა ჩემოდანი კი ხელუხლებელი იდო. მოშორებით მაშველები ნავს მიათრევდნენ. გასძახა: — ბიჭებო, ვისია ჩემოდანიო. მხრები აიჩეჩეს. კიდევ კარგა ხანს ელოდა პატრონს. წავიდ-წამოვიდა ყველა. ჭაბუკმა ჩემოდანი შინ წაიღო და საწოლის ქვეშ შეაცურა. სტუდენტი იყო. მარტო ცხოვრობდა ნაქირავებ პატარა ოთახში. სახლის პატრონი შემოვარდა ვიშვიშით: — რო დამხრჩვალიყავი... რო გაცივდე... რა ვუთხრა დედაშენსო. აბაზანა გაუცხელა, ჩაი აუდუღა, ორი საბანი დაახურა.

სამიოდე დღის მერე ლექციებიდან დაბრუნებულს გაახსენდა ჩემოდანი. ტალახი შეხმობოდა. შიგნიდან ისევ ჟონავდა წუმპე. გახსნა... ლამსა და ტალახში ბზინავდა ოქრო! ამოკრიფა ბეჭდები, ერთმანეთში არეულ-დარეული ყელსაბამები, საყურეები, რამდენიმე ლუპა, ბრილიანტის თვლები, რაღაც ხელსაწყოები, ორი მოზრდილი ოქროს ზოდი! გარეცხა სათითაოდ, შეამშრალა, ჩემოდანში საგულდაგულოდ ჩააწყო, ისევ საწოლის ქვეშ შეაცურა.

მას შემდეგ დაკარგა მოსვენება. დაეხეტებოდა ჯერ ისევ ტალახშეუმშრალ ქუჩებში, დატბორილ არემარეში და გამვლელ-გამომვლელს უცნაურად აჩერდებოდა. ეგონა, სადმე მოჰკრავდა ყურს დაკარგული განძეულის ამბავს. ამაოდ. დედა ჩამოვიდა სოფლიდან. აფორიაქება შეატყო. ბიჭმა ჩემოდანი გახსნა: — საიდანო?! ეცვალა დედას ფერი. ყველაფერი უამბო — პატრონს ვეძებ, თუ გადარჩა, უცილოდ მივაგნებო! დედას ყველი ჩამოეტანა გასაყიდად. მძიმე ჩანთები ძლივს მიათრიეს ბაზრამდე. შეაკოწიწეს ქირის ფული, ბიჭმა ფეხსაცმელებიც იყიდა. გახარებული წავიდა უნივერსიტეტში. შვილი გაიგულა თუ არა, დედა ოჯახის დიასახლისს შეეხმიანა. ყველი და ხილეულობა მიართვა. თან შეეხვეწა: ბიჭს ოქროულობა უპოვია, იქნებ პატრონი მოიკითხოთო. დიასახლისი სომეხი ქალი იყო, თავადაც განძეულობის მოყვარული. სათითაოდ გაჩხრიკა თითო ნივთი, თვალები დააჭყიტა, თავში წაიშინა ხელი: — გიჟი ხარ?! რა პატრონი, რის პატრონი, ღმერთს მოუცია, შეირგე, რაღა!.. ლუპა და რამდენიმე გამადიდებელი ცალკე გადააწყო, დიდხანს უყურა და დაასკვნა: — ოქრომჭედლისაა, ვეტყვი, ხელოსნებში მოიკითხოსო. მერე ბიჭი დაარიგა — თემურჯან, გაიკეთე ხელზე ერთი ბეჭედი და ოქრომჭედლებთან მიდი. ზოგს გადიდება სთხოვე, ზოგს დაპატარავება, ვითომ საცოლისთვის გინდა. არ შეიძლება პატრონმა თავის ნახელავი არ იცნოს. ჭკუით იყავი, ზედმეტი არაფერი წამოგცდეს, დამეცემიან, ამასაც წაიღებენ, ჩემსასაც ზედ მიაყოლებენო.

ზღაპრის გმირს ჰგავდა მაძიებელი ჭაბუკი. მოირგო თითზე ძვირფასი ბეჭედი და შეაჯერა ოქრომჭედლები. ზოგმა უთხრა, — აფსუსია, ნაკეთობას ვერ გავაფუჭებო, ზოგმა — ზომა მითხარიო... იარა, იარა და რიყეზე ერთ წვერმოშვებულ ხელოსანს წააწყდა. ციცქნა ხუხულაში მობუზული რაღაცას ჩაჰკირკიტებდა. სიყვარულით შეათამაშა სამკაული, ამოიოხრა... ზომა მითხარი, შვილოო, — თქვა ყრუდ. ერთი კვირა იარა ბიჭმა ხელოსანთან. გაშინაურდნენ. იმ მთისა თქვეს, ამ ბარისა. ოქრომჭედელმა ბეჭედი მოარგო. დალოცა. იღბლიანობა დაგებედოსო. ცოტა გადაჰკრეს კიდეც. წვეროსანმა გული გადაუშალა. თვალი მრჩება მაგ ბეჭედზე, ჩემს ნამუშევარს ვამსგავსე, წყალმა წაიღო ყველაფერიო. ჯანდაბას, რაც იყო, იყო. ორი სახლი გავყიდე, ყველას თავისი ავუნაზღაურე. ბაქოელი კლიენტის ზოდები მქონდა, იმას ვერაფერი მოვუხერხე, ვალად მადევს დანაკარგიო...

ჭაბუკი ფეხზე წამოიჭრა. სადღაც გავარდა. ცოტა ხანში განძეულობა კალთაზე გადაუბნია პატრონს. ენა ჩაუვარდა კაცს. ის კი დამშვიდებული, მსუბუქი ნაბიჯებით მივიდა შინ, რკინის ზამბარიან საწოლზე გაიშხლართა, სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა...

ერთ მშვენიერ დღეს მისი დაქირავებული ოთახის კარი ვიღაცამ მოურიდებლად შემოაღო. ოქრომჭედელი ეწვია. გარეთ გაიხმო.

მეც ბევრი გეძებე, — უთხრა მონატრებით, — შენზე ყველაფერი ვიცი. ეს კი შენი ფეშქაში იყოსო, — გამოაღო ახალთახალი „ზიმის" კარი და მანქანის გასაღები ხელში ჩაუკუჭა.

P.S. იმ ხანებში ქალაქში სულ სამი-ოთხი „ზიმი" დადიოდა. ერთი მათგანი თემურისა იყო — ოქრომჭედლისაგან კეთილი გულით მიძღვნილი...

ოქრომჭედელი იყო ოქრო გულის.

შვილივით დაიტირა. არ ივიწყებდა. შემოგვიკრებდა და ტკივილით მოგვითხრობდა მის ამბავს: ბიჭი ლენინგრადში წასულა სასწავლებლად. თეთრ ღამეში შველას ითხოვდა ვიღაც. მძარცველებისაგან იხსნა თურმე უმწეო ქალი. დაჭრეს სასიკვდილოდ. ქუჩაში დატოვეს თეთრი თვალებით...

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან".

***ეთერ თარიმანი***


# ერთი შეხედვით ბანალური ანთება

100 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქრონიკული პროსტატიტი აღწერილ იქნა, როგორც დამოუკიდებელი დაავადება. მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა ვირუსი, აგრეთვე ბაქტერიები (სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები და სხვა) ყველაზე ხშირად ქრონიკული პროსტატიტის გამომწვევი მიზეზი სტაფილოკოკებია.

ქრონოკული პროსტატიტის საერთო სიმპტომებია სიცხის მომატება, შემცივნება, საერთო სისუსტე, გადაღლილობის მომატებული შეგრძნება და ძილის დარღვევა. დამახასიათებელია აგრეთვე ტკივილის შეგრძნება მუცლის და წელის არეში, სათესლე ჯირკვლებში, მოვლითი ტკივილები და წვის შეგრძნება უკანა ტანის არეში. ხშირად პაციენტები აღნიშნავენ შარდვის გახშირებას და ამ პროცესის დროს ტკივილს.

სექსუალური პათოლოგიები გამოიხატება ერექციის გაიშვიათებით და შესუსტებით, ადრეული ეაკულაციით და ორგაზმის შეგრძნების დაქვეითებით. ხანდახან აღინიშნება ტკივილის შეგრძნება სექსუალური აქტის დამთავრებისას, ან ცოტა ხნის შემდეგ. ქრონიკულ პროსტატიტს უკავშირდება მამაკაცებში უნაყოფობის შემთხვევათა 60%.

ქრონიკული პროსტატიტის არსის არცოდნა, ამ დაავადებისადმი გამარტივებულ მიდგომასა და ზერელე დამოკიდებულებას იწვევს. ფართოდაა გავრცელებული აზრი, თითქოს ქრონიკული პროსტატიტი უბრალოდ "ბანალური" ანთებაა. აქედან გამომდინარეობს მკურნალობის ტრადიციული მეთოდოლოგია: პროსტატის მასაჟი უკანა ტანიდან, ანტიბიოტიკები, სითბური პროცედურები და ა.შ; რაც არასწორია. მაგალითად, ანტიბიოტიკებით ხანგრძლივმა მკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს დისბაქტერიოზი, თირკმელისა და ღვიძლის ტოქსიკური მოწამვლა და მეორადი იმუნოდეფიციტი.

სამედიცინო ცენტრში "ექიმი გილი" ამ ჯგუფის პაციენტებისადმი მიდგომა კომპლექსური და ინდივიდუალურია. აქ ფართოდაა დანერგილი დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები (კლინიკურლაბორატორიული, გენეტიკური, ექოსკოპიური). ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინიშნება ინდივიდუალური მკურნალობის კურსი, რაც დამოკიდებულია დაავადების კლინიკურ სურათზე და გამომწვევ მიზეზებზე, ადრე მიღებული ანტიბიოტიკების კურსის ხანგრძლივობაზე, იმუნოდეფიციტის სტადიაზე და დიზბაქტერიოზის ანალიზების შედეგებზე. ყოველივე ამის შემდეგ ტარდება იმუნოკორექცია.

მკურნალობისას "ექიმი გილის" სამედიცინო ცენტრში გამოიყენება მეთოდიკა, რომელიც დაფუძნებულია ლაზერულ ტექნოლოგიებზე. მაგნიტო-ლაზერული დასხივების, ინტრავენტული და კვანტური თერაპიის მიზანია, მოხდინოს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და გამწოვი ზემოქმედება. ლაზერული დასხივება გამოიყენება საყოველთაოდ აღიარებული მედიკამენტოზური თერაპიის ფონზე. ლაზერული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა 75% დან 90% მდე მერყეობს, კურსის ეფექტი დამოკიდებულია დაავადების ფორმასა და სირთულეზე. ამასთან, ჩვენთვის მნიშვნელოვანია პაციენტს დავეხმაროთ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში და ამავე დროს აღვადგინოთ მისი იმუნური სტატუსი, რათა ორგანიზმმა თვითონ მიიღოს მონაწილეობა ანთებითი დაავადებების ალაგმვაში.

პროსტატიტის დროული მკურნალობა საშუალებას იძლევა მინიმუმამდე დავიყვანოთ ან საერთოდ თავიდან ავიცილოთ საკმაოდ რთული და ხანდახან უკვე შეუქცევადი გართულებები.

ნუ უგულვებელყოფთ ამ პრობლემას, რადგან ეს არ არის "უბრალო" ანთება.

სამედიცინო ცენტრი
"ექიმი გილი"
t: 33-00-72 25-27-09
მ. კოსტავას ქ. 63
(გმირთა მოედანთან)
R

# საუბარი რეპეტიციის შემდეგ

## „ვენეციელი ვაჭარი“ ახალი „სარდაფის“ სცენაზე



საქართველოში „ვენეციელი ვაჭარი“ არაერთხელ დაუდგამთ. მაყურებელს კარგად ახსოვს ბატონი გოგი ქავთარაძის მიერ განსახიერებული შეილოკი. ცოტა ხნის წინ კი რობერტ სტურუამ მოჰკიდა ხელი ამ სპექტაკლს და თბილისელებმა კალიაგინის მიერ განსახიერებული შეილოკიც იხილეს... ამ თეატრალური დღესასწაულიდან ცოტა ხნის შემდეგ თეატრის მოყვარულებში ხმა გავრცელდა — **ლევან წულაძე** ახალი „სარდაფის“ თეატრში „ვენეციელი ვაჭრის“ დადგმას აპირებს და მთავარ როლს საქართველოში დროებით დაბრუნებულ მერაბ ნინიძეს ანდობსო... აზრი წამსვე ორად გაიყო — ერთნი მოუთმენლად ელოდნენ ახალ სპექტაკლს, მეორენი კი თავიდანვე სკეპტიკურად განეწყვენ — „ვენეციელი ვაჭარი“ „სარდაფში“? რა უნდა გამოვიდეს? როგორ მოჰკიდეს ხელი? კითხულობდნენ ეჭვით... და აი, პრემიერის დღეც დადგა... ვაკის „სარდაფის“ სცენა „ვენეციელი ვაჭრით“ გაიხსნა. პირველმა მოქმედებამ კარგად ჩაიარა, მეორე მოქმედებაში კი მოხდა ის, რასაც ასე ელოდნენ რეჟისორი და მსახიობები... ოვაციები დიდხანს არ ცხრებოდა... საბედნიეროდ, სკეპტიკოსების პროგნოზი არ გამართლდა. ჩვენი საუბარი რეჟისორთან ძირითადად ამ თემას შეეხო...

— **ძალიან ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა „სარდაფში“ „ვენეციელი ვაჭრის“ დადგმის იდეას. ზოგიერთი იმასაც ვარაუდობდა, რომ სპექტაკლს შეიძლებოდა ბატონი რობერტის გავლენა დატყობოდა...**

— რაც შეეხება გავლენას... სტურუას გავლენის ქვეშ ალბათ XX საუკუნის მეორე ნახევრის მთელი ქართული თეატრი მოექცა და, როგორც ჩანს, არა მარტო ქართული. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ალბათ, გავლენა არსებობს. მე „ვენეციელ ვაჭარზე“ მუშაობა ჯერ კიდევ მანამდე ჩავიფიქრე, სანამ გავიგებდი, რომ ბატონი რობერტიც ამ სპექტაკლს დგამდა. მაშინ ცოტა ხნით გავჩერდი კიდეც. ასე რომ, არანაირი დაპირისპირების მომენტი არ არსებობდა. ველოდებოდი ახალ სცენას, რადგან ძველ სარდაფში ამ სპექტაკლის დადგმა ცოდვა იყო, არ დაეტეოდა სივრცის თვალსაზრისით... ამ მოლოდინში ორი წელი გავიდა...

— **თქვენ მოერგეთ ახალ სასცენო სივრცეს, თუ პირიქით, სცენა მოგერგოთ თქვენ?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ ეს სცენა ჩვენი აშენებულია. თეატრი არ არის სივრცე, თეატრი არის ადამიანი, მსახიობი, ენერგია, რომელსაც მასში მომუშავეები ატარებენ. უბრალოდ, უკეთესია, როცა ეს სივრცე დიდია და კარგი ტექნიკით აღჭურვილი, თუმცა თუ ასე არ მოხდა, არც ეს არის ტრაგედია, მაშინ სხვანაირად იფიქრებ და სხვანაირად გააკეთებ სპექტაკლს შესაძლებლობის მიხედვით. „ვენეციელი ვაჭარი“ პირველი სპექტაკლი იყო. ახალ თეატრში სკრუპულოზურად ვარჩევდით პროჟექტორებს, უცხოური ნათურები დავამონტაჟეთ... გვეგონა, რომ ცუდი აკუსტიკა იქნებოდა, მაგრამ, როცა დარბაზი მაყურებლით შეივსო, ეს პრობლემა თითქმის მოიხსნა... ძალიან საინტერესო იყო ეს პროცესი — ჩემი გაცნობა ჩემსავე თეატრთან.

— **დიდხანს ეძებდით მთავარი როლის შემსრულებელს თუ სპეციალურად მერაბისთვის დადგით ეს სპექტაკლი?**

— არა... თავიდან სხვა მსახიობი მუშაობდა შეილოკის როლზე. შემდეგ გავჩერდით. მერე, მერაბი ჩამოვიდა და თქვა — დრო მაქვსო, ასე სპონტანურად, ყოველგვარი წინასწარი ფიქრის გარეშე მოხდა მერაბის მოწვევა შეილოკის როლზე...

— **თუმცა მისი მოწვევით საშიშროების წინაშეც დადექით. როგორც ვიცი, მერაბი მალე დატოვებს თბილისს... ამ შემთხვევაში სპექტაკლი გაჩერდება?**

— არა. წავა და ისევ ჩამოვა ერთ-ორ კვირაში, მერე ისევ წავა და ჩამოვა... ამ საქმეს სპონსორი გამოუჩნდა, რომელიც მერაბის მგზავრობას დააფინანსებს... მას დახმარებისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ...

— **თვითონ რამდენი „ვენეციელი ვაჭარი“ გაქვთ ნანახი?**

— ორი... ახალგაზრდობაში დოდო ალექსიძის არაჩვეულებრივი დადგმა, სადაც საოცარი სახე შექმნა ბატონმა გოგი ქავთარაძემ — მისი თამაშის თითქმის ყველა დეტალი მახსოვს დღემდე. მეორე კი, ბატონი რობერტის მიერ მოსკოვში დადგმული სპექტაკლი, სადაც კალიაგინი თამაშობდა... დანარჩენ დადგმებზე მხოლოდ წამიკითხავს ან ფოტოები მინახავს...

— **როგორც ამბობენ, ბატონი გოგის შეილოკი უფრო პლასტიკით და ჟესტიკულაციით გახსნილი სახე იყო, მერაბი კი თავისი გმირის სახეს ფსიქოლოგიურად ხსნის...**

— ეს მერაბის ამპლუაც არის და ღირსებაც, რაც ქართულ თეატრს თითქმის დაავიწყდა კიდეც. უფრო ეპიკური ჟანრი მოვირგეთ — თითქოს ბრეხტის ქვეყანა ვიყოთ. თუმცა ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ ისევე, როგორც ფსიქოლოგიზმში...

— **ვიცი, ძალიან ძნელია თვითშეფასება, მაგრამ მაინც... როგორ შეაფასებდით საკუთარ ნამუშევარს, თქვენს მსახიობებს?**

— მართლაც ძალიან ძნელია, მაგრამ შევეცდები... რომ გითხრათ, არ მომწონს სპექტაკლი-მეთქი, არ ვიქნები მართალი — მაშინ არ დავუძახებდი მაყურებელს, ვერ გავბედავდი მის შეწუხებას... მეჩვენება, რომ თითოეული მსახიობის სამსახიობო ოსტატობა უფრო დაიხვეწა. ეს ჩვენი თეატრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ მათ ოსტატობის ზენიტს მიაღწიეს — ეს ყოველდღიური და ყოველწლიური პროცესია, დაუსრულებლად... გარდა იმისა, რომ ახალი სცენა გვაქვს და ახალი აღჭურვილობა, მეჩვენება, რომ მსახიობთა უმეტესობა ახალი კუთხითაც გამოჩნდა...

— **ფაქტია, რომ ყველა რეჟისორს ჰყავს თავისი რჩეული მსახიობები. უკვე არაერთ ჯგუფთან მოგიხდათ მუშაობა მასწავლებლის რანგში... თქვენ თუ გყავთ ფავორიტები?**

— არა. ძალიან მაშინებს ამ ფაქტორის გაჩენა და მთელი ძალით ვიბრძვით მეც და ოთარ ეგაძეც, რომ ასე არ მოხდეს. თეატრი ყოველთვის იბადება და კვდება — სწორედ ეს ქმნის მის ერთგვარ რომანტიკულ და სევდიან ფონსაც. ის ცოცხლობს ხუთიდან ათ წლამდე. მერე უნდა დაიბადოს ახალი. ფავორიტების არსებობა, ვინმეს გამორჩევა, განსაკუთრებით აჩქარებს ამ პროცესს. ძალიან ძნელია შეინარჩუნო ობიექტურობა — ვიღაც თამაშობს მთავარ როლს, ვიღაც — არა, ვიღაც თავს მოფერებულად გრძნობს, ვიღაც, ცოტა არ იყოს, დაჩაგრულად... მაინც ვცდილობთ, რომ განსაკუთრებით არ გამოიკვეთოს ზღვარი. რასაკვირველია, ყველას ერთ სპექტაკლში ვერ დავაკავებ და ამის გამო გული მწყდება, მაგრამ ყოველთვის მინდა გადავანაწილო და დავაბალანსო ყველაფერი შეძლებისდაგვარად.

— **რაღაც განსაკუთრებული დღე თუ იყო „ვენეციელ ვაჭარზე“ მუშაობისას, როცა მიხვდით, რომ სპექტაკლი გამოდის...**

— იყო ასეთი დღე... არ დავმალავ, ძალიან ვნერვიულობდი მუშაობის პროცესში. ყოველთვის ვნერვიულობ და განვიცდი, მაგრამ არ მეტყობა ხოლმე. ახლა კი ყველა მატყობდა ამას — განსაკუთრებით დასაწყისში... შემდეგ, ერთ დღეს, კულისებში ვიჯექი მსახიობებთან ერთად და ვთქვი, მგონი რაღაც გამოდის-მეთქი. ყველამ გაკვირვებით შემომხედა. მსგავსი ფრაზა არასდროს მითქვამს. ამან კიდევ უფრო შემაშინა — ზედმეტად თავდაჯერებული ხომ არ ვარ-მეთქი — ავიკვიატე. საერთოდ, არ მიყვარს რეპეტიციებზე არც კარგის, არც ცუდის ლაპარაკი. უბრალოდ, თუ რამე შევცვალე, ამით ხვდებიან, რომ რაღაც არ მომეწონა...

— **ძალიან საინტერესოა მხატვრის — შოთა გლურჯიძის ნამუშევარი...**

— თავიდან, როცა დავიწყეთ სცენურ სივრცეზე ფიქრი, მონატრებულებმა დავახვავეთ დეკორაციები — შოთას გრანდიოზული გეგმები ჰქონდა, ურთულეს კონსტრუქციებზე ფიქრობდა, მაგრამ მერე ორივე მივხვდით, რომ უნახავებივით ვიქცეოდით და ყველაფერი მოვსპეთ, შოთამ სივრცე შექმნა — სივრცე ძალიან უხდება შექსპირს... დავტოვეთ მოძრავი აბრები, რაც, ჩემი აზრით, წაადგა სპექტაკლს...

— **„ვენეციელ ვაჭარში“ თამაშობს თქვენი მეუღლეც — მანანა კაზაკოვა. საერთოდ, ცნობილია, რომ რეჟისორები განსაკუთრებით მკაცრად ექცევიან ოჯახის წევრებს.**

— მეც მკაცრი ვარ... თუმცა, რეპეტიციებზე მას ოჯახის წევრად ვერ აღვიქვამ. იქ ყველა ოჯახის წევრია, ყველა ჩემი მეგობარია.

თუმცა, შეიძლება, ხანდახან ჩემს მეუღლეს უფრო მეტს ვუყვირი, ვიდრე სხვას — ეს გაღიზიანების გამო ხდება... ძირითადად ამაზე ფიქრის დრო არ მრჩება, გამოვარჩიო ოჯახის წევრი...

— **მომავლის გეგმებზე რას იტყვით?**

— ბევრ პიესაზე ვფიქრობ — ვაჟა-ფშაველაზე, გოგოლის „ბანქოს მოთამაშეებზე“, ქართველი თუ უცხოელი დრამატურგების ნაწარმოებებზე... ზუსტად არ ვიცი, რას ავირჩევ. პირველ რიგში ვეძებ პიესას, რომელსაც ძველ „სარდაფში“ დავდგამ, უკვე დავიწყე რეპეტიციები ინსტიტუტშიც, ცხინვალის თეატრშიც ვაპირებ რაღაცის გაკეთებას, ასე რომ, სამუშაო ბევრი მაქვს...

— **ორ „სარდაფს“ შორის არჩევანის გაკეთება ხომ არ მოგიწევთ?**

— არა. ორივეგან ერთი და იგივე ხალხი მუშაობს, უბრალოდ, ერთგან სხვა მასშტაბების სპექტაკლები დაიდგმება, მეორეგან — სხვა. ცოტა გული მწყდება იმაზე, რომ ძველ „სარდაფში“ ნაკლები კომფორტია, მეცოდება აქაურობა... ფული თუ ვიშოვეთ, ახალი „სარდაფის“ ვალებს როცა გავისტუმრებ, აუცილებლად მივხედავ ძველ „სარდაფს“...

*ეკა მახარაშვილი*

# როკში მხოლოდ პოეტები არიან



ცოტა მეეჭვება, დედამიწის ზურგზე, ქართველი კაცის გარდა, ვინმეს მოაფიქრდეს როკ-ანსამბლის პოეტური ნიჭის მიხედვით შექმნა. აბა, სად პოეზია და სად კიდევ როკი! მაგრამ ასე კი მოხდა და რა ვქნა...

ამ ჯგუფის სამი წევრი უნივერსიტეტში ლექსების წერამ დააახლოვა, ორიც — მიიწვიეს და ასე შეიქმნა თბილისში პოეტების ანსამბლი „ზღვარი“. ისინი სრულიად სერიოზულად ფიქრობენ, რომ „პოეტი ყველაზე დიდი ადამიანია დედამიწაზე!“

ესეც თქვენი XX საუკუნე: როკში მხოლოდ პოეტები არიან და თავიანთი ანსამბლისთვის მხოლოდ თვითონ თხზავენ სიმღერებს.

„პოეტური როკის“ (Phoete Rock) ერთ-ერთი წევრი კახა ბაციკაძე გერმანიაში ნათესავების დახმარებით გაემგზავრა და ანსამბლის ათსიმღერიანი ალბომით გერმანული სტუდიები შემოიარა. იქაური მსმენელი აღაფრთოვანა და ახლა უკვე რამდენიმე პოპულარული რადიო ამ სიმღერებს გამუდმებით ატრიალებს ეთერში... უფრო მეტიც: გაზეთი „ბრემერ ანცაიგერი“ წერს: „პოეტური როკი“ გარდატეხაა მუსიკის ისტორიაში. გერმანული ბაზარი სიამოვნებით შეისყიდის ჯგუფის სიმღერებს“... სამწუხაროდ, სიტყვა „ზღვარი“ გერმანულად ვერ ითარგმნა და ქართულ ანსამბლს გერმანელებმა „Grenz Linie“ (სასაზღვრო ხაზი) დაარქვეს და ანსამბლის ორი წევრი, სერგო ლომაძე და კახა ბაციკაძე გერმანიაში სამუშაოდ მიიწვიეს (დანარჩენი წევრები იქ მოგვიანებით ჩავლენ).

ასე რომ, ჯგუფი, რომელიც საქართველოში უსასყიდლოდ უკრავდა მშობლიური ღატაკი აუდიტორიისთვის, მალე გერმანული სიმღერის ბაზარს შეერევა და სხვათა შორის, ევროპის დაპყრობასაც აპირებს...

სანამ გერმანიის თვითმფრინავს ფრთები გაუშლია, ბიჭებს ცოტა რამ ვკითხოთ...

— **ახლა იტყვით, უცხოეთში ცოტა ხნით მივდივართო, მაგრამ ზოგიერთივით ალბათ აღარც გამოჩნდებით...**

***სერგო:*** — ეგ გამორიცხულია. უპირველესად გვინდა წავიდეთ იმიტომ, რომ უცხოეთში გაიგონ, როგორია თანამედროვე ქართული ხელოვნება, რომ ჩვენი ნიჭი სხვებმაც აღიარონ და ჩვენც რაღაც ვისწავლოთ მათგან — ბოლოს და ბოლოს, გერმანია უდიდესი მუსიკალური შესაძლებლობების ქვეყანაა... თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მდიდრები არ ვართ და ფულის შოვნაც გვინდა.

— **რაიმე სხვა პრაქტიკული პროფესიაც გაქვთ თუ მხოლოდ მღერით?**

***კახა:*** — არა, მუსიკის გარდა, არანაირი პროფესია არ გაგვაჩნია. რომც გვქონდეს, მუსიკა იმდენ დროს მოითხოვს, აღარ გვექნება...

— **მერე მუსიკით როგორ ირჩენთ თავს?**

***კახა:*** — რა თავის რჩენა?! ჩვენ საქართველოში მხოლოდ უფასო კონცერტებს ვატარებთ. შეიძლება ცუდია, მაგრამ ჩვენ გულწრფელად ვფიქრობთ, რომ შენს გაჭირვებულ ხალხს მუსიკით დატკბობაში ფული არ უნდა გადაახდევინო. რა ვქნათ, პოეტები ვართ...

— **თუკი არაფერი გაგაჩნდათ, ანსამბლი როგორღა შექმენით?**

***სერგო:*** — ჩვენ კარგი მეგობრები გვყავს, თანაც ანსამბლში გვყავს გიორგი ზუხბაია, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტ მომენტში შეუძლებელიც კი შეძლოს... ძალიან მახვილი გონება აქვს და... კიდევ — მაგარი ბიჭები: ლუკა ამირანაშვილი და სერგი კომახიძე.

— **განსაზღვრული სარეპეტიციო ადგილი თუ გაქვთ?**

***კახა:*** — არა. ისე, თბილისში არ დარჩენილა დარბაზი, სადაც არ გვიმუშავია. სიმღერებსაც ყველგან ვმღერით, განსაკუთრებით მაინც, სარდაფში.

— **ბევრი კონკურენტი გყავთ?**

***სერგო:*** — რა თქმა უნდა. ჩვენი კონკურენტები, ვისაც ეჭვი ეპარებოდა ჩვენს პროფესიონალიზმში, უკვე დავარწმუნეთ, ვინცა ვართ, თუ კიდევ ვინმე მოინდომებს, შეგვეჯიბროს, იმათაც ასე დავარწმუნებთ.

— **ვის ემუქრებით, თქვენ მაინც გერმანიაში აპირებთ წასვლას...**

***კახა:*** — ჯერ ერთი, ჩვენი სამი წევრი ჯერჯერობით აქ რჩება. მათთან იქიდან ვითანამშრომლებთ და დავეხმარებით. მეორეც: ხომ გითხარით, სამუდამოდ არსად დავრჩებითო...

— **იქ ქართულადაც უნდა იმღეროთ?**

***სერგო:*** — რასაკვირველია. ცხადია, სიმღერებს გერმანულ ენაზეც ვთარგმნით, რათა ის ზღვარი გადავლახოთ, რომელიც ყოველთვის წარმოიქმნება უცხოენოვან მაყურებელთან...

P.S. სანამ ქართველი ჭაბუკები ქვეყნის ბედისა თუ უბედობის გამო უცხოეთს შეაფარებდნენ თავს, შეეცდებიან, რამდენჯერმე მაინც დაუკრან ქართველი მაყურებლისთვის. თუკი გიყვართ კარგი ლექსი და მუსიკა და გაიგეთ, აქა და აქ „ზღვარი“ უკრავსო, გირჩევთ, მოუსმინოთ მათ...

*ეთერ ერაძე*



# სამზარეულოში თუ შემიშვებთ, მწვადსაც დავწვავ და შამფურსაც

## სხვასაც იგივე უნდა უსურვო, რაც შენთვის გსურს...



*დაგვეთანხმებით, ადვილი მისაღწევი სულაც არ არის, 25 წლის მანძილზე ყველა თაობის მსმენელს ერთნაირად უყვარდეს მომღერალი და ამ ხნის განმავლობაში მის მიმართ ინტერესი არ ნელდებოდეს. პოპულარულმა და თავმდაბალმა* ***მერაბ სეფაშვილმა*** *ღიმილით გაიხსენა, რომ მუსიკალური მოღვაწეობა ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ დაიწყო 1977 წელს. მაშინ საბჭოთა კანონი არ ითვალისწინებდა არასრულწლოვანისათვის მუშაობის უფლებას. მიუხედავად ამისა, შრომის წიგნაკიც კი გაუხსნეს არასრულწლოვან მერაბს...*

*ყველასთვის ცნობილი მომღერალი თავის რიგით მე-3 ახალ ალბომს ამზადებს. ისე, რაც მას უმღერია, ყველაფერი რომ „აიკინძოს", სამი კი არა, ათი ალბომიც არ ეყოფა. იუბილარ შემოქმედს წარმატებას ვუსურვებთ და ამჯერად საინტერვიუ კითხვების ნაცვლად, ქართულ ანდაზებზე დაფიქრება შევთავაზეთ. ვფიქრობთ, მისი ნაფიქრი თქვენც დაგაინტერესებთ:*

**„ადამიანი ჯოჯოხეთსაც მიეჩვევაო".** ადამიანი ალბათ უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ არც ამქვეყნად აღმოჩნდეს ჯოჯოხეთში, არც იმ ქვეყნად. მაგრამ, როგორც ჩანს, კაცი ყველაფერს, ნებისმიერ რთულ პირობებს ეგუება. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, დამაჯერებლად ჟღერს ეს ანდაზა, მაგრამ რაც მეტს ცხოვრობ, მით მეტს უნდა სწავლობდე და შესაბამისად, ჯოჯოხეთური მოვლენების აცილების უნარიც უნდა გქონდეს, ალბათ.

**„არმინდამ 9 ხინკალი შეჭამაო".** რა ქნას „არმინდამ", იქნებ არა თავპატიუის, არამედ, მოკრძალების გამო უარობდა. მეც მიჭამია ეგრე 9 კი არა, ბევრად მეტი. ბავშვობაში ხინკლის ჭამაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს.

**„არც მწვადი დაწვა, არც — შამფური".** ეს კაი მზარეულის მოგონილი ანდაზაა. ისე უნდა მოიქცე, მთელი დიპლომატია მოიშველიო და საქმე არ გააფუჭო. ცხოვრებაში ამის გაკეთება მარტივი არ არის. ისე, სამზარეულოში რომ შემიშვა, გამზადებულს მივირთმევ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მწვადსაც დავწვავ და შამფურსაც.

**„აღმართს დაღმართიც მოსდევსო".** ეს არის ლოგიკა. იცი, როგორია ცხოვრება? ჯერ სწორია, მერე აღმართია, მერე მწვერვალია, მოკლედ, ვფიქრობ, რომ ადამიანმა ძალიან მაღლა აფრენა არ უნდა მოინდომოს, რათა დაცემა ნაკლებმტკივნეული იყოს. უკან დასაბრუნებელი გზა უნდა დაიტოვო, ისეთი, წინსვლას რომ ისევ შეგაძლებინებს.

**„ბევრის მდომმა ცოტაც დაკარგაო".** ბევრი კარგია? არა მგონია. რადგან არსებობს სიტყვა „ზომიერება", გული სიხარბეს არ უნდა შეაჭმევინო. ბევრი ყოყმანიც არ ვარგა, თუმცა სწრაფად გადაწყვეტაც არ არგებს საქმეს და 100-ჯერ თუ არ გაზომავ, 50-ჯერ მაინც არ უნდა დაგეზაროს. საქმეც არ უნდა გადადო, თორემ „ეშმაკის გახდება". ბევრჯერ მიწვნევია ეს ჩემი სიზარმაცის გამო. ყველა დღე უნდა გამოიყენო, რადგან თითოეულს თავისი, სრულიად განსხვავებული მუხტი აქვს. რომელიც არ მეორდება და თუ მის მისაღებად არ გაირჯები, დაგაკლდება.

**„გაყიდა მარანი, იყიდა ტარანი"; „გაყიდა მამული, იყიდა ხრამული".** შორს წასვლა აღარ გინდა ამის დასამტკიცებლად. ანდაზის ჭეშმარიტება სახეზეა ჩვენი ქვეყნის მაგალითით. მარნის და მამულის გამყიდველებს ბევრს ვხედავ ირგვლივ. იმედია, მოვლენ აზრზე, მიხვდებიან, რომ დიდ დანაშაულს სჩადიან.

**„გიჟი ბევრჯერ მართალს იტყვისო".** აქ ალბათ გიჟში სულიერად დაავადებული არ იგულისხმება, უფრო ხუმარაზე, ტაკიმასხარაზეა ნათქვამი. ასეთები ახლაც არიან და ბევრ რამეს ამბობენ მართალს. მართლის თქმა ისეთ დეფიციტად იქცა საქართველოში, რომ მიკვირს, ნუთუ გულის მოსაოხებლად ტაკიმასხარად უნდა გადაიქცე?

**„დილას ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ცოტა შეგიგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი".** ეს ქართული ანდაზაა? ეტყობა, ჩვენი წინაპრები გულში მღეროდნენ ამას, თორემ სტუმარს როგორ ეტყოდნენ. მაშინ ხომ სტუმარმასპინძლობის შესანიშნავი ტრადიცია არ გვექნებოდა. ისე, აღარ ვიცი, რა სჯობს. გულში მღერა და მასპინძლის ამპლუაში სტუმრის აღმოჩენა, თუ...

**„ერთი კაცის შრომით ათი იცხოვრებსო".** ასეც ხდება და ასეც ხდებოდა ყოველთვის. მეგობრობაში, ბავშვობის დროსაც კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვის ჰქონდა ჯიბეში ფული და ვის არა, ვისაც ჰქონდა, ამხანაგობაში უნდა დაეხარჯა. კაცური და ადამიანური ანდაზაა.

**„ვინც არ შრომობს, არ ჭამს".** კომუნისტების დროს ხშირად მესმოდა ეს. ასე უნდა იყოს. შენს ნაშრომს დიდი ფასი და გემო აქვს. არა მგონია, უშრომელი ლუკმა შინაგანად არ სტანჯავდეს ადამიანს და არ განიცდიდეს, რომ იმის მფლობელია, რაც მას არ ეკუთვნის.

**„თავის ქება თავის მტვრევააო".** არ მიყვარს თავის ქება, არც თავის მაქებარი ადამიანები. ამას პატივმოყვარეობა ჰქვია და მგონი დიდი ცოდვაცაა. თუ საქები ხარ, სხვა შეგაქებს, თუ არა და სასაცილოდ გამოჩნდები.

**„სიჩუმე თანხმობის ნიშანია".** არა, ყოველთვის არა. ისე, სიჩუმე მრავალნაირია. აი, მაგალითად პაუზა, მუსიკაში პაუზა ხანდახან გაცილებით მრავლისმომცველი სიჩუმეა, ვიდრე მთლიანად მთელი მუსიკალური ნაწარმოები. ასე რომ, სიჩუმე-პაუზაც რაღაცას ნიშნავს, მაგრამ არა ყოველთვის თანხმობას.

**„კაცი ცხენზე იჯდა და უნაგირს დაეძებდაო".** რატომაც არა, იქნებ შეუკაზმავ ცხენზე იჯდა? ხდება ცხოვრებაში ხშირად ასეთი რამ. ზოგჯერ შეიძლება ბედნიერება გვერდით იყოს და სხვაგან ეძებდე.

**„ზოგი ჭირი მარგებელიაო".** ადამიანი ბევრ შეცდომას უშვებს ცხოვრებაში და უცნაურია, მაგრამ სანამ თავად არ ვიწვნევთ, სხვისი არ გვესმის. მერე კი უკვე საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, გიჭირს სხვისი დარიგება. ფიქრობ, ისიც ჩემსავით არ დაიჯერებს, სანამ თვითონ არ იწვნევს. ცხოვრება მასწავლებელია. მთავარია, ამას მიხვდე და ერთი შეცდომის შემდეგ იგივე აღარ გაიმეორო, თორემ კოკა წყალს მუდამ არ მოიტანს, ერთხელაც გატყდება.

**„კეთილი გულით მოძღვნილი, მცირედიც შეიწირების".** აბა რა, კაცმა შეიძლება სიტყვით მთელი სამყარო გაჩუქოს, ესეც ბევრს ნიშნავს, რა თქმა უნდა, ვერაფერს აიღებს და მოგცემს, მაგრამ ხომ გაძლევს, ხომ იმეტებს, ხომ უყვარხარ? ერთი კეთილი სიტყვა ზოგჯერ ოქროზე ძვირფასია.

**„კაცის თვალი ხარბიაო".** ხარბია, ხარბი, მაგრამ შურიანი არ უნდა იყო. სხვასაც ის უნდა უსურვო, რასაც შენთვის ისურვებდი ან პირიქით, მაშინ ბედნიერი იქნები. მე ასე მწამს.

*ეკა ლომიძე*



# ჩემთვის ზამთარშიც გაზაფხულია

სულ მალე მაყურებელი **თათია გიორგობიანის** ახალ მუსიკალურ კლიპს იხილავს. „კეთილ ზღაპარში" მომღერალი წარსულში მოგზაურობს. ახალ სიმღერას თათია ოთხი წლის ლიზი მაღრაძესთან ერთად ასრულებს, რამაც თურმე საშუალება მისცა, კიდევ ერთხელ დაბრუნებოდა ბავშვობის სამყაროს. თუმცა, ბავშვობას მონატრებული თათია მეტად თამამ ნაბიჯს დგამს და კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში როიალის თანხლებით რუსულ რომანსსაც წარმატებით ასრულებს. სულ მალე მისი მუსიკალური ალბომიც გამოვა. ამჯერად თათიასთანაც დავარღვევ ტრადიციული ინტერვიუს ფორმას და შემოგთავაზებთ მის ზოგიერთ მოსაზრებას ზოგიერთ საკითხზე...

...შეიძლება ბანალური მოეჩვენოს ვინმეს გაზაფხულზე საუბარი, მაგრამ არ შემიძლია, ჩემი გულისნადები არ ვთქვა. წელიწადის ეს დრო იმდენად მიყვარს, რომ ჩემთვის ზამთარშიც გაზაფხულია. სულ ვფიქრობ, რომ ღმერთმა ადამი სადღაც თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში შექმნა და აპრილში გააღვიძა. უმშვენიერესი ევა კი, ალბათ აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში იშვა ადამის ნეკნიდან. გაზაფხულზე სიცოცხლის ხალისს სხვანაირად ვგრძნობ, სიმღერაც რაღაც სხვანაირად მინდება და ცელქი ამურისაგან შეგულიანებული მზად ვარ შხაპუნა წვიმაში გამოვიდე, როგორც ეს ფილმ „ჩვენს ეზოშია" — ვიმღერო, ვიცეკვო და ვიყვირო — „მიყვარხართ".

...გაზაფხულის მერე სიყვარულზე თუ არ ვთქვი რამე, შეიძლება?

ტყუილად გგონივართ შეყვარებული. ჯერჯერობით ამ გრძნობის ტყვე არა ვარ. გატაცებული ხშირად ვარ, ტრფობის ცეცხლი გამკრავს ხოლმე გულის კედლებზე, თვალებზე, ვერა და ვერ მომეკიდა ბოლომდე. იმ ხალხის არ მესმის, ცხვირ-პირი რომ ჩამოსტირით და ამბობენ, ისეთ ხასიათზე ვარ, სულ არ მესიყვარულებაო. კარგი რა, განა სიყვარულში მარტო გოგოსი და ბიჭის სატრფიალო დამოკიდებულება იგულისხმება? გული აივსე ხალისით, სიცოცხლით, ირგვლივ მყოფთა სიყვარულით და აღარ დაბერდები.

...ეს რა სიტყვა ვთქვი, დაბერდები-მეთქი? რა დროს სიბერეა. ახლა ლიზისთან ერთად სიმღერა რომ ჩავწერეთ და კლიპი გადავიღეთ, მივხვდი, რომ ადამიანს იოლად შეუძლია საკუთარ თავში მოძებნოს მარადიული სიყმაწვილის საიდუმლო. მთავარია, ნებისყოფა გეყოს მერე და იმ წესით იცხოვრო, რომელიც გულს არ დაგიბერებს, გულიდან მაცქერალი კი სარკეში სახეზე გაჩენილ ნაოჭებსაც ვეღარ შეამჩნევ. კლიპის გადაღების დროს იმდენი ვიცელქე ლიზისთან ერთად, როგორც იტყვიან, თავზე დავიმხეთ ყველაფერი. ახლა ბავშვი ოჯახში ყველას აფრთხილებს თურმე, თქვენ ჩემი ტოლები არა ხართ, ბებიები ხართ და თუ გამაბრაზებთ, თათიას შვილი გავხდებიო. კარგი რამეა ბავშვობა. სიწმინდესთან, სიკეთესთან და ყველაფერ საუკეთესოსთან ასოცირდება ეს სიტყვა ჩემთვის.

...ცუდია, რომ დღეს უგემოვნობა ზეიმობს. ზოგჯერ საკუთარ თავს დავიჭერ ხოლმე რაღაც უხეიროს, უგემოვნოს წაღიღინებაში და პროტესტის გრძნობა მიჩნდება — ნუ გვასმენინებთ, ნუ გვაჩვენებთ, ნუ წერთ სისულელეებს, ნუ უწევთ პროპაგანდას უგემოვნობას! წინათ საქართველოში კრიტიკული და გემოვნებიანი მაყურებელი ყოფილა, იმიტომ, რომ უგემოვნოს არ ისმენდნენ არაფერს. ახლა კი ადამიანს კარგის მოსმენის საშუალებას აღარ აძლევენ. იქმნება კარგიც, განა არ იქმნება? მაგრამ მას არ უკეთდება რეკლამა. ახლა გაიძახიან, საქართველოში შოუბიზნესი ვერ განვითარდება იმიტომ, რომ ბაზარი არ არის, მაყურებელი, მსმენელი არ არისო, ტყუილია ეს. უნდა შეიქმნას პროდუქცია, უნდა დაიდგას კონცერტი, რომელიც საკონცერტო დარბაზში მიიყვანს შინ გამოკეტილ, ხელოვნებას მონატრებულ მაყურებელს. გარდა ამისა, გულდასაწყვეტია ისიც, რომ ახალი თაობის მელომანებმა თუ ფანებმა თითქმის არაფერი იციან შესანიშნავი ქართული მუსიკალური წარსულის შესახებ. არც ის იციან, ვინ იყვნენ და რას მღეროდნენ ინოლა გურგულია, ეთერ ჭელიძე და სხვები. რაღაცნაირად უნდა აღდგეს კავშირი ახალ და ძველ თაობებს შორის.

...ქუჩა, ძველი თბილისი, რუსთაველი — ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ვამბობ, რომ თბილისის ძველი ქუჩები ჩემთვის სალოცავივით ადგილებია. როცა ძველ თბილისს იგონებენ ბებია-ბაბუები, მშობლები, ვუსმენ და მერე, მთელი დღე ვხეტიალობ ძველი თბილისის ქუჩებში; მინდა წარმოვიდგინო, როგორმე ვიგრძნო ის ხიბლი, რამაც ჩვენამდე სამწუხაროდ ვეღარ მოაღწია. ქუჩაში გენიოსები დადიოდნენ თურმე. ნამდვილი ვარსკვლავთცვენა ყოფილა რუსთაველის პროსპექტზე, ახლა კი ქუჩა უცნობებითაა სავსე. ეს ისე არ გაიგოთ, რომ თითქოს სრულიად არავინ იცნობს ერთმანეთს. არა, წინათ თურმე ყველა ერთმანეთს ესალმებოდა რუსთაველზე, პროსპექტზე გავლა ერთგვარი რიტუალიც კი ყოფილა. ახლა კი სიცივე მეფდება თბილისში, სიცივე, რომელიც მობეზრდათ უცხო ქვეყნებში; ჩვენ კი რატომღაც მივტირით იმ ქვეყნებს, იქ ცხოვრებაზე ვოცნებობთ. არადა, იქიდან ჩამოსულები, აქაურობაზე გიჟდებიან და სასაცილოა, მაგრამ გვასწავლიან, გადაარჩინეთ ის, რაც გაქვთ — გრძნობა, სითბო, ნუ გაცივდებითო.

*ეკა ლომიძე*


ქართული და უცხოური

ჟურნალ-გაზეთების

გამოწერა

თბილისის მაცხოვრებლებისთვის

და ორგანიზაციებისთვის



ტელ: 33-26-73

სახლიდან გაუსვლელად

შპს „ელვასერვისი"

# მესიზმრება მომღერალი მატარებელი და ბებია, რომელიც ზღაპარს მიყვება...

ვინ იცის, ვის რას გვიმზადებს წერა-მწერალი, მაგრამ ცხადია, რომ ზოგს, ჩიტი რომ ჩიტია, ის არ გადაუფრენს სიმშვიდის დასარღვევად, მაგრამ მაინც სულ ცხვირპირი ჩამოსტირის, ზოგის თავზე კიდევ წისქვილის ქვაც დატრიალდება და არ გატყდება, მაინც არ ავიწყდება, რომ უნდა გაგიღიმოს, იმედიანობა გადმოგდოს...

ახლა წარმოიდგინეთ, როგორ ხასიათზე დაგაყენებთ 95 წლის ადამიანი, რომელიც ოდნავ თვალმოჭუტული გიღიმის, თავისი მომზადებული სასმლით გლოცავს და თან გიბოდიშებს, — მოტეხილი ფეხი ჯერ კიდევ კარგად არ შემხორცებია, მერე რომ მობრძანდებით, შესაფერისად დაგხვდებითო... არადა, მას წუთისოფლის ქვა და ღორღი ბევრჯერ ჩამოშლია თავზე, მეგობრად ერთი პაწია გორაკილა დარჩენია, IX სართულიდან რომ გასცქერის... სამაგიეროდ, უამრავი მოგონებითაა სავსე და ისეთ ამბებს მიყვება, ღირს ყურის გდებად.

ჩემი საყვარელი ლექსის, „საპოვნელას“ და მშვენიერი ფილმის, „ჭრიჭინას“, სცენარის ავტორი, ქალბატონი **მარიკა ბარათაშვილი** საუბარს ჩემი „დამშვიდებით“ იწყებს...

— ჩემი ასაკისა ნუ შეგეშინდება, დედიკო. ყველაფერი მახსოვს და ყველაფერს მოგიყვები. ადამიანს გონება რომ დაეკარგება, ამაზე უარესი არაფერია. გული გადამიტრიალდება, ჩემს ამხანაგებს რომ დავურეკავ ხოლმე. აღარაფერი ახსოვთ იმ დალოცვილებს. საქმეა ახლა ეს? დედიკო, იცი, რა მახსოვს? ერთ გაზაფხულს, ჭიათურაში, დედას ქუჩაში გავყევი ხელჩაკიდებული. მაისი იყო, ვარდები ყვაოდა ეზოებში. იმ ეზოებიდან ხალხი გამოდიოდა და ერთმანეთს ეხვეოდა. დედამ მითხრა, — შვილო, ახლა ჩვენ თავისუფლები ვართო. რა მესმოდა თავისუფლების, მაგრამ მეც გავიხარე ბავშვურად.. ოცდაერთ წელში უფრო მოზრდილი ვიყავი. იმდროინდელი შიში მახსოვს. ამბობდნენ, მოდიან რუსები, დიდი საბნები უნდა შეკერონ და მთელი სოფლის ქალი და კაცი ერთად დააწვინონო, გოგოებს მოგვტაცებენო. მე და ჩემს დობილებს, 12 წლის გოგონებს, ჩუმ-ჩუმად უკვე თაყვანისმცემლები გვყავდა. გვითვლიდნენ ეს ლაწირაკები — ნუ გეშინიათ, სხვენში დაიმალეთ, ჩვენ განვდევნით რუსებსო... აბა, ისინი მოერეოდნენ ამოდენა ვეშაპს? — ვაჟკაცებმა ვერაფერი დააკლეს... ოცდაოთხში ჩემი სახლის აივნიდან მესმოდა რუსების „ურა“ და ზარბაზნების ქუხილი, აჯანყებულთა შტაბებს რომ ილებდნენ. მერე საჩხერე-ჭიათურის აბაშიძეები და წერეთლები, სულ ნარჩევი ბიჭები, ვაგონებში ჩაყარეს და ზესტაფონში დახვრიტეს... იმ ოცდაოთხმა წელმა შეიწირა ჩემი ერთადერთი ძმაც. ჭიათურის აჯანყების ღამეს თბილისში იყო კორნელი კეკელიძის სახლში. ის, კორნელის და კიტა აბაშიძის ვაჟები მეგობრობდნენ. ღამით ნიშანს ელოდნენ, როგორ ემოქმედათ. ვიღაცას გაუცია და სახლისთვის ალყა შემოურტყამთ ჩეკისტებს. ბიჭები სახურავზე ასულან და სახურავიდან სახურავზე გადარბოდნენ თურმე. ჩემს ძმას მეგობრის ოჯახისთვის მიუშურებია ვარდისუბნის ქუჩაზე. განთიადი ყოფილა და ეზოში მენახშირე მდგარა. ჩეკისტები უკან მიჰყოლიან და მენახშირისთვის უკითხავთ, ამ ეზოში ვინმე თუ შემოვიდაო, — არაო, — უპასუხია. წარმოგიდგენიათ, იმ უბრალო კაცმაც კი იცოდა, ვინ იყო მართალი! მერე მაინც დაიჭირეს. სამშობლოში აღარ დაედგომებოდა და თურქეთში უნდოდა გაქცევა. ქობულეთში მისწვდნენ. ერთი საშინელი ადგილი იყო ციმბირში — სალოვკა. ციხიდან იქ გაამწესეს ზაფხულის ტანსაცმლით. გაიგო მამამ, გაყიდა სახლი, უყიდა თბილი ტანსაცმელი და დაადგა რუსეთის გზას. აბა, სალოვკაში იმას ვინ ჩაუშვებდა. იმდენი იწვალა, მოსკოვში აბელ ენუქიძესთან შეაღწია. იმან კიდევ, დაუჯერებელია, მაგრამ სალოვკის ზონის საშვი გამოუწერა. ოღონდ, სამ დღეში უნდა დაბრუნდე, ახლა იქ წყლები იყინება, ნავიგაციის პერიოდი მთავრდება და გზა ჩაიკეტებაო... ჩავიდა მამა ბანაკში. ჩემი ძმა შიმშილობდა თურმე — ბანდიტობის მუხლი მიეცათ — არ ვარ ბანდიტი, პოლიტიკურ დამნაშავეებთან გადამიყვანეთო. უთხრეს, მამა ჩამოგივიდა, შიმშილობა შეწყვიტე და გაჩვენებთო... მამა კი არა, დედაჩემიც რომ ჩამომიყვანოთ, შიმშილობას მაინც არ შევწყვეტ თუ მუხლი არ შემიცვალეთო... ხვდებით, რა საშინელებაა? მამა გამობრუნებას აპირებდა, მაგრამ იქაურ მადლიან თანამშრომელს შესცოდებია და შვილი უჩვენებია... დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდა ჩემი ძმა, უკვე ავადმყოფი, მხოლოდ ორი წელი იცოცხლა. ამ ამბავმა შეიწირა მამა. დედა ისედაც ავადმყოფი მყავდა, ჭლექი ჰქონდა. ავად რომ გახდებოდა, ნათესავიდან ნათესავთან დამატარებდნენ მოსავლელად, აბა, ის რას გაუძლებდა ამ უბედურებას.

**— თქვენს საბავშვო ლექსებში ისე ჩანს, რომ ბედნიერი ბავშვობა გქონდათ...**

— ბავშვობა მაინც ბედნიერი იყო, დედიკო... დედა კი მყავდა ავად, მაგრამ მამა რომ ხელს ჩამკიდებდა და ჭიათურიდან ნავარძეთში წამიყვანდა, ქვეყანა ჩემი მეგონა. იქაურ ბავშვებს მასწავლებელი არ ჰყავდათ. ჩამოვხსნიდი ხბოს ზარს, მოვუყრიდი „მოსწავლეებს“ თავს და ვასწავლიდი წერა-კითხვას... ჭიშკართან ორი თუთის ხე გვედგა. ავცოცდებოდი ზედ და ვმღეროდი. დედაჩემი მეტყოდა, — ე, გოგო, ცოტა ხანს ყურები დაასვენეო. მერე ნანობდა, ასე რად გეუბნეოდი, შვილო, ნეტა, გემღერა, რამდენი გაჭირვება ნახეო.

იცი, რა... ჩემი სოფელი მესიზმრება ხშირად. იქ პატარა გორაკი იყო. ავიდოდი საღამო ხანს და მივჩერებოდი მიმავალ მატარებელს, ყვირილას პირს რომ მიუყვებოდა. ზაფხულში ღია მატარებელი დადიოდა. იჯდა ხალხი შიგ და მღეროდა. აი, ის მომღერალი მატარებელი მესიზმრება. ჩემი სოფლის ქალები მესიზმრებიან კოკებით — წყალი შორი გზიდან მოაქვთ. მაშინ ვუყურებდი მათ და ვოცნებობდი, მე რომ ზღაპრული მზეთუნახავი ვიყო, სოფელს წყალს ხომ მივცემდი-მეთქი. სხვათა შორის, ეს ოცნება ავისრულე — წყალი ავიყვანე ჩემს სოფელში. იქ რომ ავდიოდი, ქალები მეუბნებოდნენ, — ქალბატონო მარიკა, რამდენჯერაც ონკანს მოვუშვებთ, იმდენჯერ გლოცავთო. ამას რომ მეტყოდნენ, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იყო დედამიწაზე...

შარშან ფეხი მოვიტეხე. ვიფიქრე, ისე არ მოვკვდე, იქაურობას არ გამოვემშვიდობო-მეთქი. ავიჩემე და საკაცით, სასწრაფოს მანქანით წავაყვანინე თავი იქ ჩემს შვილიშვილებს. ვიწექი აივანზე, ძველ სახლში. მოდიოდა ხალხი და მიხაროდა.

**— რამ გაგიხალისათ ყმაწვილქალობა?**

— პირველმა ბავშვურმა სიყვარულმა. სოფელში წყალს გამოღმა მე ვცხოვრობდი, წყალს გაღმა — იმის ორსართულიანი აგურის სახლი იდგა. იმ სახლის აგურებიც მიყვარდა, თუმცა ხმაც არ მქონდა იმ ბიჭისა გაგონილი, მაგრამ გვერდზე რომ ჩამივლიდა, ისე შევუყურიდი წარბებს, თურმე ხალხს ეკითხებოდა, რას მერჩის, რა დავუშავეო... დეიდა მყავდა მესაიდუმლე, იმას ვენაცვალე. ვუყვებოდი ყველაფერს. გავიხედეთ და ერთხელ თბილისში ვარ დეიდასთან და არ მომადგა?! — მამას წერილი გამოეტანებინა სოფლიდან. ვნახოთ, ვიღაც აკაკუნებს, გავაღე კარი და ტანში დენმა გამიარა. შემოიპატიჟა დეიდაჩემმა. ვზივარ ენადაბმული. მითხრა, კარტი ვითამაშოთო. სამჯერ „გავადურაკე“, მერე — თეატრში ხომ არ წამობრძანდებითო... ვინ წამოვიყვანო-მეთქი, — შევეკითხე... ადგა, წავიდა და წავიდა... ასე იყო...

ახლა დეიდაჩემზეც მოგიყვებით: გასაოცარი ქალი იყო და იცით, რამხელა ტვირთი ატარა? — 24 წელიწადი ელოდა შეყვარებულს. ის



შვილთაშვილ ნატალიასთან ერთად

ბიჭი უცხოეთში გაექცა ბოლშევიკებს. მერე დეიდაჩემს მოსწერა, თუ დავბრუნდები, მხოლოდ შენი გულისთვისო. ორმოცდაცხრაში ჩამოაღწია. პარიზში დაემთავრებინა საექიმო... მაგრამ ჩამოვიდა თუ არა, ჩაწვა, უცხოეთს დაეავადმყოფებინა. არც უქორწინიათ, ისე გარდაიცვალა. დეიდა აღარ გათხოვილა.... ის იყო ჩემი დაც, მეგობარიც, დედის მაგიერიც და ჩემი დარდის გამზიარებელიც... ჰოდა, ერთხელ მე და დეიდაჩემი ვსეირნობთ ჭიათურის რკინიგზის სადგურთან — ჭიათურაში ის ერთადერთი სასეირნო ადგილი იყო — გავიხედეთ, მოდის კვიროს ყურაშვილი. ეს კვიროს ყურაშვილი თბილისიდან გამოგვიგზავნეს ექიმად. მოგვიახლოვდა, მიესალმა დეიდას, მეც ხელზე მაკოცა. ძალიან ლამაზი, დედისეული ბეჭედი მეკეთა. მთხოვა, მაჩვენეო. რა თქმა უნდა, მოვიხსენი. გამომართვა თუ არა, მაშინვე თითზე წამომაცვა და უცებ ხალხის გასაგონად დაიძახა, ახლაც არ გჯერათ, რომ ეს ქალი ჩემიაო?.. აი, ამ კაცის ცოლი გავხდი...

**— როგორ, ასე უცებ?**

— ჰო. ძალიან ლამაზი და ხალისიანი კაცი იყო. მას ჰქონდა ის, რაც მე მაკლდა, მხიარულება და... მალე შემიყვარდა. დავქორწინდით, თუმცა არც დაოჯახება გამოდგა ჩემთვის ბედნიერი, ქმარი 5 თვეში გამიხდა ავად. მერე მამამთილიც ჩამომიყვანეს ავადმყოფი. საშინლად გამიჭირდა. ქმარს რომ სიცხეს ვუზომავდი, მამამთილი მეძახდა, — მარო, მომხედეო... თანაც, ორი შვილი გამიჩნდა. რაც მებადა, ყველაფერი გავყიდე და ხშირად მაინც მშიერი ვიყავი. არც ამბის მკითხავი მყავდა ვინმე... ხალხს თვითონ უჭირდა და აბა, ჩემთვის რა უნდა ეშველა. აი, მაშინ ვთქვი, მაგრად უნდა ვიყო, რომ ვინმეს შესაბრალისი არ გავხდე-მეთქი... თავს დაცემის უფლება არ მივეცი. ღმერთი მეხმარებოდა. ჩემი პირველი ლექსები მაშინ დაიწერა, მათში ორიოდე კაპიკს მიხდიდნენ...

ნეტა იცოდეთ, რა საცოდავად ვწერდი, ხანდახან ავადმყოფების რიდით ლამპასაც ვერ ვანთებდი და სიბნელეში ფანქრით აცაბაცა გამომყავდა სიტყვები ფურცელზე. დილით ხან ვარჩევდი ნაწერს, ხან ვერა, მაინც რაღაც გამომდიოდა. ასე წვალებით ერთხელაც ორიოდ გროში მოვაგროვე და ქმარი ლიკანში მიმყავს დასასვენებლად. დილით მწერალთა კავშირში შევიარე. დამინახა ირაკლი აბაშიძემ და მითხრა, მარიკა, განცხადება დაწერე, მწერალთა კავშირში მიგიღებთო... წევრობის კაპიკებიც დამემატა, მაგრამ მაინც ბევრი რამ აკლდათ ჩემს შვილებს. ერთხელაც დავაძინე მშივრები, მივწექი მეც და დამესიზმრა ახალგარდაცვლილი ქმარი: მარიკა, რად მოიწყინე, არ გახსოვს, ჩემს უჯრაში ობლიგაციები რომ დევს, ამოიღე და მოიხმარეო. არავითარი ობლიგაცია არ მახსოვდა. გამოვაღე უჯრა, ამოვქექე ქაღალდები და იმ ობლიგაციებიდან ერთმა 2000 მანეთი მოიგო, მეორემ — 200. გვეყო ცოტა ხანს.

**— აღარ გათხოვილხართ?**

— დიდი ხნის შემდეგ გავთხოვდი, დედიკო, ორი ობოლი ოჯახი შეერთდა. ჩემს მეორე ქმარს 9 წლის ბიჭი დარჩა უდედოდ. ისე აღვზარდეთ შვილები, არც ჩემებს უგრძნიათ უმამობა და არც იმისას, დედა რომ აკლდა. ის ერთიღა დამრჩა შვილებიდან ცოცხალი. ახლა ველარ დავდივარ, როცა დავდიოდი, ყველგან მომძებნიდა ხოლმე, შორიდან დამიძახებდა, — დედა, როგორ ხარო. ვეტყოდი ხოლმე, — შვილო, ნუ შეყარე ქვეყანა, სირცხვილია-მეთქი. ის არის ჩემი ნუგეში და იმედი და კიდევ — ჩემი შვილიშვილები. ამათზე ვდარდობ, დედიკო, და კიდევ — ამ ქვეყანაზე. ეკონომიკას კიდევ ეშველება, შვილო, მაგრამ ადამიანის სულს რა მოუხერხდება? რა საშიშ ამბებს ვისმენ ამ ტელევიზორში?! წყლის წვეთი ქვას ხვრეტს და ადამიანს რაღას უზამს ამდენი ბოროტი ამბავი... ერთი ნუგეშია მხოლოდ: უნდა ვთხოვო, შევეხვეწო დედებს, როგორც ჩვილობაში იყვნენ ახლოს შვილებთან, დიდებიც ისე მიიკრან გულზე, არ დაანებონ ქუჩას. დაბნეულია ახლა ხალხი და ნუ გაუშვებენ შვილებს უპატრონოდ. ასწავლონ სიკეთე. არ ვარგა, ადამიანი მარტო თავის ჯამს რომ ჩასცქერის. ნამდვილად ვიცი, თუ ადამიანს მეორე ადამიანისთვის ხელის გაწოდება შეეძლება, დანას არავის გაუყრის. ამ ხნის ქალი ვარ და არ მესწავლება, რა ფასი ედება სიკეთეს, განსაკუთრებით, სიცოცხლის ბოლოს. მივდივარ და ახლა მხოლოდ იმითღა ვწონი სიცოცხლეს, ვისთვის რა მირგია.

ქალბატონო მარიკა, ქვეყანა მოვიარე, სამართალი ვერ ვიპოვე და თქვენთან მომასწავლეს, ის გიშველისო, — ამას რომ მეტყოდნენ, ამაზე დიდი ჯილდო ჩემთვის არაფერი იყო. სხვა რაღაა ადამიანის სიცოცხლე. ახლა ამ საკანში ჩაკეტილს ის მაწყნარებს, რომ ბევრი სიკეთე ჩამიდენია.

**— ჩემი საყვარელი „საპოვნელა“ როგორ დაწერეთ?**

— ომის დროს საჩხერის სოფლებში ვატარებდი ანტიფაშისტურ პროპაგანდას. ერთხელაც მომცა რაიკომის მდივანმა მანქანა და ერთ სოფელში წავედი. ჩემთვის ჩაფიქრებული გზას გავცქეროდი... უეცრად ვხედავ, ბალახებში ძალიან ლამაზი, პაწაწკინტელა მარჯნისფერი ყვავილია ჩაკარგული. გავაჩერებინე, გადმოვედი და ვუყურებ. ამას რა ჰქვია-მეთქი. ამასო, — მითხრეს, — საპოვნელა ჰქვიაო. ბავშვები რომ რამეს დაკარგავენ, მოწყვეტენ, დააქვთ და ეხვეწებიან, — საპოვნელა, გვაპოვნინეო... იმ სოფელში ჩასვლისთანავე ერთი ამოსუნთქვით დავწერე „იმერეთში, თუ ჩემს მხარეს გაგივლიათ...“ მერე შემიკლეს ხელში, რაიკომის მდივანი მეუბნებოდა, მე რომ იქ არ გამეშვი, ეგ ლექსი არ დაიწერებოდაო, მძღოლი კიდევ — ქალბატონო მარიკა, მე რომ არ წამეყვანე, მაგ ყვავილს ვერ ნახავდიო.

**— ახლა თუ წერთ ლექსებს?**

— ვწერ ხოლმე. ამ საქაღალდეში ბევრი ლექსია, რომელიც აგერ, აი იმ პატარა გორაკთან საუბარში დავწერე. აი, როგორც ეგ გორაკი იცვლის შემოგომაზე ფერს, ისე იცვალეს ფერი ჩემმა ლექსებმა — ახლა ისინი დარდიანები არიან:

*„როცა აყვავდა ბაღში ნუშები*
*და იცინიან ლაღად ტყემლები,*
*ნუ გაიკვირვებ, თუ ვიღუშები,*
*ნუ გაიკვირვებ, თუ ვიცრემლები.*
*იყო საოცარ დღეთა ასხმული*
*ასეთი ელვით რომ მოვიდოდი,*
*შემოვიდოდა შინ გაზაფხული*
*და სიყვარულით ვითანგებოდი“...*

ნახე, დედიკო? მე კიდევ ქვეყანა ჩემი საპატრონო მეგონა. ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, სულ სხვებზე ფიქრი მჭირდა. საკუთარ თავზე ფიქრს ვერ ვახერხებდი. რამდენჯერ მინატრია, ნეტა, ცხოვრებას გავშორდე-მეთქი, მაგრამ ჩემი დაცემა არ გამოვიდოდა — რა ეშველებოდათ ჩემს შვილებს, ჩემს ავადმყოფებს?.. და მაინც ისე ვიცხოვრე, ვცდილობდი, გული არავისთვის მეტკინა. ვწევარ ახლა, შევყურებ ამ პაწია გორაკს და ველოდები დაღამებას, რომ სიზმრებში ის ჩემი ხალხი ვნახო, ვინც მიყვარდა. ჩავუდო თავი კალთაში ჩემს საყვარელ ბებიას და მოვისმინო მისი ტკბილი ზღაპარი...

ჩემი ბავშვობის ანგელოზებს ვავედრებ ჩემს შვილიშვილებს, ჩემს ქვეყანას, ჩემს გაჭირვებულ ხალხს და უფალს ვთხოვ, მათი ბედი წაღმართიანად მოატრიალოს...

***ეთერ ერაძე***




# მერჩივნა, ის სიყვარული წარსულში დარჩენილიყო...

**დედის გული ხშირად არ ცდებაო, — ნათქვამია და ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა თავად გავხდი დედა, — გვიყვება თბილისელი თამარ ს. როგორც თვითონ მითხრა, საკუთარი ამბის მოყოლა იმიტომ გადაწყვიტა, რომ მისი შვილის კბილა გოგონებმა გაითვალისწინონ ის შეცდომები, რაც ახალგაზრდობით მოსდით ხოლმე.**

როცა გამჟღავნდა, რომ ლევანს მოვწონდი, მისმა თანაკურსელმა გოგონებმა ამითვალწუნეს (ჩვენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტზე ვსწავლობდით). თავდაპირველად, ამის გამო ძალიან გავღიზიანდი, მერე კი მივხვდი — ჩემი შურდათ.

ლევანი დედაჩემს გავაცანი. დედამ გულახდილად მითხრა, — არ მომწონს, არაბუნებრივი ჩანსო. გადავირიე — რახან მდიდარი ბიძები არ ჰყავს და არც ფული აქვს ჩეჩქივით, იმიტომ წუნობ-მეთქი? გული ეტკინა, — განა ასეთად მიცნობ, რომ ადამიანი ქონებით შევაფასო? მგონია, მას შენი თბილისელობა და ძლიერი ოჯახი ხიბლავსო და დაურთო, — იმედი მაქვს, ინსტიტუტის დამთავრებამდე ოჯახის შექმნაზე არ იფიქრებთ, მანამდე კი, დარწმუნებული ვარ, შენი „რჩეული“ თავის თავს გამოამჟღავნებსო. იმდენად გულუბრყვილო ვიყავი, ლევანს მეორე დღესვე დაწვრილებით ჩავუკაკლე დედაჩემის „მოსაზრება“. მას გაეღიმა: მთავარია, შენ ასე არ ფიქრობო.

ლევანი სოფლიდან იყო, მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილი და რა გასაკვირია, სურვილი ჰქონოდა ბინიანი ქალის შერთვისა?! ის უფრო მაოცებდა, ჩვენებს რატომ აღიზიანებდათ ლევანი. იგი ხომ დღენიადაგ ჩამჩიჩინებდა: შენიანებისგან არაფერი მინდა, გარდა უმცროსი ქალიშვილისაო (ჩემს ოჯახში ნაბოლარა ვარ, მყავს უფროსი და-ძმა). მისი გულწრფელობისა კი იმიტომ უფრო მწამდა, რომ ლევანი სხვა გოგოსაც მოსწონდა, რომელიც თბილისელიც იყო და კარგი ოჯახის შვილიც.

მეოთხე კურსზე ვიყავით. უფლისციხეში ექსკურსიაზე წავედით. მერე ჩვენმა ამბროლაურელმა მეგობარმა — ბარემ ნიკორწმინდაც მოვინახულოთო და გავწიეთ ამბროლაურისაკენ. ხუთი დღე გავიდა. შიშით შინ ველარ დავრეკე. ერთმა ამხანაგმა თავის ოჯახს გააგებინა ჩვენი ადგილსამყოფელი. იმათ, ეტყობა, ჩემებს უთხრეს და ცოტა ხანში შემატყობინეს, მამაშენი და ბიძაშენი რაჭაში მოდიან, მაქედან ფეხი არ მოიცვალოო. ფერი წამივიდა. ძალიან არ მინდოდა, მეგობრების თანდასწრებით მამას და ბიძას ჩემთვის ესაყვედურათ. თითქოს ფიქრს მიმიხვდა ლევანი — მოდი, გავიპაროთ. მაინც უკვე აფორიაქებულები არიან და ბარემ მეორედ ნუღარ ვანერვიულებთ. ჩემი დეიდაშვილი სვანეთშია გათხოვილი, იქ ვერ მოგვაგნებენო. ჭკუაში დამიჯდა ლევანის რჩევა. მეგობრებმაც მხარი აგვიბეს. ორნი გამოგვყვნენ — დათო და გელა. დანარჩენები ამბროლაურში დარჩნენ. შეთანხმებისამებრ ასე უნდა ეთქვათ: თამუნა და ლევანი სამეგრელოში წავიდნენო. ჩემმა კურსელებმა მოგვიანებით მიამბეს: თქვენი ამბავი რომ ვუთხარით, მამაშენს ზაფრანის ფერი დაედო და რომ არ წაქცეულიყო, ხეს მიეყუდაო.

თბილისში დაბრუნებულებმა ერთოთახიანი ბინა ვიქირავეთ. ორივეს გვქონდა სტიპენდია, თან იმედი მქონდა, რომ ჩვენები მომეხმარებოდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად — მშობლები არ მირიგდებოდნენ. მხოლოდ და-ძმა მოდიოდა ჩემს სანახავად. მალე ბავშვიც შეგვეძინა, ელენე დავარქვით. ლევანს გაუჭირდა სწავლის პარალელურად სამუშაოს მოძებნა. ზოგჯერ



ბოთლებსაც კი ვაბარებდით, პური და კარტოფილი რომ გვეყიდა.

ერთხელ, შევესწარი, ნასვამი ლევანი როგორ შესჩიოდა მეგობარს, — მეგონა, სიდედრ-სიმამრი არაფერს გამიჭირვებდა, მწარედ მოვტყუვდი, ქვაწვია ხალხი შემხვდა, კაპიკს ვერ გააგდებინებ ხელიდანო. გული მეტკინა, მაგრამ ლევანს არ ვაგრძნობინე, რომ მისი ნათქვამი გავიგონე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლევანი სამეგრელოში (საიდანაც იყო) გაამწესეს. მეც თან გავყევი. ჩემი ქმარი გაღიზიანებული ჩანდა, თუმცა ხმას არ იღებდა. ალბათ ეგონა, რომ სიმამრი დაეხმარებოდა თბილისში სამსახურის შოვნაში, მართალია, ჩვენები შეგვირიგდნენ, მაგრამ არც ბინაზე და არც სამსახურზე ხმას არ იღებდნენ... სოფელში ჩასულებს არც ლევანის დედ-მამა დაგვხვედრია გულგახსნილი. ეტყობა, ჩემმა მშობლებმა მათაც გაუცრუეს იმედი...

**— თუკი ლევანს ძალიან უყვარდით, კარგ ქმრობას გიწევდათ და ბავშვზეც ზრუნავდა, თქვენები რატომღა იყვნენ მისი წინააღმდეგი? რატომ არ სურდათ დახმარება გაეწიათ ქალიშვილისა და სიძისათვის?**

— მე და ჩემს და-ძმას მშობლები გვემუდარებოდნენ, მათ დაუკითხავად არ შეგვექმნა ოჯახი, რადგან ეს დიდ შეურაცხყოფად მიაჩნდათ. რახან მე დავარღვიე პირობა, დამსაჯეს, თან ლევანიც არ მოსდიოდათ თვალში. რამდენჯერმე მითხრეს კიდეც, თუკი ცოლი შეირთო, კეთილი ინებოს და ოჯახიც თვითონ არჩინოსო... თანდათან უფრო გაგვიჭირდა. გაჭირვებაში ადამიანი უარყოფით თვისებებს უფრო ამჟღავნებს. ასე მოუვიდა ლევანსაც. თუმცა, არც მე მადგა კარგი დღე. ვატყობდი, დედამთილ-მამამთილსაც არ ვეჭაშნიკებოდი. ლევანის მამას ნათესავებთან უთქვამს, პარკეტზე გაზრდილმა გოგომ ან ძროხა როგორ უნდა მოწველოს, ან ჩაი როგორ უნდა მოკრიფოსო. მე მართლაც ვერც ერთის გაკეთება ვერ შევძელი. მათ ოჯახში სრულიად უცხოდ ვგრძნობდი თავს. შვიდი თვე ძლივს გავძელი. მერე ლევანს ვთხოვე, ცოტა ხნით თბილისში გამიშვი, ჩვენები მომენატრა-მეთქი. თითქოს გაეხარდა და მაშინვე გამომისტუმრა სოფლიდან. დედაჩემმა რომ დამინახა, ატირდა, როგორ შეცვლილხარო. კარგა ხანს „შევრჩი“ თბილისს. ლევანმა დამირეკა და ცივად მითხრა: ასე თუ გინდოდა თბილისში ყოფნა, გეთხოვა და ეყიდათ ბინა, სულ მანდ არ ეყოლებოდი, მაგრამ მუთაქებში ჩაკუჭული ფული ვერ გამოიმეტეს სოფლელი სიძისთვის და ჰყავდეთ ახლა ქმარგაცილებული შვილი შინო. კინაღამ ყურმილი გამივარდა ხელიდან — ლევან, შენ ხარ თუ სხვა მელაპარაკება შენი ხმით-მეთქი. წადი, შენი თბილისელი დედაცო... ცუდად გავხვდი. დედაჩემი უთქმელად მიხვდა, რაც ხდებოდა. რაღა თქმა უნდა, აღარ დავბრუნებულვარ სოფელში. მერე ჩვენებმა ბინა მიყიდეს და ელენიკოსთან ერთად იქ გადავედი. მალე მუშაობაც დავიწყე. ლევანმა როგორც კი გაიგო, საკუთარი ბინა მქონდა, ჩამოვიდა და შემორიგება სცადა. კარგა ხანს არ ვურიგდებოდი. ბოლოს, მამამ მირჩია, წყენა შვილის ხათრით დაივიწყეო. ლევანმაც იმდენი ქნა, გული მომილბო... ცოტა ხანში ლევანმა მთხოვა, სამსახურს მპირდებიან და იქნებ შენს ბინაში ჩამწეროო. წამით, კვლავ ეჭვმა გამკრა, ბინის გულისთვის ხომ არ შემირიგდა-მეთქი, მაგრამ მაშინვე უარვყავი ეჭვი, რადგან მაშინ მართლაც ძნელი იყო ჩაუწერავად თბილისში სამსახურის დაწყება. თითქოს ავაწყვეთ ცხოვრება. ლევანიც მუშაობდა და მეც. ძალიან მინდოდა, რომ ელენიკო მარტო არ გაზრდილიყო და ან ძმა ჰყოლოდა, ამიტომაც გადავწყვიტე მეორე ბავშვი გამეჩინა. ლევანს აშკარად არ ესიამოვნა ეს ამბავი — ასეთ კარგ სამსახურს თავს როგორ ანებებ, ბავშვის მერე ხომ შინ უნდა ჩაჯდე, შენს შემცვლელს კი მაშინვე გამოძებნიან სამსახურშიო. ვუპასუხე, რომ ნებისმიერ სამსახურს შვილების გაზრდა მერჩივნა.

მალე ლევანი რამდენიმე თანამშრომელთან ერთად დააპატიმრეს — მაქინაციებსა და ფულის დატაცებაში სდებდნენ ბრალს. შემომითვალა: მამაშენმა თუ არ მიშველა, დაღუპული ვაროო. მართლაც, ქვეყანა შესძრა მამამ, ფულიც დახარჯა, რომ სიძე „გამოეხსნა“. ისეთი გახარებული იყო, სიკვდილამდე თქვენი მონა ვარო, — მამაჩემს ეუბნებოდა. ამ დროს მის სახეზე მლიქვნელი ღიმილი იხატებოდა, რომელიც საშინლად მაღიზიანებდა. გათავისუფლების მერე გაუჭირდა სამსახურის შოვნა. მე უკვე დეკრეტულ შვებულებაში ვიყავი. მშობლები გვეხმარებოდნენ. ლევანი დიდად არ წუხდა უმუშევრობას. ძმაკაცებში დროს ატარებდა, შინ გვიან მოდიოდა. ერთხელ, როცა შინ ჩვეულებისამებრ ნასვამი დაბრუნდა, შევახსენე, ოჯახის მამის ფუნქცია ნუ დაივიწყე-მეთქი. გაბრაზდა და მომახალა: ასეთი რა გაუჭირდა ჩემს სიმამრს, რომ სანამ სამუშაოს ვიშოვი, სიძე-ქალიშვილი არჩინოსო. საბოლოოდ, მივხვდი, რომ ლევანის სიყვარული მართლაც ანგარებიანი იყო, მაგრამ რაღა დროს?

ლევანი ხშირად დადიოდა სოფელში, ამიტომ როცა მითხრა, ორი-სამი დღით მივდივარო, არ გამკვირვებია. მეორე დღეს ლევანის ამხანაგის ცოლმა, ნანამ დამირეკა. განერვიულებული ჩანდა, ჯერ ბოდიში მომიხადა, მერე კი მითხრა: არ მინდა მოტყუებული ცოლები გვერქვას. ჩემი ქმარიც და ლევანიც კოჯორში ბრძანდებიან მეგობრის აგარაკზე, ქალებთან ერთადო.

ახლა ვნანობ, არ უნდა გავყოლოდი ნანას...

სანამ ოთახის კარი არ შევაღეთ, აზრზე ვერ მოვიდნენ. ნანას ქმარმა ჩხუბი დაუწყო: ხომ ვიცი, ეს ვიზიტი შენი მოწყობილია, ჭკუა არა გაქვს, ფეხმძიმე ქალი აქ რამ მოგაყვანინაო. ლევანი კი ხმას არ იღებდა.

თბილისში ჩასულს ნაადრევი სამშობიარო ტკივილი დამეწყო. დღენაკლული ბიჭი გამიჩნდა. ექიმების მცდელობის მიუხედავად, ბავშვი დაიღუპა... მეც ანემია დამემართა. როცა მოვმჯობინდი, ლევანს შევუთვალე, ჩემს სანახავად არ მოსულიყო. ვინ აღარ მოდიოდა ჩემთან, დედაჩემი კი არ ჩანდა. კარგა ხანს მიმალავდნენ, მერეღა მითხრეს, თურმე, იმ საღამოს, როცა მე საავადმყოფოში დამაწვინეს, დედაჩემს ნერვიულობისაგან ინსულტი მოსვლია... საავადმყოფოს შემდეგ დარდი გულში ჩავიკალი და წუთით აღარ მოვშორებივარ ჩემს დედიკოს.

ლევანის გამო რამდენი ტკივილი ვარგუნე ჩემს მშობლებს, კინაღამ ორივე შევიწირე.

მისი ღალატი რომ არ გამეგო, მეორე ბავშვიც ცოცხალი მეყოლებოდა (ახლა 10 წლის იქნებოდა).

**— ახლა თუ გნახულობთ?**

— არანაირი ურთიერთობა აღარ მაქვს ლევანთან. ბევრჯერ დავუდექი მხარში, მაგრამ იმის პატიება, რაც მან გააკეთა, არ შემიძლია. ბოლოს და ბოლოს, ღირსების საკითხია — ყველაფერი ხომ არ შეიძლება ქმარს აპატიო ოჯახის შესანარჩუნებლად? ერთხანს კვლავ სცადა შერიგება, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ჩივილი დააპირა — ბავშვის მამა ვარ და მაგ ბინიდან წილი მეც მეკუთვნისო... არც კი გავბრაზებულვარ, მშვიდად მივუგე: ნუთუ ყოველთვის იმას უნდა ამტკიცებდე, რომ უღირსებო კაცი ხარ-მეთქი. მას მერე აღარ გამოჩენილა. ელენიკო უკვე 15 წლისაა. მამამისს გოგონა 8 წელია არ უნახავს. საქართველოში არც უნდა იყოს. ვფიქრობ ხოლმე, ხომ სჯობდა, ჩემი და ლევანის სიყვარული იმ სტუდენტურ წლებში „დარჩენილიყო“. ახლა გაცილებით ბედნიერი ვიქნებოდი იმ მოგონებებით.

**— თქვენს ელენეს ისევე რომ შეუყვარდეს ვინმე, როგორც თქვენ გიყვარდათ ლევანი?**

— თუ ღირსეული ყმაწვილი იქნება, ყველანაირად ხელს შევუწყობ, თუ არა და, დედაჩემზე მკაცრი ვიქნები!

*მარინა ბაბუნაშვილი*

# გთხოვთ დაგვეხმაროთ...

უჩვეულო ბარათი მივიღეთ. მისი ავტორია მამაკაცი, რომელიც გვთხოვს დავუბეჭდოთ პატიების წერილი:

*„ჩემი თამუნა თქვენი მკითხველია. მრავალჯერ ვცადე მასთან შერიგება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ისე ვატკინე გული, რომ ჩემკენ გამოხედვაც კი არ უნდა. ერთადერთ იმედად თქვენღა დამრჩით.*

*მასთან ურთიერთობაში შემეშალა, რასაც მწარედ ვნანობ...*

*ჩემი თამუნა დანახვისთანავე შემიყვარდა. ცოლად შევირთე, მაგრამ თითქოს ეშმაკი შემიჩნდა... დიდხანს მითმინა უსაქციელობა, ბოლოს კი მიმატოვა.*

*თამუნა სიცოცხლეს მირჩევნია.*

*თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მინდა მთელი ქვეყნის გასაგონად ვთქვა, რომ მიყვარს.*

*თამუნა! მაპატიე, ღმერთს გეფიცები, შევიცვალე, მივხვდი, რომ ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი შენ ხარ ჩემთვის. მოდი, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, დამიბრუნდი, გთხოვ!*

*შენი ბაკური“.*

P.S. ამ სიტყვების სიწრფელეში ძნელია დაეჭვება. წერილი ხომ სულიერ არსებასავითაა, ჰოდა, ამ სტრიქონებს მიღმა აშკარად იხატება მომნანიებელი ადამიანის სახე...

თამუნას ვთხოვთ, ლმობიერად მოეკიდოს ბაკურის ვედრებას...

# გაზაფხული შემოსულა...



მიილია ზამთარი. მზემ გაახალისა ქვეყანა. გუნებაც გაზაფხულის შესაფერისად გამოგვიკეთდა. ბუნების მიერ ნაბოძები სიმდიდრით გავილამაზოთ თავი და უფრო იმედიანად, ლაღად შევეგებოთ ვარდობას...

**ასე გავხდეთ:** შევურიოთ ერთმანეთს 20-20 გ არყის ხის კვირტები და ჟოლოს ფოთოლი, ვაშლის ყვავილი, 15 გ ფშნის ეკლის ფესვები, 10-10 გ არტიშოკის მიწისზედა ნაწილი, ოქროწკეპლა, 5-5 გ კრაზანა და გულყვითელა, ასკილი, 2 გ ძირტკბილას ფესვები. 2 ს/კ ნარევს დავასხათ 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გავაჩეროთ 15 წუთი, გავაცივოთ და გავწუროთ. მივიღოთ 1/2 ჩ/ჭ ნაყენი 4-5-ჯერ დღეში, ჭამამდე. ნაყენი გამოდევნის ორგანიზმიდან წიდებსა და ზედმეტ სითხეს.

ორგანიზმს ასუფთავებს და ხელს უწყობს გახდომას სტაფილოს, ნიახურის, ისპანახისა და ოხრახუშის წვენის (7:1:3:2) ნარევი.

**ასე გავიწმინდოთ სახე:** კარტოფილის პიურე და 1 ცალი კვერცხი ავთქვიფოთ მიქსერით, წავისვათ სახესა და ყელზე, დავიფაროთ მიტკლის ნაჭერი, 20 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოვიბანოთ, შევიშროთ და წავისვათ მკვებავი კრემი.

**ასე გავიფერმკრთალოთ ჭორფლი:** გაზაფხულზე ჭორფლიც იჩენს ხოლმე თავს. ნორჩ გოგონებს უხდებათ კიდეც „მზის ნაამბორალი“, მაგრამ ვისაც არ მოსწონს, შეუძლია ოხრახუშის ნიღაბი გაიკეთოს. ამისთვის დაკეპილ მწვანილს დაასხით მდუღარე წყალი, ფაფისებური მასა დაიდეთ სახეზე და 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

გისურვებთ წარმატებებს!

# „ო, ეს წყეული პომადა...“

***ეს ერთი შეხედვით უწყინარი კოსმეტიკური საშუალება თურმე მომაკვდინებელ იარაღადაც კი შეიძლება იქცეს. მილიონობით ქალის ხელჩანთის განუყრელი ატრიბუტის წყალობით უამრავი ისეთი დანაშაულიც კი გახსნილა, რომლის ჩამდენსაც ეგონა, ყველანაირი კვალი წავშალეო. პომადა ოჯახის დანგრევის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს და მოკლედ, იმდენი რამ შესძლებია ამ ერთი ციდა ნივთს, რომ გაოგნებული დაგრჩი.***



**თაკო (28 წლის):** — მეგობარმა ტირილით შემომჩივლა, — 12 წლის ოჯახი დამენგრაო. კინაღამ გული გამისკდა — ასეთი მოყვარული ცოლ-ქმარი იშვიათად შემხვედრია. თურმე რა მომხდარა: ერთ საღამოს შინ დაბრუნებულ ქმარს ცოლმა კისერზე და პერანგის საყელოზე პომადის კვალი შენიშნა. თურმე გულმა რეჩხი უყო, მაგრამ გაჩუმდა. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ იგივე განმეორდა. აი, მაშინ კი ველარ მოითმინა... კაცი ამაოდ იმართლებდა თავს. ცოლმა გამოძიება დაიწყო, ვისთან ღალატობდა ქმარი, არაფერი გამოუვიდა. ბოლოს, გაირკვა, ვის ეკუთვნოდა „საბედისწერო ლაქა“ — ინვალიდ სიდედრს. კვირაში ერთხელ დავრდომილი ქალი სიძეს ექიმთან მიჰყავდა. მადლიერი მოხუცი გამომშვიდობებისას გულში იხუტებდა თურმე სიძეს და ხან კისერზე, ხანაც ლოყაზე კოცნიდა...

**თემური (42 წლის):** — პროკურატურაში ვმუშაობ გამომძიებლად. ერთ ეჭვმიტანილს ვერაფრით ვუმტკიცებდით დანაშაულს. მსუბუქი ყოფაქცევის ბოროტმა ქალმა მეზობლის ოჯახი პირწმინდად გაძარცვა და კვალი არსად დაუტოვებია. ერთადერთი, ჭიქაზე პომადის ნაკვალევმა შეგვაძლებინა მისი გამოტეხვა — დანაშაულის ჩადენის დროს მოსწყურებია. დაულევია და რახან რეზინის ხელთათმანები სცმია, გული დაუარხეინებია — თითების ანაბეჭდები ჭიქაზე არ დარჩებოდაო, ამასობაში კი პომადიანი ტუჩების ნაკვალევის წაშლა დავიწყებია და გაება. პომადა რომ არა, დანაშაული ხახვივით შერჩებოდა.

**ქეთო (68 წლის):** — ჩემმა 13 წლის შვილიშვილმა, სანდრომ, კინაღამ გული გამიხეთქა პომადით. ერთ საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებულმა კარი შევაღე თუ არა, თვალთ დამიბნელდა — სარკეზე პომადით, დიდი ასოებით ეწერა: „თქვენ გელით სიკვდილი!“. მისალები ოთახიდანაც იმავე წარწერამ შემომანათა. სანდრო, სადა ხარ-მეთქი, ავყვირდი. ჩქამი არ ისმის. შევედი ლოჯიაში. ტელევიზორი ჩართულია და ეკრანიც მემუქრება! საძინებელშიც იგივე სურათია. გავვარდი სააბაზანოში, შუქი ავანთე — პირველად თვალში სარკე მომხვდა ავის მომასწავებელი წარწერით, მერე აბაზანაში ჩაწოლილი თვალებდაჭყეტილი სანდრო, რომელსაც მთელი სახე და ხელები სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. ერთი კი ვიკივლე და გული წამივიდა. გონს მოსულს თავზე მადგნენ მეზობლები და ჩემი „ბოროტი“ სანდრო, რომელიც თურმე დედამისის პომადით მოთხუპნულიყო. სულელ ბიჭს რაღაც საშინელი ფილმი უნახავს ტელევიზორში და მიუბაძია.

**ანა (21 წლის):** — ერთი ძალიან ლამაზი, მაგრამ უცნაური მეგობარი მყავს. უამრავი მაჭანკალი ჰყავს, ნინო კი სულაც არ ფიქრობს გათხოვებაზე და ათასნაირ ხრიკს მიმართავს სადედამთილო-სამამამთილოებისაგან თავის დასაღწევად. ერთხელ მშობლებმა გააფრთხილეს, ამ საღამოს სტუმრები გვეყოლება და თავი არ მოგვჭრა, თორემ შინიდან გაგიძახებთო. ნინომ თანხმობის ნიშნად თვალები მინაბა. საღამოს მშობლებმა ქალიშვილს უხმეს... ოთახიდან გამოვიდა ზღარბივით თმაგაბურძგნილი, შავად თვალწარბგადახატული მოჩვენება. სტუმრების დანახვაზე შავპომადიანი ტუჩებით ვითომ სიხარულის ნიშნად გაიღიმა და ასევე შავად შეღებილი კბილები გამოაჩინა...

*ეკა ლომიძე*





ლუარსაბის საყვარელი თევზი

მზის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგ.

ქალთა საესტრადო ტრიო (ყოფილი)

სახალხო თეატრის სახეობა შუა საუკ.-ში

შეყილაძის ყოფილი ბელგიური კლუბი

ერთი ღერი თმა ან ბალანი

საბჭოთა ტინეიჯერი

პაპის თავსაბურავი

ირანის სახელწოდება 1935 წ-მდე

სესხად აღებული ფული

ნამცხვრის სახეობა

„ნოჭებიანი“ ეროვნული კერძი

სესხის ძალზე დიდი სარგებელი

ნაძვის ფოთოლი

ბედისწერა

ფრანგული ბროლი

შოტლანდიელი მსახიობი

ალადინის ზღაპრული გოლიათი

საფეხბურთო მატჩის ნაწილი

უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული

საქართველოს მტერი, სახაროვის ქვრივი

გეოდეზიური იარაღი

კბილი

ტუბერკულოზი

ექიმის ერთ-ერთი სპეციალობა



თამაში ბილიარდში

დარტყმისგან შუბლზე ამობურცული ადგილი

ცხენშებმული მსუბუქი ოთხთვალა

კიტრის ერთგვარი მარინადი

პურეულის სალეწი იარაღი ძველად

ბედნიერების ნიშანი ცხენის ჩლიქზე

ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში

ჩოლოყაშვილი

ვ. ბარნოვის ნამდ. გვარი

ფრანგი მწერალი ქალი

ლეგიონის ჯარისკაცი

აშშ-ის 31-ე პრეზიდენტი

უფერო, აიროვანი საწვავი ნივთიერება

მექსიკელი ფერმწერი 1886-1957

ინგლისელი კომიკოსი

საათის ჩვენება

ინდიელების სამონადირეო ცხოველი

სასულიერო პირის მოადგილე მუსლიმანებში

მდინარე ბრაზილიაში, პარაგვაისა და არგენტინ.



ჯუჯა ცხენი

ჭიჭიკიას მეგობარი

დათვის ნაშიერი

წილი საერთო საქმეში

ბაირონის „აღმოსავლური პოემა“

წინასწარ გადახდილი თანხა

თელ-ავივი

სოფელი შუა აზიაში



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ფოისტვანგერი; 2. ოლე; 3. ტურბინა; 4. ცერი; 5. თურმანი; 6. კარმენი; 7. „ორვო“; 8. მესია; 9. რეგალია; 10. კურო; 11. ლოტი; 12. ბინა; 13. გენი; 14. არდენი; 15. ონო; 16. ვარდენი; 17. ქორი; 18. ტოლკუთხა; 19. რენტგენი; 20. ფეერია; 21. მილეთი; 22. ციფერბლატი; 23. ალა; 24. ირონია; 25. ლიმიტი; 26. მარანი; 27. ვაშლი; 28. ვიზიტი; 29. თელეთი; 30. ბენცი; 31. ნიანგი; 32. ანცი; 33. მხარი; 34. მითი; 35. შინი; 36. დეილი; 37. ბეილი; 38. გურამი; 39. იანგი; 40. ასორტი; 41. ივასი; 42. იაგანი; 43. სანა; 44. ჟღალი; 45. ლენინი; 46. შიო; 47. ზოლა; 48. აკოსტა; 49. სიცილი; 50. საღამო; 51. ემე; 52. ვარჯი; 53. ვიალი; 54. „ოკა“; 55. რინო; 56. ასანა; 57. თონე; 58. ბატი; 59. სირაჯი; 60. ჩიყვი.

1. ფერმერის ქალიშვილი; 2. ცეცხლგამძლე; 3. თბილისური აბაზანა; 4. საჩინო არაყი; 5. თელასის სავარჯიშო მოედანი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**

**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რომან ალანია**

# პოლონელი მონიკა ლევინსკი?



ვარშავა ცდილობს, ყველაფერში დაემსგავსოს უფროს „მეგობარს“, ამერიკას. პოლონეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ გადაწყვიტა, მასაც ჰყოლოდა თავისი მონიკა... გადაწყვიტა და შეასრულა კიდეც. და უნდა გითხრათ, რომ კვასნევსკის გულის ვარდი ასი თავით „უჯოკრავს“ ჩასუქებულ მონიკა ლევინსკის.

30 წლის ტანსარო, ეშხიანმა ედიტა გორნიაკმა უკვე მოასწრო „ფლეიბოის“ გარეკანის დამშვენება თავისი ფოტოთი, მეორე ადგილის დაკავება „ევროვიდენიეს“ კონკურსზე, ახლახან კი ინგლისში ჩაწერა სიმღერების ახალი ალბომი. ამბობენ, ედიტას ლონდონში დიდებული სახლი აქვსო.

ბოლო დროს ედიტა აღარ ჩნდება საზოგადოების წინაშე. ჭორაობენ, მომღერალი პრეზიდენტისაგან ბავშვს ელოდებაო. კვასნევსკიმ და გორნიაკიმ ერთმანეთი 9 თვის წინ გაიცნეს ფეხბურთის ჩემპიონატზე, სამხრეთ კორეაში, სადაც ედიტა სიმღერით გულშემატკივრობდა პოლონელ ფეხბურთელებს, პრეზიდენტი — იქ ყოფნით. მაგრამ ამან გუნდს ვერ უშველა — პირველი ეტაპიდანვე გავარდა. ეს კი ედიტას დააბრალეს — ისე გამომწვევად მღეროდა, ფეხბურთელები ალაგზნოო. მომღერალი პრეზიდენტმა დაიცვა, შინ ისინი ერთად, ერთი თვითმფრინავით დაბრუნდნენ.

კათოლიკურ პოლონეთში კვასნევსკის ასეთ ცოდვას არავინ აპატიებს, ეს ამერიკა არ არის. პოლონეთის პრეზიდენტი იფიცება, მეუღლისთვის არასოდეს მიღალატია და არც ვაპირებო. თუმცა, თავიდან კლინტონიც იფიცებოდა, მონიკა ლევინსკის არც კი ვიცნობო.

*კომსომოლსკაია პრავდა №40*

# სტალინი — კულინარი



სტალინს ძალიან ჰყვარებია თევზეული, განსაკუთრებით დუნაის ქაშაყი, ორაგული, შამაია. თვითონაც იგონებდა თურმე რეცეპტებს და მზარეულს ისეთ კერძებს უკვეთდა, კრემლის ბინადარი რომ არც გაეგონათ. ერთ-ერთი ასეთი კერძისთვის სახელიც დაურქმევია — „არაგვი“.

სასმელებიდან, როგორც პოლკოვნიკი მგალობლიშვილი იხსენებოდა, მხოლოდ „ატენურს“ სვამდა. ეს ღვინო საქართველოდან სპეციალური პატარა კასრებით ჩამოჰქონდათ თვითმფრინავით. სამხედრო პირები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ღვინის ჩამოტანა, პოლკოვნიკზე დაბალი ჩინის არ უნდა ყოფილიყვნენ. მათ მთელი გზა მუხლებზე ედოთ მაგრად ჩაბღუჯული კასრები, რომ ღვინო არ შელახულიყო. სტალინი „ატენურს“ წყლით აზავებდა და ისე სვამდა.

უკანასკნელად სტალინმა თურმე მაჭარი მიირთვა. ბელადის მცველი ლოზგაჩევი იგონებს, 28 თებერვლის ღამეს სტალინს, როგორც ყოველთვის, სტუმრად ჰყავდა მალენკოვი, ბერია, ხრუშჩოვი და ბულგანინი. პატრონმა გამომიძახა და დამავალა, — ორი ბოთლი მაჭარი მოგვიტანეო.

### ხალხთა ბელადის „არაგვის“ (იგივე ჩანახი) რეცეპტი

ცხვრის ხორცი დაჭერით და მარილი მოაყარეთ. დაჭერით მსხვილად კარტოფილი, ბადრიჯანი და პომიდორი, ხახვი — ალუ-ალუად. თიხის ქოთანში ფენა-ფენად ჩააწყვეთ ხორცი, კარტოფილი, ბადრიჯანი, ხახვი, პომიდორი. ზემოდან მოაყარეთ დაკეპილი ქინძი, კამა, ოხრახუში, მარილი, წიწაკა — გემოვნებით და გაზქურაში შედგით.

სტალინი ხშირად ცხვრის ნეკნებით და მთელ-მთელი ბოსტნეულით ამზადებდა ამ კერძს, მოკლედ, შემოქმედებითად, თავისუფლად უდგებოდა კულინარიულ საკითხებს...

*ოგონიოკი №7*

# პაპის პაპის სამშობლოში



ალექსანდრ პუშკინი წერდა, დადგება დრო და ჩემი სახელი მოეფინება დიად რუსეთსო, დიდი პოეტის სახელი მარტო რუსეთს კი არა, მსოფლიოს მოეფინა. შარშან პუშკინი ბრინჯაოს ქანდაკებად დაუბრუნდა წინაპრის — „პეტრე დიდის არაბის“, აბრამ ჰანიბალის სამშობლოს — ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებას. ხალხიც, ხელისუფლებისა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებიც აღფრთოვანებულნი იყვნენ — პუშკინი ახლა უფრო დაუახლოვდება თავის ხალხსო.

პოეტის შემოქმედების დიდი ნაწილი თარგმნილია ქვეყნის სახელმწიფო — ამჰარულ ენაზე, რომელზეც მოსახლეობის უმრავლესობა ლაპარაკობს. იგი თარგმნა ცნობილმა მწერალმა აიალნიჰ მულათუმ.

ძალიან ვაფასებ ჩემი წინაპრების სახელს, ეს არის ერთადერთი ძვირფასი მემკვიდრეობაო, — წერდა პუშკინი. აბრამ ჰანიბალი, პეტრე დიდის ნათლული და ახლობელი ადამიანი, თავისი დროის ცნობილი მოღვაწე იყო, რომელსაც მეტისმეტად ენდობოდა იმპერატორი. იგი აბისინიელი ყოფილა და ამიტომაც მიიჩნევენ ეთიოპიელები მის შორეულ შთამომავალს თავიანთ პოეტად, ეროვნულ სიამაყედ.

*ნიუ ზურქი*

# სერიალებმა შეიძლება გაგალოთოთ?!

უცნაურია, მაგრამ მაყურებლისთვის ასე საყვარელი ლათინურამერიკული სერიალები მეტად მავნე ჩვევას აყალიბებს — მარტივად რომ ვთქვათ, შეიძლება, მაყურებელი გაალოთოს!

მექსიკის უნივერსიტეტთან არსებული ალკოჰოლიზმის კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა 3 წლის მანძილზე იკვლიეს „საპნის ოპერები“ და დაასკვნეს: ფილმების 80%-ში უამრავია სცენა, სადაც ტეკილასა და რომს სვამენ. სერიალები, სადაც დიალოგები „დამისხი-დამალევინეს“ თემაზე მიმდინარეობს, პირდაპირ უბიძგებს მაყურებელს ერთი-ორი ჭიქის გადახუხვისაკენ. ამასთან, დიალოგებს დიდი ზემოქმედების ძალა აქვს — კაცს ნებსით თუ უნებლიეთ, სერიალის გმირების თანამეინახეობა მოუნდება.

*ეხო პლანეტი №8*

# ერაყელმა ჩინოვნიკებმა გახდომა დაიწყეს

ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ომის მოლოდინში მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა... სიმსუქნეს. მან გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ჩინოვნიკების წონამ არ უნდა გადააჭარბოს „დაშვებულ ფიზიკურ ნორმას“. ზედმეტი წონის მქონეთ ჩამოერთმევათ ხელფასის და პრემიების ნახევარი. ერაყელ ჩინოვნიკებს გახდომა მოუწევთ, წელიწადში მინიმუმ ორჯერ დაგეგმილია მათი აწონა. თუმცა დეკრეტში აღნიშნული არ არის დასაშვები წონა. სიმსუქნესთან ბრძოლის გარდა სადამმა წამოიწყო კამპანია აზარტული თამაშების წინააღმდეგაც. კერძოდ, ერაყის მმართველი პარტიის „ბაასის“ ნებისმიერი წევრი, რომელიც მხილებული იქნება აზარტულ თამაშებში „ფულის მოგების მიზნით“, დაისჯება სამი წლით თავისუფლების აღკვეთით. თითოეული მოთამაშე ავტომატურად დაკარგავს სამსახურს და გაირიცხება პარტიიდან.

*დენგი №16*

# საეჭვოდ დამეგობრდნენ



ჰოლივუდის ვარსკვლავის ჯულია რობერტსის „საეჭვო“ მეგობრობა ჯორჯ კლუნისთან მოსვენებას არ აძლევს ლამაზმანის ქმარს — ოპერატორ დენი მოდერს. მათი ქორწილის დღიდან სულ რაღაც 4 თვეა გასული და დენი უკვე ამჩნევს, რომ ჯულია და ჯორჯი სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. „ჯულია კლუნისთან გაცილებით მეტ დროს ატარებს, ვიდრე საკუთარ ქმართან“, — ბუზღუნებენ დენის მეგობრები. თუმცა, სულაც არ არის გასაკვირი — რობერტსი და კლუნი ერთ ფილმში თამაშობენ, გადაღებები ტორონტოშია. დენიმ ვერ გაუძლო ეჭვიანობას და ტორონტოს მიაშურა. ჯულიამ ქმარს აუხსნა, — მე და ჯორჯი მხოლოდ კომპიუტერული თამაშებით ვერთობითო...

*ფე პარკი №9*

# „დიორმა“ ძვირფასეულობა დააბრუნა...



...45 წლის შემდეგ! პარიზის სააქციო საზოგადოება „კრედი მუნისიპალი“ ქვეყნის გობსეკის ღირსეულ მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს — თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე უარს ეუბნებოდა მემკვიდრეებს ამ ლომბარდში დაგირავებული ძვირფასეულობის დაბრუნებაზე.

ერთმა პარიზელმა ქალბატონმა გასული საუკუნის 40-იანი წლების დამლევს დააგირავა პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ორი კოლიე და ოქროს მედალიონი. დროთა განმავლობაში გირაოს რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა და ხანგრძლივი სასამართლო პროცესის მიზეზი შეიქნა. მხოლოდ წელს, იანვარში დაიბრუნა ქალბატონის შვილიშვილმა ბებიის ნაქონი ძვირფასეულობანი ზარდახშა და „დეიდასაც“ ერთი გვარიანად შეუურთხა — ასე ეძახიან პარიზელები ლომბარდს. ძველი ფრანგული ანეკდოტის მიხედვით, საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე აზარტული მოთამაშე ყოფილა და ერთ მშვენიერ დღეს დედა-დედოფლის ნაჩუქარი ოქროს საათი დაუგირავებია. დედის შეკითხვაზე, საათს რატომ აღარ ატარებო, გონებამახვილ პრინცს უპასუხია, — დეიდასთან დამრჩაო.

*პარი მატჩი*

# ვის ემსგავსებიან ქალები?



უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ჟურნალ „ფლეიბოის“ გარეკანზე გამოქვეყნებული შიშველი ლამაზმანები აღნაგობით სულ უფრო და უფრო ემსგავსებიან მამაკაცებს: მკერდისა და თეძოების ზომა შემცირდა, ხოლო წელი უფრო გაგანივრდა. ეს „სენსაციური“ აღმოჩენა მკვლევარებმა „ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალში“ გამოაქვეყნეს.

შესასწავლ ობიექტებად 1953 წლიდან 2001 წლამდე გამოქვეყნებული ფოტოები გამოიყენეს. დასკვნა ასეთი იყო: მესამე ათასწლეულისათვის ქალის სილამაზის კრიტერიუმები სულ უფრო დაშორდება მშვენიერი მერილინ მონროს მაცდუნებელი სხეულის მონაცემებს... და სულ უფრო მიუახლოვდება ძლიერი სქესის პარამეტრებს. ამგვარად, ქალის ფიზიკური სილამაზის თაყვანისმცემლები, ძირითადად, ანდროგენული ფიგურის ხილვით ტკბებიან. თუმცა, „ფლეიბოის“ ლამაზმანები ჯერჯერობით თავიანთი აღნაგობით უფრო მზის საათებს ჰგვანან, ვიდრე მერილინ მონროსო, — „გვამშვიდებენ“ მეცნიერები.

ამერიკელი ქალბატონი, კატი იუნგი კი მსოფლიოში ყველაზე წვრილი წელის პატრონია, ყოველ შემთხვევაში, ასეა დაფიქსირებული გინესის რეკორდების წიგნში. სტანდარტული ზომის — 38,1სმ-ის შესანარჩუნებლად კატის აგერ უკვე 18 წელია დღედაღამ აცვია კორსეტი. თუ გაიხდის, მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი ჩაიცვას. მის გარდერობში ასამდე კორსეტია.

სხვათა შორის, გინესის წიგნში სხვა „მიღწევაცაა“ დაფიქსირებული — ყველაზე განიერი წელის ზომა 160 სმ-ს აღწევს.

*ეხო პლანეტი №7*

# ჰამბურგერი და ალერგია ნიშნავს სიმდიდრეს

კორეელმა ქალბატონმა სონმა ერთ მშვენიერ დღეს სეულის კაფეში შეირბინა სახელდახელოდ დასანაყრებლად და ფიქრადაც არ მოსვლია, რომ შეჭმული ჰამბურგერი ორი წლის შემდეგ გაამდიდრებდა.

წახემსებიდან რამდენიმე საათში ქალს ძლიერი ალერგიული რეაქცია დაეწყო და მანაც კაფეს მეპატრონეებს უჩივლა. სასამართლოს ორი წელი დასჭირდა იმის დასადგენად, რომ კაფეში მართლაც ირღვეოდა ჰიგიენისა და ჰამბურგერის მომზადების წესები. სამაგიეროდ, 48 წლის ქალბატონი „მომწამვლელებისგან“ დაახლოებით 3 მლნ ვონს (26.000 დოლარს) მიიღებს კომპენსაციის სახით.

*ჯენტი*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ფრანგი მეიგავის, ლაფონტენის სიტყვებს ამოიკითხავთ.




**გ.** შავი ქვა, რომელსაც ავი თვალისგან დასაცავად ატარებენ; **ა.** კიპლინგი, „მაუგლი“, რა ერქვა ხროვის მეთაურს? **ე.** ვინ არის ბელზებელი; **რ.** მდინარე ონსა და ამბროლაურში; **თ.** რა გვარი იყო თემურ ჩხეიძის პერსონაჟი ფილმში „მშობლიურო ჩემო მიწავ“; **ე.** თვითმფრინავის ან გემის მომსახურე პერსონალი; **თ.** პატარა მღრღნელი ცხოველი; **პ.** პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; **ა.** ინგლისის უძველესი სახელწოდება; **ლ.** ქალაქი გერმანიაში; **ი.** საზაფხულო საძოვარი მთაში; **ტ.** მდინარე, რომლის ნაპირებზეც გაშენებულია ქალაქი ლონდონი; **რ.** ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ქვეყნებში; **ა.** იჯარა; **ს.** რა ერქვა შოშია გოგოლაძის მეზობელ ქალს, რომლის ცოლად შერთვასაც იგი ციხიდან გამოსვლისთანავე აპირებდა (ნ. დუმბაძე, „თეთრი ბაირაღები“); **თ.** წვრილი ღვედი; **ა.** დიეგო მარადონას მეორე სახელი; **ნ.** ხინკლის აუცილებელი ატრიბუტი; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **რ.** ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, რომელშიც მღეროდა ნანი ბრეგვაძე; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ა.** ქართული სადაზღვევო კომპანია; **დ.** მუსიკალური ნიშანი, რომელიც ბგერას ნახევარი ტონით ამაღლებს.

**თინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ა.** ანჩოუსი; **უ.** ურემი; **ც.** ციმბირი; **ი.** ილიონი; **ლ.** ლოპესი; **ე.** ეგრისი; **ბ.** ბლოკადა; **ლ.** ლაფსუსი; **ა** ამერიკა; **დ.** დესპანი; **შ.** შეილოკი; **ე.** ეტალონი; **ი.** იქსი; **ძ.** ძვირი; **ი.** ინძაგი; **ნ.** ნიუტონი; **ე.** ეკლერი; **ჩ.** ჩივაძე; **ვ.** ვაიმარი; **ე.** ეტლი; **ნ.** ნეილონი; **ი.** იასონი; **გ.** გოთები; **ა** ალერგია; **ზ.** ზესნახე; **ე.** ელვა; **თ.** თიანეთი; **ი.** იტალია.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ჩემი პროფესია სიძულვილის თესვაა.**

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**როგორ ვუმკურნალო ჰაიმორიტს ოჯახურ პირობებში (გაჭირვების გამო ექიმთან ვერ მივდივარ)?**

***პატივისცემით, ნინო მაისურაძე***

ჰაიმორიტი ცხვირის დანამატი ღრუს — ჰაიმორის ანთებაა. ღრუში გროვდება ჩირქი, ავადმყოფს აწუხებს თავის ტკივილი, ჩირქოვანი გამონადენი ცხვირიდან. ჰაიმორიტის შემთხვევაში, უნდა მოხდეს ღრუს სანაცია (გამორეცხვა, გამოსუფთავება) და ჩატარდეს ანტიანთებითი, ანტიბაქტერიული თერაპია. სრულყოფილი მკურნალობის თავად ჩატარებას ვერ შეძლებთ, მაგრამ მოგცემთ რამდენიმე რჩევას, რაც გაგიუმჯობესებთ მდგომარეობას: ფიზიოლოგიური ხსნარი (იყიდება აფთიაქებში) შეათბეთ ოთახის ტემპერატურამდე და გამოირეცხეთ ცხვირის ღრუ — მარჯვენა ხელისგულზე დაისხით ხსნარი, მარცხენა ხელის თითი მიიჭირეთ ცხვირის მარცხენა ნესტოზე და მარჯვენა ნესტოთი შეისრუტეთ (თან თავი გადახარეთ მარჯვნივ) ისე, რომ ხსნარმა გამორეცხოს წიაღი. ამის შემდეგ შესრუტვა გაიმეორეთ, მაგრამ თავი მარცხნივ გადახარეთ ისე, რომ მარჯვენა ნესტოდან შესული ხსნარი მარცხნიდან გამოვიდეს. იგივე პროცედურა გაიმეორეთ მარცხენა ნესტოსათვის. შედეგად — დაგროვილი ჩირქი გათხელდება და გამოიდევნება. ამასთან ერთად უნდა გაიკეთოთ სითბური პროცედურები: გააცხელეთ მარილი ტაფაზე, ჩაყარეთ ნაჭრის ტომსიკაში და დაიდეთ ცხვირის გვერდით ყვრიმალის არეზე. ამ პროცედურას ულტრამაღალი სიხშირის გამოსხივების სამკურნალო ეფექტი აქვს, ანუ მოქმედებს ანთების საწინააღმდეგოდ. თუ ჰაიმორიტი გამწვავებულია — გაქვთ ტემპერატურა, შეტევითი ხასიათის თავის ტკივილი, მაშინ საჭიროა ანტიბიოტიკების მიღებაც, ხოლო ქვემწვავე პერიოდში, ზემოთ აღნიშნული რჩევის შესრულება აუცილებლად მოგცემთ შვებას. იმუნიტეტის ასამაღლებლად მიიღეთ 3-4 ს/კ თაფლი დღეში.

**შესაძლებელია თუ არა თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის სრული განკურნება? სად ხდება მისი ეფექტური მკურნალობა?**

**ა.ა**

წყლულოვანი დაავადება ქრონიკულ დაავადებათა რიცხვს ეკუთვნის. მას ახასიათებს გამწვავება (განსაკუთრებით, გაზაფხულსა და შემოდგომაზე) და რემისიის პერიოდები (ჩაწყნარება). წყლული კუჭის ან ნაწლავის შიგა ლორწოვანი გარსის დეფექტს წარმოადგენს. დღეს დადგენილია, რომ წყლულის განვითარებაში სპეციფიკური ბაქტერია თამაშობს მთავარ როლს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორები (ნერვულ-ფსიქიკური გადაძაბვა, კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებები — გასტრიტი, დუოდენიტი, კვების რიტმისა და ხასიათის დარღვევა, ალკოჰოლიზმი, სიგარეტი და სხვ.). წყლულოვანი დაავადების მკურნალობა მოიცავს შემდეგ ძირითად მომენტებს: ლორწოვანის გამაღიზიანებელი ფაქტორების მოხსნა, მოტორიკის მოწესრიგება, შეხორცების სტიმულირება და ლორწოვანი გარსის დაცვა. თუ პაციენტი ზედმიწევნით იცავს ექიმის მითითებებს, არ არღვევს დიეტას, იტარებს პროფილაქტიკურ მკურნალობას, მაშინ წყლულოვანი დაავადება გადადის რემისიის ფაზაში. ზოგჯერ ხდება წყლულის შეხორცებაც კი და ასეთ დროს ადამიანი პრაქტიკულად ჯანმრთელია. თუმცა უნდა ითქვას, რომ მკურნალობის შედეგი ინდივიდუალურია თითოეული პაციენტისათვის და ბევრადაა დამოკიდებული წყლულის ზომაზე, იმუნური და ნერვული სისტემების მდგომარეობაზე, ნებისყოფაზე, გამაღიზიანებელი ფაქტორების მოხსნაზე. წყლულოვანი დაავადებების მკურნალობას ნიშნავს ექიმი გასტროენტეროლოგი (კუჭ-ნაწლავის სპეციალისტი).

## [illegible]

**მრავალი წლის განმავლობაში მაწუხებდა ასთმა. არანაირმა მკურნალობამ არ მიშველა. ერთ-ერთი შეტევის დროს საავადმყოფოში ვიწექი და იქ გავიცანი ქალი, რომელსაც ასევე ჰქონია ასთმა და თავი მოურჩენია სუნთქვითი ვარჯიშებით. მეორე დღესვე შევუდექი ვარჯიშს. დაავადებამ აშკარად უკან იწყო დახევა. თუმცა პირველი შედეგების მისაღწევად თითქმის ნახევარწლიანი ვარჯიში დამჭირდა.**

***პირველ კვირას*** **მოხერხებულად უნდა დაჯდეთ სკამზე, მოდუნდეთ და ეცადოთ, იფიქროთ განკურნებაზე, ორგანიზმის გაწმენდაზე. ასეთი განწყობის შესაქმნელად 5 წუთი დაგჭირდებათ, ხოლო ვარჯიშისათვის — 10 წუთი. ცხვირით ჩაისუნთქეთ ნელა, ღრმად 8 წამის განმავლობაში. ჩასუნთქვისას უნდა გაბეროთ მუცელი. შემდეგ სუნთქვა 8 წამით შეაჩერეთ და მომდევნო 8 წამის განმავლობაში ნელ-ნელა ამოისუნთქეთ. ამრიგად, 10 წუთის განმავლობაში სულ 25 ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა გამოგივათ. ეს პირველი კვირა ყველაზე რთულია. შეიძლება თავი ცუდადაც იგრძნოთ, მაგრამ ნუ შეწყვეტთ ვარჯიშს. რამდენიმე სეანსის შემდეგ უსიამოვნო შეგრძნებები გაქრება და თქვენ იგრძნობთ ძალების მატებას.**

***მეორე კვირას*** **მოდუნებას ისევ 5 წუთი დაუთმეთ და ვარჯიშსაც — ისევ 10 წუთი, მაგრამ ჩასუნთქვა, სუნთქვის შეკავება და ამოსუნთქვა 10 წამი უნდა გაგრძელდეს. ამასთან უნდა ჩაისუნთქოთ და ამოისუნთქოთ ხან ერთი ნესტოთი, ხან მეორეთი.**

***მესამე კვირიდან*** **ვარჯიშის ტექნიკა იგივე რჩება, მაგრამ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის ხანგრძლივობა 15 წამი და სუნთქვის შეჩერებისა — 10 წამია.**

***მეოთხე კვირიდან:*** **ჩასუნთქვა — 20 წამი, შეკავება — 10 წამი, ამოსუნთქვა — 20 წამი. ასეთი რიტმი უნდა შეინარჩუნოთ შემდეგშიც და გააგრძელოთ ვარჯიშები. გარწმუნებთ, აუცილებლად გამოჯანმრთელდებით.**

***პატივისცემით, თინა ლალიაშვილი***

**ექიმის კომენტარი:** ბრონქიალური ასთმა საკმაოდ სერიოზული დაავადებაა. მას თან ახლავს ბრონქების ობსტრუქცია (შევიწროება) და აიროვანი ცვლის დარღვევა. ასთმის მკურნალობის დროს მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს სუნთქვით ვარჯიშებს, რომელიც აწესრიგებს აიროვან ბალანსს. მკითხველის მიერ მოყვანილი სუნთქვითი ვარჯიშების კომპლექსი ძალიან ჰგავს ჰათხა იოგას სუნთქვით ვარჯიშებს, რომელთა ეფექტურობა მრავალი დაავადების, მათ შორის, ბრონქიალური ასთმის დროს მრავალგზისაა დამტკიცებული. ასე, რომ, თუ გეყოფათ ნებისყოფა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეძლებთ საკუთარ ჯანმრთელობას დღეში 15-20 წუთი მაინც დაუთმოთ, დაძლევთ მძიმე და სერიოზულ დაავადებებსაც კი.

**წლების განმავლობაში მაწუხებდა გულის ფრიალი, ხელები მიოფლიანდებოდა, ძალიან ნერვიული გავხდი. ექიმმა დამისვა ჩიყვის დიაგნოზი და დამინიშნა წამლები. მაგრამ მე ქიმიურ საშუალებებს ვერიდები და დავიწყე ჩიყვის სამკურნალო ხალხური რეცეპტების მოძიება. ერთმა ნაცნობმა ასეთი რამ მასწავლა: კაკლის მწვანე ნაყოფი უნდა დაკრიფო იმ პერიოდში, როცა მისი ზომა ლობიოს მარცვლის ზომას უტოლდება ან ოდნავ მეტია მასზე. ეს ნაყოფი უნდა ჩაყარო ქილაში და შეინახო ბნელ და გრილ ადგილას (თავზე არ დაახუროთ). ყოველდღიურად უნდა გადაყლაპო თითო ცალი, როგორც აბებს ყლაპავ. მკურნალობის კურსი 20-25 დღეა. შეგიძლია ასეთი ნაყოფის გამოშრობაც ჩრდილში, რათა მკურნალობის კურსი გაიმეორო. აი, ეს გახდა ჩემი წამალი. ორი კურსის შემდეგ უკეთ გავხდი და აღარაფერი მაწუხებს.**

***ნანა ბენაშვილი, დედოფლისწყარო***

**ექიმის კომენტარი:** კაკლის ნაყოფი მდიდარია იოდით და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, რომლებიც აწესრიგებს იოდის ცვლას ორგანიზმში. სწორედ ამის შედეგია ის, რომ კაკალი მართლაც დადებითად მოქმედებს ჩიყვის დროს.

*ძვირფასო მკითხველო! იმის გამო, რომ შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ჩვენი რუბრიკა ყოველთვის ვერ იტევს ყველა მათგანს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე მოგაწოდოთ. ეს ჟურნალი უკვე „კვირის პალიტრის“ დამატებას წარმოადგენს და 12 დეკემბრიდან განახლებული სახით გამოდის.*

## მარჩენალი რძე



რძეს და რძის პროდუქტებს უძველესი დროიდან იყენებენ არა მარტო საკვებად, არამედ კოსმეტიკურ საშუალებადაც. ჯერ კიდევ ძველ რომში ვირის რძით ებრძოდნენ ნაოჭებს. ნერონის მეუღლე ვირის რძეში ბანაობდა და მოგზაურობისას თან დაჰყავდა 500 სახედარი. არც კლეოპატრა ამბობდა უარს რძის აბაზანებზე, ხოლო ავიცენა ამტკიცებდა, თუ სისტემატურად მივიღებთ, რძე კანს ლაქებს მოაცილებს, ხოლო თაფლიანი — აუმჯობესებს სახის ფერსო.

მართლაც, რძე შეიცავს დაახლოებით სამასამდე სახის საკვებ და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას.

### მოუხდელი რძე

თანამედროვე კოსმეტიკური საშუალებების აუცილებელი კომპონენტია სხვადასხვა ცხიმი, რომელიც კანს ჯანმრთელობას უნარჩუნებს. რძის ცხიმი მდიდარია უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, ლეციტინით, ვიტამინებით და მიკროელემენტებით. რეგულარულად რძით პირის დაბანა ასწორებს თვალის უპეებში ნაოჭებს, ათეთრებს სახის კანს, ჰმატებს სიმკვრივესა და ახალგაზრდულ იერს.

### მაწონი და სხვა...

რძის მჟავე პროდუქტები არა მარტო ასუფთავებს, არამედ კვებავს და ათეთრებს სახის კანს. რაც უფრო ცხიმიანია კანი, მით უფრო მჟავე უნდა იყოს მაწონი ან კეფირი. თუ კანი მშრალია, მათი გამოყენებისას იგრძნობთ თუ არა მსუბუქ წვას, მაშინვე ჩამოიბანეთ სახე და წაისვით მკვებავი კრემი. ცნობილია, რომ მჟავე, უცხიმო მაწონი აფერმკრთალებს ჭორფლს.

### არაჟანი და ნაღები

არაჟანი და ნაღები შეიცავენ კანისთვის ადვილად ასათვისებელ ცხიმს, ცილებს, ცხიმის გამხსნელ ვიტამინებს და რძის მჟავას; ორივე ეს პროდუქტი არბილებს კანს, ხდის გლუვსა და ხავერდოვანს, აუმჯობესებს მასში სისხლის მიმოქცევას და ნივთიერებათა ცვლას. გარდა მკვებავი ნიღბებისა, არაჟანი და ნაღები შეიძლება გამოვიყენოთ კანის გასაწმენდად: 350გ წმინდად დაფქული მარილი შეურიეთ 0,5ჩ/ჭ ახალ არაჟანს ან ნაღებს. შემდეგ წრიული მოძრაობით შეიზილეთ კანში დაწყებული ფეხის თითებიდან — დამთავრებული ყელით, რის შემდეგაც აუცილებელია თბილი შხაპი.

**გთავაზობთ რძის პროდუქტების ზოგიერთი ნიღბის რეცეპტს:**

**მშრალი და ნორმალური სახის კანისათვის:** შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის უცხიმო ხაჭო, რძე, ზეითუნის ზეთი, ახალგამოწურული სტაფილოს წვენი და წაისვით სახეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ჯერ თბილი, შემდეგ ცივი წყლით.

**მოდუნებული სახის კანის გასამკვრივებლად:** 1 ს/კ ხაჭო, 1 ს/კ არაჟანი და 2 ს/კ მარილი ათქვიფეთ, წაისვით სახეზე და 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ცივი წყლით. მკურნალობის კურსია 10 პროცედურა (კვირაში 1-2-ჯერ).

**ცხიმიანი კანის გასასუფთავებლად** — 1/2 ლ თავმოხდილი (უცხიმო) რძე გახსენით იმავე რაოდენობის წყალში, შეათბეთ, დაამატეთ 1გ ლიმონის მჟავა ან ძმარი. გააჩერეთ 2-3 საათი. მიღებული წებოსმაგვარი მასა გაწურეთ და დაამატეთ 2გ ბორის მჟავა, 2 გ მცენარეული ზეთი, 5 გ გლიცერინი და ენერგიულად წაისვით სახეზე.

ეს ნიღაბი ამშვიდებს აგრეთვე გაღიზიანებულ კანს და აცხრობს სახეზე ანთებით პროცესებს.

***ლიზა №9***

## ფშნის ეკალი ბუასილის წამალია



ვისაც ერთხელ მაინც გამოუცდია ამ დაავადების „სიკეთე“, იცის, თუ რა შემაწუხებელი და ძნელად განსაკურნებელია. ამასთან, მან „აირჩია“ მეტად ინტიმური ადგილი. ალბათ მიხვდით, ლაპარაკია ბუასილზე, რომლის სამკურნალოდ გარდა სპეციალური წამლებისა, ხალხურ მედიცინაში არსებობს ბუნებრივი საშუალებები. ერთ-ერთი მათგანია ფშნის ეკალი (стальник, Ononis), რომლის ფესვები შეიცავს ფლავონურ გლიკოზიდ ონონინს, ეთეროვან და ცხიმოვან ზეთებს, ფისს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, ბევრ მინერალსა და მიკროელემენტს. უძველესი დროიდანვე იყენებდნენ მას, როგორც ანთებსაწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ, შარდმდენ და ნაღველმდენ საშუალებას; მკურნალობდნენ ნიკრისის ქარს, ეგზემას, ეპილეფსიას, შარდკენჭოვან დაავადებას, თავის ტკივილს და პროსტატიტს. დღეს კი, თანამედროვე მედიცინა გვთავაზობს ფშნის ეკლის ნახარშით ბუასილის, კუჭის ქრონიკული შეკრულობით გამოწვეული სისხლდენის მკურნალობას სწორი ნაწლავიდან, გარდა ამისა, ის აწესრიგებს ნაწლავების მოქმედებას. ნახარშისათვის აიღეთ 30გ დაქუცმაცებული ფშნის ეკლის ფესვები, დაასხით 1ლ წყალი და ადუღეთ მანამ, ვიდრე სითხე ორჯერ არ დაიკლებს. ნახარში გაწურეთ და მიიღეთ 1/4-1/3 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში ჭამის წინ, 2-3 კვირის განმავლობაში. ნახარში შეიძლება გამოიყენოთ, როგორც გარეგანი საშუალება — დერმატიტისა და ეგზემის დროს.

***ოტდოხნი №11***

## განა ყველა ოქროა, რაც ბრწყინავს



გერმანელმა ექიმმა ჰანს-ვალტერ როტმა შეისწავლა და დაადგინა სიბრმავის ათეულობით შემთხვევა. მან დაასკვნა, რომ მეტალების შხამიანი კომპონენტები, რომელსაც სამკაულები შეიცავს (ძირითადად კობალტი და ნიკელინი), იწვევს არა მხოლოდ რქოვანას მწვავე ანთებას, არამედ ძლიერ მოქმედებს ტვინზეც.

დოქტორ როტის აღმოჩენა შემთხვევითი იყო. ყველა მისი პაციენტი, რომელთაც აღმოაჩნდათ რქოვანას ანთება, სახეზე იკეთებდა ნაირ-ნაირ სამკაულს.

ბევრი ავადმყოფი მაშინ მივიდა ექიმთან, როცა შხამიანმა მეტალებმა თავისი საქმე უკვე გააკეთეს.

პაციენტებს ჯერ დაეწყოთ უხვი ოფლდენა, შემდეგ სისხლდენა და ყველაფერი ეს თვალის ანთებით დამთავრდა. აბა, რას იფიქრებდნენ, რომ ამ უბედურების მიზეზი ერთი შეხედვით „უწყინარი“ სამკაულები იყო.

***მირ ნოვოსტეი №5***

## [illegible] [illegible]

გრიპის ეპიდემიის დროს, ექიმები გვირჩევენ იმუნიტეტის გაძლიერებას სოფლად გაზრდილი ქათმის ბულიონით. მასში არის განსაკუთრებული ცილების ნაერთი, რომელიც ისეთსავე ეფექტს ახდენს ორგანიზმზე, როგორც ვიტამინების მთელი ჯგუფი, ანუ უტევს ვირუსს.

ქათმის ხორცს ორგანიზმი ადვილად ითვისებს. ის, როგორც ვთქვით, შეიცავს დიდი რაოდენობით ცილას, ყველა ძირითად ვიტამინს, აგრეთვე მინერალებს, მათ შორის ფოსფორს, კალიუმს, რკინას.

ქათამს გაცილებით ცოტა ცხიმი აქვს, ვიდრე სხვა ხორცის პროდუქტებს, ე.ი. შეიცავს ნაკლებ ქოლესტერინს.

ქათმის ხორცში უხვადაა ვიტამინი $B_6$, რომელიც ამცირებს გულის კორონარული უკმარისობის რისკს.

შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ქათმის ხორცი გემრიელი და შესანიშნავი საშუალებაა ინფარქტის პროფილაქტიკისათვის და გულის სხვა დაავადებების თავიდან ასაცილებლად.

მიეძალეთ გრიპის ან გაციების დროს ქათმის ბულიონს და 2-3 დღეში იმუნიტეტი უსათუოდ საგრძნობლად გაგიძლიერდებათ...

***არგუმენტი ი ფაქტი №9***

# კბილები — ჩვენი არსობისა...



„კბილის დაკარგვა ნამდვილი კატასტროფაა“, — თქვა ერთხელ ერთმა ცნობილმა ამერიკელმა დრამატურგმა ისე, რომ არ იცოდა, მართალი რომ იყო. ახლახან, ამერიკელმა მეცნიერებმა შეისწავლეს პირის ღრუსა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს შორის ურთიერთკავშირი და სრულიად მოულოდნელ დასკვნამდე მივიდნენ.

სტომატოლოგების რჩევის უარყოფას, — კბილებს ყურადღება მიაქციეთ, დილა-საღამოს გამოიხეხეთ და ექიმთანაც დროზე მიბრძანდითო, — შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. როგორც ჰარვარდელმა სპეციალისტებმა დაადგინეს — დაავადებული გულ-სისხლძარღვოვანი სისტემა და დაზიანებული კბილები ინსულტის საფრთხეს მოასწავებს.

კვლევამ ცხადყო, რომ მამაკაცებს, რომელთაც 25-მდე კბილი მაინც აქვთ შერჩენილი, იშემიური ინსულტით დაავადების 57%-იანი შანსი აქვთ. მეცნიერები ჯერჯერობით, ვერ ხსნიან, რა კავშირი შეიძლება არსებობდეს კბილების რაოდენობასა და ინსულტით დაავადებას შორის. ერთი თეორიის თანახმად, პირის ღრუს ბაქტერიები სისხლში გადადის და არტერიებში წარმოქმნის საცობებს, რომელთა გულში მოხვედრა ინფარქტს, ტვინში კი ინსულტს იწვევს. მეორე თეორიის თანახმად, პირის ღრუში პერიოდონტალური ინფექციების შედეგად წარმოიქმნება თრომბი, რასაც იმავე შედეგამდე მივყავართ. სხვა ვერსიით კი, ბაქტერიებს ტოქსინები გამოიმუშავებს, რომლებიც არტერიების უჯრედებს ანადგურებს.

„პირის ღრუს ჰიგიენა ინსულტის თავიდან აცილების ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორიც სისხლის წნევის გაკონტროლება, სიგარეტზე, გამაჯანსაღებელ ვარჯიშსა და ჯანსაღ კვებაზე უარის თქმა“, — განაცხადა კოლორადოს ნეიროლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა დონ სმიტმა.

***ეხო პლანეტი №2-3***

# თავბრუ მეხვევა, თავბრუ...



თავბრუს ხვევის დროს გვეჩვენება, რომ ფეხქვეშ მიწა გვეცლება, გვაქვს გულისრევის შეგრძნება, გვიცივდება ხელ-ფეხი. ამ უსიამოვნო შეგრძნებას ძალიან ბევრი მიზეზი იწვევს, ამიტომ, სანამ წამალს მიიღებდეთ, აუცილებელია ჩაიტაროთ გამოკვლევა. თავბრუს ხვევა შეიძლება გამოიწვიოს თავის ტვინის ნერვული სისტემის (რომელიც აწესრიგებს სხეულის წონასწორობას) მუშაობის დროებითმა დარღვევამ, ალკოჰოლმა ან მხუთავმა აირმა, სიგარეტმა, პროდუქტებით მოწამვლამ, მკვეთრმა მოძრაობამ და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიისა და ჰიპოტონიის დროს ტვინის სისხლძარღვების დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს წონასწორობის ცენტრისა და იმ ორგანოების (თვალის ბადურამაც კი) გაღიზიანება, რომლებიც პასუხს აგებენ წონასწორობაზე.

ექიმის დანიშნულებასთან ერთად, შეგიძლიათ გაითვალისწინოთ შემდეგი რჩევები: განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ თქვენი რაციონი შეიცავდეს $B_{12}$ ვიტამინის შემცველ პროდუქტებს: ღვიძლს, თირკმლებს, თევზს, ხიზილალას, რძეს, ყველს, კვერცხს და რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ ქერის ფაფა, უმი თავხვეული კომბოსტო, ტკბილი წიწაკა, გოგრა და ნიახური.

გთავაზობთ ტონუსის ამწევი ვიტამინური სასმელის უმარტივეს რეცეპტს: 3 წილ ასკილს შეურიეთ 1 წილი ჟოლოს, 2-2 წილი შავი მოცხარისა და ცირცელის ნაყოფი, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 საათი თერმოსში, გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ დღეში 2-ჯერ.

თუ თავბრუ მაღალი არტერიული წნევით არის გამოწვეული, წნევის დამწევ წამლებთან ერთად შეგიძლიათ მიიღოთ ფრიად ეფექტური საშუალება — თაფლისა და კიტრის კოქტეილი. წვრილ სახეხზე გახეხილი 200გ კიტრს დაამატეთ 2 ჩ/კ ახალგამოწურული ლიმონის წვენი და 1 ს/კ თაფლი. ათქვიფეთ მიქსერით და დალიეთ. ეს სასმელი ასევე აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას.

***ზდოროვიე №2***



## როგორ ვებრძოლოთ გაზაფხულზე დაღლილობის შეგრძნებას?

***ქეთი ჭუბაბრია, თბილისი***

გაზაფხულის დაღლილობას ვიტამინების ნაკლებობას მიაწერენ ხოლმე, მაგრამ, როგორც უკანასკნელმა გამოკვლევებმა აჩვენა, ყოველი 5 შემთხვევიდან 4 სულ სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული.

**1. ამინდზე რეაქცია** — მაგნიტური ქარები, ძლიერი ქარი, ატმოსფერული წნევის ცვალებადობა ძლიერად მოქმედებს ადამიანის ნერვულ სისტემაზე, იწვევს სისუსტის შეგრძნებას.

*რჩევა:* გამოიყენეთ წერტილოვანი მასაჟი. მარცხენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით დააწექით მარჯვენა ხელის ნეკა თითის შუა ფალანგს. თუკი რამდენიმე წუთში დაღლილობის გრძნობამ არ გაგიარათ, გაიმეორეთ რამდენჯერმე.

**2. მკაცრი დიეტის შედეგი** — დაბალკალორიული დიეტა ორგანიზმისთვის საზიანოა, განსაკუთრებით ერთკომპონენტიანი დიეტა (მაგ. მარტო ვაშლი ან მაწონი), ამ დროს ორგანიზმი ვერ იღებს საჭირო ნივთიერებებს. ნივთიერებათა ცვლა მნიშვნელოვნად შენელებულია.

*რჩევა:* მიჰყევით დიეტოლოგების რეკომენდაციას: 60% — ნახშირწყალი, 24% — ცხიმი, 16% — ცილა. მიირთვით ხილი, პოლივიტამინების კომპლექსი და მინერალები.

**3. ძალზე მსუბუქი საუზმე** — 1 ჭიქა ყავა საუზმე არ არის. ორგანიზმი ენერგიის წყაროდ ცხიმს იყენებს. ამიტომაც თუკი დილით ცხიმს არ მიიღებთ, ორგანიზმს „ძალა გამოეცლება“.

*რჩევა:* მიირთვით საუზმეზე კარაქიანი ბუტერბროდი, 2-3 ნაჭერი ყველი, მაწონი, ხაჭო ან არაჟანი.

**4. ტკბილეული მშიერ კუჭზე** — შიმშილთან ბრძოლას ტკბილეულით არ გირჩევთ. სისხლში გლუკოზა მკვეთრად იმატებს, კუჭქვეშა ჯირკვლიდან დიდი რაოდენობით გადმოისროლება ინსულინი, რაც მკვეთრად აქვეითებს გლუკოზის დონეს სისხლში. შედეგი — ძლიერი სისუსტე და თავბრუს ხვევა.

*რჩევა:* წაიხემსეთ ვაშლით, ბანანით, ფორთოხლით. მათში გლუკოზის გარდა ბლომადაა სხვა საკვები ნივთიერებებიც, ისინი ნელა შეიწოვება და ორგანიზმი 1-1,5 სთ ენერგიით ალსავსეა.

**5. სისხლის შეგუბება ქვედა კიდურების ვენებში** — აძლიერებს სისუსტის შეგრძნებას.

*რჩევა:* მიიღეთ ზღვის მარილიანი, თბილი აბაზანები.

— ჩაიცვით მოხერხებული ფეხსაცმელი, 3-4 სმ-იანი ქუსლით.

— ეცადეთ, ხშირად იდგეთ ფეხზე. ამ დროს ვენებში სისხლის მიმოქცევა უკეთ ხდება.

**6. ძლიერი დატვირთვა ტრენაჟორებზე** — პირველად შეიგრძნობთ ტკივილს კუნთებში.

# რა იწვევს დაღლილობას?

*რჩევა:* დაფნა და ლავანდის ფოთლები ჩაყარეთ აბაზანაში და ჩაწექით 10-15 წთ-ით.

**7. პრემენსტრუალური სინდრომი** — დაღლილობა მენსტრუალური ციკლის ბოლოს ჰორმონალური ცვლილებების შედეგია. ქსოვილებში კავდება სითხე, რაც ტვირთავს ვენურ სისტემას.

*რჩევა:* კრიტიკულ დღეებამდე 1 კვირით ადრე, დილა-საღამოს მიიღეთ კატაბალახას ფესვების ნაყენი.

**8. ჭარბი წონა** — სწრაფი გასუქება დაღლილობის შეგრძნებას განაპირობებს.

*რჩევა:* შეზღუდეთ ნახშირწყლოვანი და ცხიმოვანი საკვები, ისეირნეთ ფეხით, მეტი იმოძრავეთ.

**9. რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთება**: ეს ძალზე გამომფიტველი და დამღლელია ნერვული სისტემისთვის; თანაც მამაკაცებისთვის მეტად. არ გირჩევთ, ერთდროულად ტელევიზორს უყუროთ და ტელეფონზე ისაუბროთ...

*რჩევა:* ნეიროსტიმულატორების მიღებამდე ეცადეთ, გამოყოთ პრიორიტეტები და ყველაფერს თავისი რიგი მიუჩინოთ.

**10. მუქი ტონალობის ტანსაცმელი** — ქალთა უმეტესობა უპირატესობას შავ ფერს ანიჭებს, რაც გუნება-განწყობილებაზე ცუდად მოქმედებს. დამტკიცებულია, რომ ის ქალები, რომლებიც წვეულებაზე შავ კაბაში არიან გამოწყობილნი, უფრო სწრაფად იღლებიან.

*რჩევა:* გირჩევთ ხალისიანი ფერის ტანსაცმელი ატაროთ, მაგ. წითელი — აგავსებთ ენერგიით. თუკი აღგზნებული ხართ, ლურჯი ან მწვანე ჩაიცვით.

**11. თამბაქო** — ნიკოტინი ავიწროებს სისხლძარღვებს, აუარესებს და აფერხებს ქსოვილების სისხლმომარაგებას — განაპირობებს ჟანგბადოვან შიმშილს. შედეგი — დაღლილობა.

*რჩევა:* თუკი სიგარეტზე უარს იტყვით, ძალების მოკრებას უცებ მაინც ვერ მოახერხებთ. პირველ კვირას დაღლილობა უფრო გაღრმავდება. ნიკოტინი ნერვულ სისტემაზე დოპინგის მაგვარ ზეგავლენას ახდენს. ამიტომაც საჭიროა დრო, რათა ნიკოტინის „კლანჭებიდან“ განთავისუფლდეთ.

**12. მძღოლის სისუსტე** — მოუხერხებელი პოზა, მხედველობითი და ნერვული დაძაბულობა, მონოტონური მოქმედება ძალიან დამღლელია.



*რჩევა:* აუცილებლად წაიხემსეთ სამუშაოზე გასვლის წინ, არ ჭამოთ ზედმეტი და ცხიმიანი საკვები. სალონში სიგრილე უნდა იყოს. სიცხე თენთავს ადამიანს. თუკი დაღლილობას იგრძნობთ, გააღეთ ფანჯარა.

**13. კომპიუტერთან მუშაობა** — ერთფეროვანი გამოსახულება, მონიტორის ციმციმი ძალიან დამღლელია.

*რჩევა:* თბილი კომპრესი — საუკეთესო საშუალებაა გადაღლილი მხედველობის დროს. ნაზად გაწურეთ ცხელ წყალში დასველებული ბამბა და ქუთუთოებზე 10-20 წუთი დაიდეთ.

**14. საღამოს ტელევიზორთან დიდხანს შეყოვნება** — ეკრანის წინ მხედველობა იღლება; აღინიშნება ნერვული დაძაბულობა, გაღიზიანება, უძილობა...

*რჩევა:* არ უყუროთ ტელევიზორს სიბნელეში. ტელევიზორის გამორთვის შემდეგ, ცოტა ხანი ფანჯარასთან დაყავით, უმჯობესია თუ 10-15 წუთი გაისეირნებთ.

***მაია მუხიგული***

# სუფთა წყალი ინფარქტისგან გადაგვარჩენს...



თუ ადამიანი დღეში 5 ჭიქა წყალს სვამს, გულის შეტევის რისკი მკვეთრად მცირდებაო, — აღმოაჩინეს ამერიკელმა მეცნიერებმა, რომლებიც 6 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ 38-დან 80 წლამდე ასაკის 2000 ქალსა და მამაკაცს. ქალებში, რომლებიც დღეში 5 ჭიქა წყალს სვამდნენ, ინფარქტის რისკი 41%-ით მცირდებოდა, მამაკაცებში — 54%-ით. ამასთან, მეცნიერები გვირჩევენ, სასარგებლოა სუფთა წყალი და არა ჩაი, ყავა, წვენები, რძე და სპირტიანი სასმელები, რადგან მათი დიდი რაოდენობით მიღება ზრდის ინფარქტის შესაძლებლობას: ქალებში ამ დროს ორჯერ იზრდება გულის დაავადებები, მამაკაცებში კი — 46%-ით.

***ჯენტი***

# მიომის პროფილაქტიკა



მიომის წარმოქმნის მიზეზი შეიძლება გახდეს: ნერვული სისტემისა და ენდოკრინული დაავადების, ფეხმძიმობისა და აბორტების შემდგომი გართულებები და ა.შ.

ექიმი-ნატუროპათების მკურნალობა უმთავრესად მიმართულია მიომის საწინააღმდეგო იმუნიტეტის გამომუშავებისა და წარმოქმნილის ზრდის პროცესის შეჩერებისკენ. ექიმები გვირჩევენ მიომის პროფილაქტიკისათვის გამოვიყენოთ სხვადასხვა მცენარე, რომლებიც შეიცავს ფიტონციდებს: ნიორი, პირშუშხა, ბოლოკი, ჭინჭარი, ავშანი (აბზინდა), სალბი.

**ნივრის ნაყენი:** 110 გ არაყს შეურიეთ 30გ დანაყილი ნიორი და გააჩერეთ 3 კვირა ბნელ და გრილ ადგილას. შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ 1 ჩ/კ ნაყენი 3-ჯერ დღეში ჭამამდე. ამასთან უნდა სვათ ბევრი წყალი. ასევე ეფექტურია გუგულის ყვავილის, მზიურას (კულმუხოს), ფარსმანდუკის ნაყენის მიღება, — ბაიკალური მუზარადა, წიწმატურა, ბრტყელეკალა, გრაკლა, თავსისხლა, ავშანი. სხვათა შორის, ეს მცენარეები ანთებსაწინააღმდეგო და სისხლის ალმდგენი თვისებების გარდა, ანტისტრესულიცაა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მიომის მკურნალობისას. ამავე დროს უნდა მიიღოთ სისხლის გამწმენდი მცენარეებიც: ტეგანი, ქაცვი, ნეგო, კრაზანა, გულყვითელა (კალენდულა) და ლავანდი.

სისხლდენის დროს სასურველია მიიღოთ **სტაფილოს ნაყენი:** 2 შეკვრა სტაფილოს გამხმარ ან ახალ ფოჩს დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი და გააჩერეთ 30-40 წუთი, გაწურეთ და მიიღეთ ნაყენი, ხშირად განუსაზღვრელი რაოდენობით მანამ, სანამ არ შეწყდება სისხლდენა.

**ოროვანდის ფესვების ნაყენი:** 1 ჩ/კ დაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით 400 მლ მდუღარე წყალი. გააჩერეთ თერმოსში 12 საათი, გაწურეთ და მიიღეთ 100-100გ ნაყენი დღეში 3-ჯერ ერთი თვის განმავლობაში. 10 დღის შესვენების შემდეგ გაიმეორეთ კურსი და ასე გააგრძელეთ გამოჯანმრთელებამდე.

**კაკლის ნაყენი:** 1 კგ კაკლის ნაჭუჭსა და უღელს დაასხით 0,5 ლ არაყი. გააჩერეთ 10 დღე-ღამე. მიიღეთ თითო ს/კ 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

**ალოეს ნაყენი:** 375გ (3 წლის) ალოეს ფოთოლი გაატარეთ ხორცსაკეპში (მანამ, სანამ ფოთოლს მოკრეფთ, არ მორწყათ 5 დღე-ღამე), შეურიეთ 625გ მაისის თაფლი და 675 მლ წითელი ღვინო. ამის შემდეგ ნარევი გააჩერეთ 5 დღე-ღამე ბნელ ადგილას. მიიღეთ 1 ჩ/კ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

მკურნალობის კურსია ორი-სამი კვირიდან თვე-ნახევრამდე. მიომის დროს ამ ხალხური საშუალებების მიღება (განსაკუთრებით საწყის სტადიაში) უმეტეს შემთხვევაში აქრობს მას ქირურგიული ჩარევის გარეშე. გარდა ამისა, საშვილოსნოს უბრუნებს შვილის გაჩენის უნარს.

***ოტდოხნი! №7***



აშშ

## მიკრობების დედოფალი – აშშ-ის პირველი მტერი

*ამ 47 წლის ერაყელ ქალბატონს — რიჰაბ რაშიდ ტაჰას მიკრობების დედოფალს, ზოგჯერ „სიკვდილის ანგელოზსაც“ ეძახიან. იგი მსოფლიოში აღიარებული ბაქტერიოლოგია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოყვანილი ბაქტერიები საკმარისია კაცობრიობის გასანადგურებლად. თუ დასავლეთის სპეცსამსახურებს ვერწმუნებით, ამ ქალბატონის გვერდით სადამ ჰუსეინიც კი უწყინარი კრავია.*

სადამ ჰუსეინმა, ირანთან დამარცხების შემდეგ, ბიოლოგიური იარაღის შექმნის პროცესის განახლების ბრძანება გასცა (ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობა 1979 წელს გაყინეს). ამ პროგრამას სათავეში ჩაუდგა ბრიტანეთის უნივერსიტეტის ახალგაზრდა კურსდამთავრებული რიჰაბ ტაჰა.

საინტერესოა, რომ ციმბირის წყლულის პირველი სპორები, რომლებიც ქალბატონ რიჰაბ ტაჰას სჭირდებოდა ბაღდადში ცდების ჩასატარებლად, 1986 წელს მან აშშ-დან მიიღო. მაშინ ვაშინგტონს სადამი „მაგარ ბიჭად“ მიაჩნდა და თვლიდა, რომ ირანელ ფუნდამენტალისტებს, აიათოლა ხომეინის თავკაცობით, კისერს მოუგრეხდა — ვაშინგტონი ამაში ყველანაირად ხელს უწყობდა. მოგვიანებით, დოქტორმა ტაჰამ ბაღდადის უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრა ქიმიურ ქარხანაზე გაცვალა. აქ უკვე აწარმოებდნენ ბაქტერიათა ცნობილ სახეობებს და ამუშავებდნენ განგრენის, შავი ჭირის, თვალის, კუჭ-ნაწლავის დაავადებათა გამომწვევ ბაქტერიებს.



როცა 1991 წელს ერაყს გაეროს პირველი ინსპექტორები ეწვივნენ, დოქტორი ტაჰა შეეცადა, დაერწმუნებინა ისინი — ჩვენ აშშ-დან მიღებული პრეპარატების საფუძველზე შექმნილი ბიოლოგიური იარაღის უმნიშვნელო რაოდენობა დავამზადეთ, რაც გავანადგურეთ კიდეცო.

1995 წლამდე რიჰაბ ტაჰა გადაჭრით უარყოფდა ერაყში ბიოლოგიური იარაღის არსებობას, მაგრამ 1995 წელს სადამ ჰუსეინის სიძე, გენერალი ჰუსეინ ქამელი ოჯახთან ერთად იორდანიაში გაიქცა და თან წაიღო საბუთები, რომლებიც ცხადყოფენ ერაყში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის წარმოების მასშტაბებს. სადამს ეშინოდა, რომ ქამელი ამერიკელებს გადასცემდა რეალურ ინფორმაციას ტაჰას საქმიანობაზე, ამიტომ მისი სამუშაო ცენტრი ააფეთქებინა და ბიოლოგ ქალბატონს უბრძანა, ნაწილობრივ ეღიარებინა, რომ მისი ჯგუფი ბიოლოგიურ იარაღს ამუშავებდა. ზოგიერთი მონაცემით, დოქტორი ტაჰა დღესაც აგრძელებს საქმიანობას.

***ვლასტი №10***

აზერბაიჯანი

## ბაქომ უკვე იწვნია ომის შედეგები

ამერიკისა და ევროპის ნავთობის კომპანიებმა გამოაცხადეს, რომ იწყება ახალი ეტაპი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობაში. ამ პროექტზე უკვე 1 მლრდ დოლარი დაიხარჯა. აშშ კვლავაც აპირებს 1,7 მლრდ დოლარის ჩადებას, თუმცა კი, ერაყში ომის წინ თურქეთთან ურთიერთობა დაიძაბა ანკარის უარის გამო — თავის ტერიტორიაზე განეთავსებინა 62 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი.

სიტუაციის განვითარებას ყურადღებით ადევნებენ თვალს დსთ-ის თურქულენოვანი ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაში თურქეთს 20 მლრდ დოლარი აქვს ჩადებული. თურქეთის საფინანსო კრიზისი, რაც ამერიკასთან დაძაბულობამ გამოიწვია, უკვე დაეტყო დსთ-ის ზოგიერთ ქვეყანას, პირველ რიგში, აზერბაიჯანს.

***ნეზავისიმაია №43***

## ერაყზე გაეროსაც უჭირავს თვალი...

გაეროს ხელმძღვანელობა, გენერალური მდივნის, კოფი ანანის მეთაურობით, სიტყვიერად ერაყის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრეა, სინამდვილეში კი, სადამ ჰუსეინის მემკვიდრეობის გაყოფაში სურს მონაწილეობა. გაერომ გამოაქვეყნა გეგმა, რომლის თანახმად, ჰუსეინის დამხობიდან სამი თვის თავზე იგი ერაყის ომის შემდგომ მოწყობაში ჩაერთვება. ერთი შეხედვით, გაეროს გეგმას არა უჭირს რა. ორგანიზაცია არ აპირებს მთლიანად ითავოს ომის შემდგომი ერაყის მართვა (როგორც ეს იყო კოსოვოსა და აღმოსავლეთ ტიმორში) და სრული კონტროლი ნავთობზე. გაერო აცხადებს, ერაყის სუვერენიტეტს პატივი უნდა ვცეთო, მაგრამ სიტუაციის პიკანტურობა ის გახლავთ, რომ გაეროს მოხელეებმა ერაყის მომავლის დაგეგმვა უშიშროების რეზოლუციის გარეშე დაიწყეს, რაც ერაყის ახლანდელი რეჟიმის იარაღით დამხობის სანქციას იძლევა. ამრიგად, გაეროს ხელმძღვანელობამ თვითონ დაარღვია საკუთარი ორგანიზაციის წესდება, რომელიც კრძალავს წევრი ქვეყნების (ერაყი — გაეროს წევრია) შინაურ საქმეში ჩარევას. საინტერესოა, რომ კანონის მთავარი დამრღვევია გენერალური მდივანი კოფი ანანი. ცხადია, გაეროს ხელმძღვანელობას სხვებზე უკეთ მოეხსენება, რომ ომი თითქმის გარდაუვალია, მაგრამ მაშინ სხვებს აღარ უნდა მოუწოდოს, ნუ დაარღვევთ საერთაშორისო სამართლის კანონებსო.

***იტოგი №10***



## ...თუ ის არ განაიარაღებს სადამს, აშშ განაიარაღებს გაეროს

ვაშინგტონმა განაცხადა, რომ სერიოზულად ფიქრობს გაეროს გაუქმებას: „თუ გაერო აქტიურად არ იმოქმედებს, ვერ იქნება ის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც განაიარაღებს სადამ ჰუსეინს, ამ შემთხვევაში ჰუსეინს რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია განაიარაღებს“. თეთრი სახლის პრესმდივანმა ფლეიშერმა ისიც დასძინა, — გაეროს უშიშროების საბჭო სულაც არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, როგორადაც მას მიიჩნევენო.

უშიშროების საბჭოს ხმაურიანი დებატების მიუხედავად, გაერო, ფაქტობრივად, არ ეწინააღმდეგება მოვლენათა ამგვარ განვითარებას. გაეროს სამშვიდობოები, რომლებიც ერაყსა და ქუვეითს შორის დემილიტარიზებულ ზონას დარაჯობენ, საგუშაგოს ტოვებენ, ანუ ფაქტობრივად, ადგილს უთმობენ ამერიკის ჯარს.

***კომერსანტ რუ***

## კვიპროსის გაერთიანებას ხელი შეუშალა შობადობამ

ჩავარდა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მორიგი მცდელობა, მოეწესრიგებინა კონფლიქტი კვიპროსის ბერძნულ და თურქულ სათვისტომოებს შორის. ახლანდელი პროექტი ითვალისწინებდა შვეიცარიის კონფედერაციის ანალოგიური — კვიპროსის ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას. 6 კაცისაგან შემდგარი საპრეზიდენტო საბჭოს ყოველი წევრი 9 თვის განმავლობაში მორიგეობით შეასრულებდა ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების თავკაცის მოვალეობას. გაერთიანების გეგმა არ ითვალისწინებდა რამდენიმე პრობლემის მოგვარების გზებს, სწორედ ამან გამოიწვია გეგმის ჩავარდნა: 1. არაფერი იყო ნათქვამი ავტონომიურ წარმონაქმნთა გაცალკევების პირობებზე; 2. გადაუწყვეტელი დარჩა დევნილთა დაბრუნებისა და მათი ქონებრივი პრეტენზიების დაკმაყოფილების საკითხი; 3. გაურკვეველია კვიპროსის ფედერალურ ორგანოებში სათვისტომოთა წარმომადგენლობის პირობები. ამჟამად ტერიტორია, შეიძლება ითქვას, რომ კუნძულზე მცხოვრებთა რაოდენობის შესაბამისადაა გაყოფილი, ბერძნები სჭარბობენ თურქებს. აქედან გამომდინარე, საპრეზიდენტო საბჭოში უნდა შესულიყო 4 ბერძენი და 2 თურქი, მაგრამ კვიპროსელი თურქები, დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, თანაბარ რაოდენობას ითხოვდნენ — თურქულ ოჯახებში შობადობა სჭარბობსო.



კვიპროსელ თურქთა ლიდერი დენქთაში

გაეროს სურდა, კუნძულის მთელ ტერიტორიაზე 30 მარტამდე ჩაეტარებინა „გამაერთიანებელი რეფერენდუმი“, რადგან 16 აპრილს ათენში, ევროკავშირი საზეიმო ვითარებაში მიიღებს 10 ახალ წევრს, მათ შორის კვიპროსს. მაგრამ, გაეროს გეგმის ჩავარდნის შემდეგ, ევროკავშირში მიიღებენ არა კვიპროსის რესპუბლიკას, არამედ კუნძულის ბერძნულ ნაწილს.

***კომერსანტი №47***

## პინოჩეტის კვალდაკვალ

ბოლო წლებში, ჩილეს ექსდიქტატორის, აუგუსტო პინოჩეტის საქმეთა გამოძიებამ ძილი დაუფრთხო მისი მმართველობის დროს ხელისუფლებაში მყოფთ, მათ, ვინც ადამიანთა გატაცებებსა თუ მკვლელობებში იყვნენ გარეულნი და პინოჩეტის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ უცხოეთს მიაშურეს. ჩილეს პროკურატურა იძიებს პინოჩეტის ხუთი გენერლის საქმიანობას. მათ ბრალად ედებათ 1974 წელს, ბუენოს-აირესში გენერალ კარლოს პრატსის მკვლელობის ორგანიზება. ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, გენერალი არმანდო ფერნანდეს ლასიოსი დღემდე მშვიდად ცხოვრობს მაიამიში. იგი იმედოვნებდა, რომ სამშობლოში დეპორტაციისაგან ამერიკული კანონები დაიცავდა, მაგრამ შეერთებული შტატების იმიგრაციის სამსახურმა სხვაგვარად განსაჯა. ფერნანდესი დაადანაშაულეს საიმიგრაციო კანონის დარღვევაში, რაც საკმარისი აღმოჩნდა მისი ამერიკის ფედერალურ სასამართლოში გამოსაძახებლად — საიდანაც გზა პირდაპირ „დეპორტაციისაკენ მიდის“. ეს იმას ნიშნავს, რომ თუნდაც დიდი ხნის წინ ჩადენილი დანაშაულისთვის მას სამშობლოში პასუხს მოსთხოვენ.

***ნიუ ზუიქი***

## სერბეთი – ჯინჯიჩის მკვლელობის შემდეგ



სერბეთისა და ჩერნოგორიის კავშირს ჯერაც არ ჰყავს მთავრობა. ამ დროს კი მოკლეს სერბეთის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სერბეთის პოლიტიკურ სცენაზე. სერბეთისა და ჩერნოგორიის შერწყმის შემდეგ მისმა ერთ-ერთმა მთავარმა მეტოქემ, იუგოსლავიის პრეზიდენტმა ვოისლავ კოშტუნიცამ პოსტი დაკარგა. ახალი პოლიტიკური წარმონაქმნი, ძირითადად ჯინჯიჩისა და ჩერნოგორიის პრეზიდენტის მილო ჯუკანოვიჩის მცდელობითა და მოწადინებით შეიქმნა. ჯინჯიჩის მკვლელობის შემდეგ ახალ კავშირს უშუალოდ არ ემუქრება კრიზისი, მაგრამ ახლა ჩერნოგორიის პრეზიდენტს მეტი საშუალება მიეცემა უფრო ფართო ავტონომიის შესაქმნელად, ვიდრე ამას არსებული კონსტიტუცია ითვალისწინებდა. ჯინჯიჩს არ ჰყავდა პოლიტიკური მემკვიდრე. ის, ვინც პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიჭერს, საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დადგება. მან სამთავრობო კოალიციაში უნდა შეძლოს მრავალრიცხოვანი ფრაქციის კონტროლი, რასაც ბრწყინვალედ ახერხებდა გარდაცვლილი პრემიერი.

ჯინჯიჩის სიკვდილი შეაჩერებს მოლაპარაკების პროცესს ოფიციალურ ბელგრადსა და კოსოვოს პროვინციას შორის, რომელსაც გაეროს ადმინისტრაცია განაგებს ნატოსა და იუგოსლავიას შორის არსებული კონფლიქტის დასრულების დროიდან. თუ სერბეთში ვადამდელი არჩევნები ჩატარდა, მაშინ შესაძლოა კვლავ ზომიერი ნაციონალისტები მოექცნენ ქვეყნის სათავეში, რისი მომხრეც არის ვოისლავ კოშტუნიცა.

***ლენტა.რუ***

## მოკლედ

**ლიტვამ** გადაწყვიტა, საერთოევროპულ ვალუტაზე ევროკავშირში შესვლამდე გადავიდეს, ამიტომაც ქვეყნის ეროვნულმა ბანკმა ევროს ბეჭდვა დაიწყო.

**ჩეჩნეთიდან** მუდმივი დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნდა 2 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. ჩეჩნეთში დარჩა თავდაცვის სამინისტროს 42-ე დივიზია და შინაგან საქმეთა სამინისტროს 46-ე ბრიგადა. ექსპერტების აზრით, ეს სრულიად საკმარისია რესპუბლიკაში უსაფრთხოების დასაცავად.

**სიდნეის** პორტი დატოვა მსოფლიოში პირველმა მცურავმა სასახლემ „უორლდ“-მა. გიგანტურ ლაინერზეა 2-6-ოთახიანი 110 ბინა. თითოეულის ფასი 2-7 მლნ დოლარია. გემზე არის კაზინო, გოლფის მოედნები, კორტები, ბინის პატრონთა 40% ამერიკელია.

**გერმანიის** ქალაქ ბრემენის ხელოვნების მუზეუმს, რფ-ის კულტურის სამინისტროს ინიციატივით, დაუბრუნდა კოლექცია, რომელიც 56 წელი ერმიტაჟში ინახებოდა. ბრემენის სახელგანთქმული კოლექცია, რომელშიც შესულია ტიციანის, რემბრანდტის, რუბენსის, ვან გოგის და სხვა მხატვართა ნახატები, მეორე მსოფლიო ომის წლებში გადაარჩინა კაპიტანმა ვ. ბალდინმა.

**ბომბეის** ერთ-ერთ ვაგზალში აფეთქებამ 10 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მძიმედ დაიჭრა 20 მგზავრი. ასაფეთქებელი მოწყობილობა ქალთა ვაგონში იდო, იგი თითქმის სავსე იყო მგზავრებით, ვარაუდობენ, რომ აფეთქება ისლამისტი ექსტრემისტების საქმეა.

**იაპონიის** მთავრობამ განაცხადა, რომ თუ ჩრდილოეთ კორეა გააგრძელებს ბალისტიკური რაკეტების გამოცდებს, ქვეყნის მიმართ ეკონომიკური სანქციები იქნება მიღებული.

**ჩინეთში** დასრულდა ახალი თაობის ხელმძღვანელობისთვის სახელმწიფო ხელისუფლების გადაცემა, ქვეყნის მეთაურად აირჩიეს ჩინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ჰუ ძინტაო.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

600–750 მმ. დიამეტრის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გაკეთება
სიღრმე (0–25)მ.
ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.
☎ 899-16-09-10
69-83-38 (საღამოს)

შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

გსურთ ზიანის ფულადი ანაზღაურება?
კავშირი „თქვენი ადვოკატი“ გთავაზობთ უფასო იურიდიულ მომსახურებას თუ:
- თქვენს მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე;
- გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი;
- გამომძიებელი და პროკურორი არღვევენ თქვენს უფლებებს.

თქვენ გაქვთ უფლება სახელმწიფოს მოსთხოვოთ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და რეაბილიტაცია (უფლებების აღდგენა).
მის: თაბუკაშვილის ქ. №37 ☎ 92-21-57

ვმკურნალობთ ქრონიკულ პროსტატიტს
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ეხოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

# ხალხი და ექსპერტები 10 საუკეთესო ეროვნულ პროდუქტს ასახელებენ

## *ქართული ბიზნესსტრუქტურები 2003 წლის დასაწყისში*

### 10 საუკეთესო ქართული პროდუქტი

**ხალხის რჩეულები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | “სანტეს“ რძის პროდუქტები | 1188 |
| 2. | “ნიკორას“ ხორცის პროდუქტები | 1114 |
| 3. | ლუდი “ყაზბეგი“ | 1020 |
| 4. | ყაზბეგის “ცივი ჩაი“ | 980 |
| 5. | მინ.წყალი “ბორჯომი“ | 812 |
| 6. | “სამგორის“ რძის პროდუქტები | 680 |
| 7. | “ამალთეას“ რძის პროდუქტები | 524 |
| 8. | “სანტეს“ წვენები | 428 |
| 9. | ქართული “კოკა-კოლა“ | 364 |
| 10. | ლუდი “ლომისი“ | 264 |

**ექსპერტთა რჩეულები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მინ.წყალი “ბორჯომი“ | 279 |
| 2. | “ნიკორას“ ხორცის პროდუქტები | 219 |
| 3. | ლუდი “ყაზბეგი“ | 151 |
| 4. | “სანტეს“ რძის პროდუქტები | 120 |
| 5. | “სანტეს“ წვენები | 101 |
| 6. | “სამგორის“ ნაყინი | 86 |
| 7. | “ამალთეას“ რძის პროდუქტები | 75 |
| 8. | “რუსთავცემენტის“ ცემენტი | 69 |
| 9. | ყაზბეგის “ცივი ჩაი“ | 61 |
| 10. | ღვინო “ხვანჭკარა“ | 57 |

### 10 საუკეთესო კომპანია კვების პროდუქტების წარმოების სფეროში

**ხალხის რჩეულები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | “ნიკორა“ | 3288 |
| 2. | “სანტე უოლშ პროდუქტები“ | 2938 |
| 3. | “ყაზბეგი“ | 2160 |
| 4. | “ამალთეა“ | 1676 |
| 5. | “სანდო“ | 1546 |
| 6. | “წეროვანი“ | 1182 |
| 7. | “სამგორი“ | 938 |
| 8. | “კოდა“ | 723 |
| 9. | “შაორი“ | 491 |
| 10. | “თოლია“ | 304 |

**ექსპერტთა რჩეულები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | “ნიკორა“ | 460 |
| 2. | “სანტე უოლშ პროდუქტები“ | 250 |
| 3. | “სამგორი“ | 232 |
| 4. | “ამალთეა“ | 171 |
| 5. | “ყაზბეგი“ | 202 |
| 6. | “წეროვანი“ | 189 |
| 7. | “სანდო“ | 169 |
| 8. | “ლომა“ | 110 |
| 9. | “აგარა“ | 93 |
| 10. | “შაორი“ | 50 |

### 10 საუკეთესო კომპანია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოების სფეროში

**ხალხის რჩეულები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | “ღვ. და ალკ. სასმ. კომპანია“ (GWS) | 4028 |
| 2. | “ყაზბეგი“ | 3576 |
| 3. | “ბაგრატიონი - 1882“ | 1854 |
| 4. | “ვაზიანი“ | 1288 |
| 5. | “სარაჯიშვილი“ | 927 |
| 6. | “თბილღვინო“ | 681 |
| 7. | “ტრიუმფი“ | 556 |
| 8. | “გომი“ | 541 |
| 9. | “სამგორი ალკო“ | 360 |
| 10. | “თელავის ღვინის მარანი“ | 291 |

**ექსპერტთა რჩეულები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | “ღვ. და ალკ. სასმ. კომპანია“ (GWS) | 545 |
| 2. | “თბილღვინო“ | 285 |
| 3. | “ბაგრატიონი - 1882“ | 196 |
| 4. | “თელავის ღვინის მარანი“ | 180 |
| 5. | “ვაზიანი“ | 149 |
| 6. | “ყაზბეგი“ | 131 |
| 7. | “სამება“ | 120 |
| 8. | “სარაჯიშვილი“ | 89 |
| 9. | “ტრიუმფი“ | 72 |
| 10. | “გომი“ | 63 |

სოციოლოგიური კვლევების ცენტრი „რეიტინგი-კავკასია“ აჯამებს გამოკვლევის შედეგებს, რომელიც 10 საუკეთესო ქართული პროდუქტისა და ბიზნესსტრუქტურების რეიტინგის დადგენის მიზნით ჩატარდა. ასეთი კვლევების პროფესიულ დონეზე და კეთილსინდისიერად განხორციელება ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში ხელს უწყობს ბიზნესსუბიექტების განვითარებას, მათი მდგომარეობის შუქ-ჩრდილების წარმოჩენას, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირებას და სწორი, მართალი საზოგადოებრივი აზრის შექმნას ბაზარზე ჩვეულებრივ, ბუნებრივად აგრესიულად მოქმედი სამეწარმეო წარმონაქმნების მიმართ. ამ გზით იგებს მოქალაქეც, იგებს ბიზნესმენიც და მოგებული რჩება მთელი საზოგადოებაც, რადგან გამჭვირვალობა და საჯაროობა ის ინსტრუმენტებია, რომლითაც ხალხი გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს მეწარმესუბიექტების მოჭარბებულ აქტივობას ბაზრის მეტი სეგმენტის დაკავებისა და მეტი პროდუქციის გასაღების მიზნით.

“რეიტინგი-კავკასიამ“ საქართველოში პირველმა დაადგინა, თუ რომელი ათი პროდუქტია საუკეთესო ხალხის და ექსპერტების თვალსაზრისით.

ექსპერტული ვერსია სახალხო პროდუქციის მასისმიერი აღქმის ერთგვარ შემოწმებას წარმოადგენს, რაც არასრულფასოვანი საინფორმაციო გარემოს პირობებში ჭეშმარიტი სურათის დადგენაში ეხმარება დაინტერესებულ პირებს.

საუკეთესო ქართული კომპანიების რეიტინგული მონაცემების ანალიზი ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი არამდგრადი სამეწარმეო გარემოს მქონე ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. აქ მაღალია “ჩრდილოვანი ეკონომიკის“ წილი, შავი ფულის გათეთრების ხარისხი და ყოველ საქმეში ჩადებული კაპიტალის წარმომავლობის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში ეკონომიკის ლეგალურ სეგმენტში მომუშავე კომპანიების წახალისება, შეიძლება ითქვას, წმიდათაწმიდა საქმეა. საგამომცემლო სახლი “ჯორჯიან ტაიმსი“ აწყობს ავტორიტეტულ კონკურსს წლის საუკეთესო ქართველი მეწარმეებისა და კომპანიების გამოსავლენად.

ახლახან დაფუძნდა უაღრესად პერსპექტიული ფესტივალი “სახალხო ნიშანი“, რომელიც, მაღალ დონეზე ჩატარებული კვლევების შედეგად, საუკეთესო ქართული სახალხო პროდუქტისა და საუკეთესო კომპანიების დადგენას აპირებს.

ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, თუ “რეიტინგი-კავკასიის“ გამოკითხვის შედეგები დახმარებას გაუწევს მაღალი დონის ეკონომიკური ფორუმების ორგანიზატორებს. “რეიტინგი-კავკასია“ მზადაა მათთან თანამშრომლობისათვის. ესეც რომ არ იყოს, ტარდება სხვა კონკურსებიც, სხვა სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევებიც. ჩვენი კომპანიის მიერ დადგენილი შედეგები, გარწმუნებთ, სხვათა გამოკვლევების ჭეშმარიტების გადამოწმების საუცხოო საშუალებაა. ჩვენც გულისყურით ვეკიდებით სხვა კომპანიების შედეგებს.

გასული წლის საუკეთესო ქართულ პროდუქტად ხალხმა “სანტეს“ პროდუქცია დაასახელა მართლაც ეს ინვესტიცია ქართულ ეკონომიკაში წარმატებული აღმოჩნდა და ხალხისთვისაც შესამჩნევი გახდა. შეუძლებელია “სანტეს“ რძის ნაწარმს წუნი დასდო. ეს კი, მისი სხვა კონკურენტებისგან განსხვავებით, მიღწეულია ფინანსური რესურსების უფრო რაციონალური გამოყენებით და მენეჯმენტის დასავლური სტილით. სხვათა შორის, ამ მიმართულებით, მენეჯმენტის დონითა და ბაზარზე მუშაობის მრავალმხრივობით გამოირჩევა კომპანია “სანდო“, “ამალთეა“, “წეროვანი“. მეორე, სახალხო სიმპათიის თვალსაზრისით არის “ნიკორას“ ხორცის პროდუქტები, რომელიც ექსპერტებმა წლის საუკეთესო პროდუქციის მწარმოებლად მიიჩნიეს. “ნიკორამ“ უმოკლეს დროში შეძლო ყველასთვის მოსაწონი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება და ბაზარზე გვარიანად შეავიწროვა უხარისხო, ზოგჯერ, შესაძლოა, ჯანმრთელობისათვის მავნე იმპორტირებული ანალოგიური პროდუქცია და ამზადებს პროდუქციას მომხმარებლის ინტერესებისა და გემოვნების გათვალისწინებით. იმავე ბაზარზე წარმატებით მუშაობს და მაღალი ხარისხის პროდუქციას ქმნის ფირმა “შაორი“, “კოდა“, “ლომა“, რომლებიც როგორც სახალხო ისე ექსპერტთა ათეულშიც მოხვდნენ კვების პროდუქციის მწარმოებელ ფირმებს შორის. ხალხს უყვარს ლუდი და ამიტომაც “ყაზბეგი“ ხალხის ვერსიაში მესამე ადგილზეა.

ექსპერტების გამოკითხვის შედეგად წლის საუკეთესო ქართულ პროდუქტად “ბორჯომი“ იქნა აღიარებული. ეს, ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა მწარმოებელთა დამსახურებაა. თუმცა, უმნიშვნელო ალბათ მომხმარებლის ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებაც არ არის. ექსპერტთა ათეულში “სანტეს“ რძის პროდუქტებთან ერთად “სანტეს“ ხილის წვენებიც ფიგურირებს, რაც კომპანიის კიდევ ერთ წარმატებაზე მეტყველებს.

ექსპერტებმა გამოყვეს და ათეულში ადგილი მიუჩინეს “სამგორის“ ნაყინს, “რუსთავცემენტის“ ცემენტს, “ყაზბეგის“ ცივ ჩაის და ღვინო “ხვანჭკარას“.

ქართველი კაცისთვის ღვინოსთან დაკავშირებული ყოველი გარჯა საღვთო საქმეა. ხალხი ღვინის მწარმოებელ ფირმებს სხვებზე მეტად იცნობს. საუკეთესო ღვინისა და ალკოჰოლური ნაწარმის გამომშვებად მოქალაქეებმა და ექსპერტებმაც “ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ (GWS) დაასახელეს. ისიც ნიშანდობლივია, რომ ამ სფეროს კომპანიების შეფასებაში ხალხის და ექსპერტების აზრი თითქმის იდენტურია. თუ “ბაგრატიონი 1882“-ს წარმატება ქვეყნის შიგნით და უცხოეთში ძნელი იყო არ შეგემჩნია, “ვაზიანის“ და “ტრიუმფის“ ბოლოდროინდელი მიღწევების სათანადო დაფასება მართლაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველებს კარგად შეგვიძლია კარგი ღვინისა და არყის დაჭაშნიკება.

ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი სფერო დღევანდელ ეკონომიკაში კავშირგაბმულობა და კომუნიკაციებია. ტექნოლოგიური პროგრესი და ფინანსური რესურსების ბრუნვის სისწრაფე ამ დარგში მომუშავე კომპანიებს მყისიერი წარმატებისა და სწრაფი განვითარების საშუალებას აძლევს. პრივილეგირებულნი და “მთვარის ფავორიტები“ “მაგთი“ და “ჯეოსელი“ ხალხსაც და ექსპერტებსაც ერთნაირად აჯადოებენ და პირველ და მეორე ადგილებს იყოფენ. სოლიდური და სწრაფმზარდი კომპანიების ჩამონათვალში აღსანიშნავია “ჯორჯია ონლაინის“ მესამე ადგილი სახალხო, ხოლო მეოთხე ექსპერტულ ვერსიაში გამოცდილი “ტელეკომისა“ და “ახალი ქსელების“ ლიდერთა შორის ყოფნა ბუნებრივია, რადგან ისინი თანმიმდევრულად ცდილობენ ძველი პრობლემების ლიკვიდაციის და მიზანმიმართული მენეჯმენტის წყალობით წამყვან პოზიციებსაც ინარჩუნებენ. “გლობალ ერთის“ წარმატებას კი, ექსპერტების აზრით, პერსპექტივაზე ორიენტირებული ტაქტიკა განაპირობებს.

სადაზღვევო სფერო სულ უფრო მნიშვნელოვან საფინანსო ინსტიტუტად ყალიბდება. ვითარდება როგორც სისტემა, ისე ცალკეული კომპანიები. რა თქმა უნდა, საინტერესოა, რა თანმიმდევრობითა და რიგითობით განალაგა ხალხმა და ექსპერტებმა სადაზღვევო კომპანიები. ამ რიგითობაში ავტორიტეტიც აისახება, მენეჯმენტის დონეც და ისიც, თუ რამდენად ეფექტურია ამ ბიზნესსტრუქტურების სარეკლამო კამპანიაცა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მთელი სისტემაც. პირველი ორივე ვერსიაში “ალდაგია“, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას დიდი გამოცდილებაც აქვს და დიდი შესაძლებლობებიც. “იმედი-L“ მეორეა, ლიდერთა შორის მყარი პოზიციები აქვს “ბრიტანეთ-კავკასიას“, რომელმაც ბოლო პერიოდში არსებითად შეიცვალა საქმიანობის შინაარსი და ტაქტიკა. ხოლო მეოთხეზე უკვე რეალურად დამკვიდრდა “საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგი“, რომელიც ექსპერტების აზრით, უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ უაღრესად პერსპექტიული მეწარმე-სუბიექტია.

დანარჩენ მომენტებზე და რეალურ სურათზე ჩვენს კომენტარზე უკეთ თავად კვლევების შედეგები მეტყველებს.

### 10 საუკეთესო კომპანია კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის სფეროში

**ხალხის რჩეულები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | “მაგთი GSM“ | 5158 |
| 2. | “ჯეოსელი“ | 4406 |
| 3. | “ჯორჯია ონლაინი“ | 2008 |
| 4. | “ახალი ქსელები“ | 1588 |
| 5. | “საქართველოს ტელეკომი“ | 1092 |
| 6. | “გლობალ ერთი“ | 776 |
| 7. | “მეგაკომი“ | 619 |
| 8. | “საქართველოს ელექტროკავშირი“ | 223 |
| 9. | “ახტელი“ | 264 |
| 10. | “ჯეონეთი“ | 132 |

**ექსპერტთა რჩეულები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | “ჯეოსელი“ | 552 |
| 2. | “მაგთი GSM“ | 534 |
| 3. | “ახალი ქსელები“ | 225 |
| 4. | “ჯორჯია ონლაინი“ | 189 |
| 5. | “საქართველოს ტელეკომი“ | 148 |
| 6. | “საქართველოს ელექტროკავშირი“ | 105 |
| 7. | “გლობალ ერთი“ | 81 |
| 8. | “ახტელი“ | 62 |
| 9. | “მეგაკომი“ | 55 |
| 10. | “აიეტი-TV“ | 42 |

### 10 საუკეთესო კომპანია დაზღვევის სფეროში

**ხალხის რჩეულები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | “ალდაგი“ | 5904 |
| 2. | “იმედი L“ | 4688 |
| 3. | “ბრიტანეთი-კავკასია“ | 3916 |
| 4. | “საპენსიო - სადაზღვევო ჰოლდინგი“ | 2546 |
| 5. | “მადლი“ | 972 |
| 6. | “ნაბათი“ | 846 |
| 7. | “ჰელიოსი“ | 240 |
| 8. | - | - |
| 9. | - | - |
| 10. | - | - |

**ექსპერტთა რჩეულები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | “ალდაგი“ | 675 |
| 2. | “იმედი L“ | 465 |
| 3. | “ბრიტანეთი-კავკასია“ | 266 |
| 4. | “საპენსიო - სადაზღვევო ჰოლდინგი“ | 245 |
| 5. | “ნაბათი“ | 120 |
| 6. | “ჰელიოსი“ | 54 |
| 7. | “მადლი“ | 32 |
| 8. | | |
| 9. | | |
| 10. | | |

**სოციოლოგიურ ცენტრ “რეიტინგი-კავკასიას“ ანალიტიკური ჯგუფი**

# ცხოვრებისეული კურიოზები

## — მაგი არც მე ვიცი, რაია, ძამა!..



ბატონი ედუარდ შევარდნაძის მამის დაკრძალვაზე მობრძანებულმა ჩინოვნიკებმა ერთი ადგილობრივი მკვიდრი ამოიჩემეს და ქედმაღლურად დაუწყეს ლაპარაკი. მერე გაპამპულებაც მოუნდომეს. ამ კაცმაც ითმინა, ითმინა და ბოლოს ერთ მათგანს ჰკითხა: — თქვენ, ბატონო, ხომ ხართ მდიდარიო? — რატომ მეკითხებიო? — გაიკვირვა ჩინოვნიკმა. — რატომ და გამოცანა მინდა გითხრათ, და თუ ვერ მიპასუხებთ, ათი მანეთი მომეცით. თუ მიპასუხებთ მე ერთ მანეთს მოგცემთ, ღარიბი ვარ და მეტი არა მაქვსო. კარგიო, უთხრა ჩინოვნიკმა. კაცმა ჰკითხა, რა არის ის, რაც ხეზე ოთხით ადის და სამით ჩამოდისო. ჩინოვნიკმა ბევრი იმტვრია თავი, მაგრამ ვერაფრით უპასუხა და ათი მანეთი პატიოსნად გადაიხადა. ახლა წაგებული დაინტერესდა და იგივე კითხვა მოგებულს დაუსვა. მოგებულმა კიდევ მანეთიანი გაუწოდა ჩინოვნიკს და უთხრა, — მაგი არც მე ვიცი, რაია, ძამა!..

***თ. გოგუაძე, ოზურგეთი***

## „წუაპზე" გადარჩენილი სიდედრი



ახლა რასაც გიამბობთ, ნამდვილი ამბავია, რომელიც ერთ ჩემს მეგობარს შეემთხვა. ოღონდ მასში სახელებს შევცვლი, თორემ სულერთია, ჩემი მეგობარი არ მაცოცხლებს...

... გაგრის ჩაბარება-დაკარგვამდე, ზაურს სიდედრი ეწვია სტუმრად, სამეგრელოდან... ქალბატონ მელანიას სიძე სახლში არ დახვედრია. როგორც შემდგომში გაირკვა, ის ამ დროს ერთ პრესტიჟულ რესტორანში დამსვენებელ რუსის ლამაზმანს უხსნიდა სიყვარულს, ქართულ სტუმართმოყვარეობასაც არ ივიწყებდა და ახალაღებულ ხელფასსაც დაუნანებლად „სწირავდა" ცით მოვლენილ ქერათმიან ფერიას. სამწუხაროდ, უშედეგო ფინალით (როგორც ეს შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურეს).

ზაურის სიდედრს, ქალბატონ მელანიას ახლობლები და მეზობლები შემოკლებით მელას ეძახდნენ. თვითონაც შეჩვევია და შინაურებში საკუთარ თავს მელას უწოდებდა.

დიდხანს ელოდნენ ზაურის მოსვლას მისი ცოლი ლუიზა და სიდედრი. ბოლოს, ლოდინი რომ მოჰბეზრდათ და იფიქრეს, ალბათ ამაღამ სადღაც ხელს გადაჰყვა და შინ არ მოვაო, ლუიზამ დედა თავიანთ საძინებელ ოთახში დააწვინა, თვითონ კი ბავშვების ოთახში შევიდა და მალე ჩაეძინა კიდეც.

ამურისაგან შერისხული, ხელმოცარული და ნასვამი ზაური შინ გამთენიისას დაბრუნებულა.

ფრანგული სუნამოთი „აქოთებული" (ლუიზას ეპითეტია) და პომადით სახეშელამაზებული კავალერი, დაკარგული სიყვარულის საკომპენსაციოდ, „საკუთარი კედლების" იმედით, პირდაპირ საძინებელ ოთახში შეჭრილა და ქალბატონ მელანიას სასოწარკვეთილ კივილზე:

— შვილო, მელა ვარ, მელაო!!! — ზაურს უყვირია:

— მელა კი არა, აფთარი რომ იყო, მაინც ვერ გადამირჩებიო...

კიდევ კარგი, ლუიზას ფხიზელი ძილისა და დროული „ოპერატიული" ჩარევის წყალობით, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

***ირაკლი ვერულაშვილი, აბაშის რაიონი, სოფელი ნაესაკოვო (გაგრა)***

## მხიარული ამბები ხულოდან:

***ხულოს რაიონის სოფელ ქედლებშიც არიან კურიოზების მოყვარულნი. ორი კოლორიტული ახალგაზრდაც გვყავს — მალხაზ და რომან ქედელიძეები. ახლა მათ შესახებ რამდენიმე მხიარულ ამბავს მოგიყვებით:***

### „მზრუნველი" ბიძა



ერთხელ, უბნის ბირჟაზე ვზივართ. ამ დროს ბირჟისკენ მოდის მალხო, თან კანფეტს მიირთმევს. მისი სახლიდან კი მისივე ძმისშვილის, 3 წლის მურკას ტირილი ისმის.

— რატო ტირის მურკა? — ვეკითხებით ბიჭები „მზრუნველ" ბიძას.

— რატო და კანფეტს არ მაძლევდა! — გვიპასუხა კმაყოფილმა მალხომ.

### ფილმის „გმირი"



რომანმა ერთ-ერთ ფილმში ნახა, თუ როგორ ჩამოჰკიდეს მთავარი გმირი ხეზე თოკით და მაშინვე გაეცალნენ.

რომანი ფიქრობს, ასე ადვილად არ უნდა დამხრჩვალიყო ის კაციო, თოკზე ჩამოკიდებულმა კაცმა ხელი როგორ ვერ უნდა აუწვდინოს მარყუჟს, მერე აიზიდოს და მეორე ხელით გაითავისუფლოს თავიო. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ბოევიკების ყურებით გადიდგულებულმა, გადაწყვიტა თავის თავზე გამოეცადა ეს ამბავი.

შევიდა ერთ-ერთ ოთახში, ჩამოაბა ძელზე თოკი, განასკვა ისე, როგორც ფილმში ნახა, შემდეგ გაყო თავი ნასკვში და სკამი, რომელზეც იდგა, ფეხით გადააბრუნა.

ხმაურზე შედის ოთახში რომანის და... კივილი მთელ სოფელს იკლებს. ერთი-ორი წამიც რომ დაეგვიანებინათ, რომანი თავისი საყვარელი კინოგმირის „ბედს" გაიზიარებდა.

***ემო ქედელიძე, ხულოს რაიონი, სოფელი ქედლები***

## ვალიკო და ჰალსტუხი



ჩვენს მეზობელ სოფელში ცხოვრობს ერთი მეტად ხუმარა მძღოლი, ვალიკო დ. ერთხელაც, ვალიკო ახლობლებმა დაპატიჟეს ქორწილში, სადაც მეუღლესთან ერთად წავიდა კოხტად გამოწყობილი, ახალთახალი ჰალსტუხით. ქორწილში ვალიკოს ნაცნობი მძღოლი შეხვდა, რომელმაც გაიკვირვა ძმაკაცის „მორთულობა" და უთხრა: შოფერი და ჰალსტუხიო?! ვალიკომ უპასუხა: — შე შობელძაღლო, აბა, „პაკრიშკას" ხო არ ჩამოვიკიდებ კისერზეო.

***„გურჯაანელი"***

## შოუს „გონიერი" მაყურებელი



სამსახურში ერთი საგარეჯოელი ბიჭი გვყავს. მეტად კოლორიტული და „დიდი მომავლის" მქონე პიროვნება — მიშა დ. ჰოდა, ვუყურებთ „ხალხის პირისპირს". ქალბატონი თამაშობს 150 ლარზე. ისმის მიშას ხმა „რას ამბობ, ჯოო... ე ისეთი მაგარი ქალია, რო 300 ლარიც შაიძლება". მოკლედ, მაგრად დაამუღამა მიშამ ეს გადაცემა.

***ო. მამფორია, თბილისი***

## მკითხველის საყვარ... ანეკ...



ქურდი გურულს აყაჩაღებს. ჩექმებს ართ... რული, ხვნეშის. ქურდი უყვირის: ჩქარა გა... ვრიო.

გურულს მაინც არაფერი გამოსდის, უც...

— მომეხმარე, ბიო, ჩემდა ვიხდი თუ?

***გიორგი ყუ...***



შემოდგომის მიწურულს გურული რაჭველს ეკითხება:

— რაჭაში ღვინომ იკლო თუ იმატა?

რაჭველი ერთხანს ჩაფიქრდა. მერე კი მთელი სერიოზულობით უპასუხა:

— იკლო, იკლო, შენმა სიცოცხლემ.

— შენმა სიცოცხლემ იკლო, თუ კაია! — გადაირია გურული.

***შოთა ტყეშელაშვილი, ქუთაისი***

კახეთის სასადილოში:

— საჭმელი რა გაქვთ?

— ბადრიჯანი დუმაში!

— მაიტა, ორი ცალი გამაიღე!

***ჯიმი იანტბელიძე, ახალციხე***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ. მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***



როცა ცხოვრება მძიმდება,
— სიცილი უფრო გვიხდება...

**გაიღიმეთ ჩვენთან ერთად!**

## სექსუალური ვირტუალური ქალბატონი

**— სად არის ვირტუალური და ძალზე სექსუალური ქალბატონი მეა — „მეალომანიიდან“. სად გაქრა I არხის ტელეეკრანებიდან ეს გადაცემა? ნუთუ ისიც ახალ ტელევიზიაში „გადავიდა“? ვინ არის მისი ავტორი?**

***მიშიკო ენუქიძე***



კითხვაზე უპასუხებს **თაკო ბერძენიშვილი**. „მეალომანიის“ ავტორი და გამხმოვანებელი

— სტუდია „აუდიენციამ“ თავისი საავტორო გადაცემები დროებით მოხსნა არხის ეთერიდან. გარკვეული ნაწილი კვლავაც გადის ეთერში და ალბათ „მეალომანიაც“ მალე დაბრუნდება ცისფერ ეკრანებზე. ამჟამად კი მეა ისვენებს. გადაცემა უკვე 4 წელია, რაც ეთერში გადის და საკმაოდ პოპულარული იყო. ამიტომ თუ გადაცემა არხზე არ გავა, შესაძლებელია იგი სხვა ტელეკომპანიის სტუმარი გახდეს. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები არხთან და ჩვენი ვარაუდით, სწორედ მის ეთერში დაბრუნდება მეა.

რაც შეეხება იდეასა და პროექტის ავტორობას, რა თქმა უნდა, იდეა კოკა ყანდიაშვილს ეკუთვნის. მისი სურვილი იყო შექმნილიყო ქართული სიმღერების ჰიტ-პარადი. პროექტი მე მეკუთვნის. თავად ვირტუალური ქალბატონის შექმნა კი მთელი ჯგუფის საკუთრებაა. ეს პირველ რიგში ეხება რეჟისორ გოგა გაბელაშვილს და მხატვარ-გრაფიკოს ანდრო ჩხეიძეს, რომელიც მუშაობს უშუალოდ „მეასთან“.

## დედაშვილობა რეპის თანხლებით

**— გთხოვთ, გამოეხმაუროთ ჩემს თხოვნას და მითხრათ, რამდენი წლისაა „ემინემი“. მაინტერესებს მისი სრული სახელი და გვარი. ასევე ისიც, თუ რატომ მოიხსენიებს იგი თავის ერთ-ერთ სიმღერაში დედას ცუდად? ჰყავს თუ არა შვილები?**

***ელენე ბურღაშვილი***



— დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული რეპ-მომღერალი „ემინემი“ ანუ მარშალ ბრიუს მეტერს, სავარაუდოდ, დაიბადა 1974 წლის 17 ოქტომბერს — მემფისში. თუმცა, ზოგი ამტკიცებს, რომ იგი 72 წელს დაიბადა, ზოგი კი 75 წელს ასახელებს. აზრთა ამ სხვადასხვაობის მიზეზად პრესა მარშალის დედის ცუდ მეხსიერებას, მამის გულმავიწყობას და თავად „ემინემის“ ნარკოტიკებით გადამეტებულ გატაცებას ასახელებს. რაც შეეხება „ემინემის“ დედას, დები მეტერს, მომღერალი აცხადებს, რომ ძალიან ცუდი ბავშვობა ჰქონდა და ერთადერთი ნათელი სხივი მის ცხოვრებაში გახლდათ ბიძამისი რონი (დედის ძმა). ემინემის დედიკო სრულიად ახალგაზრდა მღეროდა იაფფასიან ბარში, სადაც გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე და ემინემის მამა. ისინი დაქორწინდნენ მაშინ, როდესაც დები 15 წლისა იყო და მალე შვილიც შეეძინათ. ექვს თვეში კი მარშალ მეტერს სადღაც გადაიკარგა. დები სულ მოგზაურობდა და ბოლოს, შვილთან ერთად (როცა იგი 12 წლისა იყო) დასახლდა დეტროიტში, ძმის სახლში, ზანგების უბანში. ემინემი ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს, რომ 15 წლისას დედამ გამოუცხადა, ან სამსახური იშოვე, ან არადა ჯანდაბამდე გზა გქონიაო. ემინემი წამოვიდა სახლიდან და მუშაობდა სეზონურ მუშად, ოფიციანტად, მზარეულადაც. მოგვიანებით, „სამაგალითო დედიკომ“ ემინემს სასამართლოშიც უჩივლა და მისგან ითხოვდა ფულად კომპენსაციას შელახული რეპუტაციის გამო. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ჟურნალ „როლინგ სტოუნში“ გამოქვეყნდა მომღერლის ინტერვიუ, სადაც იგი დედის „სისუსტეზე“ — მარიხუანის დიდი ოდენობით მოხმარებაზე წერდა. დები ითხოვდა 10 მილიონ დოლარს. ხოლო სასამართლომ ეს თანხა „დაიყვანა“ 25 ათას დოლარამდე. დებიმ ამ თანხიდან მიიღო 2 ათასი.

ემინემის მეუღლე მისივე სკოლელი კიმია, ხოლო ქალიშვილი ჰეილი, 1995 წელს დაიბადა. გოგონა ემინემისთვის ყველაზე საყვარელი არსებაა მსოფლიოში.

## ციხე და პაემანი

**— რა პერიოდებს მოიცავს ხანმოკლე და გრძელვადიანი პაემანი ციხეებში. რა თანხა უნდა გადაიხადოს პატიმრის ოჯახმა გრძელვადიანი პაემნისთვის (დღე-ღამეში) რუსთავის №2 კოლონიაში? ეს გადასახადი ოფიციალურია თუ დაწესებულების ხელმძღვანელობის თვითნებობა?**

***ერთგული მკითხველი***



კითხვაზე უპასუხებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრესსამსახური.

— გადასახადი ციხე-კოლონიების ხელმძღვანელობის თვითნებობა ნამდვილად არ გახლავთ, იგი ოფიციალურია. რაც შეეხება პაემნებს, სხვადასხვა რეჟიმის კოლონიებს საქართველოს კანონით „პატიმრობის შესახებ“ პაემნების კონკრეტული რაოდენობა აქვს განსაზღვრული. მაგალითად: საერთო რეჟიმის კოლონიის პატიმრებს ყოველთვიურად 5 ხანმოკლე და წელიწადში 5 გრძელვადიანი პაემანი ეკუთვნით. მძიმე რეჟიმის კოლონიებში ყოველთვიურად 4 ხანმოკლე და წელიწადში 4 გრძელვადიანი პაემანი, ხოლო საპყრობილეს რეჟიმში მყოფ პატიმრებს, წელიწადში 2 ხანმოკლე და 2 გრძელვადიანი პაემანი. ხანმოკლე პაემანი სამსაათიანი გახლავთ, ხოლო გრძელვადიანი 3 დღე-ღამეს შეადგენს. აქვე განვმარტავ, რომ გრძელვადიანი პაემანი ეკუთვნის მხოლოდ ოჯახის წევრებს, რაც შეეხება ხანმოკლე პაემანს, იგი პატიმრის ნებასურვილზეა დამოკიდებული. წახალისების სახით პატიმრებს გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ეკუთვნით 1 გრძელვადიანი და 2 მოკლევადიანი პაემანი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს უკვე დაწესებულების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით. ხანმოკლე პაემანი უფასოა ყველა დაწესებულებაში, ხოლო რაც შეეხება გრძელვადიან პაემანს, იგი ყველა კოლონიაში ინდივიდუალურია და რაიმე ფიქსირებული გადასახადი არ არსებობს. თანხის დადგენა ხდება რაიონში (სადაც განლაგებულია კოლონია) არსებული საშუალო დონის სასტუმროს ფასიდან გამომდინარე. ამიტომაც ფასები სხვადასხვა კოლონიაში შეიძლება ერთიმეორისგან განსხვავებული იყოს. რუსთავის №2 კოლონია მკაცრი რეჟიმისა გახლავთ, შესაბამისად, პაემნების რაოდენობა თქვენ უკვე ზემოთ მოგახსენეთ. რაც შეეხება თანხას, მისი ოდენობა დღე-ღამეში 5 ლარის ფარგლებში მერყეობს.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## შეურიგდა თუ არა ცისკარიშვილი საგანელიძეს?

**— როგორ კვალიფიკაციას აძლევს პეტრე ცისკარიშვილი თავის ქმედებას (ვგულისხმობ პარლამენტში გამართულ „ბრძოლას წესების გარეშე“). შეურიგდა თუ არა იგი დავით საგანელიძეს და აპირებს კენჭისყრას მომდევნო არჩევნებზე?**

***მამუკა სიდამონიძე***



კითხვაზე უპასუხებს **პეტრე ცისკარიშვილი**.

— თუ მკითხველი იურიდიულ საკითხს გულისხმობს, მაშინ ეს კითხვა მე არ მეკუთვნის. უმჯობესია, მიმართოს პროკურორს, რომელიც ალბათ არ დაიზარებს და კომენტარს გააკეთებს. მე კი ვიტყვი, რომ საქმე შემითითხნეს, ჩამიდეს ყალბი ჩვენებები და ცნობები, ჰყავთ ცრუმოწმეები და სხვა.

რაც შეეხება მორალურ საკითხს, რა თქმა უნდა, არ ვამართლებ არანაირ ჩხუბს — არც ჩემი მონაწილეობით და არც სხვების კინკლაობას.

ჯერჯერობით არ შევრიგებულვართ. თუ სასამართლომდე მივა საქმე და სახალხოდ შერიგება არ მოხდება, მერე, ალბათ პროცესზე ყველაფერი გაირკვევა. ვიმედოვნებ, რომ წყენას დროთა განმავლობაში ივიწყებენ. მით უფრო, რომ ჩვენ ზრდასრული ადამიანები ვართ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოლიტიკას ქართველობა არ უნდა ვანაცვალოთ, თანაც ჩვენ ხომ მართლმადიდებლები ვართ. ერთი სიტყვით, თუ ჩემსა და დავით საგანელიძეს შორის შერიგება მოხდება, დამერწმუნეთ, ამას მაშინვე ყველა გაიგებს.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, ჯერ ვერ გადამიწყვეტია, პოლიტიკაში განვაგრძობ მოღვაწეობას თუ სხვა რომელიმე კუთხით. ერთი სიტყვით, ვერაფერს გეტყვით ამის შესახებ.

*პეტრე ცისკარიშვილს კიდევ ერთი შეკითხვით მივმართეთ:*

**— გიორგი თარგამაძესავით ხომ არ აპირებთ ძველ პროფესიას დაუბრუნდეთ, თქვენ ხომ ფეხბურთს თამაშობდით?**

— თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ფეხბურთს მართლაც კარგად ვთამაშობდი, თუმცა სპორტს ვეღარ დავუბრუნდები, რადგანაც უკვე 29 წლის ვარ. დავამთავრე უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტი და შესაძლოა, შესაბამისი სამსახურიც ვიპოვო. გარდა ამისა, ვიცი ინგლისური, იტალიური და ესპანური ენები და არა მგონია, რომ დავიკარგო. ერთი სიტყვით, არჩევანი ჯერ კიდევ წინა მაქვს.

## ქართველი მოდელი შვეიცარიაში

**— სად არის ამჟამად ცნობილი ქართველი მოდელი თაკო ჩხეიძე? რატომ აღარ ჩანს იგი პოდიუმსა თუ ტელეეკრანებზე?**

***მაიკო გასვიანი***



კითხვაზე უპასუხებს **ხათუნა ვაშაძე, თაკო ჩხეიძის** დედა.

— თაკო შარშან, ოქტომბერში გაემგზავრა მეუღლესთან ერთად შვეიცარიაში. თაკოს მეუღლე ჟენევაში საქართველოს საელჩოს მრჩევლად მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ თაკოს შვეიცარიის არც ერთი სააგენტოდან მოწვევა არ ჰქონია, მან შეძლო ეპოვა სამსახური, რითაც ძალიან კმაყოფილია. თაკო ახლა მუშაობს ორ საკმაოდ ცნობილ სააგენტოში „ევენ აგენსი“-ში და „სევენ მოდელს“-ში. ხშირად მონაწილეობს საფრანგეთსა თუ იტალიაში გამართულ ჩვენებებში. ერთი სიტყვით, კარგი წინადადებები და შემოთავაზებანი აქვს. სულ მცირე დროში ლოზანასა და ჟენევაში თაკოს ფოტოები გაჩნდება სარეკლამო დაფებზე (სადაც იგი კოსმეტიკურ ლინზებს უწევს რეკლამას). თაკო ასევე მონაწილეობს პრესტიჟული მაღაზიების კოლექციების ჩვენებებში თუ ძვირფასი ქვებისა და სამკაულების რეკლამებში. ასევე ციურიხში თანამშრომლობს ორ სამოდელო სააგენტოსთან, სამწუხაროდ, მათი სახელები აღარ მახსოვს. ერთი სიტყვით, იგი სრული დატვირთვით მუშაობს და თანაც საკუთარი პროფესიით.

თაკოს მეუღლე შვეიცარიაში სამი წლითაა მივლინებული. თბილისში ალბათ ამ ზაფხულს ჩამოვლენ და შვებულებას აქ გაატარებენ. დანარჩენს ალბათ თაკო საქართველოში დაბრუნების შემდეგ უფრო ვრცლად მოგახსენებთ.

## ვინ არის ჯინსის «მამა»...

**— გამიგია, რომ ჯინსი თავდაპირველად მშენებელი მუშებისთვის შეუკერავთ და მას შესაბამისად, მუშების ტანისამოსს ეძახდნენ. მაინტერესებს, ვინ იყო ჯინსის გამომგონებელი?**

***ნინო მაისურაძე***



— როგორც ყველაფერი გენიალური, ასევე ჯინსიც სულ შემთხვევით „დაიბადა“. ყოველივე კი ასე დაიწყო: მე-19 საუკუნის შუახანებში ახალგაზრდა, მაგრამ ამბიციური ლევი სტრაუსი, როგორც მთელი ამერიკა, „ოქროს ციებ-ცხელებით“ დაავადდა. სწორედ ამის გამო მიატოვა მან მშობლიური ბავარია და გადავიდა სან-ფრანცისკოში, ოქროს მწარმოებელთა „დედაქალაქში“. აქ მან ვაჭრობა დაიწყო საგალანტერიო ნაწარმით, კერძოდ, ძალიან სქელი ქსოვილით, რომლისგანაც იალქნებს კერავდნენ. ერთხელ თურმე სტრაუსი შემთხვევით გაესაუბრა მყიდველს, რომელიც ჩიოდა, რომ ვერსად შეძლო გამძლე და მყარი საშარვლე ქსოვილის შეძენა. მაშინ მან მამაკაცს შესთავაზა ქსოვილი, რომლითაც თავად ვაჭრობდა. ამასთანავე, მიიყვანა მკერავთან, რომელმაც კლიენტს სასურველი შარვალი შეუკერა... პირველი პარტია შეიკერა 1853 წელს გენუელი მეზღვაურის შარვლის ნიმუშის მიხედვით. შარვალს „ჯინსი“ შეარქვეს, თუმცა თავად სტრაუსს ეს სახელწოდება არ მოსწონდა.

ჯინსის გამძლეობის შესახებ ხმები სწრაფად გავრცელდა, განსაკუთრებით ოქროსმაძიებელთა შორის. მიიღეს აუარება შეკვეთა და... 1870 წელს ლევი სტრაუსი მილიონერი გახდა, მაგრამ ამაზე არ შეჩერებულა — სისტემატურად ხვეწდა თავის პროდუქციას. საერთოდ, ჯინსის შეკერვა დაიწყეს ინდიგოსფერი (ცისფერი) სქელი ქსოვილიდან. ადრე ამ ქსოვილს იყენებდნენ პლანტაციებში მომუშავე მონების ტანსაცმლის შესაკერად. 150-წლიანი ისტორიის მანძილზე ფაქტობრივად ჯინსი არ შეცვლილა — მოდელიერები ცვლიდნენ მხოლოდ დეტალებს სილუეტის შენარჩუნებით. თავდაპირველი სილუეტის ავტორი კი სან-ფრანცისკოელი უცნობი მკერავი ყოფილა.

CMYK

## მილოცვა



**სანდრო გოგოლაძეს!**

გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს.

*შენი რეზიკო ბიძია*

**რომიკო ფაჯრაშვილს!**

გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. ასე შენ იცი!

*შენი რეზიკო*

**ჯემალ აპოლონის ძე კაშიას!**



ჯგუფონ ბაბუ! გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს შენს ოჯახთან ერთად. გკოცნით და გეფერებით შორიდან. ყველას ძალიან გვიყვარხარ.

*შენი შვილიშვილი თათია კაშია*

## მადლობა

იგი ექიმი – ვისთვის ცხოვრების მიზანია, ვისთვის – მოწოდება, ვისთვის ყოველდღიურ ყალიბურებად ქცეული საქმიანობა, მაგრამ უპირველესად, ის განუსაზღვრელად დიდი პასუხისმგებლობაა თითოეული ადამიანის წინაშე, რომლის ჯანმრთელობა 100%-ით გარანტირებული არასოდეს არის (განსაკუთრებით, ჩვენს პირობებში).

სიკვდილ-სიცოცხლის ზღვართან მყოფი ადამიანია და მისი ახლობლებისათვის ერთადერთი გამოსავალი ექიმია. და თუ მას ბოლომდე ესმის თავისი პასუხისმგებლობა და შეუძლია ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშეც კი არ დაზოგოს შესაძლებლობის მაქსიმუმი, სიცოცხლის გადასარჩენად ნახევარზე მეტი უკვე გაკეთებულია.

ღლვანდელ პირობებში, მძიმე ტვირთად იქცა ეს პროფესია. ალბათ, ამის გამოა მწირუნველი ექიმის პოვნა ასე რთული.

ამ მხრივ, პაატა ზვიადაურის ოჯახს სასწაულად გაუმართლა. ოჯახის თითქმის მიმაკვდავი დასახლისი – ნანა ბექაური, ექიმების წყალობით გადაურჩა სიკვდილს.

მათი უძილო ღამეები, 24-საათიანი მუშაობამ, რა თქმა უნდა, პროფესიონალიზმმა და მაქსიმალურმა მონდომებამ გადაარჩინა უიმედო მდგომარეობაში მყოფი ქალის სიცოცხლე, რომელიც ასე ძვირფასია ორი პატარა შვილისთვის, მეუღლისთვის, ახლობლებისთვის.

უღრმესი მადლობა ლედოფლისწყაროს რ-ნის სამშობიარო სახლის მთელ სამედიცინო პერსონალს: გინეკოლოგს – **ნოდარ ბოჭორიშვილს**; მთავარ ექიმს – **რევაზ კოპალიანს**; თბილისის კატასტროფისა და გადაუდებელი სამედიცინო სამსახურიდან მოწვეულ ექიმებს: **გიგა გელენიძეს, პაატა ჟორჟოლიანს...** – გაწეული ფასდაუდებელი სამსახურისთვის.

მსგავსი პრეცედენტის შემდეგ რწმუნდები, რომ ექიმის პროფესია გმირობის ტოლფასია და უნებურად, სიკვდილის შიშიც სადღაც ქრება.

*პატივისცემით, პაატა ზვიადაურის ოჯახი*

## მთავაზობთ სამუშაოს

ყურადღება!!! ახალ მაღალპროფილიან კორპორაციას ესაჭიროება 21 მენეჯერი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება-დასაქმებაც. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. ინფორმაცია უფასოა. ტ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვჭირდება განათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო სოფისკა, კონტრაქტით. საუკეთესო თანამშრომლებს, წელიწადში 2-ჯერ ეძლევათ შანსი, სტაჟირება გაიარონ მსოფლიოს ქვეყნებში. ანაზღაურება მწარდა – თვეში 300-600 ლარიდან. მიღება – შერჩევით. მენეჯერი ბ-ნი მიხეილი. მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (საღამოს); 899 90-54-78

## მომსახურება

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უტკივლოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემოჩნევა მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსის რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფუნთე"! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაკარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. [illegible] – $200. მის: ონიაშვილის 53. I სად. I სართ. ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168 [illegible]

[illegible]

## მკურნალობა

საუკეთესო შედეგებით ვმკურნალობ ბიოიმპულსებით ნევროზს, შიშს, აკვიატებულ ფიქრებს, თავის ტკივილს, შაკიკს, უძილობას, ნერვულ ტიკებს; ოპერაციის გარეშე ვმკურნალობ პროსტატიტს, თირკმლებს, შარდსასქესო ორგანოებს, სქესობრივ დაქვეითებას. მის: ალმაშენებლის 113. კაბ. 10. დიაგნოსტიკური ცენტრი „პანაცეა". ცისანა გულდამ. ტ: 61-61-18; 877 41-61-31

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმლოგოპედი, ფსიქოლოგი – თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტ-მაძიებელი, ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და აღმჯგენი აპარატებით აღადგენთ ხმას და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ენაბორძიკობას, ნევროზს, პარეზს და სხვა დარღვევებს. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უსიამოვნო მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 468-253; 91-18-33

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა. მეტყველების დარღვევების (ენბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა უახლესი, გერმანული აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ (მშენებლობის სამინისტროს შენობა). რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხაჩიშვილი. 10-16 სთ. ტ. 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

მამაკაცთა საყურადღებოდ! მწვავე და ქრონიკული პროსტატიტის (ხშირი შარდვა, ტკივილები, პოტენციის დარღვევა და სხვა) კომპლექსური მკურნალობა თანამედროვე ლაზეროთერაპიული მეთოდებით. თქვენი პრობლემების დროული გადაწყვეტა – სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრების გარანტიაა. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". ბახტრიონის ქ. №18. ტ: 91-18-33

პირველად საქართველოში! მთლიანი ორგანიზმის უმაღლესი და უზუსტესი კომპიუტერული დიაგნოსტიკა. გულისა და თავის ტვინის ბიორიტმების საშუალებით ხდება ორგანიზმის დაზიანების ადრეული კერების აღმოჩენა, განსაკუთრებით ონკოლოგიაში. შესაბამისად ინიშნება მკურნალობის კომპლექსური კურსი მცენარეული პრეპარატებით. მის: ალმაშენებლის 76 (შეს. უზნაძის №49). საპატრიარქოს, წმინდა გიორგის სახ. ბავშვთა კარდიორევმატოლოგიური საავადმყოფო, I სართ. კაბ. 19, სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტი „კოლხი მედეა". ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 95-50-12 (სამს); 61-75-27 (ბინა); 897 58-29-18

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დავი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტრიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკური, მანიკური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89

მიღება კოსმეტიკის კურსებზე. შეისწავლება: კანის ანატომია, დეფექტები, მკურნალობა, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო); ეპილაცია, კანის გაწმენდა, მასაჟი, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, ლიდანის 26 (მ. „ვაგზლის მოედ."). ტ. 66-53-56, 893 33-09-66

კომპიუტერის შესწავლა ინდივიდუალურად – ისწავლება ყველა სახის პროგრამა (აგრეთვე კომპიუტერული მომსახურება, კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები). მის: უნივერსიტეტის ქ. №9 (მაღლივ კორპუსთან, ფიზიკის ინსტიტუტი). ტელ: 62-11-85 (18 სთ-ის შემდეგ); 899 26-87-29; 899 11-06-25

## იყიდება

მცხეთის რ-ნის სოფ. მისაქციელში, 3000 კვ მიწა სახლით, ჰესიდან 100 მ-ში. ტელ: 893 34-33-86

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ხეხილის ყველა ჯიშის ნამყენი ნერგები, ლეღვი, ბროწეული, კაკალი, თხილი, ქლიავი, მოცხარი, უწამლო ვაზები, ვარდები, იასამანი, კიპარისი, ტუია, კედარი, ფიჭვი, ლეუკუსტრუმი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორები. მის: თბილისის ზღვასთან, სანერგე. ტელ: 69-97-05; 899 16-93-15. ამირანი, გივი

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

### „კვირის პალიტრას" ვერ მივატოვებ!"

დიდებული ადამიანები დიდ ტკივილს უტოვებენ ახლობლებს. ერთ-ერთი ასეთი ტკივილია **ია ნაცვლიშვილი**.



ფრანგული ენის მოტრფიალეს ბევრგან იწვევდნენ სამუშაოდ. ხან ფილმებს თარგმნიდა, ხან სტატიებს – გაზეთებისთვის, უცხო ენათა ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა... ყველაფერს ასწრებდა... ერთხელ საფრანგეთის საელჩოში მაღალანაზღაურებადი სამსახური შეუთავაზებიათ (მაშინ ჭირდა ცხოვრება!). ერთბან იმუშავე და დაისვენებო, – გახარებიათ მეგობრებს. შეცბუნებულ იას უპასუხია: რას ამბობთ, ხალხო, „კვირის პალიტრას" ხომ არ მივატოვებ! ბოლგამში ყოფნისას იქ დარჩენაც შეუთავაზებიათ, მაგრამ უსამშობლოდ რა გამიჩერებსო, – უთქვამს.

მუსიკა ისე უყვარდა, უცხო ენათა ინსტიტუტის სცენაზე სტუდენტებთან ერთად შონბერნისა და რენის როკ-ოპერა – „საფრანგეთის რევოლუცია" დადგა. ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი, მეგობრები (მათ შორის, პროფესიონალი მუსიკოსები) ისე მოიხიბლნენ, რომ სპექტაკლის დიდი აუდიტორიისთვის წარდგენა მოინდომეს: როგორ შეიძლება ასეთი დონის ნამუშევარი დიდ ასპარეზზე არ გავიტანოთ?!

ინსტიტუტში ჯაზის ფესტივალზე ჩამოსულ ჰოლანდიელებთან რამდენიმე კომპოზიცია შეასრულა. მათ ისე მოეწონებიათ, რომ თავიანთ ქვეყანაში ჯაზის მოყვარულთა ფესტივალზე ოფიციალურად მიუწვევიათ, მაგრამ უსახსრობის გამო ის ამ სიამოვნებაზე უარი უთქვამს. სიმღერა მინიატურების თეატრშიც გამოსცდია, სადაც იგი ლიტერატურული ნაწილის გამგედ მუშაობდა. თენგიზ ჩანტლაძეს „ლურჯაბ თათქარიძის" დადგმა რომ გადაუწყვეტია, იასთვის შეუთავაზებია, – დარეჯანის როლს ხომ არ მოისინჯავო?! ის ჯერ უყუარებია, მაგრამ ისე დიდ პატივს სცემდა თენგიზ ჩანტლაძეს, რომ უარი ვერ უკადრებია. რეჟისორის სცენარის წაკითხვის შემდეგ წამოუძახია: „თენგიზ ვასილიჩ, ტალანტი!" ასე ითამაშა მან ერთ-ერთი მთავარი როლი საკმაოდ წარმატებულ სპექტაკლში „ლურჯაბ თათქარიძე", სადაც ჩანტლაძესთან ერთად შეასრულა ცეკვა და სიმღერის სცენის დროს თავად იმღერა „ჰაინანა".

მძიმე წლებში რამდენიმე შეჭირვებულ ოჯახს პატრონობდა. ახლაც სევდით იხსენებენ მეზობლები სიცოცხლით სავსე ქალს, რომელსაც გვეონებოდა, არასოდეს არავერი გასაჭირვება ყოფილიყოს განადეგლობა „უპატრონო ძაღლების და კატების დედობილი" შეარქვა იმის გამო, რომ იცოდა, ია გატეხილ ან ბასრ ნივთებს საგანგებოდ ახვევდა გაზეთებში, ძაღლებმა ნაგავში ცხვირ-პირი არ დაიჭრანო.

ასეთი ადამიანურობით გამორჩეული ქალი დაიკლდა თბილისს 2 წლის წინ, მაგრამ ხომ კიდევ ახსოვთ, ხომ კიდევ უყვართ, ხომ კიდევ იგონებენ სიყვარულით და იქნებ არც დავკლებია და ისევ ჩვენ გვერდით ცხოვრობს, იქნებ სწორედ ეს არის ადამიანის დანიშნულება ამქვეყნად! ვინ იცის!

*ახლობლები*

**მარინე თბილელი**



უმშვენიერესი, უსათნოესი, უნიჭიერესი ქალბატონი დაიკლდა ერთი წლის წინ საქართველოს, ქართულ ხელოვნებას...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ფაქიზი სული...

*საქინფორმკინოელები*

**დათო ჯიმუხაძის მონატრება**



17 მარტი შენი დაბადების დღეა. 26 წელი შეგისრულდებოდა. მალე დასრულდა შენი ხანმოკლე ცხოვრების ზღაპარი. ცრემლსა და დარდში გავიდა ეს სამი წელი. ვერავერი გაანელებს იმ უსაზღვრო ტკივილს, რასაც შენი მონატრებით შენი მშობლები და შენი ერთადერთი და განიცდიან. შენი ღიმილიც – აწინ და მარადაც შენს მოგონებებში არიან. მართალია, პატარები იყვნენ, მაგრამ ყოველდღიური სუვენირით და სურათებით ვცდილობთ, არ დაივიწყონ შენი სახე და შენი სახელი.

რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენს ხსოვნას დაივიწყება არ უწერია. განა შეიძლება დრომ უმკურნალოს მშობლებს, რომლებმაც შვილი დაკარგეს. პირიქით, უფრო გვენატრები და გვიჭირს უშენოდ ცხოვრება.

2000 წლის 11 სექტემბერს მეხის გავარდნას ჰგავდა ამბავი, დაჯერება კი არა, გაგონებაც რომ არ გვინდოდა. მერე კი, როდის-როდის ცრემლებში ჩამბალი სიტყვების ბუნდოვანებიდან ძნელად გამოვიტანეთ აზრი – დათო ჯიმუხაძე აღარ არისო. იმ დღის შემდეგ, აგერ უკვე მესამე გაზაფხული მოდის, მაგრამ დათოს არყოფნას ვერაფერით შევარიგე საზარელი სიტყვა – „სიკვდილი". თურმე ათასი წელიც ცოტაა იმისათვის, რომ დაიტირო ის, ვინც ასე ძალიან გიყვარს.

შენს დაბადების დღეს, შვილო, ყვავილების და სანთლების გარდა ვერაფერს გიძღვნით. ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული. მე კი, შენი უბედური დედა, ვცოცხლობ შენთან სამუდამო შეხვედრის მოლოდინით.

*შენი მშობლები და დაიკო*

**აჩი კანდელაკს!**



აჩი! გავიდა ეს ერთი, საზარელი, ტკივილით სავსე წელი, ამ ტკივილს უშენობა ჰქვია, შენს საფლავზე გატარებული მწარე დღეები ჰქვია. მაგრამ ერთი დღეც არ გასულა შენი ლამაზი ხატების გარეშე. ყოველი დღე შენზე მოგონებით იწყება და მთავრდება. ტყუილი ყოფილა – დრო ყველაფრის მკურნალიაო. თურმე 16 ფოთოლი ჰქონია შენი ლამაზი სიცოცხლის ხეს. სულ 16 გაზაფხული ეყო იმ სიკეთისა და სიყვარულის დათესვას, რასაც ზოგისთვის ათეული წლები სჭირდება. მეჩვიდმეტე გაზაფხული კი, უკვე უშენოდ მოვიდა და მის სურნელს შენს საფლავზე შევიგრძნობ, იმ იმედით, რომ შენც მასში ხარ.

აჩი, შენ მარადიული სიჭაბუკე გარგუნა ბედისწერამ, მე კი უსაზღვრო ტკივილი, მონატრება, აუხდენელი ოცნება, უძლურება. უზომოდ მეიმედებოდი, მამაყებოდი, მიყვარხარ.

იძინე ტკბილად, ჩემო ბიჭო! უფალმა ნათელში დაამკვიდროს შენი ბობოქარი სული.

*შენი მა...*

**აჩი კანდელაკს!**



გვიყვარხარ...

გვახსოვხარ...

გვენატრები...

*ეკა და ია მასწავლებლები*

**ბადრი ლაჭავას მონატრება**



ორი წელი გავიდა შენი ამ ქვეყნიდან წასვლიდან. ორი წელია, რაც შენს ლამაზ სულს თვალცრემლიანნი ვუნთებთ წმინდა სანთლებს. წახვედი და უნუგეშოდ დატოვე მოხუცი მამა, მეუღლე, ბიძაშვილები. შენ ხომ სიკეთე და სათნოება იყავი, შენ გარშემო სხვანაირი სითბო და სიმშვიდე იფრქვეოდა. ჩვენ კი ტკივილი და მოუშუშებელი ჭრილობა დაგვიტოვე, რომლის განკურნება არანაირად არ შეიძლება.

*მზია ლაჭავას ოჯახი*

**ქიტაძე ნუკრის!**



გაზაფხულის მოსვლას და შენს დაბადების დღეს ყველა ერთად ვზეიმობდით, ნუკრი, მაგრამ ახლა გაზაფხული უშენოდ მოვიდა, გაცრეცილი და ცივი, როგორც ზამთარი.

შენი სიცოცხლის ხემ მხოლოდ თერთმეტჯერ გაიხარა და შეწყდა მისი სიცოცხლე. მაგრამ ჩვენს გულებში ყოველთვის ცოცხალი ხარ, ნუკრი, გვენატრები და გვიყვარხარ.

ახლა, დღეს, 16 მარტს ყველანი შენს საფლავთან ვართ მუხლმოყრილები, ვანთებთ სანთელს და ვლოცულობთ, რომ ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. ჩვენ ისეა დაგვრჩენია, ვანუგეშოთ შენი გულმოკლული მშობლები და შენი ბებია გოგოლია.

*ბიძები: გოჩა, გელა; ბიცოლები: თამილა, აზა და ბიძაშვილები*

**მიმოზა ყალიჩავას ხსოვნას!**



დედი, მეოთხე წელია, უშენოდ ვხვდებით 18 მარტს – შენს დაბადების დღეს. დაუნდობელმა ბედისწერამ უდროოდ დაგვაშორა შენთან. შენს სამყაროში გილოცავთ დაბადების დღეს, მარად სანატრელო.

*შენს ცივ სურათს ვეფერები მარად,*
*ქარი ქრის და შენც შეეცოდე, ალბათ.*
*ქარს ვუყვები, თუ რა ძლიერ მენატრები...*
*ვიცი, იგი მოგიტანდა ამბავს.*

*შენი სანდრო*

**ლუტო ციყელაშვილის ხსოვნას!**



40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში დასრულდა შენი სიცოცხლე. გვიმძიმს შენზე წარსულში საუბარი. მთელი შენი ცხოვრება მოკრძალებულად, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ გაატარე; დატოვე უსაზღვრო სიყვარული, სითბო, სიკეთე, ერთგული კაცის სახელი. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*მალხაზ ჭყოიძე ოჯახით*

**გურამ ხარებავას ხსოვნას!**



შვიდი წელი გავიდა ჩვენი განშორებიდან. 15 მარტს 67 წელი შეგისრულდებოდა. ენატრები ყველას – შვილებს, შვილიშვილებს. შენი გურამი შენს სახელს იფიცებს.

ღმერთს ვთხოვ, ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

*ოჯახი*

**თენგიზ კლდიაშვილის გახსენება**



ჩვენო საყვარელო თენგო! ორმოცი დღეა, ტკივილით, დარდითა და მონატრებით ვცხოვრობთ; ორმოცი დღეა აკლიხარ შენს ოჯახს, შენს შვილებს, შენს ახლობლებს; აკლიათ ის უღევი სითბო და სიყვარული, ასე დაუნანებლად რომ გვინაწილებდი მუდამ. ვერაფრით ვეგუებით შენი ამ ქვეყნიდან წასვლას. გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული სიცარიელე, ჩვენო სპეტაკო, თბილო და სიცოცხლით სავსე ადამიანო. გვჯერა, შენი ლამაზი სული სასუფევლის მკვიდრია და იქიდან ლოცულობს ჩვენზე.

*შენი ოჯახი, ახლობლები*

**გივი ბარტყულაშვილის მონატრება**



გავიდა ორი ტკივილიანი წელი, რაც დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე, ჩვენო კეთილო და მოსიყვარულე გივი. 19 მარტი შავი ასოებით ჩაიწერა შენს ცხოვრებაში. ვერაფერი გაანელებს იმ უსაზღვრო ტკივილს, რასაც შენი მონატრებით შენი ოჯახი და ახლობლები განიცდიან. უშენოდ იზრდებიან შენი შვილიშვილები – ნათია და გიორგი, რომლებიც სიცოცხლეზე მეტად გიყვარდა. ახლა კი, შენი სული გახდა მათი საფიცარი, სურათთან სანთელს გინთებენ და შენს ლამაზ სულს ავედრებენ უფალს.

ამ დღეს ყოველთვის მოვალთ შენს საფლავზე, დავანთებთ შენი ლამაზი სულის მოსახსენებლად წმინდა სანთლებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და მოსიყვარულე სული.

*ოჯახი*

**ილო გეგეშიძის მონატრება**



19 მარტი შენი დაბადების დღეა. უკვე მესამედ ვხვდებით ამ დღეს უშენოდ, გულდათუთქულნი. აქედან გილოცავთ ყველა. აღარ მიხარია უშენოდ გაზაფხულის მოსვლა, რომელიც შენ ასე გიყვარდა. ძალიან მიჭირს ცხოვრება, უაზროდ თენდება და ღამდება ჩემთვის ყოველი დღე. უსაზღვროდ მენატრები. დარჩენილ სიცოცხლეს მხოლოდ ერთი იმედით – შენთან მალე შეხვედრის მოლოდინში ვატარებ.

ღმერთს ვთხოვ, დაგიმკვიდროს სასუფეველი.

*შენი მეუღლე ფაქიზო*

**ჯობე ორიანის გახსენება**

ჩვენო საყვარელო ჯობე! უკვე მეხუთედ ვხვდებით 16 მარტს უშენოდ. გვაკლიხარ და გვიჭირს უშენობა! შენს ბექას ახლა სჭირდება მამის გვერდით დგომა... გვიჭირს შენი დედმამიშვილებსაც, მაგრამ, ვაი, რომ ვერაფერს შევცვლით.

სასუფეველში მიიღოს უფალმა შენი ნათელი სული.

*შენი ოჯახი, დედმამიშვილები*

**ჯემალ ქარცხიას ხსოვნას!**



*მომენატრე, იცი, როგორ მომენატრე, შენი ნახვა*
*დიდ ოცნებად გადამექცა,*
*ამ დღეებში ისე მწარედ დავიტანჯე, არ*
*ვუსურვებ არავის და მტერსაც.*
*მინდა ისევ, ისევ ცოცხალს მოგეფერო, ოღონდ*
*გულში არ ჩაიდო წყენა.*
*ყოველ წუთში შენზე ფიქრი არ მასვენებს, ჩემო*
*ჯემალ, ჩემო ჯემალ!*

*ჯემალ...*
*ანგელოზი წარუძღვება უფლისაკენ, შენს წმინდა სულს, უმშვენიერს და სპეტაკს*
*...მარად სიყვარულო, ჩემო სიხარულო, მოურჩენელო ტკივილო, ჯემალ!*
*ძალიან ლამაზო და ძალიან ამაყო, ძალიან კეთილო და ძალიან კლალო, უშენოდ მითხარი, რა ვქნათ?!*
*მინდა შენს ნატყვიარ გულს რომ მოვეფერო, რომელიც სიყვარულით ძგერდა,*
*ულმობლად დაგიბნელეს შენი წილი მზე და სული კი – გაფრინდა ზეცად.*
*ჩვენო სიყვარულო... დაუვიწყარო, დიდო ტკივილო... და სევდავ...*

*თამრიკო გზირიშვილი*

**დიმიტრი ცაგურიას მონატრება**



წლებმა ვერაფერი შეცვალა, ჩემო დედისერთავ. 1992 წლის 4 ოქტომბერს მიმუხთლა ბედმა. სამხედრო დავალების შესრულების დროს გმირულად დაეცი – შენ აფხაზეთისათვის იბრძოდი, სოხუმელი კადრის ოფიცერი, კაპიტანი. გამხრდელი მამა დარდმა გადაიყოლა, მე რკინისა გამოვდექი, შენი სულის სადიდებლად ვამძიმებ ცოდვით ღედამიწას.

დაბადების დღეს გილოცავ, დიმა. ვინ იცის, იქნებ ვარსკვლავებში იქორწინე კიდეც. დედა გენაცვალოს, 35 წელი შეგისრულდა 15 მარტს. ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი უმწიკვლო სული.

*გატანჯული დედა – ფოთოლა ცაგურია*

**ვალერი და ლაშა სვანიძეების გახსენება**





ვალერი! 16 მარტს ათი წელი სრულდება, რაც ჩვენთან არა ხარ. მტრის ტყვიამ სოხუმში დაასრულა შენი ლამაზი, მხიარული სიცოცხლე. წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ჭრილობა, სევდა და მონატრება.

ძალიან ძნელია უშენოდ. შენი გამწარებული ოჯახისათვის, ახალი უბედურებაც რომ იწვნია – ოთხი წლის წინ შენი ოცი წლის ვაჟკაცის, ლაშას დაღუპვის გამო.

ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი და ლაშას სპეტაკი, ნაადრევად წასული სულები.

*შენი ოჯახი, და-ძმები*

**დავით (დათუჩია) ბაკურაძის მონატრება**



ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე დიდი სიყვარული დათესე. დიდმა სიყვარულმა კი, დიდი მონატრება იცისო, და მართლაც – ყველას ძალიან გვენატრება შენი ლამაზი, ღიმილიანი სახე. გაუსაძლისად ენატრები შენს დედას, ძმას, შვილს და შენს განუყრელ მეგობრებს. წახვედი და დატოვე უსაზღვრო სევდა, დარდი და მოუშუშებელი ტკივილი. შენს ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია, რადგან ღიმილიანი, სითბოთი სავსე კაცის სახელი დატოვე. შენს სახელს ატარებს შენი უცნობი ძმისშვილი, პატარა დათო – დათუჩა, რომელიც ძალიან გგავს და გვჯერა, გაიზრდება ისეთივე თბილი და მოსიყვარულე, როგორიც შენ ახსოვხარ ყველა ახლობელს.

20 მარტს 34 წელი შეგისრულდებოდა. სიტყვები უძლურია შენს სიკეთესა და სითბოზე სასაუბროდ. გვახსოვხარ და გვენატრები. გვჯერა, რომ სამოთხეში ხარ შენი სპეტაკი სულის გამო. მუდამ ნათელში ამყოფოს მაღალმა უფალმა შენი სული.

*ოჯახი*

**რუსუდან ცინცაძის უკვდავყოფა**



ჩემო რუსუდან, 2003 წლის 18 მარტს სრულდება ორი წელი, რაც შენ ამ ქვეყნიდან წახვედი. წახვედი ვალმოხდილი შენი შვილების, ოჯახის და იმ მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე, რომლებსაც შენებური რუდუნებით შთააგონებდი ერისა და ქვეყნის სიყვარულს.

წახვედი ამ ქვეყნიდან, შენი შვილების და შვილიშვილების სიყვარულით ბოლომდე გაუმაძღარი. შენი წასვლით დაგვიტოვე დიდი დარდი, უსიყვარულო, უხალისო და უინტერესო ცხოვრება. შენ მიერ დატოვებულ ჭერქვეშ, შენი პატარა შვილიშვილებიც კი, გულიანად ვეღარ იცინიან. ამიტომ შენს ოჯახში ჩამკვდარია ყოველგვარი ადამიანური სიხარული.

დიდებულ ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი უსპეტაკესი სული.

*შენი მეუღლე – ავთანდილ ქურხული*

**ირაკლი ჩიტორელიძის მონატრება!**



ჩვენო საყვარელო და ძალზედ ლამაზო იკაკო, უდიდესო ტკივილო, გილოცავთ შენი დაბადების 25-ე წელს! გაუსაძლისია შენი მშობლების, ძმის, ბებია-ბაბუის, დეიდების, ბიძების და დეიდაშვილების მწუხარება, უეცრად გაგვიფრინდი და დაგვიტოვე უსაზღვრო დარდი, სევდა, მოუშუშებელი ტკივილი და ავად მოსაგონარი 2001 წლის 21 ნოემბერი. გვიკვირს, როგორ გავძელით მთელი ეს დრო უშენოდ, რამდენი რამ დაგვიგროვდა სათქმელი. მაგრამ ვაი, რომ უნდა ვიაროთ მუდამ გამწარებული სულით, ცრემლიანი თვალებით, ნუგეშად შენს სურათებს ვუცქიროთ და ვიოცნებოთ იმაზე, რომ ოდესმე აუცილებლად გნახავთ, მოგეფერებით და გულში ჩაგიკრავთ.

*ოჯახი, დეიდაშვილები*

**გოჩა ავთანდილაშვილის გახსენება**



გოჩა, 17 მარტი შენი დაბადების დღეა. 11 წელია შენს დაუსწრებლად გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო საფიცარო, გაზაფხულივით მშვენიერო შვილო. რა ბედნიერი მეგონე და რა უბედური ყოფილხარ, შვილო. ცხოვრება შენთვის წინსვლით მიდიოდა – საშუალოს დამთავრება, უმაღლესში მოწყობა, ინჟინრის დიპლომის აღება... შემდეგ წინ დიდი ოცნებები – ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება. მაგრამ აი, დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და პირველივე მობილიზაციაზე ჩაიცვი ჯარისკაცის ფარაჯა და გაეშურე აფხაზეთის დასაცავად. ვაი, ტრაგიკულად დამთავრდა შენთვის 1992 წლის 24 სექტემბერი.

ალყაში მოგაქციეს გადამთიელებმა და ვაჟკაცურად შეხვდი სიკვდილს. 11 წელია, თვალზე ცრემლი არ შემშრობია. შენს სახელს ჩემს ოჯახში დავიწყება არ უწერია. ყოველი დღე შენით იწყება და მთავრდება. მე კი მეტი არა დამრჩენია, შენთვის ღირსშესანიშნავი დღის – 17 მარტის აღსანიშნავად ყოველთვის პირველი მოვალ შენს საფლავთან, შენი საყვარელი ყვავილებით, დაგინთებ 38 წმინდა სანთელს და ვილოცებ შენი წამებული სულისთვის. ღმერთს ვთხოვ, შემიმოკლოს შენკენ წამოსასვლელი გზა. ღმერთი იყოს შენი სულის მფარველი ცათა სასუფეველში.

*დედა – ანა მოსიაშვილი*

**არისტარხო (გოგა) ლატარიას!**



შენ დღეს 22 წლის გახდებოდი, მაგრამ ვაი, რომ... მოულოდნელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი, დაგვტოვე მხოლოდ შენს სურათებთან ერთად, დაგეძებთ სევდიანი თვალებით, მაგრამ შენ არა ხარ.

ძნელია იმის გათავისება, რაც 19 სექტემბერს მოხდა – ერთ წუთში დამთავრდა ერთი ანგელოზის სიცოცხლე შენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერაფერი ავსებს. რა ცარიელია სახლი უშენოდ... ნაადრევად ჩაქრა შენი მზე, უშენოდ წლები ნაღვლიანად გავა, ჩემო გოგა. ცრემლები გვახრჩობს, გვზარავს შენი საფლავი, ყველანი ვლოცულობთ შენი სულისთვის. არ არსებობს ჩვენთვის სანუგეშებელი სიტყვა, აუტანელია უშენობა, გოგა, ჩემო უსაყვარლესო: უსაზღვროდ გვენატრები, ვცოცხლობთ მხოლოდ ერთი იმედით, რომ სასუფეველში, სადაც შენი სული დამკვიდრდა, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

*დაბადების დღეს გილოცავთ, ჩემო ტკბილო გოგა*
*დღეს საფლავი გიმშვენებს, ტირილი და გლოვა.*
*ყველა აქ ვართ, გეფერებით, არ იფიქრო, მორჩა*
*ის სითბო და სიყვარული, შენ მამარ რომ გვქონდა.*

*შენი ნათია*

შვილი დიდი; შვილიშვილები: ასლანი, გიორგი, გია, თამარი, ნინო; რძლები: ლია, ირინა, ნინო; სიძე გიორგი იუწყებიან

**თამარ დარსაველიძე-უგრეხელიძის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 20 მარტს, დიდ ჯიხაიშში.

# უცნაური დამთხვევები

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება სავსეა უცნაური მოვლენებით, რომლის ახსნა მეცნიერებს დღემდე არ ძალუძთ და ამიტომ შემთხვევითობას აბრალებენ. მაგრამ ზოგჯერ ისეთი ამბებიც ხდება, რომ ძალაუნებურად გაიფიქრებთ, ხომ არ არის ამაში ჩარეული ზებუნებრივი ძალაო.

მაინც, რატომ ხდება უჩვეულო ამბები ბუნებისა და მეცნიერების კანონების მიუხედავად?

1664 წლის 5 დეკემბერს უელსის სანაპიროსთან გემი ჩაიძირა. 1785 წლის 5 დეკემბერს იმავე ადგილას კიდევ ერთი ხომალდი დაიღუპა. 1866 წლის 5 დეკემბერს კვლავ იმ ადგილას ფსკერისკენ კიდევ ერთი გემი წავიდა. ყოველი კატასტროფის შემდეგ მხოლოდ თითო



ადამიანი გადარჩა და სამივეს ჰიუ უილიამსი ერქვა.

ცნობილია პრეზიდენტების — აბრაამ ლინკოლნისა და ჯონ კენედის დამაკავშირებელი უცნაური მოვლენებიც. ლინკოლნს ჰყავდა პირადი მდივანი, გვარად კენედი, ჯონ კენედის მდივნის გვარი კი ლინკოლნი იყო. ორივე პრეზიდენტის გვარი (ინგლისურ ენაზე) შვიდი ასოსგან შედგება.

ლინკოლნის მკვლელი საწყობში დაიმალა, ასევე — კენედის მკვლელი ლი ოსვალდი. ორივე პრეზიდენტის ადგილი ჯონსონებმა დაიკავეს.

ტყუპი ძმები — ჯეიმს ლუისი და ჯეიმს სპრინგერი ოჰაიოში დაიბადნენ, მაშინვე აღსაზრდელად სხვადასხვა ოჯახში მოხვდნენ და ერთმანეთის შესახებ 39 წლის მანძილზე არაფერი იცოდნენ. როცა ისინი შემთხვევით 1979 წელს შეხვდნენ, აღმოჩნდა, რომ ორივეს ცოლს ლინდა, ხოლო მათ შვილებს — ჯეიმს ალანი ერქვათ.

ისინი შვებულებას ყოველთვის ფლორიდაში, ერთსა და იმავე კურორტზე ატარებდნენ, ორივე პოლიციელი გახდა და ორივეს ერთნაირი გატაცება ჰქონდათ.

ოთხი წლის როჯერ ლოზიერი ქალაქ სალემის (აშშ) მახლობლად ზღვაში დახრჩობას გადაარჩინა ვინმე ელის ბლეიზმა. 1994 წელს, როცა როჯერი 16 წლისა იყო, მან იმავე ადგილას დახრჩობას გადაარჩინა მამაკაცი, რომელიც ელის ბლეიზის ქმარი აღმოჩნდა.

ინგლისელმა გინეკოლოგმა 1976 წელს მესამეჯერ ამშობიარა სამი ქალი, რომლებმაც სამ-სამი ბავშვი გააჩინეს. ამ გინეკოლოგის გვარია ტრიპლეტი (ინგლისურად ეს სიტყვა ნიშნავს სამ ტყუპს).

დეტროიტში, მე-14 სართულიდან გადმოვარდა ბავშვი და თავზე დაეცა შემთხვევით გამვლელს ჯოზეფ ფიგლოკს. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, იმავე დღეს, იმავე სახლიდან ისევ ის ბავშვი გადმოვარდა და დაეცა ისევ... ჯოზეფ ფიგლოკს. საბედნიეროდ, ამჯერადაც ორივე გადარჩა...

ფინეთში, 1975 წელს, ტაქსის მძღოლი შემთხვევით დაეჯახა მოპედით მიმავალ მამაკაცს. ერთი წლის შემდეგ ზუსტად ასევე დაიღუპა ამ მსხვერპლის ძმა. მასაც იგივე ტაქსისტი დაეჯახა, მაგრამ ყველაზე უჩვეულო ის იყო, რომ ორივე შემთხვევის დროს იმ ტაქსიში ერთი და იგივე მგზავრი იჯდა.

XX საუკუნის ცნობილმა ავსტრიელმა მხატვარმა იოსიფ აიგნერმა რამდენიმეჯერ სცადა თავის მოკვლა და ყოველთვის ხელი ერთმა და იმავე ადამიანმა შეუშალა.

18 წლის აიგნერი სახრჩობელას მარყუჟიდან გაათავისუფლა უცნობმა ბერმა. ოთხი წლის შემდეგ მხატვარმა კვლავ ყულფში გაყო თავი, ამჯერადაც იმავე ბერმა გადაარჩინა და მიიმალა. 32 წლის აიგნერს პოლიტიკური მოღვაწეობისათვის სიკვდილი მიუსაჯეს. იდუმალი ბერი კვლავ ჩაერია მის ბედში და მხატვარი ამჯერადაც გადაარჩინა.

მე-20 საუკუნის ოციან წლებში სამმა, ერთმანეთისთვის უცნობმა ინგლისელმა პერუში იმოგზაურა. ისინი მარტო აღმოჩნდნენ ვაგონში და ერთმანეთი გაიცნეს. წარმოიდგინეთ მათი გაოცება, როცა გაირკვა, რომ ერთი მოგზაურის გვარი იყო ბინგჰემი, მეორის — პაუელი, ხოლო მესამისა — ბინგჰემ-პაუელი.

1953 წელს ცნობილი ნიუ-იორკელი ტელერეპორტიორი ირვინ კუპჩინეტი ლონდონში ჩავიდა, სასტუმროში დაბინავდა და კომოდის ერთ-ერთ უჯრაში თავისი მეგობრის, ცნობილი კალათბურთელის ჰერი ჰანინის საპარსი აღმოაჩინა. ორი დღის შემდეგ, ჰანინმა პარიზიდან დაურეკა კუპჩინეტს და აცნობა, რომ სასტუმროს ნომერში მისი ჰალსტუხი იპოვა.

ჰენრი ზიგლანდმა საცოლე მიატოვა. შეურაცხყოფილმა ქალიშვილმა თავი მოიკლა. ქალიშვილის ძმა სახლთან ჩაუსაფრდა ზიგლანდს, ესროლა და როცა ის დაეცა, თავადაც ტყვია იკრა შუბლში. ზიგლანდი შემთხვევით გადარჩა. როგორც აღმოჩნდა, ტყვია მხოლოდ შეეხო თავის ქალას, ასხლტა და იქვე მდგარ ხეში ჩაიჭედა. რამდენიმე წლის შემდეგ ზიგლანდმა, რადგან საძინებლის სარკმელს უჩრდილავდა, გადაწყვიტა, ხე დინამიტით აეფეთქებინა. აფეთქების შედეგად ძველი ტყვია გამოვარდა ხიდან, ზიგლანდს თავში მოხვდა და სული გააცხებინა.

ბევრი მეცნიერის აზრით, მსგავსი შემთხვევები აიძულებს ადამიანს, სერიოზულად დაუფიქრდეს თავისი ცხოვრების ეპიზოდებს. იქნებ კოსმოსი (ღმერთი) გვიგზავნის იმპულსებს ან გვკარნახობს, რომ ამგვარ შემთხვევებს დავუჯეროთ?

***ინტერპოლ ექსპრესი №7***

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი**
1) — გ); 2) — ბ); 3) — ა); 4) — ბ).

**II. რებუსი**
მოკლე ჭკუას გრძელი ენა აქვსო.

**III.** ცხენი.

**IV.** მე-4 და მე-5 ბაყაყები.

ჩვენ გვწერენ

# უცნობი იმ ქვეყნიდან



ეთერ ჩ-ს ოჯახში სტუმრობისას აღფრთოვანება ვერ დავფარე — ამდენი შვილის დედა ალბათ რა მდიდრად გრძნობთ თავს-მეთქი. რომ არა ღვთის სასწაული, ვინ იცის, ეგებ მეც ორი-სამი შვილი მყოლოდა და არა თერთმეტიო, — მიპასუხა და მიამბო:

— პირველი შვილი წლისა და ოთხი თვის მყავდა, რომ დავორსულდი. ვიფიქრე, აბორტს გავიკეთებ, პატარას რომ წამოვზრდი, მეორე შვილს მერე გავაჩენ-მეთქი. ქმარი უხალისოდ დამთანხმდა ამაზე. შინიდან გამოსულს ვიღაც ახალგაზრდა კაცი ამედევნა და კაი ხნის ნაცნობივით გამიღიმა, — ეთერ, როგორა ხარო. ვერ გიცანით-მეთქი, მოვუბოდიშე. მაგას რა მნიშვნელობა აქვს, გეტყვი, ვინცა ვარ, მაგრამ დამპირდი, რა საქმეზეც მიდიხარ, იმაზე უარი უნდა თქვაო.

გამაჟრჟოლა, კაცი უცნაურად მიყურებდა. თქვენ რა იცით, რა საქმეზე მივდივარ-მეთქი. დედაჩემსაც რომ ოდესმე უარი ეთქვა აბორტის გაკეთებაზე, ახლა მარტო არ იქნებოდა ოთხკედელს შუაო.

გავოგნდი, ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა უცნობი. სიზმარში ხომ არ ვარ-მეთქი, — გამიელვა და თვალი დავხუჭე. როცა გავახილე, უცნობი აღარსად ჩანდა.

შეშინებულს ფეხი შემეკრა. შინ გავბრუნდი. ღამით ქმარმა მკითხა, — რა ჰქენიო. შეუძლოდ ვიყავი და ხვალ წავალ-მეთქი.

ამის თქმა იყო და ხმა ჩამესმა: — ეთერ, ხომ დამპირდი, ამას არ ვიზამო. რას შეგპირდი-მეთქი, — წამოვიძახე და საწოლზე ჩამომჯდარი უცნობის დანახვაზე შიშით ტანში გამცრა. აქ რა გინდა-მეთქი, — ვიკივლე და გაქრა.

ჩემი ქმარი დაფეთებული მიყურებდა. ავუხსენი ყველაფერი, არ დაიჯერა. ფეხმძიმობის გამო მოჩვენებები დაგწყებია და ექიმს გაესინჯეო.

მეორე დღეს ნევროპათოლოგს მივაკითხე. ძაძებიანი, ხნიერი, სანდომიანი ქალი იყო ექიმი. ჩემი ამბავი მოვუყევი. ამოიხვნეშა, — რახან შვილს გაძლევს ღმერთი, მერამდენეც არ უნდა იყოს, უნდა გააჩინო. უბედური დედა ვარ. ერთადერთი ანგელოზივით შვილი, მყავდა. ავარიაში დამეღუპა. მეტი რომ მყოლოდა, იქნებ ტკივილს ცოტათი მოვრეოდიო, მითხრა და მაგიდაზე დადგმული სურათის ჩარჩო ჩემკენ მოაბრუნა. გავხევდი. ფოტოდან ქუჩაში ნანახი უცნობი მიყურებდა! გული წამივიდა. გონს მოსულმა ექიმს ყველაფერი ვუამბე.

იმ დღიდან დაიწყო სასწაული. დედას გარდაცვლილ შვილთან დაკავშირება მოუნდა.

მეორე შვილი გავაჩინე. ვიდრე მესამედ არ დავფეხმძიმდი და ისევ აბორტის გაკეთება არ გადავწყვიტე, უცნობი არ გამოჩენილა...

მხოლოდ მეხუთე ბავშვის გაჩენის შემდეგ მოვახერხე მეთქვა, — იქნებ დედაშენსაც გამოეცხადო-მეთქი. დედაჩემი შვიდი წლის მერე მნახავს და სულ ერთად ვიქნებითო.

ქალს ვუთხარი ამის შესახებ. დღეებს ითვლიდა საწყალი. მეთერთმეტე შვილი რომ გამიჩნდა, იმ წელს გარდაიცვალა ცხონებული.

მას შემდეგ არ ვიცი, რა სასწაულს მივაწერო, მაგრამ აღარც დავფეხმძიმებულვარ და არც „ის“ გამომცხადებია...

ყოველ აღდგომას მივდივარ დედა-შვილის საფლავზე და სანთელს ვანთებ. მოძღვარს პანაშვიდებიც კი გადავახდევინე მათ სახელზე.

თუ მართლა არსებობს რაიმე კავშირი იმ ქვეყანასთან, შეიძლება ვთქვა, რომ მე მქონდა. ვმადლობ ღმერთს, რომელმაც ამგვარად ისურვა ჩემი შვილებისთვის სიცოცხლის შენარჩუნება...

***ეკა ლომიძე***

# საოცარი უცნობი ქალი

კარგა ხნის დაბინდებული იყო, ძაღლი სასეირნოდ რომ გავიყვანე. დოლიძის ქუჩას ავუყევით. მრავალსართულიანი სახლის ყრუ კედელს რომ მივუახლოვდით, ზურგიდან ძლიერმა სინათლემ მოგვანათა. მოვიხედე. ათიოდ მეტრში ფარებანთებული „მერსედესი“ იდგა. უნებურად გავიფიქრე, რა უჩვეულოდ მკვეთრად ანათებს-მეთქი. ჩემი და ძაღლის სილუეტები კედელზე აღიბეჭდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ჩემგან მარცხნივ იდგა ქალი და გვერდზე მეკვროდა! უფრო სწორად, ჩვენი ჩრდილების გვერდით მოჩანდა ქალი, მას წელში გამოყვანილი პალტო ეცვა და თავზე ბერეტი ეხურა.

უკან მივიხედე. მეგონა, ქალი უკან იდგა და ჩრდილთა თამაშით ჩემ გვერდით აღმოჩნდა. მაგრამ იქ არავინ იყო, „მერსედესი“ კი კვლავ გვანათებდა ფარებს. ისევ შევხედე კედელს. იმ უხილავი ქალის ჩრდილი კვლავ მეხვეოდა. ვიფიქრე, ეს ოპტიკური ხუმრობა „მერსედესის“ მძღოლს ართობს ალბათ-მეთქი.

შევეცადე, იმ ქალის ხელისგან მკლავი გამეთავისუფლებინა და განზე გავდექი. ჩრდილმა კედელზე ზუსტად გაიმეორა ჩემი მოძრაობა...

შიშმა ამიტანა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და მარცხნივ მოვიხედე. წამიერად ის ქალი მაინც დავინახე — მიტკალივით თეთრი სახე, ნატიფი აღნაგობა ჰქონდა და მწველი, შავი თვალებით მომჩერებოდა...

მანქანის ფარები ჩაქრა.

ძაღლმა ბრაზიანად დაიღრინა, მერე შიშით აწკმუტუნდა და მომეკრა.

წამის შემდეგ მივიხედე ტროტუარისკენ — იქ არც მანქანა იდგა და ვერც იმას მივხვდი, როდის წავიდა — ბორბლების ხმა ნამდვილად არ გამიგონია...

***ვახტანგ დვალი***
***თბილისი***


# „მუვ ფრი“: ართრიტის ფონდი ოსტეოართროზის წინააღმდეგ



ზოგიერთს მიაჩნია, რომ „მარილების დაგროვებისას“ საქმე აქვთ ართრიტთან, მეორენი თვლიან, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ართროზი, ზოგი კი ამ მდგომარეობას „პოდაგრას“ უწოდებს. რომელია მართალი?

ართროზი – თითქმის ყველაზე გავრცელებული დაავადებაა მსოფლიოში, ყოველ შემთხვევაში რევმატიულ დაავადებებს შორის. ადრე თუ გვიან, მრავალ ჩვენთაგანს გველის ართროზით დაავადება – იგი მოხუცებულობის უცვლელი თანამგზავრია. საერთოდ, საშუალოდ 45 წლის შემდეგ, ყოველ მე-6 ადამიანს ეს პრობლემა აწუხებს. მაგრამ ართროზი სუსტი სქესის წარმომადგენლებს განსაკუთრებით ეტანება. სტატისტიკის მიხედვით, ეს დაავადება ქალებს 2-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე მამაკაცებს.

სახსართშორის ხრტილში ნივთიერებათა ცვლის დარღვევასთან დაკავშირებულ ართროზს, კიდევ ერთი, უფრო სრული სამედიცინო სახელწოდება გააჩნია – „ოსტეოართროზი“.

„მარილების დაგროვებად“ ცნობილ (განსაკუთრებით ფეხის პირველი თითების ართროზის სახით) ოსტეოართროზს, სინამდვილეში, მარილების დაგროვებასთან საერთო არაფერი აქვს. ის, რომ ართროზისას ავადმყოფების რენტგენოგრამაზე ხშირად ძვლოვანი ანომალია შეინიშნება, — რაიმე „დაგროვება“ კი არა, არამედ ხრტილქვეშა ძვლის წამონაზარდია. ადამიანის ხრტილი ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს: სრიალი და ამორტიზაცია. ნებისმიერ ძვალს საინტერესო თვისება გააჩნია: თუ მას სისტემატურად ვურტყამთ, ვუკაკუნებთ — ამ ადგილას იგი გამსხვილდება. ეს მუდმივი შიდაკაკუნი, ყოველდღიური ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც პატარა და ფაქიზ სახსრებს ტრავმას აყენებს, ხრტილოვანი ძვლის წამონაზარდის წარმოშობას იწვევს. ვინაიდან ხრტილი დატვირთვის ნორმალურ ამორტიზაციას ველარ ახდენს, ირღვევა სრიალის უნარი, იკარგება ხრტილის მთლიანობა — თანდათან თითქოსდა „ცვდება“.

სწორედ ეს ხდება ართროზის მიზეზი — ქალბატონებში, რომლებიც ტერფის დეფორმაციას მაღალქუსლიანი და ვიწრო ფეხსაცმლით ახდენენ, აგრეთვე პიანისტებში, პროგრამისტებსა და მემანქანეებში, რომლებიც კლავიატურას თითებით „უკაკუნებენ“. ართროზამდე „დროზე ადრე“ მივყავართ აგრეთვე დიდ ფიზიკურ დატვირთვებსა და მათთან დაკავშირებულ ტრავმებს, ამიტომ ართროზები ხშირია სპორტსმენებში (განსაკუთრებით მძლეოსნებსა და ფეხბურთელებში), მოცეკვავეებსა და კასკადიორებში.

ართროზის დროს მოძრაობისას სახსრებში სახასიათო კრეპიტაცია (ხრაშუნი) იწყება. იგი თანდათან მატულობს და შემდეგ მუდმივი ხდება. ალბათ არც ღირს იმაზე საუბარი, რომ პროგრესირებადი ოსტეოართროზი არსებითად აქვეითებს ცხოვრების ხარისხს, რადგან სახსრების გარშემო მყოფი ქსოვილების, სახსრების ღრუს გადაფენილი აპკის (სინოვიტი) ანთებებს და შესაბამისად ტკივილებს იწვევს. დაავადებას პროგრესირებადი ტენდენცია გააჩნია, ამასთან, ადამიანის მოძრაობისა და მუშაობის უნარიანობას სულ უფრო და უფრო ზღუდავს. საბოლოოდ კი, შესაძლოა მოძრაობების სერიოზული შეზღუდვა — ინვალიდიზაცია გამოიწვიოს. ეს კი ამ შემთხვევაში სახსრების სრულ დისფუნქციას ნიშნავს, განსაკუთრებით სახიფათოა მსხვილი — მუხლებისა და მენჯ-ბარძაყის — სახსრების „შორს წასული“ ართროზი. აქ შესაძლოა განვითარდეს ძვლის ნეკროზი — ძვლოვანი ქსოვილების ნგრევა და განადგურება. სხვანაირად რომ ვთქვათ, პერსპექტივა არასახარბიელო იქნებოდა, რომ არა მეცნიერების წინსვლა-განვითარება. იმ შემთხვევებში, როდესაც დაავადება სერიოზულად მიშვებულია, ავადმყოფის დახმარების ერთადერთი საშუალება რჩება: ენდოპროთეზირება — დაზიანებული სახსრის ქირურგიული ჩარევით ხელოვნურით შეცვლა. მაგრამ ასეთი ოპერაცია მეტად ძვირად ღირებული, ხანგრძლივი და ტრავმატულია. იგი დაკავშირებულია სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვასა და რეაბილიტაციის ხანგრძლივ პერიოდთან, ხოლო ასაკობრივი მაჩვენებლებით ყველასთვის რეკომენდებული არ არის. დრამატულად ისმის კითხვა: რა ვქნათ, როგორ დავიცვათ თავი ამგვარი პერსპექტივისგან, როგორ შევაჩეროთ დაავადება?

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მისი დროული დიაგნოსტირება, პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, — უფრო ყურადღებით მოვეკიდოთ ფიზიკურ დატვირთვებს და ზედმეტი კილოგრამები არ ვატაროთ, ართროზი ხომ თან სდევს გადატვირთვებს. თუ ავადმყოფობა მაინც შემოგეპარათ, მისი მკურნალობა სასწრაფოდ უნდა დაიწყოთ, თანაც რაც უფრო სწრაფად, ეფექტი მით უფრო უკეთესი იქნება. ფარმაცევტები მედიკამენტების ფართო ასორტიმენტს გვთავაზობენ, მათ შორის სტეროიდებსაც, რომელთა მკურნალობის შედეგი ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად კარგია, რამდენადაც ამ პრეპარატების გვერდითი ეფექტებია არასასურველი. მაშ რაზე შევაჩეროთ არჩევანი?

კომპანია „ჯეოვიტი“ და მისი სპეციალისტები საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებების მკურნალობაში კიდევ ერთ აღმოჩენას გვთავაზობენ — ნატურალური პრეპარატი „მუვ ფრი“.

„მუვ ფრი“ — ქონდროიტინ-გლუკოზამინის კომპლექსის ოპტიმალურ კონცენტრაციას წარმოადგენს. იგი ხელს უწყობს დაზიანებული ხრტილოვანი ქსოვილის რეგენერაციას, სინოვიალური სითხის წარმოქმნას, ზრდის სახსრის ამორტიზაციას და მოძრაობათა მოცულობას. რაიმე გვერდითი მოვლენა არ გააჩნია! ამ პრეპარატის ეფექტურობა მრავალი კლინიკური გამოკვლევებითაა დადასტურებული.

ამერიკული კომპანია „შიფის“ მეცნიერულმა ლაბორატორიამ, რომელსაც 60-წლიანი ისტორია და გამოცდილება აქვს, შექმნა უნიკალური ნატურალური საშუალება ართრიტების, ართროზების, ოსტეოქონდროზების, სპონდილოზებისა და ორგანიზმის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სხვა დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის. ნატურალური პრეპარატის „მუვ ფრი“ გენერალური სპონსორი ამერიკის ართრიტის ფონდია. ეს ფონდი 1948 წელს დაარსდა და 3 ძირითადი მისია გააჩნია:

1. ართრიტებისა და ართროზების კვლევა;
2. მათი პროფილაქტიკა;
3. ართრიტებით და ართროზებით დაავადებულთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

ყოველწლიურად ფონდი გრანტების სახით 20 მილიონ დოლარს გამოყოფს, რაც 300-მდე მეცნიერულ გამოკვლევას ხმარდება. ისინი ართრიტების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი ეფექტური მეთოდების ძიებასა და შექმნას ემსახურებიან.

ერთ-ერთი ასეთი მუშაობის შედეგი გახდა „მუვ ფრი“. ეს პრეპარატი ართრიტებისა და ართროზების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის გამოიყენება.

ამ პრეპარატისა და კომპანია „შიფის“ სხვა პრეპარატების შეძენა მხოლოდ კომპანია „ჯეოვიტში“ შეიძლება.

მის: ილია ჭავჭავაძის 41ა
(ვაკის პარკის პირდაპირ),
ვიტამინ-ცენტრი,
კომპანია „ჯეოვიტი“,
ტელ/ფაქსი: 29-20-91
(სამუშაო საათები 10-დან 18 საათამდე,
შაბათ-კვირის ჩათვლით)

***ჩვენ მზად ვართ თქვენი ცხოვრების ხარისხი გავაუმჯობესოთ!***

R

# ზოგიერთი ბორჯღალოსანი ნაკრებიდან წასვლას აპირებს

*რუსებთან მორიგი გამარჯვება გვაზეიმა საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა. კრასნოდარში გამართული ბრძოლა უკვე წარსულს ჩაბარდა და ახლა „ბორჯღალოსნები“ ჩეხეთში 22 მარტისთვის დანიშნული მატჩისთვის ემზადებიან.*

*როგორც ირკვევა, ქართული რაგბის თემს ისევ ძველებურად აწუხებს დაფინანსების პრობლემა. სახელმწიფო, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა აინტერესებდეს, დაეხმაროს ქართული დროშის უპირველეს დამცველებს, კვლავინდებურად გულგრილია მორაგბეთა მიმართ — ტყუილი აღმოჩნდა დაპირებები.*

*ამიტომაც იყო უხასიათოდ რაგბის კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი* ***გია კუზლაშვილი****, თუმცა პესიმიზმს მაინც არ მისცემია. ჩეხეთში გამგზავრების წინ საქართველოს ნაკრებს პრობლემა შეექმნა — რაღა თქმა უნდა, ფინანსური:*

— ეს პრობლემა ერთა თასის გათამაშების დაწყების შემდეგ გვაწუხებს და არახალია. ბუნებრივია, ხელი არ ჩაგვიქნევია, გამოსავალზე ვფიქრობთ, მაგრამ მდგომარეობა რომ უმძიმესია, ორი აზრი არ არსებობს. არავინ ყურს არ იბერტყავს და როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი დამოკიდებულება, არ ვიცი. დღემდე კრედიტებით გავდივართ ფონს.

— **მერედა, ამ კრედიტებს რის ხარჯზე ისტუმრებთ?**

— ბიუჯეტის იმედად არ ვართ. დღემდე არ ვიცით, რა თანხას გამოყოფენ. ვეჭვობ, რომ საკმარისი რაოდენობა გამონახონ რაგბისთვის.

— **მართალია თითქოს რაგბის კავშირს რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი, ბიძინა ივანიშვილი ეხმარება?**

— მოდით, ასე ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილი გულშემატკივრობს ქართულ რაგბის.

— **როდის შემდეგ გახდა რაგბის ქომაგი?**

— დიდი ხანია.

— **გასაგებია... ივანიშვილს არ უყვარს ქველმოქმედების აფიშირება და ეტყობა, თქვენც გთხოვათ, მისი გვარი არ გეხსენებინათ.**

— სამწუხაროდ, მე ამ პიროვნებას არ ვიცნობ.

— **კარგით, თემას შევცვლი.. უახლოეს პერიოდში ფინანსური პრობლემების გამო გეგმები ხომ არ აგერიათ?**



— 15 ივნისს დაგეგმილი გვქონდა თბილისში საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, თამაში აგვისტოსათვის გადაიდო. გადადება ნაწილობრივ ფრანგების და ნაწილობრივ ჩვენი ბრალია. მათი გუნდი ჩვენი ხარჯით უნდა ჩამოგვეყვანა და დაგვებინავებინა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო, ამის დროულად მოგვარება ვერ ხერხდება.

— **როგორც შევიტყვე, დაგეგმილია არგენტინაში საქართველოს კულტურის დღეების ჩატარება, ამ ღონისძიების ეგიდით კი — ჩვენი ნაკრების არგენტინელებთან შეხვედრა.**

— ეს მართლაც მეტად საინტერესო წინადადებაა. თარიღი ჩვენთვის მისაღებია, ივნისის შუა რიცხვებში, სწორედ ამის შემდეგაა დაგეგმილი მატჩი კანადასთან. მთავარია, ფინანსები გამოვნახოთ. ჯერჯერობით მხოლოდ წინასწარ დაგეგმილი შეხვედრების ბიუჯეტია შედარებით რეალური.

— **გამოთქმისათვის უკაცრავად და, სახელმწიფომ ფეხებზე რომ დაგიკიდათ, მორაგბეები გულგატეხილები ხომ არ არიან?**

— რა თქმა უნდა! ჩვენ ნაკრების წევრებს ვესაუბრეთ ამის თაობაზე. უფრო სწორად, თავად მოთამაშეებმა დაიწყეს ლაპარაკი. ნაკრების წევრთა უმრავლესობა საქართველოში არ თამაშობს, ფრანგულ კლუბებში არიან მიმოფანტულნი და აქაურ ვითარებას უკვე ნაკლებად იცნობენ. ბუნებრივია, მაქსიმალურად შევეცადეთ სურათის შერბილებას, ბოლომდე ვერ ვეუბნებით იმას, რაც გულს უზომოდ გვტკენს, მაგრამ ბავშვები არ არიან და თავადაც მშვენივრად ხვდებიან ყველაფერს. თუმცა, ხომ ხედავთ, რუსებთან მაინც თქვეს თავისი სიტყვა. უცნობი კეთილისმსურველების იმედი დღემდე არავის გადაგვიწურავს. ასეთები, საბედნიეროდ, კიდევ არიან.

*ეროვნული ნაკრების კაპიტანი და იტალიური კლუბის „როვიგოს“ წევრი,* ***ილია ზედგენიძე*** *ქართველ მორაგბეთა პრობლემებზე გვესაუბრება:*

— ნაკრების წევრები მაქსიმალურად ვცდილობთ სპორტისა და მატერიალური საკითხების გამიჯვნას, ვერ ვიტყვი, რომ სახელმწიფოს გულგრილი დამოკიდებულების გამო წავაგეთ პორტუგალიაში — მაგრამ გულგრილობა საერთო ჯამში რაღაც ეტაპზე ჩვენს თამაშსაც დაღს ასვამს.

— **როგორც ჩანს, გვარიანად გულნატკენი ხარ...**

— რა თქმა უნდა, ეს ყოველივე ჩვენთვის მეტისმეტად მტკივნეული საკითხია. უკვე ათი წელია, რაგბის ვთამაშობ და ამ ხნის მანძილზე სახელმწიფოს მზრუნველობა ერთხელაც არ დამინახავს. სტადიონი რა პრობლემაა, მაგრამ ერთი ხეირიანი არენა არ გველირსა.

პირადად მე იტალიაში ვთამაშობ, ნაკრების წევრთა დიდი ნაწილი საფრანგეთში და თითოეული ჩვენგანი შეეჩვია ნორმალურ გარემოში ვარჯიშს, მშვენიერ პირობებს. იტალიაში თითოეულ კლუბს სამიოთხი არაჩვეულებრივი სავარჯიშო მოედანი აქვს. აღარაფერს ვამბობ იტალიის ნაკრების პირობებზე, ეს საერთოდ, ზღაპარია.

ამის შემდეგ ჩამოვდივართ საქართველოში და უნდა ნახოთ, როგორ პირობებში ვვარდებით. ნაკრები ძირითადად საგურამოს მოედანზე ემზადება, თუკი მას მოედანი შეიძლება ეწოდოს. თიხანარევი მიწაა და თუ წვიმა წამოვიდა, მტრისას, ტალახი ფეხებზე გვეკრობა და შეუძლებელია ვარჯიში.

მშვენივრად მესმის, რომ დღეს ქვეყანას უზომოდ უჭირს, მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ ერთი ხეირიანი მოედნის ფული არ გააჩნია სახელმწიფოს? ნუთუ, ერთი ბაზის აშენება მაინც არ დავიმსახურეთ?

— **მიკვირს, ასეთი გულგატეხილები თუ ხართ, რუსებს „ყოველ დაჭერაზე“ როგორ უგებთ?**

— გულგატეხილები ნამდვილად არ ვართ. ხალხის უზომო თანადგომასა და სიყვარულს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობთ. ჩვენი მამოძრავებელი ძალა სწორედ ეს არის. რუსებთან იმიტომაც ვიგებთ, რომ მეტი სიამოვნება, ვიდრე ხალხის გახარება, ამქვეყნად, თურმე, არ არსებობს. ჩვენ ყოველთვის ენთუზიასტები ვიყავით და როგორც ჩანს, მომავალშიც ასე იქნება.

თუმცა, ყველაფერს საზღვარი აქვს. შესაძლოა, მატერიალურმა გაჭირვებამ ზოგიერთი მოთამაშე ნაკრებს ჩამოაშოროს კიდეც.

— **ასე მწვავედ დადგა საკითხი?**

— რა თქმა უნდა! თითოეულ ჩვენგანს ოჯახი ჰყავს და ბუნებრივია, ვფიქრობთ მომავალზე. ნაკრებში ჩამოსვლით ხომ ჩვენი ოჯახები ზარალდებიან. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი ვითარებაა.

— **რატომ ზარალდებით? მგზავრობის ხარჯი თქვენი გადასახდელია?**

— არა, ამ თანხას რაგბის კავშირი გვინაზღაურებს, მაგრამ ჩვენი არყოფნის პერიოდში კლუბები ხელფასს არ გვიხდიან და ეს თანხა ოჯახებს აკლდება. ეს სამწუხარო რეალობაა. ბევრმა ჩვენგანმა, შესაძლოა, უბრალოდ, ფიზიკურად ველარ დაუთმოს დრო ნაკრებს ძველებურად და გუნდიდან წავიდეს.

— **კონკრეტულად ვის გულისხმობ?**

— ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ასეთი საშიშროება რეალურად არის.

— **არჩევანის წინაშე ბევრი მორაგბე დგას?**

— საკმაოდ ბევრი. კარგად გამიგეთ, მათ რაგბი კი არ მობეზრდათ, ეს წარმოუდგენელია, რაგბი ჩვენი ცხოვრების ლამაზი ნაწილია და უზომოდ გვიყვარს.

— **ასეთ პირობებში რას უნდა ველოდოთ ჩვენი ნაკრებისგან ავსტრალიაში დანიშნულ მსოფლიო თასზე?**

— რა თქმა უნდა, ავსტრალიაში ძალიან სერიოზული მეტოქეები გვეყოლება, მაგრამ ისევ ენთუზიაზმის ხარჯზე უნდა ვითამაშოთ. მსოფლიო თასზე თამაში ჩვენი ოცნება იყო და ახლა ჩვენი სურვილია, იქ ქართული რაგბი საუკეთესოდ წარმოვადგინოთ.

— **მსოფლიო თასის ფინალში გასვლის შემდეგ რა რეაქციას ელოდით ხელისუფლებისგან?**

— ისევ და ისევ მეტ ყურადღებას. ვფიქრობდით, რომ სახელმწიფო რაგბის კავშირს მატერიალურად და ყველანაირად გვერდში დაუდგებოდა, სტადიონის მშენებლობაში დაეხმარებოდა და ტერიტორიას გამოუყოფდა. ახლა საქართველოში რაგბის ბუმია, უამრავი ბავშვი შედის ამ სახეობაზე და მომავალ თაობას პირობები უნდა შეუქმნან.

**ზვიად კალანდაძე**



# „სანდერსი მაქსიმუმ 4 რაუნდს გამიძლებს, ნოკაუტს ვერ გადამირჩება“

*პროფესიონალმა მოკრივემ, გიორგი კანდელაკმა შარშან, მსოფლიოს კრივის კავშირის (WBU) ჩემპიონის ტიტული რომ მოიპოვა, მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ WBUმეორეხარისხოვანი საკრივო ორგანიზაცია იყო და, ამდენად, ვერც კანდელაკი ჩაითვლებოდა პირველხარისხოვან მსოფლიო ჩემპიონად. კანდელაკის შარშანდელი გამარჯვება ისტორიული იყო, რადგან ათიოდე წლის წინ ვერც კი ვიოცნებებდით ქართველი კაცის ნებისმიერი საკრივო ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონობას. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს WBU-ზე უფრო პრესტიჟული და აღმატებული საკრივო ორგანიზაციები, რომელთა ჩემპიონის ტიტულიც სხვებზე გაცილებით საპატიო და საამაყოა. ეს ზეოთხეულია — კრივის მსოფლიო საბჭო (WBC), კრივის მსოფლიო ასოციაცია (WBA), კრივის საერთაშორისო ფედერაცია (IBF) და კრივის მსოფლიო ორგანიზაცია (WBO). ვიდრე პროფესიონალი მოკრივე ამ ოთხი ვერსიიდან ერთ-ერთის ჩემპიონი მაინც არ გახდება, მანამდე მას პროფესიული კრივის სამყარო ე.წ. ელიტურ ჩემპიონად არ აღიქვამს, თუნდაც სხვა დანარჩენ ტიტულებს ერთბაშად და ან რამდენჯერმე ფლობდეს.*

*გიორგი კანდელაკს კრივის ელიტაში დამკვიდრების შანსი ეძლევა. ივლისში, კანდელაკმა შესაძლოა, კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლოს. ეს სწორედ ის ტიტულია, რომლის მოსაპოვებლადაც სულ ახლახან შეხვდნენ ერთმანეთს გერმანიის ქალაქ ჰანოვერში გერმანიის სახელით მოასპარეზე უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო და სამხრეთაფრიკელი კორნელიუს (კორი) სანდერსი. ამ ბრძოლაში პრეტენდენტმა (სანდერსმა) მეორე რაუნდში დამაჯერებლად, ნოკაუტით სძლია ჩემპიონს — კლიჩკოს და ახლა უკვე სანდერსი გახდა WBO-ს „ჯილა“.*

*საქმე იქითკენ მიდის რომ ახალგამომცხვარ ჩემპიონს* ***გიორგი კანდელაკი*** *უნდა შეეცილოს პატივსა და დიდებას. ვარიანელი მოკრივის მენეჯერები, ფრენკ მელოუნი და ფრენკ ვორენი უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას ცალკე კორი სანდერსისა და ცალკე WBO-ს მესვეურებთან, რათა ივლისში სანდერს-კანდელაკის დიდი საჩემპიონო ბრძოლა გაიმართოს. ფრენკ მელოუნი იქადნება თურმე — ოღონდ შეთანხმებას მივაღწიო ბრძოლის გამართვაზე და ეჭვიც არ მეპარება ჩემი შეგირდი WBO-ს საჩემპიონო სარტყელს შემოირტყამს და საქართველოში წაიღებსო.*

*გიორგი კანდელაკმა ორიოდ დღეა, რაც შესაძლო ბრძოლისა და სავარაუდო მეტოქის ვინაობა შეიტყო. ჯერ უცხოელმა ჟურნალისტებმაც არაფერი იციან WBO-ს ჩემპიონის ტიტულის სავარაუდო მაძიებლის შესახებ, ვერც ინტერნეტის სპორტულ საიტებში გადააწყდებით ამ ინფორმაციას. გიორგი კანდელაკმა ექსკლუზიურად გაუმხილა „კვირის პალიტრას“ თავისი ახალი პერსპექტივის შესახებ.*



კორი სანდერსი

**— გიორგი, ვინ შეგატყობინათ, რომ შესაძლოა WBO-ს ჩემპიონობისთვის მოგიხდეთ ბრძოლა?**

— ჩემმა მენეჯერმა ფრენკ მელოუნმა შემატყობინა ტელეფონით, გამაფრთხილა. გულმოდგინედ ივარჯიშე, საქმეს სერიოზულად მოეკიდე, რადგან მალე, ალბათ, ძალიან ძლიერ მეტოქესთან მოგიწევს ბრძოლაო. თავიდან არ მიმხელდა სავარაუდო მეტოქის ვინაობას, მაგრამ ჩავეძიე და ბოლოს მითხრა, რომ ეს კორი სანდერსია. ცხადია, თუ სანდერსს ვეკრივები, მხოლოდ WBO-ს ჩემპიონის სარტყელისთვის. აბა, მე და ამ კაცს არაფერი გვაქვს გასაყოფი.

**— მელოუნს არ უთქვამს, რამდენად რეალურია ამ ბრძოლის გამართვა?**

— მან მითხრა, რომ მოლაპარაკება უკვე დაიწყო სანდერსის გარემოცვასთან, პარალელურ მოლაპარაკებას აწარმოებს ჩემი მეორე მენეჯერი ფრენკ ვორენი WBO-ს მესვეურებთან. საქმე ადგილიდან უკვე დაიძრა. მოლაპარაკებების დეტალების შესახებ არაფერი ვიცი. დეტალებს, პრინციპში, არც მიმხელენ ჩემი მენეჯერები. ჩემი საქმეა, ბრძოლისთვის რიგიანად მოვემზადო, მათ კი შესაფერისი მეტოქე უნდა შეარჩიონ და უნდა გააფორმონ ორმხრივ ხელსაყრელი საბრძოლო კონტრაქტები. მხოლოდ ის ვიცი, რომ თუ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, ორივე მხარე ბრძოლის სავარაუდო ვადად ივლისს განიხილავს.

**— ღმერთმა ქნას, ეს ბრძოლა გაიმართოს, რა შანსი გექნებათ კორი სანდერსის დასამარცხებლად?**

— მოგეხსენებათ, მე ტრაბახი და ბაქიაობა არ მჩვევია. ვერც ჩემი რომელიმე მეტოქის უპატივცემულობასა და ბრძოლის წინ მათი ძალების შეუთავსებლობას დამწამებს ვინმე. ახლაც საღი გონებით განსჯილს მოგახსენებთ. მე ვნახე კლიჩკოსა და სანდერსის ბრძოლა, გარკვეული წარმოდგენა შემექმნა ჩემს შესაძლო მეტოქეზე. სანდერსი ტექნიკური მოკრივეა, მაგრამ მას ჩემთან წარმატების შანსი არა აქვს. მაქსიმუმ 4 რაუნდს გამიძლებს, ნოკაუტს ვერ გადამირჩება.

**— რატომ ხართ ასე თავდაჯერებული, თანაც ერთი ბრძოლის, ისიც არასრული 2 რაუნდის ნახვით არა მგონია, სრულფასოვნად შეგესწავლათ სანდერსის შესაძლებლობები.**

**სანდერსმა მეორე რაუნდში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე კლიჩკო ნოკაუტით დაამარცხა**

— სანდერსმა მეორე რაუნდში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე კლიჩკო ნოკაუტით დაამარცხა. მან ამ ორ რაუნდში თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა, ყველა კოზირი გახსნა, და ამის წყალობით გაიმარჯვა. უკეთესი რაღა უნდა მიჩვენოს სანდერსმა? ჰოდა, რაც ვნახე, იმის მიხედვით ვმსჯელობ და ვიმეორებ — დავამარცხებ სანდერსს!



**— სანდერსის კოზირები ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, რა უპირატესობა აქვს ამ მოკრივეს თქვენთან შედარებით?**

— მისი მთავარი ღირსება ტექნიკაა. ძალიან ტექნიკური მოკრივეა, მაგრამ მისი უბედურებაც ეგ იქნება ჩემთან ბრძოლაში — სანდერსის სტილის მოკრივეებთან მიიოლდება ჩხუბი, ტექნიკურ მოკრივეებს, სისწრაფითა და შეუმცდარი თავდაცვითი ხერხებით არ ვანებებ თავიანთი ჩანაფიქრის — ნოკაუტის განხორციელებას, 2-3 რაუნდის შემდეგ კი გამუდმებული შეტევების აღარც თავი აქვთ და აღარც ხალისი, უპირატესობა ნელ-ნელა ჩემკენ გადმოდის და ვამარცხებ ხოლმე.

**— სიმართლე გითხრათ, ჩვენში ბევრს ისიც არ სჯერა, რომ თქვენ ვლადიმირ კლიჩკოს დაამარცხებთ, არადა, მისი მძლეველის ცემით იქადნებით.**

— ხომ გითხარით, ქადილი არ მჩვევია, არც ერთი ბრძოლის წინ არ მითქვამს, რომ აუცილებლად გავიმარჯვებდი, მაგრამ ახლა გამონაკლისი დავუშვი. სხვა თუ არაფერი, ოპტიმიზმის უფლება არა ამაქვს? რაც შეეხება კლიჩკოს, ის დღესაც ანგარიშგასაწევ მოკრივედ მიმაჩნია და ვფიქრობ, მისი დამარცხებაც შემიძლია.

**— სანდერსი 37 წლისაა. ალბათ, მისი „სპორტული სიბერეც“ თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს.**

— ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით, ბოლოს და ბოლოს, 37 წლის მოკრივეც გაუძლებს წელიწადში ორჯერ 12 რაუნდს. ასაკი მარტო წლები არ არის, ეს დიდ გამოცდილებასა და სიდინჯესაც ნიშნავს, რაც ყველა ასაკოვან მოკრივეს ახასიათებს. სანდერსის ბრძოლის სტილი მაძლევს გამარჯვების შანსს და არა მისი ასაკი.

**— თქვენი ვარაუდით, სანდერსი დაყაბულდება თქვენთან შეხვედრას, ანდა WBO-ს ბოსები ინებებენ, რომ მათი ორგანიზაციის ჩემპიონის ტიტულის მაძიებლად გაღიარონ?**

— ვიდრე მოლაპარაკებები არ დასრულდება, ძნელია რაიმეს დაბეჯითებით თქმა. სანდერსიცა და WBO-ს თავკაცებიც, ცხადია, ეცდებიან, რაც შეიძლება უფრო სარფიან კონტრაქტებს გამოჰკრან ხელი. ეჭვი არ მეპარება, მათთან სხვა მოკრივეების მენეჯერებიც აწარმოებენ მოლაპარაკებას. ბევრი რამ ჩემი მენეჯერების მარიფათზეა დამოკიდებული. ჩემი პლუსია, რომ WBV-ს ჩემპიონი ვარ და სხვა მოკრივეებთან შედარებით სანდერსთან შეხვედრის მეტი შანსი მაქვს.

37 წლის კორნელიუს სანდერსი 15 წელია, რაც პროფესიულ რინგზე გამოდის. 1991 წელს იგი სამხრეთ აფრიკის ჩემპიონი იყო მძიმე წონაში, 1997-2000 წლებში კი სწორედ იმ ტიტულს ფლობდა, რომელიც ამჟამად გიორგი კანდელაკს უპყრია ხელთ — სანდერსი WBV-ს ჩემპიონი იყო. 1997 წელს მოპოვებული ეს ტიტული სამხრეთაფრიკელმა ხუთჯერ დაიცვა, მეექვსედ კი იძულებით დათმო — უბერებელმა ჯორჯ ფორმენმა ნოკაუტით აართვა WBV-ს ჩემპიონის ქამარი სანდერსს.

*რაკიღა კანდელაკს რეალობად ექცა ყველაზე პრესტიჟული საკრივო ვერსიებიდან ერთ-ერთის ჩემპიონობის მოპოვების შანსი, ბარემ ამ ზეოთხეულის ჩემპიონთა ვინაობასაც გაგაცნობთ. სანდერსი, მოგახსენეთ, WBO-ს ჩემპიონია. WBC-ს ჩემპიონი, რა ხანია, გაინგლისელებული იამაიკელი ლენოქს ლუისია, WBA-ს ახალი ჩემპიონი ჰყავს — ამერიკელი როი ჯონსი, რომელმაც ახლახან კოსტა-რიკელი ჯონ რუისის ცემით დაითრია საჩემპიონო ქამარი, IBF-ს პირველი კაცი კი ასევე ამერიკელია — კრის ბერდი. თუ კანდელაკ-სანდერსის ბრძოლა ჩაიშალა, არ არის გამორიცხული, ქართველი მოკრივის ინგლისელ მენეჯერებს ამ მოკრივეთა მენეჯერებთან მოუწიოთ საქმის დაჭერა — თუ გიორგი კანდელაკს დიდი მოკრივის სახელის დამკვიდრება სურს, ამ ოთხი ტიტულიდან ერთი უთუოდ უნდა მოიპოვოს.*

***ჯაბა ლეონიძე***

# შეაჩერებს „ლოკომოტივი“ მადრიდის „რეალს“?

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი

„მილანსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს,“ რომელთაც ადრევე გაინაღდეს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა, გასულ კვირაში „ბარსელონა“ შეემატა. პრაქტიკულად უკვე მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური „იუვენტუსმაც“, დანარჩენი ოთხი გამსვლელი გუნდის ვინაობის გარკვევა კი ჯგუფური ეტაპის უკანასკნელი ტურისათვის გადაიდო. ალან შირერის გოლების წყალობით „ნიუკასლი“ ორჯერ უგებდა მილანში „ინტერს“, მაგრამ კორდობამ და ვიერიმ იტალიელებს უმნიშვნელოვანესი ქული გადაურჩინეს. ბოლო ტურში „ინტერი“ ყოვლად უმოტივაციო „ბაიერს“ ესტუმრება და თუ მოუგო, „ნიუკასლისათვის“ ფორმალობად იქცევა „ბარსელონასთან“ გასამართი მატჩი. თავის მხრივ „ბარსა“ იოლად გაუსწორდა „ლევერკუზენს“. გოლები დე ბურმა და სავიოლამ გაიტანეს. კატალონიელთა მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა მეტად საინტერესო რამ თქვა: ასეთი თამაშით ლიგას მოვიგებთო.



რაულმა ერთი გოლი არ იკმარა

©2003 EPA/EFE

B ჯგუფში „აიაქსს“ შეეძლო ვადაზე ადრე გასულიყო მეოთხედფინალში, ამისათვის შინ „ვალენსია“ უნდა დაემარცხებინა. ამ მატჩში დაფიქსირებული ფრე მაინც მასპინძლებს უფრო აძლევდათ ხელს, ვიდრე სტუმრებს. ბოლო ტურში რონალდ კუმანის გუნდი რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „რომას“ შეხვდება და ქულა მაინც თუ მოიპოვა, მინიმუმ მეორე ადგილს გაინაღდებს. ლონდონის „არსენალი“, პრემიერლიგაში უფრო ბრწყინავს, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაში. არსენ ვენგერის გუნდმა, თითქმის მთელი თამაშის მანძილზე ათი კაცით მოთამაშე „რომას“ ვერ მოუგო, იტალიელებს 22-ე წუთზე ტოტი გაუძევეს, საინტერესოა, რომ ამის შემდეგ მოახერხა კაპელოს გუნდმა ანგარიშის გათანაბრება. ამ ჯგუფიდან ოთხივე გუნდს აქვს გასვლის შანსი და ყველაფერს ბოლო ტური გადაწყვეტს. C ჯგუფიდან „მილანს“ განაღდებული ჰქონდა გასვლა და მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მაინცდამაინც არ შეუწუხებია თავი. ეს ნამატჩევს „მილანელთა“ მწვრთნელმაც აღიარა.

„რეალმა“ საჭირო ქულები მოიპოვა და თუ ბოლო ტურში მოსკოვში „ლოკომოტივს“ მოუგებს, რკინიგზელთა სამი ბურთით დამმარცხებელი „ბორუსია“ მილანში გასამართი შეხვედრის შედეგის მიუხედავად, ჯგუფში ჩარჩება და მეოთხედფინალისტებს მადრიდული კლუბი შეუერთდება.

საკმაოდ დრამატული გამოდგა ტურინის „იუვენტუსისა“ და „დეპორტივოს“ მაჩტი, რომლის ბედი „იუვეს“ ხორვატმა მცველმა იგორ ტუდორმა მსაჯის მიერ დამატებული დროის მესამე წუთზე გადაწყვიტა, „დეპორტივო“ ჯგუფში ჩარჩა, თუ სასწაული არ მოხდა და ბოლო ტურში „იუვე“ ბაზელში ხუთი ბურთის სხვაობით არ დამარცხდა, მეოთხედფინალში „ბებერი ქალბატონი“ ითამაშებს. ეს თეორიული შანსიც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შეუნარჩუნა „ბაზელს“, ალექს ფერგიუსონის სათადარიგო შემადგენლობით მოთამაშე გუნდმა „ოლდ ტრაფორდიდან“ ისტორიული ქულა გაატანა „ბაზელს“ და ჯგუფში ოფიციალურად ჩარჩენა მომავალი ტურისათვის გადაუდო.



„იუვენტუსმა“ გაიხარა

**A ჯგუფი**

ინტერი 2:2 ნიუკასლი

ბარსელონა 2:0 ლევერკუზენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 13 |
| ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 8 |
| ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:11 | 7 |
| ლევერკუზენი | 5 | 0 | 0 | 5 | 5:13 | 0 |

**B ჯგუფი**

არსენალი 1:1 რომა

აიაქსი 1:1 ვალენსია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| არსენალი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:3 | 7 |
| ვალენსია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| რომა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |

**C ჯგუფი**

რეალი 3:1 მილანი

დორტმუნდი 3:0 ლოკომოტივი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 5:3 | 12 |
| რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| დორტმუნდი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| ლოკომოტივი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | 1 |

**D ჯგუფი**

მანჩესტერი 1:1 ბაზელი

იუვენტუსი 3:2 დეპორტივო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| იუვენტუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:9 | 7 |
| დეპორტივო | 5 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| ბაზელი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |

### უეფას თასი 2002–2003
### მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

**ლაციო (იტალია) 1:0 ბეშიქთაში (თურქეთი)**
**მალაგა (ესპანეთი) 1:0 ბოავიშტა (პორტუგალია)**
**სელტიკი (შოტლანდია) 1:1 ლივერპული (ინგლისი)**
**პორტუ (პორტუგალია) 0:1 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)**

# ავტოსალონი

## წლის საუკეთესო კაბრიოლეტი



ჟენევის ავტოსალონზე დილერებისა და ექსპერტებისგან შემდგარმა სპეციალურმა ჟიურიმ წლის საუკეთესო კაბრიოლეტი გამოავლინა. კონკურსის დასაწყისში ექსპერტთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ გამარჯვება Peugeot 307 CC -ს, ან Citroen C3 Pluriel-ს ერგებოდა. ყველასთვის მოულოდნელად ჟიურის თავმჯდომარემ გამარჯვებულად მესამე ფრანგული მარკა — „სიტროენ C3“ გამოაცხადა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ მყიდველისთვის მთავარი ავტომობილის ფასი და კომპაქტურობაა. როგორც აღმოჩნდა, „მასობრივი მყიდველი“ კომფორტს და ათასგვარ ელექტრონულ მოწყობილობას ერიდება კიდეც, რადგან თავდაპირველად გადახდილი მაღალი ფასის გარდა, ასეთი ავტომობილები ექსპლუატაციაშიც საკმაოდ ძვირი ჯდება. რაც შეეხება გამარჯვებულ კაბრიოლეტს — ლითონის სახურავის გადახდამდე მოდელი სამკარიან ჰეტჩბეკად ითვლება, ხოლო თუ საბარგულის კარს გადახსნით და უკანა სავარძლებსაც გადაკეცავთ, პიკაპისაც მიიღებთ. ავტომობილს საკმაოდ ეკონომიური, 1,4 ლ მოცულობის ძრავა აქვს.

## ყველგანმავლის გამოშვება „ალფა-რომეოსაც“ გადაწყვიტა...

„პორშესგან“ ჯიპის გამოშვების შემდეგ იტალიელი ავტომშენებლების გადაწყვეტილება გასაკვირი აღარ უნდა იყოს — როგორც ჩანს, თავმოყვარე ფირმას დღეს მართლაც ყველა კლასში საკუთარი მოდელი უნდა ჰყავდეს...

აღსანიშნავია, რომ „ალფა-რომეოს“ ჯიპი „კამა 1“ 156 Sportwagon-ის ბაზაზეა აწყობილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იტალიური ყველგანმავალი არც მთლად ყველგანმავალი იქნება და „ლენდ კრუიზერის“, ან „ლენდ როვერის“ ნაცვლად „პარკეტის ჯიპებს“ გაუწევს კონკურენციას — ისეთებს, როგორებიც BMW X5, Mercedes ML-ია. ახალი ავტომობილი V6 ტიპის, 3,2ლ მოცულობის ძრავით იქნება



აღჭურვილი, რომელიც 250 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს. საეჭვოა, კიდევ ერთ ქალაქურ ჯიპს ევროპაში დიდი წარმატება ჰქონდეს, მაგრამ ამერიკაში იტალიური მარკები ტრადიციული პოპულარობით სარგებლობს და როგორც ჩანს, „ალფა-რომეოს“ წარმომადგენლებმაც ამაზე გათვალეს.

## AUDI-ის „სმრიშლი საოცრება“



— ძნელია, სხვა სახელი მოუძებნო ავტომობილს, რომელიც კორპორაცია „აუდიმ“ შექმნა. უცნაურად ჟღერს, მაგრამ სპორტული კუპე Audi Nuvolar-ი სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ სერიული წარმოებისთვისაა გათვალისწინებული, თორემ მისი ტექნიკური მახასიათებლები „პორშეს“, ან „ფერარის“ შემთხვევაში სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა. ახალი სპორტული „აუდი“ 5-ლიტრიანი, V10 ტიპის ძრავით არის აღჭურვილი, რომელიც ორი ტურბოგამაძლიერებლის მეშვეობით ტიტანურ ძალას 600ცხ.ძ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. ამ პარამეტრების ნამდვილ მნიშვნელობას უკეთ გავაცნობიერებთ, თუ გავიხსენებთ, რომ 13-ტონიანი ტვირთამწეობის რუსული თვითმცლელის „კამაზის“ ძრავას დაახლოებით ამდენივე სიმძლავრე და უფრო ნაკლები ბრუნვათა რიცხვი აქვს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ Audi Nuvolar-ის კორპუსი „კამაზისგან“ განსხვავებით, ალუმინისგან არის დამზადებული, გასაკვირი აღარ იქნება, თუ როგორ შეიძლება 4 წამის განმავლობაში 100 კმ/სთ სისწრაფის განვითარება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ავტომშენებლობაში ალუმინის ზემტკიცე ნაერთის მიღებას ჯერჯერობით მხოლოდ „აუდის“ საკონსტრუქტორო ბიურო ახერხებს. საუბარია ისეთ ტექნოლოგიაზე, რომლის თვითღირებულებაც სერიული წარმოების საშუალებას იძლევა. კორპორაცია ამ უპირატესობას საკმაოდ მოხერხებულად და ხშირად იყენებს. მსუბუქი კორპუსის წყალობით ავტომობილი უპრობლემოდ ავითარებს 400კმ/სთ სისწრაფეს, მაგრამ ამხელა სისწრაფეზე ქროლვის სიამოვნებას მისი მფლობელი ვერასოდეს მიიღებს — გერმანული კანონმდებლობის თანახმად, მაქსიმალური ზღვარი 250 კმ/სთ-მდე ხელოვნურად, ელექტრონიკის მეშვეობით არის „დაწესებული“. თუმცა, „აუდის“ მენეჯერებმა ახალი მოდელის სპეციფიკა გაითვალისწინეს და მათი განცხადებით, გერმანიის გარეთ გაყიდულ ავტომობილებზე ეს შეზღუდვა შესაძლებელია მოიხსნას. საამისო აპარატურით იმ ქვეყნებში განთავსებული სერვისცენტრები აღიჭურვება, რომელთა კანონმდებლობაც სიჩქარის გენერალურ ზღვარს არ აწესებს (უმეტეს ქვეყნებში ლოკალური ხასიათის შეზღუდვებია, გზის კატეგორიისა და დანიშნულების შესაბამისად).

როგორც ცნობილია, ექსკლუზიური მოდელების კლირენსს კომპიუტერი არეგულირებს — სპეციალური სენსორების მეშვეობით იგი გზის ხარისხს საზღვრავს და ამის მიხედვით ცვლის როგორც გზის ზედაპირთან დაშორებას, ისე ამორტიზაციის სიხისტეს. გერმანელი ავტომშენებლები ახალი მოდელის ტრანსმისიას საკმაოდ პრაქტიკულად მიუდგნენ და სერიული წარმოებისთვის სასურველი ნიუანსებიც გაითვალისწინეს. მანქანის კლირენსი მისი სისწრაფის მიხედვით იცვლება — რაც უფრო მაღალია სიჩქარე, კორპუსი დაბლა იწევს და პირიქით. ეს ლოგიკურიც არის, რადგან უგზოობაში არც ერთი ჭკუათმყოფელი 150 კმ/სთ-ით ქროლვას არ მოინდომებს... (აქ ალბათ, გამონაკლისი იმ დეტექტიურ ფილმებზე თუ გავრცელდება, სადაც მდიდარი განგსტერები პოლიციას გაურბიან ხოლმე...) მიუხედავად ბევრ საკითხში გამოჩენილი ეკონომიურობისა, „აუდის“ სალონი მაინც მაქსიმალური კომფორტით არის მოწყობილი. აქ იხილავთ უნივერსალური მართვის კომპიუტერულ სისტემას და მრავალფუნქციურ სტერეოაუდიო მოწყობილობასაც. ალბათ, ასეთი ფუფუნების გათვალისწინებით, Audi Nuvolar-ი არცთუ იაფი — 200 ათასი ევრო ეღირება. თუმცა, როგორც ფირმის მენეჯერები ირწმუნებიან, მოთხოვნილების შესაბამისად, წარმოების გაზრდის შემთხვევაში ფასი საგრძნობლად დაიკლებს.

## დღემდე „პეჟომ“ 40 მილიონი ავტომობილი გამოუშვა...



ფრანგულმა ავტოკომპანიამ საიუბილეო მოდელი გამოუშვა. თავისი არსებობის 100 წლის მანძილზე კომპანიამ 40 მილიონი ავტომობილი დაამზადა. „პეჟოს“ პირველი მოდელი 1889 წელს გამოვიდა. საინტერესოა, რომ პირველი ათასი ავტომობილის აწყობას ახალდაარსებული ფირმა 11 წელს მოუნდა, ხოლო 1925 წლისთვის ეს ციფრი უკვე ასი ათასს აჭარბებდა. ფრანგი ავტომშენებლებისთვის იღბლიანი 1930 წელი გამოდგა, როდესაც ქვეყანას „პეჟო 201“ მოევლინა. იმ პერიოდში ელექტრონული სტარტერი იშვიათ ფუფუნებას წარმოადგენდა და ავტომობილებს ხელით სატრიალებელი ბერკეტით ქოქავდნენ. „პეჟოს“ სერიული ნომერი „ბამპერზე“ ჰქონდა დამაგრებული ისე, რომ ბერკეტისთვის განკუთვნილი ნახვრეტი 0-ს ემთხვეოდა. აღნიშნული მოდელის შემოსავლებმა კომპანიის ბედი რამდენიმე ათეული წლით განსაზღვრა. მეორე, არანაკლებ წარმატებული მოდელი კაბრიოლეტის კლასისა იყო.

Peugeot 401 Eclipse-ი მსოფლიოში პირველი მეტალის სახურავიანი კაბრიოლეტი იყო (მოგვიანებით მისი ელექტრონული ამოძრავება კომპანია „მერსედესმა“ დააპატენტა). მემილიონე ავტომობილი „პეჟომ“ 1952 წელს გამოუშვა, ხოლო უკვე 7 წელიწადში ეს ციფრი გაორმაგდა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ავტომშენებლობაში ფრანგული მოდელები ყოველთვის გამბედავი სიახლეების დანერგვით გამოირჩეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ უძლიერესი ლაბორატორიები იაპონურ და გერმანულ ავტოფირმებს აქვთ, მათი მენეჯერები სიახლეთა სერიულ წარმოებაში დანერგვას ტრადიციულად ერიდებიან, რასაც ფრანგულ მოდელებზე ნამდვილად ვერ ვიტყვით — 1976 წელს სწორედ „პეჟომ“ გამოუშვა მსოფლიოში პირველი სერიული მსუბუქი ავტომობილი ტურბოდიზელის ძრავით. ამჟამად „პეჟოს“ 24 ქარხანა წელიწადში 1,5 მილიონ ავტომობილს ამზადებს.

## რუსულ მანქანათმშენებლობას „ოკა“ უშველის?



უცხოელი ინვესტორების მიმართ დაწესებული შეღავათების მიუხედავად, რუსული ავტომშენებლობა სულს ღაფავს. როგორც წესი, უცხოური ავტოკომპანიები ამჯობინებენ რუსეთის ტერიტორიაზე აშენებულ ქარხნებში საკუთარი მოდელები დანერგონ. ჯერჯერობით, ერთადერთი მოდელი, რომელიც წარმოებას ძველი ტემპებით შემორჩა, მცირეგაბარიტიანი „ოკა“ გახლავთ. როგორც ჩანს, აქაც გადამწყვეტი როლი ჯერ დაბალმა ფასმა, შემდეგ კი ეკონომიურობამ ითამაშა. „ოკას“ ადმინისტრაციამ გაბედული ნაბიჯი გადადგა და ავტომობილის გაყიდვების შედეგად მიღებული ფინანსების უმეტესი ნაწილი კვლავ მის განვითარებას მოახმარა — შეძენილი იქნა გერმანული წარმოების სამღებრო საამქროები, ხოლო ერთ-ერთ ცნობილ ევროპულ დიზაინ-სტუდიას მოდელის „გარდაქმნა“ დაუკვეთეს. შედეგი უცნაური გამოვიდა — „მცირელიტრაჟიანი ყველგანმავალი“.

## ორი სიურპრიზი „რენოსგან“





ფრანგულმა ავტოკორპორაციამ ერთდროულად ორი სიახლე წარმოადგინა. Scenic-ი გაყიდვაში უკვე მიმდინარე წლის ზაფხულში გამოვა. იგი სახელმოხვეჭილი „მეგანის“ ბაზაზეა აწყობილი. „კვირის პალიტრის“ მკითხველს ეხსომება, რომ აღნიშნულმა მოდელმა ზედიზედ ორჯერ წლის ყველაზე უსაფრთხო ავტომობილის ტიტული დაიმსახურა. რაც შეეხება დიზაინს, „რენოს“ მენეჯერთა მტკიცებით, მასში კომპანიისგან დღემდე წარმოებული ყველა წარმატებული მოდელის დადებითი მხარეა ასახული.

მეორე სიახლეს კუპე-კაბრიოლეტი „მეგანი CC“ წარმოადგენს. „მერსედესის“ მიერ შემუშავებული, ლითონის ასაკეცი სახურავი დანარჩენმა კომპანიებმაც წარმატებით აითვისეს და ასე გამოჩნდა ახალი კლასი ავტომშენებლობაში, რომელიც კუპეს და კაბრიოლეტს აერთიანებს. ავტომობილის გარდასახვას სულ 22 წამი სჭირდება, ანუ ის დრო, რაც სახურავის აკეცვისთვის არის საჭირო.

*გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა*

CMYK

## №10 (336) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის თემას — „ქართველი ქალები“ — 738 მკითხველი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 306-მა ქალმა და 429 მამაკაცმა უპასუხა კითხვას — **„პირველ რიგში რას ითხოვენ ქართველი ქალები ქმრებისაგან?“**

როგორც ვხედავთ, რესპონდენტ ქალთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, რაც უთუოდ რეიტინგის თემის დამსახურებაა.

ისევე როგორც მამაკაცები, ქალებიც თავიანთი მეორე ნახევრებისაგან პირველ რიგში ერთგულებას მოითხოვენ — **7,12** საშუალო ქულით „ერთგულება“ პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა 59,7%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. შემდეგ ადგილზეა „ალერსი, სიყვარული“, საშუალო ქულაა 6,04. სულ უმნიშვნელო სხვაობით ჩამორჩება მას „ფინანსური უზრუნველყოფა“ (საშუალო ქულა 6,01). სამაგიეროდ, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით პირიქითაა — „ფინანსური უზრუნველყოფა“ მკითხველთა 25,0%-მა შეაფასა უმაღლესი ქულით, ხოლო — „ალერსი, სიყვარული“ კი — 10,2%-მა.

ჩვენი მკითხველების აზრით, არაპრეტენზიულობას, საოჯახო ნივთების მოწესრიგებასა და ბაზარში სიარულს, აქ ჩამოთვლილ მოთხოვნათა შორის შედარებით ნაკლები სიმკაცრით ითხოვენ ქართველი ცოლები.

კაცებო, იყავით ერთგული, მოსიყვარულე ქმრები, ფინანსურად უზრუნველყავით ცოლები და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ ოჯახური იდილია გარანტირებული გექნებათ — საოჯახო ნივთების მოწესრიგებასა და ბაზარში სიარულს არავინ მოგთხოვთ.

საინტერესოა, რომ ქალებისა და მამაკაცების პასუხებს შორის მხოლოდ ერთადერთი განსხვავება დაფიქსირდა — ქალები სიყვარულსა და ალერსზე უფრო მეტად ფინანსურ უზრუნველყოფას ითხოვენ ქმრებისაგან. მამაკაცების აზრით კი — ჯერ სიყვარული და მერე ფული!




საპრიზოს ზუსტად 16 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — **თინა ჯიძა,** 23 წლის **თეონა მელაძე,** 32 წლის **მაკა ბენდელიანი,** 47 წლის **პაატა მხეიძე,** 48 წლის **ზურაბ ბუთხუზი,** 45 წლის **ივანე ბერიანიძე,** 41 წლის **ენვერ რამიშვილი,** 65 წლის **ქართლოს გადაბაძე,** 27 წლის **დავით ბოლაშვილი,** 33 წლის **ემზარ მარი,** 48 წლის **მ. სახვაძე,** 56 წლის **ნოდარ ნარიმანაშვილი;** 81 წლის **გიორგი ფარემუზაშვილი** (კასპი), 21 წლის **ირაკლი კურტანიძე** (ხაშური, ჩუმათელეთი), 47 წლის **მერი მაისურაძე** (რუსთავი) და 35 წლის **დავით სიმონია** (სენაკი, სოფ. ნოსირი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 19 მარტს, 17 საათზე.

## №11 (337) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგში.

**№11 (337) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 19 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 20 მარტის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №11 (337) — მონატრებული ტელესახე

**რომელი ტელესახე მოგენატრათ ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№11(337) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ტელესახე | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნინო ქაჯაია (რუსთავი-2) | |
| 2 | თიკა კანდელაკი (II არხი) | |
| 3 | გიორგი თარგამაძე (იბერვიზია) | |
| 4 | ინგა გრიგოლია (I არხი) | |
| 5 | ნიკა ტაბატაძე (რუსთავი-2) | |
| 6 | ეკა ბერიძე (I არხი) | |
| 7 | ნანიკო ხაზარაძე (I სტერეო) | |
| 8 | სერგი გვარჯალაძე (რუსთავი-2) | |

**მკითხველის რეიტინგი**

**თქვენი აზრით, ყველაზე მეტად ვის ეკუთვნის ტიტული — „საქართველოს პარლამენტის ჩხუბისთავი“?**

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური**

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

____________________ ____________________
ასაკი ტელეფონი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათები.

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

## დამატებითი კითხვის შედეგები

**როგორ აფასებთ გაერთიანებული დემოკრატების ინიციატივას სახელფასო მინიმუმის გაზრდის შესახებ?**




*დამატებით კითხვას 617-მა რესპონდენტმა უპასუხა.*

## • ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია

**„ფოტოანტიკვარის“ რესპონდენტებს, როგორც ჩანს, გაუჭირდათ ამ პატარა ბიჭუნას ამოცნობა. 26% ალბათ მინიშნებამ შეიყვანა შეცდომაში და ფილმში „მაგდანას ლურჯა“ პატარა ნანი ჩიქვინიძის (კატო) პარტნიორი მიხო ბორაშვილი დაასახელა; 7%-მა მასში გიორგი შენგელაია „ამოიცნო“. დასახელდნენ ასევე ვიტალი ხაზარაძე, ნიკუშა ლომიძე, აკაკი ასათიანი, სანდრო ბრეგაძე, გია არსენიშვილი და თქვენ წარმოიდგინეთ, ლეილა აბაშიძეც კი... რესპონდენტთა 38%-მა სწორად ამოიცნო პატარას ვინაობა. დიახ, ეს ბიჭუნა ცნობილი რეჟისორი თემურ ჩხეიძეა.**





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



თემურ ჩხეიძე, ოთხი წლის

## ფოტო განწყობისთვის



გაზაფხულდა, სიყვარულის დროა...

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები



18/III ○

სავსე მთვარე

მაგნიტური დღეებია:
19/III 20-დან 22 საათამდე
21/III 15-დან 17 საათამდე



**თარაზულად:** 1. წმინდა მოგება კრივში; 4. დიდი საზეიმო წვეულება; 6. გლადიატორთა სარბიელი; 7. საბანკო შეტყობინება; 8. მეფის მხლებლები; 9. კანფეტის სახეობა; 10. არგონავტთა წინამძღოლი; 13. „წიგნთა წიგნი“; 18. იაროსლავ გაშეკის რომანის გმირი; 20. დიდი ზომის ლიტერატურული ნაწარმოები; 21. დაბალი დიპლომატიური რანგი; 22. ი. ჭავჭავაძის ლექსი; 23. ყვითელაშვილის საყვარელი ინსტრუმენტი; 27. სულის ხუთვა; 28. ინტელექტუალური თამაში ბანქოთი; 29. ადამისა და ევას სასეირნო ბაღი; 30. სრული შეუსაბამობა, უაზრობა; 31. ციფრობრივი კოდი კონვერტზე.

**შვეულად:** 1. მსახიობი; 2. ყვავილოვანი ბუჩქი; 3. ლივლივი ჰაერში; 4. დარბაისელი ქალი, მანდილოსანი; 5. დაწესებულების მოქმედების სისწორის შემოწმება; 11. ვირტუალური პერსონაჟი კ/ფ-ში „არაჩვეულებრივი გამოფენა“; 12. სასპორტო ნაწარმის ცნობილი ამერიკული ფირმა; 14. ანტიკური ლექსთწყობის სახეობა; 15. ოპტიკური მინა, შემოსაზღვრული ორი, უპირატესად სფერული ზედაპირით; 16. საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია; 17. სპორტული ასპარეზობის შესაძლო შედეგი; 19. ბარათის ჩვენების შედეგი; 22. პერსონაჟი ჰიუგოს რომანიდან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“; 24. პირადი ხელმოწერა; 25. მოქმედების, მოღვაწეობის არე; 26. სანელებელი, სურნელოვანი ქერქი.

შეადგინა რამაზ ალანია

# მადონას ახალი ჰობი



მადონამ ახალი „გასართობი“ მოიგონა თავისთვის: გადაწყვიტა გახდეს საბავშვო მწერალი და უკვე ხელი მოაწერა კონტრაქტს გამომცემლობა „ფენგუინთან“ ხუთი წიგნის გამოცემის თაობაზე. პირველი წიგნი „ინგლისური ვარდები“ — პატარა უფლისწულსა და მელაზე, გამოვა სექტემბერში. ვარსკვლავს უკვე აქვს მწერლის გამოცდილება: 90-იანი წლების დასაწყისში მადონამ შექმნა ბესტსელერი სახელწოდებით „სექსი“, რომელიც ილუსტრირებული იყო მომღერლის უხამსი ფოტოებით. მაგრამ, გაი რიჩიზე გათხოვების შემდეგ მადონა ცდილობს შეიქმნას კეთილშობილი ინგლისელი ლედის იმიჯი და საბავშვო მწერლის რეპუტაცია შესაძლოა ძალიან დაეხმაროს ამ საქმეში. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა ბოლო დროს გავრცელებული ხმები, რომ ტემპერამენტიანმა ინგლისელმა ჯენტლმენმა გაი რიჩიმ რამდენჯერმე მიტყიპა ცოლი ეჭვიანობის ნიადაგზე და მადონა თვალდალურჯებულიც კი უნახავთ...




ფირმა „ბერმუხა“

ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


* * *



— როგორ შეგიძლია ყოველდღე იჩხუბო ცოლთან და იმავდროულად დიდ პატივს სცემდე სიდედრს?
— ოდესღაც, მხოლოდ ჩემი სიდედრი იყო ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი!..






ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## (11) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№11 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 20 მარტის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54; რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ₢518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი